ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

6

1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

347

გამოცემის ოცდამეცხრე წელი

6

ივნისი

1986

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმურ ბეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
თეიმურ გიორგაძე
გიორგი გუალია
თვიმურაზ დლიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეიდეა კახიძე
ზოთა ნიშნიანიძე
გურამ უანჯიკიძე
ბორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
გაღრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია და პროზა

3. ლია სტურუა — ლექსები
9. ლალი გრიგალაძე — ვუკრავ რეკტაიმს. მოთხრობა
69. მეიდეა კახიძე — ლექსები
71. ჯარჯი ფხოველი — ლექსები
77. ლადო ავალიანი — „გადამთიელის სისხლი“. ნოველა
91. სოსო მაჭარაშვილი — ლექსები
94. მერი შალვაშვილი — ლექსები
96. ლეანა სანიკიძე — გიორგი ათონელი. რომანი. გაგრძელება
124. ნოდარ შამანაძე — ლექსები

ახალი თარგმანები

128. კონსტანტინე ლომია — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა გენო კალანდიამ

საგზოთა კავშირის მწერალთა VIII ყრილობის შესახვედრად

130. ჯანსუღ ღვინჯილია — რამდენიმე სიტყვა „ცისკარსა“ და ახალგაზრდა მწერალზე

წერილები

133. როსტომ ჩხეიძე — სევდა ერეკლე ტატიშვილისა
140. ავთანდილ ნიკოლეიშვილი — იოსებ გრიშაშვილი (შტრიხები ლიტერატურული პორტრეტისათვის)
150. ელაშვილა ხინთიბიძე — ახალი მასალები კართველ მეფეთა ესანეთში მიმოწერის თაობაზე. (წერილი მეორე)

ხელოვნება

158. მარიკა წულაძე — ბეშმარიტი მსახიობი

ლია სტურუა

სონეტი რვეულზე

ათასი ფიქრით, უძილობით სავსე რვეული,
გულანი ჩემი, სხვისთვის უცხო და თავსატეხი.
ნაღველის წვეთი დაეცება შაქრის ნატეხზე,
ხმას ამოვიღებ უადგილოდ და არეულად
და გაგჩუმდები, რადგან ტიქსის ტანი რხეული
სულ ნარგიზებში უნდა ვლიდეს და წალკოტებში,
თუ ეტირება, ჭიაფერად ღებოს გოდება,
იების სისხლში აწოს პური და ანეული...
ასე უყვარდეს, ტყუპი მტრედი დაფრინავს, თითქოს,
ლამაზად, თეთრად და უყვავით მარჯნის ფეხები,
მაგრამ თუ თმებით ვაზის ჯვარზე ხარ დახვეული
და თუკი მოგკლავს სიღუღვილის ერთი შეხება,
მოკვდება ისიც და აღდგება მერე იფქლივით
ჩემი ნაღველით, ლოცვით, სისხლით სავსე რვეული...

სოფლის მონატრება

მე მინდა, მინდა, ბინდისფერი წუთისოფელი
პეპელასავით ჭრელი გახდეს და ერთი ცდა,
მე მინდა, ვინმემ მომიწყვიტოს საღამოს ციდან
არარსებული ბუნებაში ჩემი სოფელი...
ამინდი გაგდეს ამოღებულს კრიალა წყლიდან,
სოფელს ერქმევა კარალეთი ანდა კარსანი.
ღიღილოსავით გაიშლება სუფთა ჩარსავი,
ლურჯად რეცხავენ, თუ რა ხდება, სიკვდილი მინდა...
და ქრება წუთი, უტკივილო, მიდის ის კაცი,
ლამის სამშობლო რომ მოწყვიტა საერთო ციდან
და მზის ახივები დაამერტყა ცხოველმყოფელი,
მომეახლება მშვენიერი სიგიჟე, ბინდი,
რადგან მიწაზე აღარა მაქვს, არც წყალში არ ჩანს
და ბუნებაშიც არ არსებობს ჩემი სოფელი...

მინორული სონეტი

ეს მეჩვენება, ჩემი ხარბი, წითელი პირი
როგორ თანდათან ემგვანება ცხოველის ლაშებს,
ლოპრი და სისხლი ჩაუდგება ხრინწიან ხმაში,
სიტყვა, სუსტი და მოკანკალე, ჩაეკრება
მაღალფარდოვანს მონატრებს ამბავს და გმირებს,
რაც კი რამ ბეუტავს, ყველაფრისგან მოითხოვს კაშკაშს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორისდებული, შეძახილი, ტაში და ვაშა!
სიტყვებზე თეთრი ნისლის დამფენს, დაიძრობს კბილებს
მე მეშინია ამ ახალი ბატონი პირის,
ვუზივარ მონად და ქვიჯაში ყვავილებს ვნაყავ,
ის კი სისხლიან ხორცს მოითხოვს და ელის თაყვანს
ჩემგან, ვისაც მზეს ურჩევნია სევდა მზის გამო,
ღმერთო, მამყოფე ყოველგვარი სიტყვების ხამი,
უფრო ისეთის, მწუხარე რომ ექნებათ სახე.

ჩივილის სონეტი

ზოლოდ თბილისმა იცის სიცხე, ლარივით სწორი,
პირდაპირ გულში დაგიმიზნებს უაზრო ამინდს
და თუ კი შვებას მომანიჭებს ამ წუთში რამე —
სიცხის ნახევარს რომ ჩამოჭრის გაფრენა ქორის...
მე მგონი, კარგად შევასრულე კუთვნილი როლი
ძლიერი ქალის, მეწამული, მძიმე ბგერებით
გავუადვილე მას ლეჩაქის ციური ფერი,
სათი და ბროლი დავუტოვე, ხასხასა მოლიც,
თოვლიც მივეცი, მე კი სიცხის ვარვარა სოლი
გულს გამიგლიჯავს და მიქადის უდროო ბოლოს,
ქუჩაში მომკლავს ჩემი მკაცრი, ზეგარდმო ბედი
მეც მქონდა ერთ დროს სიხარული — ყელამდე ვარდი,
ახლა კი ვხედავ ყველაფერზე ათასჯერ მართალს —
ცივი რძის ფსკერზე შაქარივით დალექილ სევდას...

ნუგეშის სონეტი

გაანიავე ოთახები, ჩაყლაპე აბი.
(სიკვდილის თემა — მჩატე სული და მყიფე თმები)
ტკივილის შემდეგ მთელი ტანით მიეცი შვებას
და ლექსებივით წაიკითხე მტვრიანი საბა...
დაობდა პური, დაგიმძაფდა ნიგოზის ლაბი
და ხორხში აღარ გიკანკალებს სიტყვის სურვილი,
ერთი ძლიერი გრძნობა შეგრჩა — წყალი, წყურვილი
და წამდაუწუმ მარტოობის დაეძებ საბაბს
და ვერ პოულობ და კარგახანს ვერც ხვდები, ალბათ,
რომ შენთან ერთად იბადება შენი ჯალათი,
შენზე ლამაზი, გონიერი, მაგრამ ყრუ-მუნჯი,
შენ თუ ნერვების გორგალი ხარ, ის კლდე და თუჯი,
მოგაჭრას მკლავი, ნუ იძალებ, შეგახოს ტუჩიც,
მაგრამ ვერასდროს ვერ მოირგოს გიჟის ხალათი.

იმპრესიონისტული სონეტი

ცა ვარვარებდა, აბლაბუდას ობობა ქსოვდა,
ვეღარ ამბობდა მიწა ბალახს, გაუწყდა ქანცი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზე იყო ათასსანთლიანი და გვალვის მაცნე
და ჩემი კეფა აბრეშუმის ჩრდილს მოითხოვდა
წველიდნენ ძროხას, ვიოლინო ტროდა რძეში,
ჩემს მკერდში დოლი ბრაგუნობდა, აგურისფერი,
ღმერთი ვიცანი ამ ხატებში და შევიფარე,
დავალევინე ლურჯი წყალი, ჩამდგარი ხეში...
დოლი ცეცხლივით აბრიალდა, აქამდე მრეში
და თავის შვილებს — პაწწინა დიპლიპიტოებს,
გამარჯვებული დროშებივით გვირგვინს ხელში,
დამწვარი კეფის აბრეშუმი — მოდის სალამო,
პური, მკაფიოდ შაკგრეშანი, ვაშლი მწითური
და ყველაფერი ღვთაებრივად შეუაბამო...

ამაოების სონეტი

ან ვის რა ვთხოვო, რა ვეძიო. ვიქნები ჩემთვის,
ზამთარი ზაფხულს ენაცვლება, მზე — შემოდგომას,
პირის დაბანა, ჭამა, წოლა და ფეხზე დგომა,
ფართხალი, კრთომა, და მიგიღებს მდინარე ლეთა
ერთფეროვნება გაქვავდება ფეროვან დღეთა,
ქარვაში მწერი, დალუქული, ვერ გაინძრევი,
იყვავილებენ ყაყაჩოთი შენი მინდვრები
და სისხლის ჭავლებს ააცხამენ მაღლა, ღმერთამდე...
და ახლა შენს შვილს გააგიყვებს სამყაროს სევდა,
ერთნაირობა — წოლა, ჯდომა და ფეხზე დგომა,
ათასში ერთხელ გაბრძოლება, გრძნობათა კრთომა
და გულგრილობა დაანჭარებს სიკვდილს კვეთივით.
სახლებში მიდის ცრუ და ბასრი სიტყვების ომი,
ო, რა შორია და უვალი გზები ღმერთამდე...

პოეტური სონეტი

რა ფერადებს და რა სიმღერას, რას თხოვენ სიტყვას,
დუმილის ოქროს ნაწყენ გულზე რატომ ითნევენ?
სივრცე, კარებში მოყოლილი, მტკივა თითივით,
ამას თუ ვიტყვი, გინდაც, წყალი, ან მიწა მეთქვას
თავებში ტვინი, მშობიარე, ცუთავს და ფეთქავს,
რომელ სიტყვაში ჩაეტევა ასეთი ლავა?
ალბათ, სიმწრით რომ მოიძიებ, მტკივანი თავით
და არ შეგრცხვება, ღვთის წინაშე დაარქვა ლექსი
ორ უფსკრულს შორის თავს გადასდებ, ინისფერთმიანს
და ხალხის თვალწინ ჯამბაზივით როცა გაივლი,
ექნება, გერგოს თანაგრძნობის უცხო ყვავილი...
არ ვიცი დედას ვუმადლოდე, თუ ბედის მწერალს,
ღამის მელანში ჩამაყუდეს, მასწავლეს წერა,
სხვა არაფერი, სამწუხაროდ, არ შემიძლია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სონეტი დაფნის გვირგვინზე

ვერ გავაკეთე ვერაფერი ტანჯვის გარეშე
რა სისხლი მერგო მე ასეთი, ან რა გენები
ასანთის ალში მელანდება ცეცხლის გენია,
ასკილის ტოტი, ეკლიანი, ყვავის თვალებში
კი, ეს სიბეცე მაიძულებს შეეხედო ისე
დღეებს და სიტყვებს. გულს ვახოხებ, თითქოს, მიწაზე.
ან გავჩუმდები, ან მოვკვდები, არ დამიწესა
ღმერთმა საზღვარი. ამოსუნთქვის ვერ გავხდი ღირსი.
ვერ ვუშეგირდე ზომიერად მოვერცხლილ ყელებს,
თეთრი შაქარი თეთრ კბილებში ტოვებს შავ ნაპრალს,
მე ეს მაგიჟებს, სხვაა სახელის ლითონი, დაფნა,
რომელსაც მართმევს მომხვეჭელი, მოვლილი ხელი,
თავზე კი მაინც ვერ მოირგებს. ვიდრე მე ვყევარ
და შემიძლია. მიწა ვჭამო და ლექსი, ვწერო..

ძველი სიმღერის მოტივებზე

ოღონდ, წამართვი გონება და სიმტკიცე მადნის,
ჩვილი ბუნება დამიტოვე და ნება ცვილის,
გულამომჯდარი ამატრე, გულამოსკვნილი,
შენი გულისთვის შაქარივით თუ გინდა გავდნე.
შენც გამობი ორი სიტყვა ენის კიდეზე,
მართალს და შავ-თეთრს მირჩევნია ტყუილი ლურჯი,
ზღარბი ჩაიგდე სასულეში, თუ კი ხარ მუნჯი,
რომ ცოტა სისხლი გაერიოს შენს სიმშვიდეში...
სულ მითვალთვალებს მე ვიღაცა, რად ვცხოვრობ ასე
და არა ისე, რად მინთია ღილამდე შუქი,
რად მივარდება ნაწვალები სიტყვა ხელიდან,
რა მიღრს. იგი, შენ კი იცი, რა ცეცხლის ფასი,
ან რა ნერვების თაიგული ღგას იმის უკან,
მითხარი რამე და გავჭრები მე სანთელივით...

სონეტის დედას

სულ ერთი წუთით დამასვენეთ, ნუ დამინახავთ,
ნუ დამიძახებთ, მოვიტყუო თავი სილღიო,
სხვისი ზნე, სხვისი თავბრუსხვევა მაცლის სიმაღლეს,
სხვისი სიცხისგან მივარდება ჭერში სინდიყი...
ნუ დამირეკავთ, ნუ ამინთებთ ალისფერ შუქებს
განგაშის, ცუდი მოლოდინის და წინათგრძნობის,
ვიღაცის გული მეპარება, ხელში მადნება,
თუ დედაჩემი რაღაც მუქი ქოშინით სუნთქავს,
თითქოს, პირიდან ამოსდიან შავი ხეები.
ტანში კი ისევ მე ვუზიავარ. შვილი-წურბელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რიგგამშრალი სუსხლს-მაწოვებს გულის კოვზიდან
სულ ბოლო წვეთი, შენახული, ჩემთვის უთქმელი,
ვეღარ მოასწრო, ტკივილიდან ვერ ამოზიდა,
ვერ გამიგრძელა მონაკვეთი სამოთხეების...

სონეტი წინაპრებს

მე ვიცი. ახლა გაიღება სამოთხის კარი —
ერთი მინდორი კოინდარი. ქონება მთელი,
გამოანათებს ცომის გუნდა და ჩვილი ყველი —
შარავანდედი, გაწურული და უმარილო
უბრალო ქალის, თავწაკრული მშრომელი ქალის,
ნატალიასი. მამის მხრიდან ჩემი ბებიის,
მის სახელს ჭქონდა ქინძის სუნი და ფერი ბიის,
ტყემლის სიცხადე და ჯავარი უმძრახი წყალის...
ხოლო დიდედას ვარდი ეცხო, ია ესხურა,
ციცაშვილების გაქანებით და ოქროს ძაფით
სიტყვებს მიმაბა, მომისაჯა სალიკლდეობა,
მეორემ — შრომა, თავწაკლული, სუფთა გლეხური,
ხოლო ორივემ მარტობა ისეთი მძაფრი,
მხოლოდ საქონელს რომ მიყვება სასაკლაოზე...

ნატვრა

ნეტავი ვიჯდე ოქროსფერი დღის შუაგულში
არც მსხვერპლი და არც გამჩხრიკავი, უბრალოდ, მჭვრეტი,
არ მჭირდეს დროის უკმარობა, ფრჩხილების კვნეტა,
ქაფურის წვეთით ჩახშობილი ტკივილი ყურში
ტელეფონებით, დეპეშებით, კარებზე ზარით
გამოწვეული, გაზომილი მკაცრი საათით,
დრო დამდიოდეს ჰაერივით ლურჯად, ტაატით,
ზანტად, ძალიან მდედრობითად მიყვარდეს მთვარე...
კეთილშობილი რაინდები მხიბლავდნენ მწარედ
თავისი ყოვლის გამთიშავი ძლიერი გონით,
მაგრამ ვერაფრით ვერ აღწევდნენ იმ ჰარმონიას,
რომელიც ჩემი ყვავილია და ჩემი ჯვარი
და მე არ მინდა ფუფუნება ამაზე მეტი,
ოქროსფერი დღის შუაგულში ვიჯდე და ვეჭრეტდე...

ნოსტალგიური-სონეტი

რას ვინატრებდი? დაბრუნებას ოცი წლით უკან,
თავით მყინვარწვერს რომ აწყდები, ფეხებით ვაკეს,
ტკბილი რძეებით რომ არიან ძროხები მაკე,
თაფლი რომ ნიშნავს ყვავილების ყვითელ ბუტკოებს...
იქით რომ წახვალ, სადაც ქარი მიგერეკება,
და უმიზეზოდ შეიყვარებ ვიღაცას ისე,
თითქოს. გაჯობა. მოგიღრიცა კისერი მზისკენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა, ახალი ამოგიღო თავის ნეკნიდან...
ხომ ვერ იფიქრებ, ამ სიახლეს რამე თუ შეცვლის,
ფერს გაუმუქებს, ფრჩხილებივით დაადრობს ხორკლებს,
ვიღაცა მოვა და გაითბობს ხელებს იმ ცეცხლზე,
რომელიც წვავდა, ბატონობდა, ხანძარს თესავდა,
ვიღაცა მოვა და დამადებს სიმშვიდის ბორკილს
და მუუდროების სასარგებლოდ გაილექსება...

სონეტი მეზობელზე

ამეხილება დაჭედილი თვალისჩინები,
სიზმრით და დარდით გავსებული ძილ-ღვიძილისთვის,
ასფურცლოვანი ჩაის ვარდი — ყვავილობს ღვიძლი,
ფუთი ნაღველის მონელება გულმა ინება...
ჩემი სხეული, ჩემი მტერი, მოყვარე — სული.
იქნებ, პირიქით, ტანი ყვავის და სული მაწვიმს?
გავინებივრო, იქნებ, ყოფა რძითა და მარწყვით,
გავიიოლო მოქმედება და სიტყვა რთული,
რომ არ ეგონოს ჩემს მეზობელს, ყირაზე ვდგავარ,
მაშინ, როდესაც მეც მასავით ვამძიმებ მიწას.
ოღონდ სადგომი კარაქივით რბილია მისი,
ფორთოხლებს ისხამს მშობლიური ნელთბილი ჰავა,
მე კი ტალახში დავდივარ და ნაბიჯი მიჭირს,
არარასებული ვულკანები მაფრქვევენ ლავას...

სიკვდილის სონეტი

ძილში რომ მოვკვდე, ბალიშების იალბუზიდან
დავეცე მიწას, საგანგებოდ დაბამბულ ტალახს,
ანდა მივემსხვრე კლდეს, პიტალოს, რომ ვიგრძნო ძალა
გაბრაზებული და ურითმო, მამალი მუზის
იგი, მოზარე ერთადერთი, ჩემს კუბოს უზის,
მიჭარწყლებს წყობილსიტყვაობას და სანთელს მიქრობს,
მთელი სიცოცხლე ვიარსებე ურითმო ფიქრით,
ბოლოს გავგიჟდი, დავიკიდე ზარები ყურზე,
ვდიე მუსიკის კილომეტრებს და დავიზავე
ნაკლები სმენით და მომინდა სიკვდილი-ძილი,
მაგრამ ვინ მომცა, როცა ვდგავარ, როგორც მიზანი
კიბოს წითელი მარწუხების, ტკინში გაყონვის,
როცა გავწიე და გავტეხე ყველა საზომი,
ამღერებული ჯვარედინად ვერ ვთქვი ტყუილი...

ლალი ბრეგვაძე

ვუკრავ რეჭტაიმს

მოთხრობა

აქ, რა თქმა უნდა, არავინ მიცნობს, არცაა საჭირო, დიახ, ამას გულწრფელად ვფიქრობ. ჩემი პერსონა ინტერესმოკლებულად მიმაჩნია. ვინ გაბედავს, ვინ შემედავება, სპარისპიროს ვინ მეტყვის! ვისა აქვს ორი თავი, ჩემზე რაიმე გარკვეული აზრი შეიქმნას. განა ფეხებზე არ ვკიდივარ ყველას? მესამე დღეა, მდუმარედ ვცხოვრობ, ხმას არ ვიღებ და ერთხელაც არავინ გამომლაპარაკებია. იქნებ მუნჯი ვარ, ნუთუ ამან მაინც არ დაინტერესათ? არა? ძალიან კარგი. მეტს არ ვიმსახურებ პირწავარდნილი არარაობა. ნაცარი, მტვერი, ერთ დროს სიცოცხლესთან წილნაყარი, ახლა გაურკვეველი ნაშთი, სახელიც რომ არ მოეძებნება.

არ ვაზვიადებ, ნამდვილად არ ვაზვიადებ. ერთადერთი ღირსება, რაც დღემდე შემომრჩა, ესაა უზომო გულწრფელობა, რომელსაც მოვუხმობ მუდამ, რომლის შემწეობითაც შემიძლია გავამხილო ყველაზე სანუკვარი სიდუმლო. განა ყურში ჩავჩურჩულებ ვინმეს, განა მოკიბულ-მოკიბულად ან თვალის ჩაკვრით ვაუწყებ, არ შეიცხადო, ასეთი რამაც ხდება, ცოცხალი კაცი ნებისმიერ საოცრებას უნდა ელოდო-მეთქი, პირდაპირ, საკუთარ სინდისთან ქედმოუხრელად ვამბობ, რომ მე აქ მოსვლამდე გარდავიცალე.

უჰ, რა სექსუალური დედაკაცი ზის ფანჯრიდან მარცხნივ, მეორე მაგიდასთან! გრძელი ცხვირი აქვს, ჩალისფრად შეღებული თმა შუბლზე „ჩალიკად“ ჩამოუშლია იმ მიზნით, რომ ულაზათო სახის მკვეთრი ნაკვთები როგორღაც უფრო ასატანი გახადოს, თვალში ნაკლებად საცემი. ასეცაა. ჰოდა, რად უნდა ედავო. ჭამს და ფიქრობს... ნეტავი რას... ელვირა რქმევია. აი, ვიღაცამ გვერდითა მაგიდიდან დაუძახა, ელვირაო, თან ჩაიდანზე ანიშნა. ამანაც ყესტით უპასუხა, ცარიელიაო, ისევ ფიქრში შებრუნდა.

ფიქრიანი ელვირას მაგიდას ალბინოსი დედა-შვილიც უზის, უდაბნოს ქვიშისფერნი და ჩუმნი. მაგიდის მწკრივებს შორის ჩაიდნით მომავალ ოჯახის მამას გასცქერიან. კაცი ალბინოსი არაა, სამაგიეროდ კარგა გვარიანად კოჭლობს, ღელვაში მოყოლილ იახტასავით ირწევა და სულ მგონია, აი ახლა გადაივლებს მდუღარეს და აი ახლა-მეთქი. მაგრამ მშვიდობიანად აღწევს ცოლ-შვილამდე. ქალი შეჰღიმის ქმარს და შეუძლებელია არ იგრძნო, უყვარს მისი სიკოჭლე, რომელშიც თავის ნეგატივისებური იერის გამართლებას პოულობს, რომლის წყალობითაც გათანასწორებულია ორთავ მხარის ფიზიკური ნაკლი და სიყვარულიც უფლებამოსილია. რად მგონია, რომ ფიზიკურად არასრულყოფილთა სიყვარული გაცილებით უმტკივნეულოა? არ ვიცი... მაგრამ ალბინოსის სითეთრეში ახლა გულგრილობის მსგავსს ვხედავ, ტკივილსგარეთ დარჩენილს, ჩვეულებრივი სტანდარტების ნორმიდან ამოვარდნილს, ასევეგად რომ ეხამება ის სიბეცეც. კანონიერ დეტალად მისაჩნევი, მისატევებელი და ასატანი.

ნეტა ელვირა რა აზრისაა, მეთანხმება თუ არა? ერთი კი გამომხედა, თითქოს გადავდე ფიქრი. ო, ელვირა, ან ჩემი ფიზიონომია რას გეუბნება!.. მოგდივარ თვალში? ტიპების კოლექციას თუ აგროვებ, რა უშავს, სამაგისოდ ნამდვილად გამოვდგები. მესამე დღეა უკვე... მე კი პირველად შეგამჩნიე შენც, ალბინოსებიც, ჩემი თანამეინახენიც. მერე რა, რომ თქვენ გვერდით ვცხოვრობ, თქვენთან ერთად ვჭამ, ოღონდ არ ვკკურნალობ, ბალნოლოგიური კუურორტის სასწაულმოქმედი წყლისთვის ჯერ არ მომიცლია. აკლიმატიზაციას კი არ გავდივარ, სურვილი არა მაქვს, ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ვიზრუნო. მაშინ ამ რად ჩამობრძანდით, ზღვა მოგენატრათ? ალბათ, მკითხავ, ფიქრიანო ელვირა. სამსახურმა მაიძულა, უფრო სწორად, ლეკანმა. არ შემიძლია! წელკავიანივით რომ დადიხარ, არ შემიძლია შენი ყურებაო. ყოველთვის კი არ დავდივარ წელკავიანივით, ზოგჯერ, ათას'ში ერთხელ მიწყრება ღმერთი, მაგრამ რომ გამაშეშებს, დამჯდარი ვეღარ ვდგები, ამდგარი ვეღარ ვჯდები, მრცხვენია, თორემ ხმამაღალ კენესას მოგრთავდი და ნახაზებთან მიმჯდარ თანამშრომლებს სულ დავთრეს ავუბნევდი... ისე გამომხედე, თითქოს მართლა მოგწვდა ჩემი ფიქრი და მერე, მერეო, მეკითხები ფიქრითვე. მერე არაფერი. ვიცი, უკვე ვიცი, ისეთი ცარიელი დროის მოკვლა მომიწევს შენ გვერდით, როცა ათასი სისულელე უნდა დაროში, ათასი ტყუილ-მართალი, მაგრამ ნუთუ გიამბობ, რაც აქ მოსვლამდე გადამხდა?

ჩემი თანამეინახენი წავიდნენ, მე კი შემიძლია ვიჯდე და ყველაფერი გავიხსენო.

მძღოლმა, რომელსაც დავემგზავრე, მწყობრიდან გამოსული თავისი ნაცრისფერი ყიგული პირველივე შემხვედრ თვითმცლელს ჩაუბა, ხელები გაშალა, უსიტყვო ბოდიშით დამტოვა ტროსაზე და კელავ უკუგზას დადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი მარცხის გამო როდი დავდონებულვარ. ჩემი სავალის მიმართულებით ტრანსპორტს რა გამოლევდა. ერთი გაფიქრება მაინც გავიფიქრე, დამეთარსა დასვენება, თანაც დასვენება მკურნალობით (რა სოლიდურად ჟღერს!), მატარებლით წამოვსულიყავი, ხომ მერჩია-მეთქი. ამაში მერე და მერე უფრო დავრწმუნდი, ხელის ქნევამ და თხოვნამ — გააჩერე. გააჩერე, თუ კაცი ხარ, წამიყვანე-მეთქი, — რომ დამღალა და გამაღიზიანა.

ზოგი მანქანა გაუქციდილი მიქროდა, ზოგში წყვილი იჯდა და მესამეს შემომატება არ ეპიტნავებოდა: ზოგი მძღოლი ბუზადაც არ მაგდებდა, ზედაც არ მიყურებდა. ვგრძნობდი, როგორ თანდათან ვკარგავდი წონასწორობას, როგორ მტრულად ვიყავი უკვე განწყობილი ყველას მიმართ, ვინც გზას არხეინად მიიკვლევდა, თითქოს მათი ბრალი ყოფილიყოს ჩემი წარუმატებელი მგზავრობა.

მოვხსენი თავი გუდას და გინების კორიანტელი დავაყენე. ვაგინებდი განურჩევლად ყველას, არ ვუტოვებდი მკვდარსა და ცოცხალს, კარგსა და ახლობელს.

ბოლოს ავტობუსმა ჩაიარა და იმანაც გამაწბილა. ახლა უკვე მუშტებსაც ვიქნევდი, სამგზავრო ჩანთა ფეხებთან მედო, სიგარეტიც მითავდებოდა. ბიჭის პერანგიოა მაკლდა. მძვინვარებითა და მცხუნვარე მზით შეწუხებულს, სახეზე ოფლი მასკდებოდა. ჰოდა, გინების მორიგი სერიალი არც დამემთავრებინა, რომ მგზავრებით გადაჭედილი ავტობუსი, ქარაშოტივით რომ ჩამიქროლა წუთის წინ, სანამ თვალს მიეფარებოდა, ერთი წაფერდდა, მოსახვევიდან მსუბუქი ღრჭიალიღა მომაწვდინა და ხევში გადაეშვა.

ახლა მხოლოდ ის გაურკვეველი შთაბეჭდილება მახსოვს, გინება რომ გამაწყვეტინა, და კიდევ ჩემი ხმა, წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერი გარინდების მერე ერთბაშად დაძრულს და ძუნძულით მიმავალს თან რომ მომდევდა. რაღაც უცნაურ ბგერებს ამოვთქვამდი, ცხოველის მაგვარად ვღმუოდი, ვიდრე იმ ადგილს მივაღწევ. საიდანაც გადაჩეხილნი უნდა მომეძია.

ფლატეში ჩავეშვი, კეალში ავედევნე კატასტროფას. მივბოლტვდი, სიბრაზე მიორმაგდებოდა, საშინელ მძვინვარებად შექცეოდა: შე არამზადავ! შე ჯოჯოხეთის მოციქულო! მართლა უბედური ყოლიხარ გამჩენს! — გავიძახოდი მძღოლის მისამართით და საყრდენგამოცლილ ნაბიჯებს ერთმანეთს ვუნაცვლებდი, ჩავდევდი ჩაშლილ ნაფეხურს დაბლა-დაბლა, ღრმა ხევისაკენ, საიდანაც ხშირი ბუჩქნარის მეტი არა მოჩანდა რა. მერე უცებ ხშირ ბუჩქნარს ბოლი ავარდა, ერთ ალაგას დაიწყო ხრჩოლვა. მივხვდი, რა საშინელებაც ხდებოდა. ისე გავქვავდი, ტერფის ქვეშ ღორღიც კი შემიკავდა. ვიფიქრე, ხომ არ სჯობს, ავბრუნდე გზაზე, ხალხს მოვუხმო საშველად-მეთქი. ავიხედე, თვალით ავზომე უკანვე ასასვლელი. ზემოთ ვიღაც ორნი იდგნენ, ხევისკენ იცქირებოდნენ, ხელებს იშვერდნენ. ინსტინქტურად კვლავ დაბლა დავეშვი. კარგა მანძილით ჩაქვეითებულმა ისევ ავიხედე ზემოთ, მაგრამ ვეღარავინ დავინახე. ახლა ბოლის მიმართულებით მივიკლვედი გზას გაბლანდულ ძეძესა და ბუჩქნარში.

ეღვირა!.. შენ ხომ არასდროს შეგიძლია მნახო ისეთი, როცა ცეცხლმოკიდებულ ავტობუსს მივაგენი. ქარი მხოლოდ ერთი მხრიდან უბერავდა, ნაწილ-ნაწილ მიაწოლებდა კვამლის თვალგაუკალ მორევს, ადამიანთა განწირული კივილით შეძრულს, ძლივსგასაგონი, უსასოო კივილით.

აი, სრული უმწეობა! ამ ჯანღში ვერაფერს დაინახავდი, ვერც ვერას ღღონებდი. გამოდის, პასიური მოწმე უნდა ვყოფილიყავი საშინელების. ადამიანები ცოცხლად იწვიან, შე არაფრის კაკეთება არ შემიძლია?! ეს ეს ეს!

კვამლს სპილენძისფერი შეეპარა, უფრო გასქელდა და ახლა ქარის მიმართულებით კი არა, უთავბოლოდ იწყო ფანტვა და სიბრმავედ შეერია სივრცეს. ვინანე, მარტო არ უნდა ჩამოვსულიყავი, მაგრამ რაღა დროს. „სანამ მშველელთა მოსახმობად ზემოთ ავადწევ, ამათი ძვლებიც დაინაცრება...“ ეფიქრობდი და ისევ წინ მივწევდი უკვე მეჩხერ ბუჩქებს შორის მოქცეულ ვაკობიანეს, ჩოლელზეც მოძრავ ჭავლად სხლტებოდა თხელი კვამლი. ეს რა დავინახე!.. ცეცხლმოკიდებული კაცი გამორობდა უცნაური ხტუნვა-ხტუნვითი, პირდაპირ ჩემკენ აეღო გეზი. გაშეშებული შევცქეროდი და რაც მეტად მიახლოვდებოდა, უფრო გარკვევით მეცმოდა, როგორი წრიპინ-წრიპინი და ტკაცატკუცი გაუდიოდა. არ ვიცი, რა დამემართა, ცოტა კიდევ დავყოვნდი, დავრწმუნდი, გეზის შეცვლას არ აპირებდა, ანგარიშშეიუცელად მოვბრუნდი და თავქუდმოგლეჯით მოვკურცხლე. მეჩვენებოდა, თითქოს იმ ცეცხლმოკიდებულივით ეხტუნავდი და წრიპინ-წრიპინი გამიღიოდა, თითქოს ორად ვიყავი გახლეჩილი, ჩემი ერთი ნაწილი გარბოდა, მზდალი, ლაჩრული, კურდღელივით თავგადაკარჩენად ბუჩქებს მიშურებული და იმ გაქცეულს მივდევდი, რათა მომებრუნებინა, შეგერთებოდი, ისევ გავმთლიანებულიყავი.

მაგრამ ჩემს სურვილზე აღარაფერი იყო დამოკიდებული. სიცოცხლეს გავიღებდი, ოღონდ განგებას ავეცლინე ჩემი ეძლური და უბადრუკი ბუნების ხუნდებს. საკუთარი თავის ყოველგვარი პატივისცემა დავკარგე. ნუთუ სულ ეს ეიყავი! ნუთუ არაფრის შეელა არ შემეძლო განწირულისათვის?! ცხადია, არა, რადგან ინსტინქტმა მაიძულა მეზრუნა, მეც არ გადამდებოდა ცეცხლი. ამიტომ გავრბოდი. ჩავდიოდი ისეთ სა-

ზიზღრობას, რასაც სხვას არასდროს ვაპატიებდი. რამ გამაბოროტა, დამძახა მაინც, მიწაზე იგორე-მეთქი. მერე იქნებ მიშველებაც შემძლებოდა, ან სილა შემეყარა მისთვის, ან სადმე ღელეში წყალი მომეძია. რად მეგონა, მაინცდამაინც ჩემკენ მორბოდა ცეცხლში ჩამწყვდეული, ჯერ ბოლომდე გაუნადგურებელი სიცოცხლე და მოახლოებისთანავე ჩამეხვეოდა, არასაზრით აღარ დამეხსნებოდა, თავის ხვედრს მაზიარებდა. არადა, ვინ იცის, სულაც ვერ მამჩნევდა, მე კი გავურბოდი.

ერთადერთხელ მოვაბრუნე თავი, მანძილი მინდოდა ამეზომა ჩვენს შორის, ოდნავ შევანელე ფეხი და მივხედე. ისიც შედგა, თითქოს მასაც აინტერესებდა, რა მანძილი გვაშორებდა ერთმანეთს. ცეცხლის მოკლე-მოკლე ენები უეცრად გადაქანდა გვერდზე, თითქოს ერთ მხარეზე მიმქროლავ ნიავს უნდა გაჰყოლოდა, ჰოდა, მაშინვე გამოჩნდა მისი სახეც — გადასწორებული და წაშლილი, მოკუმული პირი გაეხსნა, თეთრად გამოჭიატებულ კბილებზე გადაიფლაშა და სილუჯვეგადაველილი სიცილი გამოსცა, ჩამხრჩვალის გაუჩინარებისთანავე ჭაობი რომ ამოიბუყბუყებს ავბედითი გულგრილობით, ისე, სწორედ ისე. დაზაფრული კვლავ წინ გავვარდი.

პირველი სინდისის ქენჯნა მაშინ ვიგრძენი, ფლატეს როცა მივადექი გულამოვარდნილი. ის იყო გავიფიქრე, ძალა აღარ მეყოფა ზემოთ ასასვლელად-მეთქი, რომ მუხლმოკვეთილს ვიღაცამ მომძახა:

— ნუღარ ჩქარობთ, გაიგეს, სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს.

ფეთანნივით მივიხედე, ხმელ-ხმელი კაცი იყო, მარცხენა ლოყაზე ცერცვისოდენა მეჭეჭი აჯდა.

იქვე ჩავჯექი, ხმა არ გამიღია. უნდილად გავხედე კვამლში ჩამხრჩვალ ხევს, შეჯანღული ცა რომ დამხობოდა ზემოდან და მოლოდინმა დამზაფრა, აი, ახლა გამოჩნდება ცეცხლოკიდებული-მეთქი. მაგრამ აღარასად ჩანდა.

— ეს რა საშინელებაა! — თქვა მეჭეჭიანმა. იდგა, განძრეულა არც აპირებდა.

ხმა არ გამიღია.

— ვერც მიეშველები. შეიძლება კვამლში ამოიხრჩო, — ისევ თქვა მეჭეჭიანმა. — საშინელებაცაა და საშინელებაც...

ფლატეზე ხალხი ჩამორბოდა, საკაცეებს მოაფხოკიალებდნენ, თეთრხალათიანებიც ერიათ, აღჭურვილნი მედიკამენტების ყუთებით, აირწინაღებით. მეჭეჭიანმაც მათკენ გასწია.

ფეხები დაწყვეტაზე მქონდა. „რომ არ ვვარჯიშობ, ამიტომაა ვარ მრვარივით“, — გავიფიქრე ბრაზით. ირგვლივ მიმოვიხედე, იმ ჯუჯა ხეს დავეწყვე ძებნა, ჩამოსვლისას სანაშნეად რომ ამოვირჩიე. ისევ ძველ გზას უნდა ავყოლოდი უკან, რადგან სამგზავრო ჩანთა ფლატეზე, ძეძვში მქონდა ჩამალული.

წინ და უკან ვეხეტე, სანამ ჯუჯა ხეს მივაგნებდი. ვიღაცები ისევ ჩარბოდნენ ხევისკენ. მე კი ვტოვებდი იქაურობას, სიკვდილს სუნით შემდევრეულს. გული ყელში მეჭედნა. როცა ტრასიდან საბოლოოდ გავხედე ხევს, თითქმის რომ აღარ ჩანდა კვამლში, მომეჩვენა, თვით ამდიოდა ის სუნი, ტ'ოსისა და სიმყრალის ნაზავი და ეჭვი არ მეპარებოდა, პირდაპირ სიკვდილიდან მოვდიოდი. რატომღაც ვიფიქრე, უთუოდ მძღოლი იქნებოდა ის ცეცხლოკიდებული მორბენალი-მეთქი. მართალია, არავითარი ბრალი არ მედო მისი ბედის უკეღმართობაში, მაგრამ მაინც უპატივცემლოდ განვეწყვე საკუთარი თავის მიმართ, საკუთარი სიცოცხლის მიმართ, რომელიც აშკარად გამიუფასურდა და შემთხვევითობას დაემსგავსა.

„ამის გაგება შეგიძლია, ელვირა?

რატომ მაინცდამაინც შენ ამოგირჩიე? რად გიგზავნი ჩემს ფიქრებს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც წყალსგაყოლილ ბარათებს? არ ვიცი... თუმცა ის ბარმენიც ხომ ხშირად მახსენდება, მოსკლისთანავე რომ მიიქცია ჩემი ყურადღება. გიყურებს და თვალებით ეეუბნება, თქვენს მოწყენილობას დიდ პატივს ეცემი. ერთი ზედმეტი სიტყვით არ შეგაწუხებს. ამდენსაც რომ არ მაგრძნობინებდეს, უფრო დახვეწილ ჯენტლმენად ჩავთვლიდი.

შიგ მუსიკაში იდგა იგი, ნომერი რომ ჩავიბარე და შახპიც არ მიმიღია, ისე გავვარდი გარეთ. მუსიკაში და ცარიელ ბარში იდგა, როცა მიეხვდი, სამეზავრო ჩანთას გავექეცი, აღარ შემეძლო მისი დანახვა. იდგა და მელოდა, რას ვთხოვდი. მაგრამ არაფერი მითხოვია. წოწოლა სკამზე შემოვჯექი და მეც იმ სიცარიელეს და ლოდინს მივემატე. ბარიტონი ღიღინებდა რიტმულ მელოდიას. წამალი იყო ჩემთვის ის ღიღინი და ყმაწვილი. ბარმენის დუმილი იმდენი სიკეთილის მერე, აბსურდულ რომ ხდიდა ყველაფერს.

შენ რომ შეგეძლოს, ელვირა, ეგ ჩალისფერი თმა წაფაარო ჩემს მეხსიერებას და დამავიწყო, რომ ლამის ეტიროდი არა სხვათა საცოდაობის, არამედ საკუთარ თავთანაც გაუმხელელი იმ სიხარულის გამო, რომ მათი ხვედრი არ მერგო, ცეცხლწაკიდებული არ ვეგდე სკამებს შორის და პატრონის გარეშე დარჩენილი ფეხი რკინის წვრილი ქულით არ მებჯინებოდა მკერდზე. არადა, ადვილად შეიძლებოდა ასე მომხდარიყო, ბედისწერას რომ ენებებინა... შენ რომ შეგეძლოს არარაობას ჩაუდგა სული... შენ რომ შეგეძლოს...

ელვირა კი მიდის. დაამთავრა ჭამა და მიდის.

რაც აქა ვარ, სიზმრებს აღარ ვხედავ. ჩემი ღღე და მოსწრება სიზმრები მტანჯავდა. გავთავისუფლდი ამ სატანჯველისაგან და, წარმოიდგინეთ, არც მიხარია. ალბათ, იმიტომ, ცოცხლებში რომ აღარ ვწერივარ. ყველაფერი, რაც ჩემშია, რაც გამაჩნია და ჩემგან წარმოსდგება, იმქვეყნიური გახლავთ. იმქვეყნიდან ჩამოგართმევთ ხელს, იმქვეყნიდან შეევიდოდეს თქვენს ცხელ სხეულებს, თქვენს ღამეებს. იმქვეყნიდან შეგიქებთ გარდერობს, გემოვნებით რომ შეგირჩევიათ. იმქვეყნიდან გაგაფრთხილებთ: ნუ მოიტყუებთ თავს, თქვენი არსებობის ყოველი წუთი შემთხვევითია!

საკმარისია ამ ვეება სასადილოში მჯდომთაგან რომელიმეს გავუმხილო ეს მოსაზრება, ამრეზით შემომხედავს იმის საუწყებლად, ჭკუაზე ფფრაკად ხომ არა ხარო? ბუნებრივიც იქნება, ზედმიწევნით ბუნებრივი... მაგრამ ხომ არ გამიჯავრდებით, ნაცვლად იმისა, ორ შაურად მიღირს თქვენი აზრი-მეთქი, გიპასუხოთ: მე თქვენზე ბედნიერი ვარ, რადგან ვიცი ის მთავარი, რაც იქნება ვერასდროს შეიტყოთ საკუთარი თავის შესახებ. ჩვენი არსებობა სხვადასხვა განზომილებაში მოექცა. მე ლურჯი სიცილის მეუფებაში ვცხოვრობ უკვე და, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ვერ ვიტყვი, მსურს თუ არა გავთავისუფლდე მისი ცხადზე უცხადესი კოშმარისაგან. იგი ისევე არსებობს ჩემში, როგორც დაბადება იგულისხმება ნებისმიერ მოკვდავში, ვითარც ბინდი ენაცვლება სინათლეს. აბა, რას ბრძანებთ, რომ ავდგე ახლა და განვაცხადო: ხალხო, პატიცემული საზოგადოებავ! თქვენ გვერდით მიცვალებულია! დაიჯერეთ! მერე რა, რომ ერთად ვსხედვართ ამ დიდებულ სასადილოში...

მართალი გითხრათ, აქაური მზარეული გემრიელ გუფთას ამზადებს. ამ გახსენებაზე, რად არ შევუვლი შთაბეჭდილების წიგნში მადლობის ჩასაწერად, მან ეს დაიმსახურა. მაგრამ მეზარება. მეზარება და, რა ვქნა! თქვენ მაინც გამოიჩინეთ კეთილშობილება, ბატონები და ქალბატონები, გემრიელი კერძების ტრფიალნო, წყალში ნუ გადაუყრით შრომას. მე რას მიყურებთ, ერთ უავკარო კაცს, ჩემთვის ახლა ყველაფერს ხომ ჩირის ფასი აქვს. არც

ემოციები გამაჩნია, არც სურვილები, არც მიზანი. მზარეულის სახლთბოდ მცხელა? გარდა ამისა, წესით, არც უნდა მიყეთდეს მასზე გული. როცა მისი ელენარული ნახელავით ვნებივრობ, ხარბად ვნთქავ ყველაფერს, რასაც მთავაზობენ, სწორედ მაშინ ვგრძნობ მძაფრად, რომ უსულოდ დარჩენილი, ლამის ცხოველად ვიქცე. ნამეტანი რუდუნება ხომ არ გამომდის არაფრისმაქნისი სხეულისათვის? უსულოდ დარჩენილი. ეხეული კი... ოჰ, კმარა!..

ისე, რა გგონიათ, ახლა ვფლობ ამდენ ცოდნაა საკუთარ თავზე, თორემ ადრე ორი ბატი არ მომეგარებოდა, ორივეს ნებაყოფლობით გავატანეთ ვინმე მშიერს, გაპუტე, შეწვი და მირთვი-მეთქი.

უსულოდაც კარგად შეიძლება იგრძნო თავი აქ, პანსიონატის ვეება სასადილოში, სადაც დამსვენებლები ორ წყებად მირთმევენ საჭმელს. მართალია, აგურისფერი უხეში პლუშის ფარდები ცივ განწყობილებას ქმნის, სამგიეროდ, ჭერის მოჩუქურთმებული კეთონი ქადაგებს, როგორ იზრუნეს შენზე და თითოეულ აქ მყოფზე, ვიზუალურად ესთეტიკური ფუფუნება შეექმნათ. ჭადებიც ვემოვნებით შეურჩევიათ. დანარჩენი შენზეა. შეიფერე და შეირგეთანაც გამიმართლა, მეორე წყებაში მოვხვედი, თქვენც, რაღა თქმა უნდა, ბატონები და ქალბატონები!.. მომტანი ქალები არ შემოგვიცქერიან პირში, იქნებ მალე დაამთავრო ჭამაო, თვალებით უსიტყვოდ არ გვეუბნებიან: მოიფიქრეთ ადგომა, თქვენ გარდა, სხვებიც არსებობენ, საკუთარ სახლში არ გგონოთ თავი. ასე რომ არა, ვინ დამაცდიდა ამდენ ფიქრს. ელვირაც კი წავიდა რა ხანია. ალბინოსებიც ოჯახიც საცაა გაიკრიბება, ბიჭის ბოლო ლუქმის გადაყლაპვას ელოდებიან. ეზარება და შშობლების ხათრით ჭამს.

საჩხერელმა მძღოლმაც დაგვტოვა. ეს აწოწილი კაცი დარბაზის შუაგულში ზის. ჩაით, კომპოტით, ასკილის ნაყენით, ოღონდ სითხე ესხას ჭიქაში. ყველაფრით სადეგრძელოს ასწევს ხელს, ალვის ხეივანით ეაუოდება, იყურება აქეთ-იქით, ვითომ, ყველას გეკუთვნით სადეგრძელოო. ტკინის ცენტრაში მთლად წესრიგი ვერ უნდა ჭქონდეა. ანგლობს თავის ჭკუით. ტინგიცობს, კომუნიკაბელურობას იჩემებს, განსაკუთრებით ნაზი სქესის წარმომადგენლებთან. გამოაცხადა, საჩხერელი მძღოლი ვარ, ახალ ავტობუსს ველოდები, ცოტა ხანს შავ ზღვაში უნდა ვიქუჩქაალაო. განა რამე მტკივა და სამკურნალო ვარო. ამასობაში ავტობუსიც ჩამომივა და მოვაჯდები ჩემს ბედაურსო.

ამ ხუმრას საქციელზე დარბაზს ტაღლასავით გადასდის ირონია.

კიდევ შემიძლია ვიჯდე და ვიფიქრო, ბევრი ვიფიქრო. აი, რამხელა უპირატესობა მაქვს პირველი წყების დამსვენებლებთან შედარებით.

მომტანმა აალაგა ჩემი ორი თანამესუფრის ჭურჭელი. ერთი სკამი თავისუფალია. ნეტა ვინ მოვა? ვინ გაგვიბუნიერებს? უნდა ვაღიარო, არავის მოსვლას არ ვანჭებ მნიშვნელობას. ცარიელი სკამი მირჩევნია დასაკუთრებულს. ეს თქვენი სკამია, გეთაყვა, ეს ჩემი ადგილია! აქ შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი ზის... — ასე თქვა დედაბერმა, როცა დიეტექთანმა მაგიდასთან მიმიყვანა ახალმოსული. ეს იქნება თქვენი ადგილიო, მიმითითა. რა შეანიშნავად ყღერს, არა? შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი... ფერფლისფერ კაცზე იყო ლაპარაკი, გვერდით რომ მიზის ხოლმე, მდუმარედ შეექცევა საჭმელს. ალბათ, გრძნობს, მაალათის გუნებაზე არა ვარ.

დედაბერიც არ მიომბლის დიდ ყურადღებას. მოკა ბაკაბეკი, ხმაურით გასწევდა მძიმე სკამს. მოხერხებულად მოიკალათებს, დაიწყობს სუფრაზე ლილისფერი ძარღვებში აჭრელებულ ფუნთოული ხელებს, ბებრულ, დაღლილ მზერას მომაგებებს, ოღონდ დაიქნევს

თავს. ესაა მისი სალამი. მერე მისთვის განკუთვნილ ულუფას შეექცევა გულდასმით, აშკარა ნდომით. შუა ჭამაში ოფლი მოეძალება დაღარულ სახეზე. თეთრ, მოქარგულ ცხვირსახოცს ამოიღებს და მზით გამოშკარავებული პიგმენტებით აჭრელებულ ღაწვისთავებზე იდებს.

დედაბერი ჭამის კულტურას კარგად ფლობს. მუდამ ადვილად დასაღეჭ კერძებს უკვეთავს, ჩანს, სძირე კბილები აკლია. სიმშვიდეს ასხივებს მთელი მისი გარეგნობა, გადამდებ, იშვიათ სიმშვიდეს. თანამედროვე პედაგოგებს ვერ შევადარებ, მაგრამ, მგონია, ასეთები ასწავლიდნენ ძველად გიმნაზიებში.

შორეული ცურვის ყოფილ კაპიტანს მარცხენა ღაწვისთავი უტრის. როცა ვუცქერ, ვფიქრობ, რომ ეს შორეულ გზებზე დაღლილი მისი ნერვები სუნთქავს. ჩიტივით იკიცნება, ეტყობა, არ უყვარს ჭამა. ზოგჯერ თვალს შეაპარებს დედაბერს, გემრიელად რომ იცმუენება, მერე დარბაზის ყასიდ თვალიერებაში განმუტკავს უნებლიე ინტერესს. მე მგონია, ამ დროს ფიქრობს, რომ კუჭ-ნაწლავი სრულიად ზედმეტი და პარაზიტული ორგანოებია ადამიანის სხეულის ცოტად თუ ბევრად კეთილშობილურად აწყობილი ორგანიზმის მთელ სისტემაში. ისევე შეუფერებელი და შეუხამებელი, როგორც ჩვენი დედაბრის ყელზე აქატის ფერადფერადი ქვების ორ წყებად ასხმული ძმიები და ასეთივე სამაჯური მკლავზე. მის გარეგნობას იმდენად ემჩნევა მემკვიდრეობასაკვით შემორჩენილი კეკლუცობა, სერიოზულად რომ დაფიქრდე, გული დაგეთუთქება. ახლა კიდევ მარილები? დედაბერს მარილების დაგროვება ტანჯავს. შორეული ცურვის ყოფილ კაპიტანს შესჩივლა სუფრასთან, მარილები მაქვსო, სახსრებდაბერილი ფუნთუოლა ხელის მტევნები უჩვენა.

დროა უკვე, აქედან გავიდე, თორემ სასადილოს მოსამსახურე პერსონალი სადაცაა ეჭვის თვალით დამიწყებს ყურებას.

სტენდზე ექსკურსიების განრიგია მიკრული, მაგრამ გასული თვის... ბიჭოს, ექსკურსიებს მონდომიან და ეგაა. ახალსა და სამომავლოს არაფერს იუწყებიან ჯერ. ვიღაც გვერდით ამომდგა, ყასიდად მისჩერებია, ალბათ, უამბავჯერ წაკითხულს, თორემ, დავიჯერო, ჩემნაირი სხვაცაა პანსიონატში? ახლა ხომ პროცედურების დროა და საბანაოსკენ მიეჩქარება ყველას. შუახნის ქალია, მოწრუპულთვალებიანი.

ის-ისაა შეებრუნდი, უნდა წავიდე, რომ ქალი მომმართავს:

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ როგორი ტალონები გაქვთ?

ვიბნევი, არ ვიცი, რა ვუპასუხო.

— თქვენ როგორი გნებავთ... — ვამბობ მაინც.

— იცით, ბედი არ მწყალობს, სულ ცუდი ნომრები მხვდება. არ მიყვარს აბაზანაში სხვასთან ერთად რომ შევდივარ, სიმარტოვეს ვარ დანატრული...

უბადრუკი არსებაა, ისეთი მარტოსული, მისმა სიმარტოვეზე ოცნებამ ღიმილი მომგვარა.

— გადაცვლა გინდოდათ?

— დიახ, თუ შეიძლება...

— სიამოვნებით. მაგრამ არ მიზრუნია ჯერ ამაზე, ვერ მოვიცალე... ვინ უნდა მომცეს ტალონები?

ქალს უკვე ალარ ვაინტერესებ, მაინც არ მიმატოვა ერთბაშად.

— იცით, აბაზანაში რომ ჩავდივარ, ხმის ამოღება არ მინდა, ზოგი კი გაგიბამს საუბარს. მარტო სულ სხვაა...

თავს ვუქნევდი, გეთანხმები-მეთქი.

— როცა მომცემენ, რა თქმა უნდა, თუ ერთადგილიანი მარგუნა ბედმა, აუცილებლად გაგიცვლით.

— ძალიან დამავალებთ, — მითხრა გახარებულმა, გაიღიმა, ერთმანეთზე შემჯდარი, ჭიანაჭამი კბილები გამოაჩინა. — ნახვამდის.

ვესტიბიულის უკანა კარისაკენ გა-

ვეშურე, მერე პალმების ხეივანში აღმოვჩნდი. მშვენიერი ხეივანი იყო, მყუდრო, უკაცრიელი. ვისეირნებ აქ, მერე ზღვაზე გავალ, პროცედურებზე მეტად სიმშვიდე მჭირდება. აი, უკვე თავზე ზრუნავს შეეუდექი. დღეს, ადამიანებისა და გარემოს აღქმა დავიწყე თუ არა, საკუთარ თავთანაც შემეცვალა დამოკიდებულება. მთავარი კი არ შეიცვლება, მაინც არარაობად დავრჩები.

მივუყვები ხეივანს და მახსენდება, ერთ ოჯახში სტუმრად მისულმა, თოჯინების კოლექცია ვნახე. ყველგან თოჯინები — შემინულ კარადაში, ღია თაროებზე, ტახტებზე, ათასნაირნი, ფერად-ფერადნი. გოგონა კი არ თამაშობს თოჯინებით, აგროვებს მხოლოდ, კონტაქტი კი არ აქვს მათთან, ფუფუნების საგნად იხდის და უმოქმედო ტყვეების მდგომარეობაში ჰყავს. დღემდე არ ვიცი, რა ჰქვია ამას, რით შეიძლება აიხსნას ბავშვის მიდრეკილება კოლექციონერობისაკენ. მახსენდება ისიც, აქ წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე, შუაღამისას უცნაურმა ბრაგბრუგმა რომ გამომაღვიძა. აღმოჩნდა, რომ გალეშილ ჯარისკაცთა ოცეული ცეკვავდა შუა ქუჩაში, ჩემი აივნის პირდაპირ. მოცეკვავენი ლამის ბორბლებქვეშ უცვიოდნენ მორიგე ტაქსებს, სვლაშენელებულები მარცხის შიშით ძლივს-ძლივს რომ მიიკვლევდნენ გზას. ხმას არავინ იღებდა და ოცეულის მაყურებელს მექანიკური კაცუნების როკვა დაგიდგებოდა თვალწინ. მიკვირდა, სად უნდა ყოფილიყვნენ ამ შუაღამისას, ან ჩექმების ბრაგბარუგით ასე რად იკლებდნენ ქუჩას?

ნეტა რამ მომაგონა ეს ამბები. ეშმაკიც ვერას ვაუგებს ტვინის მუშაობას. მართლა მშვენიერი ხეივანია. ჩემს ამარა დარჩენილი, გაყუჩებული, მაცდუნებლად მიტყუებს. მაგრამ უეცრად მოვბრუნდი. თვითონაც გამიკვირდა, რამ მაიძულა, შემეწყვიტა წინსვლა, რა დამრჩენოდა უკან? უაზრო ქცევის უაზრო ანალიზი დავიწყე: ჩემთვის წინსვლასა და უკან დაბრუნებას ერთნაირი ხომ არავითარი განსხვავება არაა, მაშ რა მაიძულებს გეზის შეცვლას, რა გარეშე ძალა მმართავს, რომელსაც ვემორჩილები? რა მელის უკან, საითკენ მეწევა ინსტინქტი? უცებ მიზანივით გამიჩნდა, მომჩნდა თვალყური მდევნებინა ჩემში მდგარი ენერგიისათვის, რომელზეც არასდროს მიფიქრია საგანგებოდ, ენერგიისათვის, სიცოცხლედ რომ გვაქვს მონათლული.

ისევ უკაცრიელი იყო ხეივანი. უჩქამო და მშვიდი. ან აქამდე რად არ ვაკვირდებოდი საკუთარ თავს? მხოლოდ იზეტა იყო ჩემი ფიქრის საგანი. რითი აღწევდა ამას? ნუთუ გულგრილობით? მაინც დამარწმუნა, შვილები უსიყვარულოდ რომ გაიჩინა. საცოდავია, მაგრამ რად გათხოვდა. კალთები ნამდვილად არ დამიგლეჯია, წამომყევი, თორემ უშენოდ ვერ ვიცოცხლებ-მეთქი. რამდენჯერ მინდოდა მერე მეთქვა: იმიტომ გათხოვდი, რომ შინაბერა არ დაგრქმეოდა! გათხოვდი, რომ შვილები გაგეჩინა და შენი ცარიელი ცხოვრება საზრუნავით შეგეგესო! ასე ცხოველებიც მრავლდებიან!

მაგრამ არასდროს არ მითქვამს... ვერაფერს შეცვლიდა სიტყვები, საკუთარ თავმოყვარეობას შეურაცხყოფდი მხოლოდ. სიმართლეს შიგ თვალებში ვუცქერდი, მაგრამ არც გავლოთებულვარ, არც გარყვნილების მორევში გადავშვებულვარ. ნუგეშად ისოა მქონდა. ყველა ადამიანს როდი აჯილდოებს ბუნება სიყვარულის ნიჭით, ზოგს ცხოველურ ინსტინქტებს დააყოლებს-მეთქი. ერთხელაც არ ვცდილვარ, საკუთარ თავშიც მომეძია ჩვენი არასრულფასოვანი ცოლქმრობის მიზეზი. ახლა ვხვდები, რომ არ ვცდილვარ. სიყვარულს ხომ ვერ ვაიძულებდი. ჰოდა, ნელ-ნელა გავიცვდი მეც. ბავშვები მენანებოდა, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, წერტილი დამესვა რეგისტრირებული სიყალბისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გამოვუცხადე. ჩვენ ერთად ცხოვრებას აზრი არა აქვს-მეთქი, მან თვალები დახარა, დამეღლოდა ბოლომდე მეთქვა, რის თქმასაც ვაპირებდი, მაგრამ ჩავთვალე, ყველაფერი ცხადი იყო და სიტყვაც აღარ დამიმატებია. მაშინ იზეტამ ნელა ასწია თვალები, უსიტყვო შვებით გამძღოვნა სევდანარევი სიხარული.

„კიდევ კარგი, — გავიფიქრე, — დავაყენე საშველი საწყალს, ვინ იცის, რამდენი ხანია ამ სიტყვებს ელის“.

— ბავშვებზე ძველებურად ვიზრუნებ... — მეტის თქმა აღარც იყო საჭირო.

რას ვხედავდი! ნამდვილი „მონა ლიზა“ ღიმილი!.. ასეთი ნაზი არასდროს მეხილა ჩემი ცოლი, ასეთი მშვიდი და იდუმალი. „განა არ შეეძლო, თვითონვე ეთქვა იგივე, რაც ახლა ჩემგან მოისმინა? იქნებ ეშინოდა, არ დავეთანხმებოდი. იქნებ შეგუებულიც იყო ხვედრს?“

უეცრად გამიჩნდა მისი პატივისცემა. ივიდე ვიგრძენი ჩემ მიმართაც იმ მზერაში, არასდროს რომ არ დამავიწყდება,

უცნაური იყო... სამუდამოდ ვშორდებოდით და ურთიერთპატივისცემის მიზეზიც ეს იყო. სიტყვა არ უთქვამს, ერთი სიტყვა... თავი დაიქნია მხოლოდ. აღარც მე მქონდა სალაპარაკო.

ახლაც არ ვიცოდი, რა ერქვა იმ ნაბიჯს, კეთილშობილება თუ სისულელე. ცოლს სთქმელი თვითონ ვთქვი და იქნებ მთელი ჩვენი ნაცნობობის განმავლობაში ერთადერთხელ შეეშველე მის ტვირთს, ერთადერთხელ ინება ჩვენმა აზრებმა ჰარმონიულ თანხმიერებად სუფევა. რა კარგად გვესმოდა ერთმანეთის... მომეჩვენა, სწორედ აქედან შეიძლებოდა ყველაფრის დაწყება, რაც არ გვქონდა, რაც გვაკლდა და რის გამოც ვიყრებოდით.

მერე ის იყო, მაინც ვერ გავუძელ ცდუნებას, ვიფიქრე, ხომ არ ავჩქარდი, მოვლენებს წინ ხომ არ წავუსწარი-მეთქი? იზეტა შებრუნდა და ბალდ-წყვეტლებაც ძალაში შევიდა.

ვუცქერდი კარიისენ მიმავალს და ელვის სისწრაფით მეკარგებოდა წონასწორობა. მოულოდნელად აფუთფუთდა მყისიერად გაჩენილი ეჭვი, რისი წყალობითაც მომეჩვენა, რომ ვიღაც მესამის დღეისწყალი დგებოდა, ეჩინარისა და ეგებ არარსებულის, მაინც ამ წუთების მონაწილის, რომელსაც მშვიდობიანად ეუთმობდი ჩემს კუთვნილს. მთელი შიგანი ამიჯანყდა. ამ დროს ტელეფონმაც დაიწკრიალა.

კარის ზღურბლს მიღწეული იზეტა შედგა, მობრუნდა და ტელეფონს გახედა. სწრაფად დავწვდი ყურმილს. ჩემი დის ხმამ ჩამძახა მხიარულად:

— გამარჯობა, ჯოდორი! ხომ კარგადა ხართ? — პასუხს არც დალოდება, ისე მიაყოლა, — მივდივარ, როგორც იქნა! წარმოგიდგენია? ტაჯ-მაჰალს ვნახავ!.. კიდევ...

— ნეტა რას დაწრიალებ! რა ტურიზმი აგიტდა! — შეეაწყვეტინე სიტყვა, მთელი ხმით ვეღრიალე: — ჩაბარდი პატრონს, მერე გინდ ინდოეთში წადი, გინდ კალიფორნიაში!

— რა დაგემართა, ჯოდორი!.. — სინანულით იკითხა. მაგრამ ყურმილი დავუხეთქე, მეტი ვერაფერი მოასწრო.

საკუთარმა ხმამ გამცა, დარღვეული წონასწორობა სულ გარეთ გამომიყარა საჯარაოზე. როცა ერთ ადგილას გარინდული იზეტა კვლავ მიბრუნდა ზღურბლზე გადასაბიჯებლად, უკვე მტკივნეულად მოხდა ჩემს მხრას მისი დატოვებული მშვიდი, გულგრილი ღიმილი. „პროვინციალიზმი...“ — თქვა იმ ღიმილმა. სამართლიანად თქვა, მაგრამ სამართლიანობისათვის აღარ მეცალა. უცებ მომინდა, დამეწგრია სახლი ჩამომეღო კედლები, სათითაოდ და გოროხებად მექცია. მომინდა, გავვარდნილიყავი გარეთ, ყველა შემხვდურისათვის სახეში მეფურთხებინა და

ლალი გრეგგაძე
ვუკრავ რეკტიმს

მეყვირა: ეაა თქვენი მოგონილი ცხოვრება?! რას ჩირთიფერთობთ, რა თავი მოგაქვთ? ყველანი ერთნაირები ხართ! უგულო არამზადები! მიზანთროპები! მაგრამ იმასღა დავჯერდი, რომ ტელეფონის აპარატი დავახეთქე ძირს და ერთიანად დავფშვენი.

ო, როგორ მეზიზღებოდა საკუთარი თავი!.. ვიდექი გალენჩებული და ვფიქრობდი: ნუთუ იმიტომ ვიცოცხლე აქამდე, მხოლოდ ეს ზიზღი შემრჩენოდა?.. უსაშველო ი

ქალა აღარფერი უთქვამს, როგორღაც წაჩქარდა წინ, ალბათ, იმ უხერხულობის დასაფარავად. სიცარიელესავით რომ გაჩნდა უპასუხოდ დატოვებული ჩემი შეკითხვის შემდეგ.

მივდევდი და ვფიქრობდი: რა კარგი ვინმეა, ახლო გაცნობა არც გჭირდება ამისთანის ამოსაცნობად. ის კი ოდნავ დაწინაურებული, ჩქარა-ჩქარა დგამდა რბილ, სინთეტიკურ უძიროებში წადგმულ ფეხება, მოკლე ნაბიჯებით მიდიოდა მაუბუქად და ვგრძნობდი, რა სწრაფად ილეოდა გზა. დარწმუნებული ვიყავი, ქალი ჩემზე არ ფიქრობდა, კალათა მომანდო და მაშინვე დამივიწყა, სრულებით არ ვაინტერესებდი. მოკლედ, არ მოვუვედი თვალში.

„მაშინ რად შემომდიმა პირველი შემოხედვითათანავე?“ არ ვიტეხდი იხტიბარს. „იმიტომ, რომ ქალური ინატნქტი უკონტროლოდ დარჩა? იმიტომ, რომ ჯერ ისევ მინდრის განწყობილებით სუნთქავდა, აწყლიანებულ თვალებზე ყვავილთა ფერები გადასდიოდა? იმიტომ, რომ არ იცის, არარობა რომ ვარ? იმიტომ, რომ... იმიტომ...“

გზა კი თავდება. დრო იკუმშება აშკარად, ამ გზის ჩვეულებრივი სვლით დასაფარავად საჭირო დრო. არ მეჩვენება, ნამდვილად ასეა. სადაცაა ჩამთავრდება ხეივანი და პანსიონატის შენობას მივდგებით. მერედა რა მოხდა! ისე აულელურად მწყდება გული, თითქოს დღედაღამ ამ ქალთან შეხვედრაზე ვოცნებობდი. პალმი ტოტი ისევ თავდაყირა დაკიდული დარჩა. იზეტახე ფიქრიც პალმასთან დავტოვე, დამქანცველი ტვირთივით. ახლა რომ იზეტამ დამინახოს კალათი ხელში ქალს ადევნებული, ნეტა ისევ „მონა ლიზას“ ღიმილს მომაფრქვევს? ოხ, შენი, მარცხენა ფეხსაცმელი უშნოდ მაჭერს ქუსლზე. ბიბლიოთეკა უნდა მოვძებნო ერთი, იქნებ იკებანაზე რაიმე წავიკითხო.

ქალი უცებ შემობრუნდა.

— ინებეთ! — მითხრა, ხელისგული გამომიწვდინა, ზედ მარწყვებიდან ფოსტატულ ქაღალდში კოტტად გამოკრული ორი ფილა საღეჭი რეზინი ედო.

არ დავფიქრებულვარ, ისე დავწვდი.

— ეს ფეხის ქირაა ალბათ, — ვთქვი, კალათა მკლავზე წამოვიცვი, ხელი გავითავისუფლე, საღეჭს სწრაფად შემოვხსენი ქაღალდი.

ცხოვრებაში არ მიღეჭია რეზინი, ახლა კი წადიერად დავიწყე ცოხნა. მეგონა. ქალიც მომმაძავდა, მაგრამ შევცდი.

— დაგღალეთ, — მომიბოდიშა. — მომეცით, ახლა მე ვატარებ, — კალათაზე მანიშნა.

— რაა ბრძანებთ, — ვიუარე, თან გავიფიქრე, დამცინის-მეთქი. ფარ-ხმალი მაინც არ დავყარე: — თქვენ თუ ყოველდღე სავსე კალათს ეზიდებით, მე რა მიჭირს ამ ერთხელ. — აელულლუდი უშნოდ, — ყველაფერს ერთდროულად აწყრებთ — დასვენებას, მუშაობას, მკურნალობას...

— არ ვმკურნალობ, — თქვა ქალმა, — არაფერი მაწუხებს. საგზური ჩამივარდა ხელთ და შემთხვევით მოვხვდი აქ. ზღვა და ტროპიკული საფარი... მეტი რა უნდა ინტროს ადამიანმა? კომფორტსაც არა უშავს... შეიძლება ცხოვრება.

ვუსმენდი და ვგრძნობდი, მშვიდი სიცოცხლე იდგა ამ ციცქნა ქალში, რაღაცით იაპონელს რომ მოჰგავდა, როგორი თავისუფალი იყო ტვინის ჭყლეტამდე მისული, ზედმეტად გართულებული ყოფითი წვრილმანებისაგან... ქალის კვალობაზე, შესაშურად თავისუფალი.

პანსიონატის უკანა შესასვლელს მივადექით. აი, ვესტიბიულის მთელ სიგრძეზე გაფენილი ზოლიანი მწვანე ფარდაგიც გამოჩნდა ღია კარიდან.

— მომეცით. ახლა მართლა მომეცით, — მითხრა ქალმა და კალათი ჩამომართვა.

არც მადლობა გადაუხდია, არც დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობაებია, ისე მიბრუნდა, კუსკუსკუსკუსით გასწია ლიფტის მისასწრებად, საიდანაც ტყუპი დები გამოვიდნენ, თორმეტ-ცამეტი წლის გოგონები. სულ არ ჰგავდნენ ერთმანეთს. არაჩვეულებრივად მომხიბვლელნი იყვნენ. უპირატესობას კი ვერც ერთს ვერ მისცემდი. „ნამდვილად ინტელექტუალურად შექმნილი ტყუპები გყავთ“, ეი ასე უნდა ვუთხრა მათ დედას, თუ შეხვედრა მომიწია.

ზემოთ ასვლა მეც მინდა, მაგრამ შეეიცადე, იკუბანს არ ეფიქრა, გამომდიაო. მას უკვე იკუბანა ჰქვია, ალბათ, თავისი საკუთარი სახელიც ვერ შეეხამებოდა ასე.

თვალს მიეფარა თუ არა, ცოხნა შეეწყვიტე, იქვე მდგარ სანაგვე ურნაში მოვისროლე საღეჭი. ცოტა ხანს ამ სავარძელში ჩავეშვები...

ხალხი აბაზანებიდან ბრუნდება. რიგი დგება ლიფტთან. მოდიან დაღლილნი, დახაშულნი, ქოშინით, სვენებით. მოდიან ვალმოხდილნი დღეკნდელ დღესთან, თავიანთ ავადმყოფობასთან. მოდიან დასასვენებლად, მკურნალობის შესარგებად.

მე კი რა დამრჩენია ზემოთ, იმ ოთხ კედელში ლურჯ სიცილს რომ მახსენებს და მზარავს. სწორედ კედლიდან გადმოვიდა ხილვა, არც აივნის კარიდან შემოცურებულა, არც ფანჯრიდან, სწორედ კედლიდან, რომელზეც ვან-გოგის ბრტყელ-ბრტყელი და ხვეული მონასმებით შესრულებული პეიზაჟის მდარე რეპროდუქცია კიდია. ლევანზე ვფიქრობდი მაშინ, ზის ალბათ საკონსტრუქტორო დარბაზში, ნახაზს ჩაჰკერკიტებს თავის თავში ჩატრიალებული-მეთქი. ნეტა შემეძლოს, მის წინ გავჩნდე, გამოვაფხიზლო, ისევ ამოვაბრუნო უკან, საამქვეყნო გავხადო, ანუ ჩემთვის მოვაცლევინო-მეთქი, აწევს თავს, სიხარულით შემომხედავს და ალბათ მეტყვის, მოდი ერთი ისე ვიხმაუროთ, მთელმა ქვეყანამ გაიგოსო.

— ხმაურით რას გახდები? რას გახდები ხმაურით, ხედავ რა დროა? — ვეტყვი კვლავინდებურად, სიგარეტი დავაძრობ კოლოფიდან, მუდამ ერთნაირად ... ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსრულებლად შემიძლია დავაბრუნო ის დღე, როცა ლევანი ადგა, წრიულად, დარბაზის კედელ-კედელ დაიწყო სიარული. დავითვალე, თოთხმეტჯერ შემოუარა. დავხედე მის მაგიდაზე გაშლილ წიგნს. „ალბათ თარგმნის, ვნახოთ, ვნახოთ, — რას?“ მარი მაღლენ ლაფეტი, „კლეველი პრინცესა“. ლევანი თარგმნაზეა გადაგებული. „რა უნდა ამ ნახაზებთან, ვეღარ წავიდა აქედან“. მილიონჯერ ვფიქრობდი ერთი და იგივეს, ერთი და იგივეს: „ადექი, სხვა სამსახური მოძებნე, რაიმე ისეთი, ცოტა შენს ბუნებასთან რომ იყოს ახლო და მთელი დრო ასე ღორულად არ შეგიჭამოს“. მაგრამ უმისობაც არ შემეძლო. მართალია რომ წავიდეს, მერე? ძლიერი ალმოჩნდა ეგოიზმი, მეგობრობაზეც ძლიერი. ლევანი ჩემი წონასწორობა იყო. უჩარჩოო ცხოვრებისათვის გაეჩინა ღმერთს, ყისმათს კი დაუფიქრებლად მიეყვანა პედანტურობამდე შემოსაზღვრულ, უზუსტეს სამყაროში, სადაც ტექნიკა თავისი უკანასკნელი სიტყვის თქმას ლამობდა, სადაც ერთადერთი მიზანია კონსტრუქციები... კონსტრუქციები...

ლევანი თავჩაქინდრული უელიდა გარს ნერვული, სკრუპულოზურობით შეჭრილებული სუნთქვით დამძიმებულ დარბაზს. საიდანღაც უეცრად ბელურა შემოფრინდა. ერთბაშად აფუთფუთდა დარბაზი, ყველამ თავი ანება სამუშაოს. ჩიტის პაწაწა სხეულმა, მფრთხალად რომ დაფარფატებდა ნეონის შუქით ფერწასულ ჭერქვეშ, ოცნებასავით შემოგვიტანა დრო, რომელიც შენობის კედლებს გარეთ უჩვენოდ მიედინებოდა, შემოგვიტანა ერთფეროვან დღეთა პროტესტის მსგავსი წუთიერი შვება და ლამაზი სევდა.

იმ საღამოს, საავტოში გასვლისას საშვი რომ წარვადგინეთ და ბზრიალა რკინის კარი გავიარეთ, ლევანს ვუთხარი:

— ის ჩიტი შენთვის მოფრინდა. ნეტა თუ ვერ იგრძენი!..

თვალი გამიშტერა. არაფერი უთქვამს, ისე მიეხვედი, იგივეს ფიქრობდა.

მაგრამ ლუჩჯი სიცილი ჩიტი როდია. ლუჩჯი სიცილი ჩემ სატანჯველად მოვიდა. კედლიდან, სწორედ კედლიდან გამომეცხადა ანაფორასავით ჩამოგრძელებული მოჩვენება, რაღაც ფომფლო ნაქსოვივით დაქსელილი, მუქ ნაცრისფერი, ჰაერში გამოკიდული. „ქსოვილის კაცი!“ — გავიფიქრე. შინ კი არა, უფრო ზიზღი ვიგრძენი, აუტანელი ზიზღი. მერე ქსოვილის აბლაბუდა გადალურჯდა, დაპატარავდა და ის საშინელი სიცილი გამიკრთა თვალწინ, ცეცხლმოკიდებული მორბენლის... დავაპირე, ვწვდომოდი, ხელით ჩავფრენოდი ამ უსახურ სიცხადეს, დამეფლითა, მაგრამ სხეული ვერ დავძარი, ერთ ადგილას ვიყავი გაშეშებული. მხრებშიც უხილავი მარწუხები ჩამჭეროდა და სულის ამოთქმის საშუალებას არ მაძლევდა. თვალის დახუჭვაც ვერ მოვიფიქრე, ისე დავიბენი. შეუნდე, — ვუთხარი საკუთარ თავს. — შეუნდე უგუნურსა და უბედურს! თვითონ დაიფერფლა, ეს საზიზღარი სიცილი კი დატოვა ჩემდა ბირად.

რამდენიმე წამში დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ საუკუნის ჯოჯოხეთი ვერ შეედრებოდა. პირველი, რაც თავში მომივიდა, ის იყო, ვინატრე, რა მოხდებოდა, იზეტას ნახეგრად კი არა, გატაცებით ვყვარებოდი, ბოლომდე, თავდავიწყებით, როგორც გულიან ქალებს სჩვევიათ. მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

ბაყრის შემდეგ იმ დღეს მოვისაკლისე პირველად. ნეტა სად იყო? რას აკეთებდა? რას ფიქრობდა? ვახსოვდი თუ არა? არადა, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, ალიმენტსა და ბავშვებისთვის გაგზავნილ დანაზოგებთან ვყოლოდი გათანაბრებული. იქნებ ნივთებიც კი აღიზიანებდა, რომელიც ჩემს თავს ახსენებდა.

იზეტაზე ფიქრიც ისევე ხანმოკლე იყო, როგორც ლუჩჯი სიცილი. ... მოცანდება. არაფერი მყარი და მარადიული არ გამიჩნდა, მაგრამ ლევანი? გადავწყვიტე, ლევანთან დამერეკა. შეკვეთით ნომერში ლოდინს მაინც ტაქსოფონის რიგში დგომა მერჩია. მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე დარეკვა.

პროცედურებიდან გამოსული ხალხის რიგი თანდათან შეთხელდა ლიფტთან. უკვე აიკრიბნენ სართულებზე. აი, ელვირაც მობრძანდება! სპორტული ჩანთა გადუკიდია მხარზე. მოქანცულა, ცოტა არ იყოს. ავა, ალბათ, შეგორდება ლოგინში, ცოტას გამოიძინებს, დაუმშვიდდება სახე, გაუმკრთალდება თვალთა ნაოკუბი.

მასთან ერთად შევდიკარ ლიფტში, ვაცდი, სანამ თავის სართულის ნომერს დააჭერდეს თითს, მე უფრო ზემოთას ვაჭერ. მივსრიალებთ ერთად, მაგრამ ეს არ კმარა, საუბრის საბაბს ვეძებ. ვპოულობ კიდეც.

— ქალები სუნამოს სურნელს ტოვებენ თავიანთ ნაკვალევზე, — ვხუმრობ უკბილოდ, მეძებარივით ვიყნოსავ ჰაერს.

— ეს არ ითვლება კარგ ტონად, — ცხვირს იბზუებს ელვირა. — ყველას ხომ არ სიამოვნებს... — ჩანს ვერ იტანს სუნამოს.

„გასაგებია. მაგრამ ძალზე პრეტენზიული ხარ, ელვირა!“ — ვფიქრობ, თან დიალოგის ვაწყვეტის საშუალებას არ ვაძლევ.

— ბიბლიოთეკა ხომ არ იცით სადაა? — ვეკითხები.

— ჩემს სართულზე.

— რამდენი ვეძებე!.. — ნეტა რაში მჭირდება ტყუილი, ისედაც დაიჯერებს, დღედაღამ რომ ბიბლიოთეკის ძებნაში ვარ.

ლიფტი ჩერდება. ელვირას ვუთმობ გზას, მეც გამოვდივარ.

— აი, ბიბლიოთეკა, — კარის სახელურს ავლებს ხელს, შიგნით ეწევა, — დაკეტილია.

როგორ მიხარია, რომ დაკეტილია!

ყასიდად ვწუხდები მაინც, თითქოს ქვეყანა იქცეოდეს უბიბლიოთეკოდ.

— გმადლობთ, — ამასაც ყასიდად ვამბობ მერე, ლიფტისკენ მივწევ ნელა, ცალი თვალი კი ელვირასკენ მიჭირავს, ვნახოთ, რომელ ოთახში შევა.

ყველაფერი რიგზეა. შემიძლია გზას გავუდგე.

ლიფტს ისევ დბლა მივყვები. ცოტას გავიელი და სადილობის დროც მოვა.

სადილი საჩხერელი მძღოლის ანგლობით იწყება. რას გაიგებ, რაებს ჩმახავს, ირგვლივ მსხდომნი კი სიცილით იფხრწვებიან. სიცილი კი არა, უფრო ირონიულ ხარხარს ჰგავს, ისეთივეს, შორეული ცურვის ყოფილი კაპიტნის კუშტ სახეში რომ ვხედავ ახლა. ჩასცქერის იგი წვნიან მათლფას, წინ რომ დაუდგა მომტანმა. რატომღაც მგონია, აგერ ახლა გაიქნევს ხელს და გალიპლიპებულ თეფშს კედელს მიაფშვნის-მეთქი. მინდა ვთქვა:

— შესანიშნავ მაწვნის შეჭამანდს ამზადებენ, — რომ საჩხერელ მძღოლს მოვწვეტო ფერფლისფერი კაცის ყურადღება.

— დიახ, ძალიან გემრიელია, — დამიდასტურებს დედაბერიც. — გამოგიტყდებით, შინ მგონია თავი!

შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი უნდოდ შემოგვხედავს. მე გავყუჩდები, ვინანებ, ალბათ, რას ვტლეკინებ, როდის იყო. წვნიანზე ვლაპარაკობდი, რას მივედ-მოვედები-მეთქი. დედაბერი კი კატასავით მილულავს თვალს. ჭარბადა აქვს ქალური ინსტინქტი — გულუბრყვილოდ, თვრამეტი წლის გოგოსავით საღი და ოდნავ დამფრთხალი გრძნობებით სავსე მოგაჩვენოს თავი. რას იზამ, ამას დიდ ნაკლად ვერ ჩაუთვლი, ოღონდ თუ თვალი არ მატყუებს, განსაკუთრებული ყურადღებით ექცევა შორეული ცურვის ყოფილ კაპიტანს. უდავოდ ხიბლავს ზღვის რომანტიკა, უკეთის დროებს აგონებს, აბრუნებს გარდასულ ოცნებებთან, სადაც იმედგაცრუებასაც უკვე თავისებური ხიბლი მაზე ახლავს. წარსული გამოსყიდვა. ეროვნული ბიბლიოთეკა წარსულში ყველაფერს თავისებური ელფერი აქვს მიჩნეული. წარსულს შეიძლება უეცქირო, როგორც ონავარ ბავშვს, კისრისტეხით რომ გარბის, ეკარგება თვალთაგან და მაინც გახსომებს თავს.

მაგრამ წარსულსაც განსაკუთრებულ ხარისხში გადასვლისას ეხსნება ყოველგვარი პასუხისმგებლობა დღევანდელობის წინაშე. გაუმტკივარებული წარსულია ნამდვილი წარსული. ყოველი ადამიანი თავისი წარსულია, მეტი არაფერი. ყველა თავისი წარსულის ასლია. აგერ ეს ფერფლისფერი კაციც, ეს დედაბერიც...

ვიდრე ჩემთვის ვფიქრობ, დიეტექთანს კუპრისფერ ანაფორაში ჩამძვრალი მღვდელი მოჰყავს, თავისუფალ სკამს სთავაზობს, აი, აქ დაბრძანდითო.

მღვდელი ჩემ პირდაპირ ჯდება, შორეული ცურვის ყოფილ კაპიტანსა და დედაბერს შორის, დარბაზის სიღრმისკენ ზურგშექცევით. შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი ჭამას წყვეტს, ინტერესით შეჰყურებს სუფრის ახალ წევრს, ტუჩების ოდნავი თრთოლვით რაღაცას რომ ბუტბუტებს გაურკვევლად, უხმოდ, მარჯვენა ხელის სამი თითი მკერდზე მსხვილი ოქროს ჯაჭვით დაკიდებულ ჯვარზე უდვეს:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო ჩემო! — ამბობს დედაბერი.

მღვდელი თავს ანებებს ბუტბუტს, წამიერად თვალებს აღაპყრობს. — მამაო!.. — წარმოთქვამს ბოხი ხმით, მიმართვის ფორმას უსწორებს ქალს.

— უკაცრავად, მამაო... — მყისვე უოყმანოდ ღებულობს შენიშვნას. — ეტყობა, თვით ღმერთმა მოგვივლინა თქვენი თავი!.. — აშკარად ნასიამოვნები ჩანს. — მე დორა მქვია, ეს ბატონი კი ყოფილი კაპიტანია!.. შორეული ცურვის... — დაუმატა აჩქარებით შეეშინდა, ფერფლისფერი კაცის ტ-

ტულისათვის მისხალი არაფერი დაეკ-
ლო. მერე მე მომაშვირა ფუნთელა,
სახსრებდაბერილი ხელის მტევანი, —
უკაცრავად, — მომმართა შეცბუნე-
ბულმა. მაშინღა გამახსენდა, რომ ჩემ
შესახებ არაფერი იცოდა. მისი მობო-
დიშება და მოლოდინი იმას ნიშნავდა,
მღვდლისათვის საკუთარი პიროვნება
უნდა წარმედგინა.

— ჯოდორი — ვთქვი უხალისოდ. —
ჯოდორი მქვია.

მღვდელი დააკმაყოფილა პასუხმა. ქა-
ლის არამკითხეობა რომ არა, იქნებ
ჩემი სახელითაც არ დაინტერესებული-
ყო. ეტყობა, შიოდა, რადგან მომტანმა
ხორცის რულეტი დაუდო წინ და წვნი-
ანს ადარ დაუცადა, მაშინვე შეექცა.

„დორა... დორა... ახლა ვიცი, არც
ისე საინტერესო ქალი იქნებოდა ახალ-
გაზრდობაში“. მღვდელი კი გემრიე-
ლად ჭამს. რატომღაც ზიარების ცე-
რემონიალი მახსენდება, ერთ კოვზს
რომ ავლებენ ყველას პირში. ყოველთ-
ვის გულს მირეკავს ამის გახსენება. რუ-
ტინისა და ველურობის გადმონაშთად
მიმაჩნია.

ჭამის სურვილს კვარგავ უცებ. ფერ-
ფლისფერი კაცი ფანჯრისკენ იცქი-
რება ჩაფიქრებული. ნეტა რას ფიქ-
რობს?

სასადილოში რუპორი ახმიანდა. ბო-
ხი, ომახიანი ხმა გვაუწყებს: დღეს
თხუთმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე
თბილისის დროით (დროის სადაურობას,
ალბათ, იმიტომ აზუსტებს, რომ ჩრდი-
ლოეთიდან ჩამოსულებიც მრავლადაა
დამსვენებელთა შორის), მოეწყობა ექს-
კურსია აქაურ ღირსშესანიშნაობათა
გასაცნობად. გარეშეხენით გზაში შესა-
ნიშნავი განწყობა დაგეუფლებათ. თქვენ
გელით ჩვენებური ჰორტენზიები, გნე-
ბავთ, თეთრი, ნეგნავთ, ცისფერი...
მთელი ეს სიამოვნება დაგიჯდებათ სა-
მი მანეთი. მოგემსახურებათ ფოტოგ-
რაფი. გზად საშუალება მოგეცემათ,
შეიაროთ საკოლმეურნეო ბაზარში,
სადაც კილოგრამ სულგუნს შეიძენთ
ათ მანეთად. მსურველებს ვთხოვთ
კულტმუშაკთან ჩაეწერონ სიაში. ტო-
ტობუსი მთავარ შემოსასვლელთან და-
გელოდებათ. დაგვიანება არ იყოს!
გმადლობთ ყურადღებისათვის!

— ბიჭოს! — თქვა მღვდელმა და
მოკლე წვერზე ხელი ჩამოისვა.

ფერფლისფერ კაცს არაფერი უთქ-
ვამს. დორას კი ინტერესით აუც�ციმდა სასადილოს ბუღისა და უჰაერ-
ბისაგან აწყლიანებული თვალები. მე
კი ლვანი გამახსენდა. თუ დროზე წა-
ვალ, იქნებ დავურეკო ლვანს.

ტაქსოფონთან იმხელა რიგია, ხვალ
დილამდე არ მომიწევს დარეკვა. მო-
ედანზე ნაყინი ვიყიდე, თან ჭრელა-
ჭრელა აფიშები შევათვალიერე. ძვე-
ლი აფიშები იყო. მხოლოდ ერთადერ-
თი, საგასტროლოდ ჩამოსული ცირ-
კის აფიშა იუწყებოდა მომავალი დღე-
ების პროგრამაპ. გვთავაზობდნენ ველო-
ფიგურისტების, ტანმოვარჯიშეების,
მუშაითების, ეკვილიბრისტების, ცხენ-
ზე ჟონგლიორების, აკრობატისტული
ანსამბლის გამოსვლებს და საცირკო
წარმოდგენის სხვა ნომრებს.

ავტობუსში ჩაჯდომა ალარ შემეძ-
ლო, უკან კი კარგა მანძილი მქონდა
გასავლელი. ჩავჭერი ზღვისკენ გამა-
ვალი გრძელი ჩიხი და ნაპირ-ნაპირ
გავუტეე. გადავიარე ჭერეხივით დაკ-
რილ დამსვენებელთა სხეულებით გა-
დაფარული კილომეტრები, შიგადაშიგ
კი გაველურებული ბლაჟები, სადაც
შიშვლად ეყარნენ წყვილები თუ მარ-
ტოდ მოსული ეროტომანები, გულის
არევამდე გაცხოველებულნი. მარტო
ოთხზე სიარულიდა რომ აკლდათ. ზა-
რატუსტრას სიტყვები მახსენდებოდა—
ადამიანი ყველაზე მამაცი ცხოველია,
ამით სძლია მან ყველა მხეცსო.

ეს მამაცი ცხოველები ჩემი ჩაველი-
სას თავსაც არ წამოსწევდნენ, თორემ
სიშიშვლის დაფარვის ცდაზე ლაპარა-
კიც ზედმეტი იყო. მივდიოდი ბუზი-
ვით შეუმჩნეველი, დაღლილი და კი-

დევ უფრო დიდ არარაობად ქცეული, სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილი. ამათ რომ გაეგოთ, ცოლს იმიტომ გაეეყარე, ნახეკარსიყვარულმა არ დამაკმაყოფილა და ახლა ეულად დარჩენილი ეუბნოდა ვაწყდები ღობე-ყორეს, ერთბაშად წამოცვივდებოდნენ, ალბათ, ხარჯარით დაიწყებდნენ ხტუნვას, ქვებსაც მესროდნენ, დამეშეყანებოდნენ როგორც ელეურს, მათ ცივილიზებულ სამყაროში ფეხის შედგმა რომ გაბედა. მე კი ვერას ვიღონებდი, კუდამოძოუებული უნდა გაგლლოდი დამფრთხალი პაპუასივით, რომ ნასროლი ქვა საფეთქელში არ მომხვედროდა.

ღამით ქალის კისკისი მესმოდა კედლიდან. ხმამაღლა, ისტერიულად კისკისებდა. რადიოს ავუწიე, მთელი პროგრამა ბოლომდე მოვისმინე. თუ ვინმეს დასწყეველი, ასეთი ღამე უნდა უსურვო. სად წაეხტებულიყავი შუადამისას. ბოლოს გადავწყვიტე, კედელზე ბრახუნი ამეტეხა. იქნებ ესინდისა იმ გახარებულს, მაგრამ ვერ ვიკადრე და უძილო დავრჩი. მესმოდა, ქარი რომ ახუხუნებდა. ზღვაც აჰყვა მერე, ამორგდა და ამერიალდა. რამსიგრძე ღამე იყო, საშველი აღარ დაადგა გათენებას.

ადრიანად გავედი გარეთ, რეტიანივით ვიყავი, მაგრამ დაძინებაც არ შემეძლო. გასაღები ადმინისტრატორს დავუტოვე. რადგან უკვე რამდენიმეჯერ მივიღე შენიშვნა, როცა შენობიდან გადიხართ, გასაღები უნდა ჩააბაროთო. გაკვირვებულმა შემომხედა, ნეტა, საით გაუტიეთო.

ვარდებით მორთული გაზონი გადავიარე, სანაპიროს ლაქაშებისაკენ გავწიე.

ღამის ქარით ერთბაშად აჭრილი და დაჩეხილი ყაღლოსფერი ტალღები ნავმისადგომის განიერ ბურჯებზე ემსხვრეოდა. ძლიერ მიმოქცევას ჩანჩქერად მოვარდნილი შენაკადისათვის გეზი ეცვალა, კალპოტმორღვეული უწესრიგოდ გაეფანტა ნავმისადგომთან და მისი მღვრიე ქაფი ქულებად [illegible]და. ლაქაშებამდე ამოდიოდა სილა-სილა ამპარული ტალღის კუდი. მხოლოდ ვიწრო ზოლად დარჩენილიყო სიმშრალე, სადაც შალის სპორტულ კოსტიუმიანი ბერიკაცი ჩაცუცქულიყო. „ესეც აღრიანად ამდგარა, ნეტა რას უკარკიტებს სილაში?“

მივედი და პაწწკინტელა ზაზუნა დავინახე. უკანა ფეხებზე იჯდა, წინა თათები მაღლა აეშვირა, ენით ისველებდა და სახეზე ისვამდა. პირს იბანდა თავის ჭკუით. შეუძლებელი იყო არ გაგცინებოდა. ბერიკაცის გვერდით ჩავიმუხლე, მართლა გავმხიარულდი პატარა არსების გონიერების მაცქერალი. ბერიკაცმა შემომცინა იმის ნიშნად, ნახე რა მაიმუნია, რაებს სჩადისო.

— საიდან?.. — ვკითხე ინტერესით.

— წამოსვლისას ვიყიდე. დამტოვებელი არავინ მყავდა, თან წამოვიყვანე.

— მერე რას აჭმევთ?

— ჩემს ულუფას ვუყოფ. წუნია არ არის. ყველაფერს გეახლებათ. ცხოვრობს თავის გალიაში და არის ბედნიერად.

ზაზუნა მართლა ბედნიერი იყო. მზრუნველი პატრონი იშოვა. მეტი რა უნდოდა... თუმცა თვითონაც თვინიერება არა აკლდა.

— იოლად შეიძლება გაწვრთნათ, — ვუთხარი ბერიკაცს. — ყველა მონაცემი აქვს.

— არ მიფიქრია მაგაზე.

— თქვენს ადგილას აუცილებლად ვიფიქრებდი.

ბერიკაცი გაჩუმდა, მგონი, ჭკუაში დაუჯდა რჩევა.

მერე გვირაბის გათხრა დაიწყო ზაზუნამ, მარჯვედ ხმარობდა ციცქნა თათებს, საოცრად სხარტი იყო და ენერგიული.

წამოვედი ჩემი გზით და ვგრძნობდი, ბერიკაცს თავსამტერევი გავუჩინე. არადა, მართლა საინტერესო იქნებოდა გაწ-

ვრთნილი ზაზუნა. იდეები მომდის, ნუ იტყვი!

ადმინისტრატორს გასაღები რომ ვთხოვე, რაღაც ფარატინას ჩახედა, ჩემი ოთახის ნომერი ეწერა ზედ.

— ექიმი გიბარებთ, — მითხრა კატეგორიულად.

— ექიმი?

— მეორე სართული, კიბიდან ხელმარცხნივ — მოკლედ, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე ამიხსნა.

თავი დავუქნიე, მივალ-მეთქი, გამოწვდილი გასაღები გამოვართვი და ხელზე დავაცქერდი — მეშეჯებით ჰქონდა სავსე. ბავშვობაში მეჯეჯი თუ გამიჩნდებოდა, ლეღვის ფოთლის ყუნწოდან გამონაყონ რძეს დავაწვეთებდი და ისე ვიქრობდი. ამაზე ადვილი რაა! გამოკვირდა, ნეტა თუ არ იცის, ლეღვის რძე რომაა ამის წამალი?

ექიმის კაბინეტის კარი მორიდებით შევაღე. პატარა კვადრატული ოთახი იყო. მაგიდასთან ქალთქათა ჩაჩიანი ქალი იჯდა და უჯრაში რაღაცას ეძებდა, ჩაჩი ზედმეტად იყო გახამებული. ქალმა დამინახა თუ არა, უჯრის ქექვას თავი ანება, ყურადღებით მომაცქერდა, სალამზე მიპასუხა და მშვიდად მითხრა:

— მობრძანდით!

— თურმე ექიმი მიბარებს... — ავუხსენი, თან საფეთქელზე ჩამოვარდნილ ქერა კულულს მივაქციე ყურადღება. თეთრი ხალათიც ქალქათა და გახამებული ეცვა, გულის ჯიბეში სტეფილოსფერი ცხვირსახოცის ყური მოუჩანდა.

— ექიმი? — გაიმეორა მან.

ამასობაში სკამს დავწვდი, დასაჯდომად მოვემზადე.

— ექიმი წავიდა, — თანაგრძნობა იყო მის ხმაში.

მე კი გავიფიქრე: არაფერი განსაკუთრებული არა აქვს, მაგრამ მშვენიერი ქალია.

— გელოდათ, გელოდათ და რომ აღარ გამოჩნდით, წავიდა.

— უკვე დამთავრდა სამუშაო საათები? — გამიკვირდა. — ცოტა ჩემს საქმეებში გავერთე და... — ეცრუობ, საქმეებით დაკავებულ კაცად მომაჩვენა თავი.

ქალი მიმტევებლურად იღიმება და ოდნავ ეჩვრიტება მარცხენა ლოყა. მერე ეცვლება სახის გამომეტყველება, უქრება ის ნაჩვრეტი ლოყაზე, ხალათის ჯიბეებში იწყობს ხელებს, რაც შეიძლება დაბლა. ექაჩება, თან კითხულობს:

— თქვენ აქ მკურნალობაზე მნიშვნელოვანი სხვა საქმეც გაქვთ?

მეცინება, პასუხს ზედმეტად ვთვლი. ის კაცი რომ ვიყო, ვინც ყოველგვარ სიტუაციაში ფლირტის საბაბს ეძებს, უკეთეს შანსს ვერ ვინატრებდი. ძალიან სასიამოვნო ქალია, მაგრამ მაინც არა მაქვს სურვილი, ზომიერების ზღვარს გადავაბიჯო, ენად გავიკრიბო შემდგომი ნაცნობობის საფუძვლის ჩასაყრელად, ტყუილ-მართლის ისეთი კორიანტელი დავაყენო, ამ კულულებიანმა ანგელოზმა შენობითაც კი მომმართოს. მაგრამ, სხვათა შორის, ვამბობ:

— საქმეს რა გამოლევს... — ფეხზე ვდგები, მდაბლად ვუკრავ თავს უკვე ფანჯრის ცალ მხარეზე გადაწეულ ზოლიან შტორს აკრულ ქალს, — კარგად ბრძანდებოდეთ! — და საბოლოოდ ისე ვავლებ თვალს, თითქოს ქალქთა ჩაჩიდან საფეთქელზე ჩამოცურებული კულულის სამუდამოდ დამახსოვრებას ვლამობდე.

— ხვალ შემოგვიარეთ, — მადეგნებს სიტყვას.

მივდივარ მერე დერეფანში, მივდევ ფარდაგის შინდისფერ ზოლს და ვფიქრობ: ამ ანგელოზივით ქალს სალაპარაკოდაც არ გავუჩერდი, ელვირას კი ლიფტში ვდგე. ნეტა რა ხდება?.. ექიმმა გაიგო, რომ აბაზანებზე არ დავდივარ. მერე რა? მაიძულებს, გინდა თუ არა, იარეო? მოვიჩჩენ თუ არა რადიკულიტს, ჩემი ნებაა!

მაინც რამხელა შენობაა, ხალვათად თავსდება მრავლრიცხოვანი დამსვენებელი. ერთმანეთს არაფერში უშლიან ხელს.

ნომერში შესვლისთანავე საწოლზე მივეგდე და დავიძინე. თვალი რომ გავახილე, საათს დავხედე. უკვე ვახშმობის დრო იყო. ჩავალ, ჩაის დავლევ. მერე? რა მერე? განა ველი რამეს? მომწონს კიდევე, არაფერს რომ არ ველი. სამაგიეროდ, მშვენიერი აივანი მაქვს, პანსიონატის ვეება ტერიტორიის თითქმის ორ მესამედს დაცქერი. ჟურნალ-გაზეთებს ქუჩის გადაღმა ვყიდულობ, ლუდსაც იქვე ვსვამ, ტყის პირას ჩადგმულ სალუდეში, ზოგჯერ რადიოს ვუსმენ, მაგრამ ისე წკიპზე ჰკიდია კედელზე, ყოველი მიკარებისას ვშიშობ, დაბლა არ მოადინოს ზღართანი. ოთახის თერმომეტრიც ავსებს ჩემს კომფორტს. ამ გახსენებაზე ვნახო ერთი, რა ტემპერატურაა!

ვერ ვასწრებ ჩანფიქრის განხორციელებას, რომ კარზე მიკაკუნებენ.

დამლაგებელი გამომეცხადა ვედროთი და ცოცხით.

— შეიძლება დავალაგო? — მეკითხება. — დილით მოგიკაკუნეთ, მაგრამ არ იყავით.

— მობრძანდით! — გზას ვუთმობ.

ამ ქალს, ეტყობა, მილიონერი ვვონივარ, უჩემოდ არ შემოდის ოთახში. სულ ათიოდ წუთს უნდება საქმეს — პირსაბანის ნიჟარას მორეცხავს, უნიტაზში წყალს ჩაუშვებს, ოთახს ფაცხაფუცხით გვის, მაგიდაზე და ტუმბოზე ჩვარს გადაუსვამს, საწოლთან დაგდებულ ციდა გობელენს დერეფანში მიფერთხ-მოფერთხავს ცოცხით და ეგაა. უსიტყვოდ დამიწევს თავს დამშვიდობების ნიშნად და წავა.

ახლა კი არ წასულა. შუა ოთახში დადგა, ფეხი ფეხს მიატყუპა, საწყლად აიწურა და მობოდიშება დამიწყო:

— არ გეწყინოთ, ყოველდღე რომ ვერ გილაგებთ. რა ვქნა, მიჭირს აქ შემოსვლა.

თვალები გამიფართოვდა.

— რატომ?

— ამ ოთახში თქვენ მოსვლამდე ხომ კაცი მოკვდა...

— რას ამბობთ!

— კი, — თქვა ქალმა. — აი, იქ ეგა-დო, — იატაკზე, მაგიდის ფეხთან. — ამ ეშვირა ხელი. — ხედავთ, ახლაც ატყვია სისხლის ლაქა. რამდენი ვხეხე, მაინც ვერ მოვაცილე.

სისხლის ლაქა ვერ დავინახე, მაგრამ გოცება კი გამოვხატე:

— არ ვიცოდი!.. — თითქოს ამის ცოდნით რაიმე შეიცვლებოდა.

— კარი რომ გავაღე, ელდა მეცა! ვხედავ, პირქვე გდია საცოდავი, სახე ლეკერტიანი სისხლის ტბორში უდევს! მივედი და ნჯლრევა დავუწყე, მაგრამ არ გეტკინოთ არაფერი... — ქალმა ხელი ჩაიქნია. — ჩემი ქმარი მეუბნება, როგორ მიეკარე, ხომ შეიძლებოდა, გული გაგხეთქოდა შიშითო! რა მექნა, ვიფიქრე, იქნება ჯერ გონსაა და წამოვაყენებ-მეთქი. ძარა ვერ ვუყავი. ექიმთან გავვარდი, მეტი რა შემეძლო... ამ ლაქას რომ ვუყურებ, ცუდად ვხდები.

დავაშტერდი იატაკს, მაგრამ ვერ გავარჩიე ლაქა, სუფთა იყო პარკეტი. ქალი კი დაჟინებით ახსენებდა იმ უხილავ ლაქას, მიეხვდი, ნამდვილად ხედავდა. იმას კი არ უწევდა ანგარიშს, რომ მე ამ ოთახში ვცხოვრობდი. მისმა შემყურემ კინაღამ იან-ჰუსივით ამოვიძახე: ო, წმინდა გულუბრყვილობავ!

— მანამდე მიცვალებული ახლო არც მენახა, ამას კი ხელით შევეხე... ვერც დავიჯერე... აბა, როგორი დასჯერებელია!.. — არ მაინტერესებდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ქალი.

— ცოცხალი მიცვალებული თუ გინახავთ? — შეეკუნტინე, — ფეხზე მოსიარულე, მოლაპარაკე, რომ ჭამს, პერანგებს იცვლის, ვარდის შამპუნით იბანს, წიგნებს კითხულობს, ტელევიზორს უცქერის...

— ნუ მაშინებთ, გეხვეწებით! მიცვალებულებმა თუ სიარული დაიწყეს, კარგად ყოფილა საქმე! ისედაც გული საგულეს არა მაქვს!..

— მოკლედ, ძალიან შეუშინებიხართ ამ ოთახს.

— დიახ, რაღა დაგიმალოთ... ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონია, ყოველ შემოსვლაზე მიცვალებული დამხვდება.

—შესანიშნავი პროგნოზია! ვერაფერს იტყვი!

— მე კი ჩემი მემართება და...

— სულ რომ გაგათავისუფლოთ? ვეცდები, სუფთად ვიქნინო ოთახი. მოდით, ნუ დალაგებთ, სანამ აქ ვიქნები, ამ ტვირთისაგან გიხსნით. წამდაუწუმ ჩემი მტერი ელოდოს მიცვალებულს... ასე ჯობს, ჩათვლი, რომ ალაგებთ.

— არა, როგორ შეიძლება! ზოგჯერ, ზოგჯერ შემოგვლით. — აშკარად შვება ეუფლება ქალს, კმაყოფილია, ჭირველი რომ არ გამოვდექი. მიბრუნდა, ჩქარა გასწია კარისკენ. დამშვიდებული მივა შინ, ქმარს ახარებს, შეგნებული დამსვენებელი ცხოვრობს იმ ოთახში, ადამიანურად გამიგო გაჭირვება, თანახმაა, სულ არ დავალაგოო.

ის იყო, კარი უნდა გაეხურა, უცებ მივაძახე:

— ერთი წუთით, თუ შეიძლება, ერთი წუთით...

ქალი კარებში გახევდა, მოაბრუნა თავი, უკანვე შემოსვლას, რა თქმა უნდა, ღარ აპირებდა. მეც იძულებული გავხდი, ახლო მივსულიყავი კართან და ხმადაბლა, ისე რომ დერეფანში ვინმე შემთხვევით მყოფს არ გაეგონა, საგანგებოდ ხმადაბლა ვკითხე:

— გვერდით ოთახში ვინ ცხოვრობს?

— გვერდით ოთახში? — მიხვდა, რასაც ვეუბნებოდი, მაინც გაიმეორა კითხვა, მერე ისევ უკან გადმოგიჯა ზღუბლს, კარი მიხურა და ინტერესით, ლამის ჩურჩულით თქვა:

— რატომ მეკითხებით?

დავიბენი, ასეთ ჩაძიებას არ ველოდი. სხვათა შორის ვკითხე და მეგონა, პასუხსაც სასხვათაშორისოდ მივიღებდი, მაგრამ მიეხედეთ, თუ ქალის ინტერესს ცოტათი მაინც არ დაკმაყოფილებდი, არავითარი ინფორმაციის იმედი არ უნდა მქონდა.

— გასაკვირი რა არის! — როგორღაც თავისთავად მოვიდა სიტყვები. ბევრიც მეფიქრა, უკეთესს რას მეფიქრებდი. — ადამიანს ყოველთვის გაინტერესებს, ვინ ცხოვრობს შენ გვერდით.

ქალმა უცნაურად გაიქნია თავი, შიშისმაგვარი გაუკრთა სახეზე.

— ეს დაუჯერებელია! წარმოუდგენლად დაუჯერებელი,—აბუტბუტდა თავისთვის. მეგონა, თვალები საცაა ამოუცვივდებოდა.

— რა დაგემართათ? — გაოცებულმა ვკითხე, რადგან ქალი გადაფითრდა, ცოცხანი ვედრო ძირს დადგა, ორივე ხელის მტევანი ერთ მჯიღად შეაერთა და გულთან მიიკრა... ისე ჩამშტერებოდა სახეში, თითქოს შემზარავი საოცრების მომსწრე გამხდარიყოს. ვიფიქრე, სარკეში ხომ არ ჩამეხედა-მეთქი, რომ ქალმაც ამოოქვა:

— შეიძლება გავგიჟდე!.. — მერე ვედროს ხელი წამოავლო, კარის გამოსაღებად შებრუნდა.

მაგრამ დავასწარი, სახელური არ დავანებე.

— მითხარით, რასაც ახლა ფიქრობდით, თორემ ვერ გაგიშვებთ!..

საცოდავად აიწურა, შეეატყვე, შიშმა შეიპყრო. შემეცოდა და მერე ნახევარხუმრობით დავუმატე:

— ანდა გაიძულებთ, ყოველდღე მოხვიდეთ ოთახის დასალაგებლად!..

გაჭრა მუქარამ, უცებ ალაპარაკდა:

— იცით, იმ კაცმაც ზუსტად თქვენსავით მკითხა, გვერდით ოთახში ვინ ცხოვრობსო?

— რომელმა კაცმა? — ვერ მივუხვდი, ისევ ჩავკითხე.

— იმან, ამ ოთახში რომ გარდაიცვალა.

— მერე აქ რაა განსაკუთრებული?

— ის, რომ თურმე ქალის სიცილი აწუხებდა. იქ კი კაცი ცხოვრობს.

ახლა მე ვეღარ გავხდი კარგად. ქალს მზერა მოვარიდე, არ მინდოდა, რაიმე ეგრძნო. ღარ ვიცოდი, თვალები სად წამეღო, დაბნეულმა ხელებზე დავი-

ხედე. ფრჩხილებში ჭუჭყი ჩამდგომოდა. ქალს თითქოს კიდევ ჰქონდა რაღაც სათქმელი, მაგრამ დავიმშვიდობე მოულოდნელად, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი, ვუთხარი. ისიც მიბრუნდა და წავიდა. ვიდექი და კვლავ ჭუჭყიან ფრჩხილებს დავაკვირდი. იზეტას რომ ვენახე ასეთი ფრჩხილებით, ცხვირს აიბზეკდა. ვერ იტანს, ბავშვებს მუდამ იმას ეუბნებოდა, შინაგანი სინათლე გარეგნულ სისუფთავეზეც ეტყობა ადამიანსო. მე ასე სულაც არ ვფიქრობ. იზეტას შეგონებები კი იმიტომ იყო ასატანი, მთავარია, სული ქმნილდეთ სუფთაო, სასკოლო სახელმძღვანელოსავით ეჩიჩინებოდა ბავშვებს, თორემ კაპიკად არ ივარგებთო, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

საშინელ გუნებაზე ვიყავი. ლამის გულ-ღვიძლი ამომბრუნდა. ერთი სული მქონდა, გავსულიყავი გარეთ. საათს დავხედე. მეორე ცვლის ხალხი უკვე შესული იქნება ვახშამზე. ჩვეულებისამებრ, კიბით კი არ დავშვებულვარ, ლიფტს ჩავყევი დაბლა.

სასადილოში ფანჯრები გაუღიათ, თავისუფლად შეიძლება სუნთქვა. დორა და შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი მაგიდასთან დამხვდნენ, მღვდელი კი ჩემ შემდეგ მოფლატუნდა. წითელ ანაფორაზე ჯვარი აღარ უკეთია. მომტანი რატომღაც აგვიანებს, მგონი, დავავიწყდით. საჩხერელ მძღოლს გავხედე. აღარ ანგლობს. ჭარიყლაპის მიუგავს სიფათი, უაზროდ მიშტერებია გვერდით მაგიდასთან მჯდარ მანდილოსანს, მოხარშულ კვერცხს რომ შეექცევა. იქნებ მისი ბოშური საყურე აოცებს! ელვარაც აქვა. ალბინოსები ოჯახის მამის გარგშე ვახშმობენ.

— რატომ არ ბრძანდებოდით ექსკურსიაზე? — ზოგად კითხვას სვამს დორა, ყველას გვეხება... თვალში მხვდება მის ყელზე დაკიდებული დიესტნური ვერცხლის სევდიანი გულქანდა. აქატი მობეზრდა დორას. ვერცხლისფერივე აბრეშუმის კაბა აცია. ჰოდა, გვეკითხება, ექსკურსიაზე რად არ ვბრძანდებოდით.

ერთმანეთს ვუყურებთ მე და შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი. მღვდელი, როგორც ჩანს, არაფერ შუაშია.

— უდიდესი სიამოვნება დაკარგეთ... — ისევ ამბობს დორა.

ისევ ერთმანეთს ვუყურებთ მე და შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი. მომტანი ქალი ბრინჯის ფაფას ალაგებს მაგიდაზე.

— მე არ მინდა, — ვეუბნები და თეფშს უკან ვაძლევ.

— მაგრამ შინიც ვჭამეთ! — ფაფას კოეზით ურევს დორა, შიგ ცენტრში ჩაესებული კარაქის გასალღობად. — ხედავთ, რა მოწყენილია? — საჩხერელ მძღოლზე გვითითებს, — ხიდიდან გადაგვივარდა. ერთიც ვნახოთ, შემოსკუპებული ოცდაოთხმეტრიანი სიმაღლის ხიდის მოაჯირზე, გაიძახის, ყველამ ლაღად უნდა ისუნთქოს, იმიტომა ვართ გაჩენილები, ბევრი ჰაერი უნდა ვყლაპოთო. ვერც გაიგო, ალბათ, ისე გადაეშვა ძირს. კი დავინახეთ, მაგრამ რას წარმოვიდგენდით, ცურვა თუ არ იცოდა. აქაური მარჯვე ბიჭები რომ არა, ცუდად დამთავრდებოდა საქმე. ესაა, შავ ზღვაში უნდა ვიჭყუმპალაო ავტობუსის მოსვლამდეო? — ხუმრობდა მერე ვიღაც.

— კი, მაგრამ, ასე მალე გაშრა? — იხუმრა შორეული ცურვის ყოფილმა კაპიტანმაც, — არ ეტყობა, წყალში ნამყოფი თუა!

გაგვეცინა. ისევ გავხედეთ საჩხერელ მძღოლს. მართლა ვერ გახლდათ გუნებაზე.

— ეჰ, რომ გენახათ... ადამიანის ფერი აღარ ედო... მოკლედ, ღმერთმა გადაარჩინა.

— დიახ, ღმერთმა! — კვერი დაუკრა მღვდელმა და პირჯვარი გადაიწერა — ეშმაკი რომ შეუჯდება ადამიანს, მაშინ მხოლოდ ღმერთი თუ იხსნის. რად ხარშავენ ასე მაგრად კვერცხებს! — მიმართა ახლა მომტანს, რო-

მელსაც ჩვენს მაგიდასთან უნდა ჩაეგლო. ვერ გაიგო, რა უთხრა მღვდელმა. გაჩერდა და დაელოდა, იქნებ კიდევ ვიმეორო?ოლ. — ცოტა თოხლოდ არ შეიძლება? — გაფაქვნილი და თავმოჭმული კვერცხი უჩვენა

ქალს უხერხულად გაეღიმა და წავიდა.

მერე ბრინჯის ფაფას შეექცევა ჩვენი მღვდელი. ჭამის მადას არ უნდა უჩიოდეს...

„იმიტომ კი არ მიყვარხარ, რომ კარგი ხარ, არამედ იმიტომ ხარ კარგი, რომ მიყვარხარ“.

ასე მითხრა სრულიად ყმაწვილს ქალმა, რომელსაც მაშინ სათანადოდ ვერ ვაფასებდი. მომაგონდა მისი სიტყვები. ადრეც მომგონებია ხოლმე, სხვადასხვა დროს, უადგილოდაც, ზოგჯერ სიტუაციასთან არავითარი კავშირი რომ არ ჰქონია... ხმამაღლა რომ გამემეორებინა, დორას უთუოდ მოეწონებოდა. ნეტა ფერფლისფერი კაცი რას იტყოდა?

ალბინოსმა ბიჭუნამ ჩაგვირბინა. ჩაიდნის საშოვნელად მიიჩქარის.

— ამინდი გაფუჭდება, — წუხს მღვდელი, — სახსრებმა დამიწყო ტეხა,

— სამწუხაროა, — ეპასუხება დორა. — სინანული ეხატება სახეზე, ვერ მიხვდები, მღვდელს თანაუგრძნობს თუ ამინდის გაფუჭებას ჩივის.

შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი კი თეფშზე თხლად ჭრის მოხარშულ კვერცხს, არაყანს ავლებს და ისე შეეცქეგა. „რა ნერვები ექნებოდა თავის დროზე!“ ერთადერთი, რაც შეიძლება ვინმესი შემშურდეს, სიმშვიდეა და წონასწორობა.

— ისე, თავმოყვარეობა რომ გვქონდეს, კვერცხს არც უნდა ვჭამდეთ, — ქირქილებს მღვდელი, თან ალბინოს ბიჭუნას წაეტანება მკლავზე, ჩაიდანი რომ მოაქვს ფრთხილად. აჩერებს, ჭიქას უწვდის. — ერთი დაასხი, შენ გაზრდას!

ბიჭუნა გადათეთრებულ სახეს მფრთხალად შეანათებს მღვდელს, მაშინვე უსვამს ჭიქას და მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყოჩაღ! აი, სათნოების საუკეთესო მაგალითი“. დანარჩენი სამი ჭიქა ცარიელი დგას.

— ჩაის გარდა, ყველაფერია! — ორი ყლუპის შემდეგ ზიზღით აცხადებს მღვდელი.

დორას ლუკმა უჩერდება პირში. „კარგ ვინმეს გადავეყარეთ, — ვფიქრობ, — მგონი, საინტერესო ხდება ცხოვრება!“ შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანის რეაქცია მაინტერესებს ახლა, ჩემის აზრით, დუმილს არჩევს... მაგრამ ვცდები.

— ოჰ, მამაო, თქვენ, შემთხვევით, მსოფლიოს მერვე საოცრება ხომ არა ხართ? — ამბობს და ძლივს იკავებს სიცილს.

— როგორ? — უკვირს მღვდელს. ჩაის ხვრპას წყვეტს, თვალებს წკუტავს, — მერვე?

შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი თავს უქნევს.

— მე თუ მერვედ ჩამთვლით, მაშასადამე, შვიდი სხვა არსებობს.

— რა თქმა უნდა, — ეცინება შორეული ცურვის ყოფილ კაპიტანს. — ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ადამიანის ხელითაა შექმნილი, თქვენი თავი კი პირდაპირ მამაზეციერმა მოგვივლინა.

— რა საოცრებებია ასეთი? ხუმრობა იქით იყოს, მითხარი...

„ვატყობ, ეს აქ განათლებასაც მიიღებს“. მგონია, ახლა კი აღარ უპასუხებს ფერფლისფერი კაცი, ანდა, ნუთუ პირველად გესმისო? — ეტყვის, — ნუთუ „ლოცვანის“ იქით არასდროს გაგიხედავსო? მაგრამ ისევ ვცდები. არც ახლა ღალატობს მას ზომიერების გრძნობა.

— აბა, დათვალე, მამაო! — ყურადღებით დათვალე! — და მსოფლიოს შვიდ საოცრებათა ჩამოთვლას იწყებს.

მღვდელი მარცხენა ხელის თითებს მარჯვენას საჩვენებლით კეცავს. მარჯ-

ვენას ნეკა თითზე უწყდება თვლა. გაკვირვებული, თანაც უკვე დაინტერესებული ამბობს:

— ექვსია, ერთი დაგვაკლდა რაღაც...

— ექვსი? — უკვირს ფერფლისფერ კაცსაც. ხელთავიდან იწყებს ჩამოთვლას.

ყურადღებით ვუსმენ. ვძაბავ მეხსიერებას.

— ისევ ექვსია, — მოკეცილ თითებს შლის მდვდელი, — რაღაც გვავიწყდება.

— როდესის კოლოსი, ვამბობ მე.

— მართალია! — უხარია შორეული ცურვის ყოფილ კაპიტანს.

მე კი დორას მოწიწებულ მზერას ვგრძნობ.

— ეგ რაღაა? — კითხულობს მდვდელი.

— კუნძულ როდოსის მფარველი მზის ღმერთის — ჰელიოსის ქანდაკება. მთელს ქვეყნიერებაზე არსებულ ყველა ქანდაკებაზე მაღალი.

— ღმერთის ქანდაკება? — იცინის მდვდელი. — მართლა საოცრება მეგონა!..

— როგორ, აბა, საოცრება, თქვენი აზრით, რას შეიძლება ერქვას? — დორაც ვეღარ ითმენს, საუბარში ერევა.

— სხვისი არ ვიცი და, მე თუ მკითხავთ,—ოდნავ პაუზას აკეთებს მდვდელი, წარბებს ძგიბავს, თვალებს უშნოდ აბეცებს. — ნამდვილ საოცრებად, რაღა დაგიმალოთ და, კუჭი მიმაჭნია, სტომაქს რომ ეტყვიან ჩვენებურად, რის გამოც უთვალავი ცოდვა ტრიალებს ქვეყანაზე. ა, ბატონო, აქაა საოცრება! ყველა ჩვენგანში ბუდობს! — მუცელზე იბარტყუნებს ხელს.

— ეგ საოცრება როდია, მამაო! ეგ ხორცის ხეშტურია, ადამიანის ბუნების ყველაზე სამარცხვინო გამოვლენა, რომელსაც ვერსად გაექცევი, გინდ ანაფორა ჩაიცვი, გინდ კოსმონავტი გახდი, გინდ დალაქობას დასჯერდი და გინდ ბალეტმაისტერად მოეწყვე დიდ თეატრში, — ასკვნის შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი.

— როგორც გინდა თქვი, ასაგონებ და... — ისევ ბურტყუნებს მდვდელი ახლა უფრო ვალის მოსახდელად, თორემ უკვე ეტყობა, აღარ აინტერესებს დაწყებულ თემაზე საუბარი, კარაქიანი პურით ამოუტენია პირი

აღარ შემიძლია მისი ცქერა. ვდგები. ერთი პირობა დავაპირე, ჩაიანტერესებს ვიშოვი, დორას და ფერფლისფერ კაცს ჩაის მოვართმევ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე, ზედმეტ ფამილარობად ჩავთვალე.

ამ ღამეს ელვირასთან გავატარებ... ეს სულ იოლად მოხერხდა. ავდექი და კარზე მივუკაკუნე, თუ შეიძლება, თქვენი აივნიდან გადავიხედო-მეთქი? რა-საკვირველიაო.

აივანზე გავედი. ჩემზე სამი სართულით მაღლა ცხოვრობდა. ზღვა აქედან უკეთესად მოჩანდა. პარკის სიმწვანე დაბლა დარჩენილიყო, ყველაფერს ზემოდან დაჰყურებდი.

— შესანიშნავი ნომერი გაქვთ, — ვუთხარი ელვირას. — რომ არ მეუხერხულებოდეს, სიამოვნებით დავჯდებოდი ამ აივანზე ნახევარი საათით. იცით, პეიზაჟებს ვიმახსოვრებ, სისუსტე მჭირს ასეთი...

— დაბრძანდით, — მაშინვე შემომთავაზა. — შემიძლია ხილითაც გაგიმასპინძლდეთ.

სხვა ჭალი იკითხავდა, ალბათ, მხატვარი ხართო? ან თქვენი აივანი საითაა? ან, ბიბლიოთეკიდან გამოიტანეთ რაიმე წიგნი? და ამდაგვარ სისულელეებს. ელვირა კი, უკაცრავად, დახვეწილია და ჭკუადამჯდარი.

ჰოდა, დაბრძანდი აივანზე. ხილიც მიგიროვი. ზღვასაც ეუცქირე. ელვირას მოვუშინაურდი, ერთი-ორი თავსგადამხდარი ამბავი ვუთმე, ვაცინე, დაველალე სიცილით. მერე ღამის სუსხმა შეგვაწუხა და ოთახში გადავინაცვლეთ. წასვლას აღარ ვაპირებ. აღარც ელვირას ვეთმობი. შუაღამე კი მოვიდა — მშვიდი, უშფოთველი, მსუბუქი... ვიცი, დილაც აქ მომისწრებს.

დილით თვალი რომ გავახილე, ელვირამ ბალიში შემისწორა და მითხრა:

— ძილში კენესოდი, ტკიოდა რამე? თავი გავაქნიე.

— მაშინ ცუდ სიზმრებს ხედავდი...

— სიზმრებს არ ვნახულობ.

— წარმოუდგენელია! — გაოცებული მიცქერდა. ნეტა ერთი ღამე გამათენებინა უსიზმროდ.

დილას წუხანდელი სიმშვიდისა და სიმყუდროვის აღარაფერი შერჩენოდა. ელვირას ოთახის კედელზე შიშკინის ზამთრის პეიზაჟი დაეკიდათ.

ვიცვამდი, თან სურათს ვუყურებდი. კიდევ მინდოდა ძილი. ჩავიდოდი, ალბათ, ჩემს ნომერში, შხას ავიღებ და ძილს გავაგრძელებდი. აუცილებლად ასე მოვიქცეოდი. ელვირას კი ვუთხარი, გადაუდებელი საქმე მაქვს, გული მწყდება, მაგრამ უნდა დაგტოვო, აი, პირსაც ვერ ვიბან-მეთქი.

ადამიანი თუ უფრო ჭკვიანად არ გაჩენებს თავს, ვიდრე არის, ალბათ, დაფასების ღირსია. როგორ გინდა აიტანო უმეცარი ბრძენის ნიღაბში! ჩვენი მეოდელი მღლის, თორემ სულაც არ მაღიზიანებს. ნამდვილად ასეა.

ვზიავარ კეგლბარში, რიგს ველოდები, ვიზოგავ საწრუპი ჩხირით ლამის ფსკერამდე დასულ მანდარინის წვენს და ვფიქრობ.

ერთი ავტომატი მუშაობს მხოლოდ, დანარჩენი ორი მწყობრიდანაა გამოსული. ბიჭების მთელი ჯგუფი ისვრის მორიგეობით. მათ შემდეგ ყვითელშარვლიანი ქალია. არ ვიცი, რამდენი წუთისა აქვს გადახდილი, დიდი-დიდი, ნახევარი საათი შეძლოს თამაში. მერე კი მე... აქ მოლოდინი ძნელი არაა. უყურებ თამაშს და თითქოს მონაწილე ხარ. რადიკულიტის ჯიბრზე უნდა ვაგორო კეგლი.

ყვითელშარვლიან ქალს ორი ფინჯანი ყავა მოაქვს, მეზობელ მაგიდასთან ჯდება. ეს იმას ნიშნავს, ბიჭები კარგა ხანს არ დაამთავრებენ თამაშს. რას უზამ... ფული აქვთ გადახდილი. მისწრებაზეა თამაში. შეგიძლია მთელი დღის გადახდადო, უბერე და უბერე!.. არავინ [illegible] ვის, სხვასაც ხომ უნდა გაუწიო ანგარიშიო, თუ იმ სხვამ არ ატეხა ხმაური და ისიც ამაოდ, ნერვებს დაიგლიჯავს მხოლოდ.

სჯობს, ნაკლებად ვიფიქრო ახლა ამეებზე. სულაც წავალ, იქნებ ლევანს დავეკონეკო. მართლა კარგი აზრი მომივიდა, ფოსტამდე ავტობუსის სამი გაჩერებაა. არ ვიცი, ყვითელშარვლიანი ქალი გავიფრთხილო თუ არა, თქვენს შემდეგ ჩემი რიგია, წავალ და ისევ დავბრუნდები-მეთქი, რომ აწი მოსულებმა პრეტენზია არ განაცხადონ.

წელს ყვითლის წელიწადი კია, მაგრამ მაინც მაღიზიანებს ეს ფერი. ნეტა ვინ ჭკუათმყოფელმა დაარქვა თბილი ფერი. ყვითელი სიგიჟის სპექტრული გარდასახვის შედეგი მგონია. ყველა ჩემი დადებითი ემოციის საპირისპიროდ არსებობს იგი. ამ ქალისათვის, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რა მემართება, როგორ მემდერეგა სული მისი შარვლის შემყურეს. ძლივს ვხედები, დასარეკად წასვლის მიზეზი ლევანზე უფრო ეს მყვირალა შარვალია, რომლითაც ქალს იქნებ თავიც კი მოაქვს. საერთოდაც ვერ ახდენს კარგ შთაბეჭდილებას მოდური ფერად-ფერადი „ბანანები“, იშვიათად უხდება ვინმეს.

კეგლბარის ეზოში საქანელა სკამებს აჭრიჭინებენ. დიდხანს რომ უსმინო, შეიძლება მზეზე დადებული ყინულივით გაგლეიოს გული, ირგვლივ კი სიმწვანეა. მოდი, დავადგები გზას, ფეხით მივალ ფოსტამდე.

ტაქსოფონთან სულ რიგია. ადამიანები უერთმანეთოდ ვერ ძლებენ, გამუდმებული კავშირი აქვთ, აგვარებენ საქმეებს, იკლავენ მონატრების ჟინს, ზოგი მოვალეობას იხდის, ფორმალური ყურადღების გამოჩენა არცთუ ძვირი ჯდება. ჰოდა, გაუთავებელი რიგიც კანონზომიერია. დგახარ ღია ჯიხურის წინ სხვებთან ერთად და ძალაუნებურად უსმენ უცნობთა საუბარს. რატომ არა-

ვის მოუვიდა აზრად, კარი აება ჯიხურისათვის?

ვიკვეტ რიგს, განზე ვდგები და სიგარეტს ვუკიდებ. აკაციების ძირში სკამები ცარიელია. თანდათან ვიწყებ ყველაფრის აღმას.

ჯიხურთან კაცი დგას, შემსვლელ-გამომსვლელს ფეხებში ებლანდება, როგორღაც გამოირჩევა სხვათაგან. ყველას აკვირდება, ყველას უსმენს. თითქოს სადღაც მინახავს. სად? სად? მახსენდება, წინა მოსვლაზეც აქ იდგა, ზუსტად ამ ადგილას, ფეხს არ იცვლიდა.

კაცს ვათვალიერებ: ველვეტის ძველი ფეხსაცმელი აცვია და ნაცრისფერი ბუკლეს კოსტიუმი, გაქექილი, უშნოდ დამოკლებული. კოკარდიანი ძველებური ქუდი დაუხურავს. ნაყვავილარ, დაკენილ შავყვითელ სახეს ხან ვის მიაპყრობს, ხან ვის. ყურადღებას არავინ აქცევს.

ვიღაც ყმაწვილი მოვიდა, იკითხა, ბოლო ვინ არის? მხრები აიჩეჩეს. მე ვარ-მეთქი, დავუძახე, მაგრამ ვერ გაიგონა. ცოტა ნასვამია, თანაც მოწყენილი. დადგა თავისთვის.

მივედი. — მე ვარ ბოლო, — ვუთხარი.

თავი დამიქნია. — ხომ ვერ მომაწევინებთ? — მკითხა მერე.

სიგარეტის კოლოფი გავუწოდე. ერთი ღერი ამოიღო. ახლა ასანთის ძებნას მოჰყვა, ყველა ჯიბე მოიქექა, შარვლისაც, ლაბადის თხელი ნაჭრის უსახელო თეთრი კურტაკისაც. შიშველ ტანზე რომ ეცვა. მორიდებული იყო, მეტი ალარ უნდოდა შევეწუხებინე. სანთებელას ცეცხლი მივაშველე მის სიგარეტს. კიდევ დაიქნია თავი, ახლა მადლობის ნიშნად. სიგარეტი მოქაჩა, სევდიანი თვალებით ამომზიდა ერთი, გაბრუნდა და აკაციის ძირას მდგარი სკამისკენ გასწია ოდნავ არეული ნაბიჯით.

თვალი გავაყოლე. რაღაც ჰქონდა ძალიან კარგი. ალბათ, იმ მზეზარში ჩამწყვდეული სევდით მომხიბლა, რომელსაც თავს შეაუმეინებდა, მაგრამ ვერ ვის გაუმხელდა.

სახენაყვავილარი ჯიხურს მოსცილდა, ოდნავ გამოუნაპირდა რიგს, სკამისკენ მიმავალ თეთრკურტაკიანს გახედა.

— მთვრალია! — თქვა ყველას გასაგონად.

ნელ-ნელა მიატრიალეს მისკენ თავები, ბევრი ვერ მიუხვდა ნათქვამს.

— ხომ ხედავთ! ნამდვილად მთვრალია! — ბოროტმა ღიმილმა გადაუარა გადაზნინულ სახეზე, ზედ წამოწვეტებული ცხვირი რომ ჯდა და ვიწრო, ჩხაკა თვალებით ხალხის მხარდაჭერას თხოულობდა.

ამასობაში თეთრკურტაკიანი ყმაწვილი სკამზე დაჯდა, ეწეოდა სიგარეტს და დასცქეროდა მიწას ფიქრში წასული.

— აჰა, — ხელები გაშალა სახენაყვავილარმა. — ესეც შენი კანონი. ვინ ასრულებს!.. ფული თუ გაქვს, კანონი რას გახდება! კონტროლი! კონტროლ. არ არის!

— რაშია საქმე? — იკითხა წინ მდგომმა, ინტელიგენტური გარეგნობის კაცმა, რომლის რიგიც ის-ის იყო, მოვიდოდა.

— რა ბრძანეთ? — გაღიზიანებული ირონიით შეუბრუნა კითხვა სახენაყვავილარმა.

— რატომ ღელავთ-მეთქი, გეკითხებით, — კვლავ მშვიდად სცადა სიტუაციაში გარკვევა ინტელიგენტმა, თან აშკარად ღირსების უპირატესობა შეინარჩუნა, უფრო სწორად, ხაზი გაუსვა.

— ვღელავ? სულაც არ ვღელავ, — ყრის ღორბლებს სახენაყვავილარი. — რა მაქვს ასაღელვებელი! ამისთანებმა იკითხონ! — ხელი მიაშვირა ყმაწვილს, ახლაც რომ არ აუწევია თავი, წამითაც არ გაყრია თავის საფიქრალს. — ყველანი დგახართ, დღისით, მზისით და არაფერს ხედავთ, არა? არაფერს ხედავთ, ხომ? მარტო ჩემთვისაა ეს ქვეყანა სადარდელი? აი, აქ მოსვლამდე იგივე

იყო! — ახლა ოდნავ დაუწია ხმას, რიგს კვლავ მიუახლოვდა, სმენადაცეული ხალხიდან შუახნის ქალი ამოარჩია და მოყოლა დაუწყო:

— ერთი საათის წინ, შეიძლება ცოტა მეტისაც, ავტობუსში ვზივარ. ვხედავ, გაჩერებაზე დედაბერი ამოდის. ცალი ფეხი სამარეში აქვს უკვე, ძლივს მოათრევს ჩანთას. ჩემ გვერდით, ახალგაზრდა ქალი ადგილს უთმობს. ესეც მოკალათდა კოხტად, შეიფერა პატივისცემა. ვიღაც ბილეთსაც სთავაზობს, მაგრამ. სამგზავრო მაქვსო, უარზეა, პენსიონერების, რაღა, მუქთად რომ არიგებენ!.. აბა უყურეთ, მგზავრობა უფასო, ადგილი სხვისი, თანაც პირი რომ გაღო, ყველა კბილი ოქროსი ჰქონდა. ვიფიქრე, რომ მოკვდება, უთუოდ საფლავიდან ამოთხრიანმეთქი. ზის არხეინად, იცქირება ფანჯარაში. არ ვიცი, შენიშნული გაქვთ თუ არა, მეორე გადასახვევთან ბიბლიოთეკის შენობა დამთავრდა, სულ ტუფის ქვით მოაპირკეთეს, საშვილიშვილო ნახელავია. იცქირება ეს ქალბატონი ფანჯარაში და ამ ახალ შენობას რომ გავუსწორდით, უცებ იკითხა: ეს რა, ციხეა? დაუკვირდით! კარგად დაუკვირდით, რა მურდალი ნათქვამია!

ბიბლიოთეკა და, მგონი, არქივიც იქნებაო, უპასუხა ახალგაზრდა ქალმა.

— ოო, — თქვა დედაბერმა.

— რა ოო-მეთქი!

გაკვირვებული მიყურებს.

— სად ცხოვრობ, თუ იცი, ან რას როშავ, გესმის? დაბერებულხარ და თვალში ვერ გამოგიხედია! ახლა ციხეებს აშენებენ? ჰა? ნუთუ აზრზე არა ხარ-მეთქი?

წარმოიდგინეთ, ჭალარა ზოგს ჭკუას უპატარავებს, თავში სიცარიელეს უჩენს. ასე დამართნოდა იმ დედაბერსაც, მაგრამ რად გინდა, ვის აინტერესებს შენი სიმართლე! ადგნენ და გამარეულ-მაგნენ, დამკაშები გაუჩნდა უცებ. რას კადრებ ადამიანსო, რა მოხდა, იკითხა, დაიქცა ქვეყანაო? ციხე ჯერჯერობით საჭიროა და, ალბათ, შენდება კიდეცო. ეს იმ ახალგაზრდა ქალბატონმა ბრძანა. კი გავეცი საკადრისი პასუხი... შანტაჟს აწყობ და დემაგოგიას ეწევიო. გაუგია სიტყვები და ისერის უადგილოდ. მე ისეთ ადგილებზე ვარ ნამუშევარი, ისეთ საქმეები გაუვლია ჩემს ხელში, სხვა ვერც იოცნებებს! მაშინ სიტყვას წონა ჰქონდა. რომ იტყოდი, ეს კაცი საზოგადოებისათვის არ ვარგაო, მორჩა, ხელი უნდა დაექნია ყველაფრისათვის.

ფუჭ, რა საზიზღარი იყო, ბინძური, გაბორტოტებული. ადამიანთა სიმშვიდეს ვერ ეგუებოდა, უასპარეზოდ დარჩენილიყო და შხამიანი საცეცები აღარ იცოდა, სად ჩაეცალა.

ინტელიგენტის რიგმა მოაწია და ჯიხურში შეეიდა. სახენაყვავილარი ისევ თავისას ერეკებოდა, მაგრამ აღარაფერი მესმოდა. ჩემ წინ მდგარი ქალის ზურგს უცებ ლურჯი სიცილი აეფარა, ქსოვილივით აბლაბუდა. „ოხ, შენი!..“ მინდოდა შემეკურთხებინა ამ უადგილოდ მოხეტებული მოჩვენებისათვის, მაგრამ ხმაც წართმეული მქონდა და სმენაც. მხრებში ჩაჭერილი მარწუხები მეგონა, სულს ამომხდიდა.

ყველაფერმა რომ გაიარა და აზრზე მოვედი, პირველი, რაც აღვიქვი, გოგონას თვალები იყო.

— დაგივარდათ, — მითხრა და მზის სათვალე გამომიწოდა.

უსიტყვოდ გამოვართვი, მადლობის თქმაც კი დამავიწყდა.

ლალი გრიგოლაძე
ვუკრავ რეჭტაციმს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახენაყვავილარი ისევ არ აჩუმებდა ენას. ინტელიგენტს დაემთავრებინა ტელეფონზე საუბარი, იდგა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, აშლილ, აშკარად გაბეზრებულ რიგს განაპირებული და დაძაბულად ფიქრობდა.

უცებ ვიღაცამ იყვირა:

— გაუშვით, ურიგოდ გაუშვით ეს კაცი!

— მიდი, დარეკე! — სახენაყვავილარს ახლა სხვამ მიმართა ბრძანებასავით.

ხელიც კი უჯიკავეს, დარეკე და წადი, მოცილდი აქაურობასო. ის კი ფეხს არ დგამდა ჯიხურისაკენ. მივხვდი, ტელეფონთან არაფერი ესაქმებოდა. ხალხმრავალ ადგილს ეტანებოდა მხოლოდ, საცივნოსა და სამამაძაღლოს ეძებდა.

— კაცო, ხომ გინდა დარეკავ! მიდი, დარეკე! — ყასიდად დაუყვავა ინტელიგენტმა.

თავი გააქნია სახენაყვავილარმა. — თქვენ არავინ გეკითხებათ, დავრეკავ თუ არა! — ამოთქვა უტიფრად.

— ჩვენ არ გვეკითხება. თქვენ კი ყველაფერი გეკითხებათ, ასეა, არა? — კიდევ უფრო ყასიდად რბილი გახდა ინტელიგენტი. კარგად მოეხსენებოდა, ვისთან ჰქონდა საქმე.

— ჰა, მიდის თუ არა? — იკითხა მოთმინებადაკარგულმა ქალმა. მისი ჯერი იყო მოსული და ჩქარობდა. რახან ვერ მიიღო პასუხი, ჯიხურში შევიდა.

რიგი ისევ ძველი თანმიმდევრობით მიდის, არ წყდება სატელეფონო კავშირი. ეს არამზადა კი დგას უსაქმურად.

— წადი აქედან! — კბილებში გამოვცარი ბრაზით. — სანამ მთელი ხარ, წადი, შე ცოდვიანო!

— შენ ანგელოზი ჩანხარ!.. — უკან არ იხევს, თავს იცავს სახენაყვავილარი.

— ეგ საიქიოში გაირკვევა! — ვუყვირი, — მაგრამ თუ ერთად მოვხვდით სამოთხეში, კარგ დროს გაგატარებინებ!

წვიმის წვეთები აქამდეც მოცვიოდა. ახლა ერთბაშად დაუშვა.

— აი, შენი სამოთხე... — თქვა სახენაყვავილარმა, — იდექით აქ, ხელს აღარ შეგიშლით, — ჯირკებივით ფეხებით გაბრუა და გაგვეცალა.

კინაღამ გადავიფიქრე დარეკვა. უკვე ვყოყმანობდი ტაქსოფონის მოპირდაპირედ პატარა გასტრონომის ფასადს შეფარებული, ფეხს კი მაინც არ ვიცვლიდი ადგილიდან. ან სად უნდა წავსულიყავი ასეთ თავსხმაში. რიგით ჩემ წინ მდგომი ქალი აფთიაქის შესასვლელთან იცდიდა. ყველა სადღაც-სადღაც მიიყუჟა, მაგრამ იცოდნენ, ვინ ვის შემდეგ იყო. ახალი კი არავინ გვემატებოდა.

ერთადერთი, ვისაც ერთბაშად წამოსული თქმში არ აფრთხობდა, აკაციის ძირას, გალუმპულ სკამზე მჯდომი თეთრკურტკიანი ყმაწვილი იყო. ისევ ძველებურად ჩაეკიდა თავი.

ნეტა დავუკავშირდე ლევანს. ჩვენი მინიატურული მაღვიძარას ბედს შევიტყობ. თუმცა ვიცი, ნახაზი არაფერ შუაშია, ტექნოლოგებმა ვერ განახორციელეს ჩანაფიქრი, მასალაში გადატანისას შესცოდეს რაღაც. მთავარი შეცდომა კი ის იყო, საცდელი ეტაპები არ ჩატარდა. სიჩქარის გამო დეტალის პირდაპირ მასობრივ დამზადებას შეუდგნენ. წარმოებამ იზარალა და გვიანღა აღმოჩნდა. ცუდად მომივიდა. წამოვედი და ლევანს შევატოვე თავსატეხი. ერთად იქნებ უფრო ადვილად გაგვერკვია რამე.

იკლო წვიმამ. მერე ერთბაშად გადაიდარა. ისევ ჯიხურთან იკრიბება დაშლილი რიგი. სამი ადამიანიღაა ჩემ წინ.

ვიღაცები მოდიან, ბოლო ვინ არის, კითხულობენ. თეთრკურტკაინაზე ვანიშნებ.

რა კარგი ტიპია! — ვფიქრობ თან, — არაფერში ერევა, არის თავის ფიქრებში ჩაყურსული და უცდის, როდის მოუწევს რიგი. სახენაყვავილარის არსებობა არც შეხებია.

ადგა. ჩვენკენ მოდის. მთლად გასაწურია, მაგრამ არც ამას აგდებს აინუნში. ახალმოსული ქალები ჩქარ მეგრულს აფრქვევენ, ერთმანეთს პირიდან აცლიან სიტყვას. ოჰ, რა ტემპერამენტი აქვთ, რა მოუთოკავი ენერგია! ბედად, რიგმა მომიწია უკვე.

ჯიხურში შევდივარ. ნამდვილად ლევანთან სალაპარაკოდ მოვედი აქ, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, იზეტას ნომერს კრებს თითი. არ მიფიქრია იზეტასთან დარეკვა, მაინც ვემორჩილები ბრმა ძალას, უნებლიე ქმედებას კვალდაკვალ მივდევ. ზუმერში კაცის ხმა მესმის: ალო! ალო! — იმეორებს მშვიდად.

არ ვპასუხობ. კიდებ ყურმილს და იგივე ნომერს კრავ. ხმაც იგივე მპასუხობს: ალო! ალო!

— ალო!.. — ვამბობ მეც, დაბნეულობა რომ შევნიღბო, დრო მოვიგო სათქმელის შესარჩევად.

— დიახ,.. გისმენთ!.. — შემზარავად მშვიდია ეს ხმა.

ვებღაუჭები იმედს, რომ ნამდვილად სხვაგან მოვხვდი, მეორედაც სხვაგან მოვხვდი, ჩვენი ტელეფონების გადამკიდეს შეიძლება მეათედაც იგივე დაგემართოს.

— რა ნომერია? — ვკითხულობ. — მაპატიეთ, რა ნომერზე მოვხვდი?

მშვიდი ხმა ჩემს ყოფილ ნომერს მეუბნება, უფრო სწორად იზეტას ნომერს.

— ბოდიში... — ვლუღლუღებ დაბნეული, ყურმილს ვკიდებ და ჯიხურიდან გამოვდივარ.

ლევანთან დარეკვის აღარც თავი მაქვს, აღარც სურვილი. რამ ამაკრეხინა ის ნომერი... რა ეშმაკი შემომიჩნდა... ვინ იყო ასე მოშინაურებული კაცი, მასპინძლის მაგიერ რომ იღებდა ყურმილს? იქნებ!.. არა, შეუძლებელია! მაგრამ რატომაა შეუძლებელი... განა თვითონვე არ მივეცი იზეტას უფლება, რომელიც ჩემთვის არ მოვიტოვე? აღარაფერი მეკუთვნოდა სახლში, სადაც დამრჩა ორი შვილი და კიდევ ტანისამოსის ის ნაწილი, იშვიათად რომ ვხმარობდი, ანდა სულაც აღარ ვხმარობდი. შვილებზე, კანონის ძალით, მხოლოდ მატერიალური ზრუნვა მეკისრა, ერთსისხლ და ერთხორც კავშირი იურიდიულ უფლებათა ჩარჩოში იყო მოქცეული და უფროსების ჩადენილ შეცდომათა გამართლებას ცდილობდა ბავშვების წინაშე. მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობა!.. სხვა არაფერი... რაც ნიშნავდა, შვილებს ვეღარასოდეს დავიბრუნებდი. ვერ იკმარებდა გაგზავნილი ალიმენტები და დაბადების დღის საჩუქრები. დაბრუნება არ არსებობს! არავინ არავისთან არ ბრუნდება! ვერ ბრუნდება!..

საკუთარმა ყვირილმა შემძრა. ზღვის პირას ვიდექი უკაცრიელ პლაჟზე, უკან ჩამავალმა ტალღამ წაიღო ჩემი ხმა, იქვე დაბლა-დაბლა მფრინავი თოლიას ფრთის ფათქუნადაც რომ არ უღირდა გაშლილ სივრცეს, დასალიერიდან გამოწელილი ჯანღისფერი ღრუბლის მომლოდინეს.

ვუცქერ თოლიას, ჯერ სრიალით რომ

გადაუვლის შორიდან დაძრული ტალღის ამოკუზულ თხემს, აიჭრება მერე მაღლა, რათა ისევ შურდულივით დაეშვას, ვუცქერ და კიდევ ერთხელ ვგრძნობ, არარაობა ვარ. თოლია არ არის თევრი ოცნება, თოლია სევდა აუხდენელზე, წუხილია.

დედაჩემი, რაც თავი მახსოვს, ჩიტებს აფრთხობდა, ქათმის საკენკზე შემოჩვეულთ. მამაჩემი კი სხვადა ხეებს, ერთ თავისუფლად ამოზრდილ ულორტსაც არ უტოვებდა, ალვასავით უშვებდა სიმაღლეში. ალბათ, ამიტომ დამჩემდა წუხილი ხეთა და ფრინველთა გამო. ამ თოლიამ საიდან უნდა იცოდეს ეს... მე კი ვიცი, თოლია ჩემთვისაა მოსული, ჩემთვის დაფრინავს. ჯონათან ლივინგსტონ! — მინდა დავუძახო! — მინდა დავუძახო, — ჯონათან ლივინგსტონ! მაგრამ ვერ ვახერხებ და როგორღაც მთრგუნავს ამოუთქმელი ძახილი, მკაცრი მასწავლებელივით უსიტყვოდ რომ მეუბნება: მხოლოდ არსებობისათვის როდი უნდა იცხოვრო!..

ვნანობ, რად არ დავურეკე ლევანს. მივდივარ აბორგებულ ზღვის ნაპირნაპირ და ლევანზე ვფიქრობ. მას არსებობისათვის ზრუნვის ტვირთს ცოტათი მაინც უმსუბუქებს თავისი გატაცება. თუმცა, რაც თარგმნა, ეცოტავება, არ აკმაყოფილებს. ამას მაშინ ვგრძნობ, როცა ლევანი თითქოს უადგილოდ, დაუოკებელი ჟინით იტყვის: იცი, რას ნიშნავს, რომ პრუსტის თარგმნა შეძლო?! აი, მისი ოცნება, მისი იდეა ფიქსი. მაინც მგონია, სამარის კარამდე ოცნებადვე წაიყოლიებს ვერახდენილ საწადელს, რადგან არ გააჩნია გამბედაობის თავხედობა, პატიოსნება უფლებას არ მისცემს ნოცნებარი მარტივ სინამდვილემდე დაიყვანოს. არადა, გამოხტება ვინმე ქიბროწაშვილი, ორი კაკალი ფრანგული რომ[illegible] წვალია, გადმოაქოთებს ამ შენს პრუსტს, გადმოაცოდვილებს თავის ენაზე დ ნაღდ ოქროდ შემოგასაღებს, განმკითხავი კი არავინ იქნება ასეა, მაგრამ ამაა ახლა რა მნიშვნელობა აქვს, როცა კბილი ამტკივდა. უნდა ავჩქარდე. იქნებ სტომატოლოგი მოვძებნო სადმე.

პანსიონატის ზონის ნავსადგომთან ბიუები დგანან, ზღვას გასცქერიან. ერთი ხელს იშვერს და ხმამაღლა ყვირის: დელფინია!

მღვრიე ზღვაში რაღაც მიცურავს. ვაკვირდები, ძლივს ჩანს აჭრილ-აჩეხილ ტალღებზე. „ნუთუ მართლა!.. ნუთუ მართლა დელფინია!“

ვიღაცები ჩნდებიან ნაპირზე, მერე ელვის სისწრაფით მატულობს ინტერესით შეპყრობილთა რიცხვი.

— დელფინი! დელფინი! — ისმის შეძახილები.

მორკალა სავალი და განივად გაუყვა წყალს.

— ნაპირისკენ აპირებს გამოცურვას!

— დურბინდი მაინც მჭონდეს!

— რა საოცარია!

— გამოიწით, დიდი ტალღა მოდის, არ გადაგიყოლოთ!

ის კი მართლა ნაპირისაკენ მოიწევს, თანდათან ადვილად გასარჩევი ხდება.

— ძაღლია! — ვამბობ ხმადაბლა.

ვიღაცა მაშინვე ისაკუთრებს ჩემს ნათქვამს:

— ძაღლი ყოფილა! — გაკვიცის გაწბილებული ხმით.

— ძაღლი ყოფილა! — ექოსავით გადადის ნაპირზე.

ხუთასი-ექვსასი მეტრის მოშორებით აპირებს ძაღლი გამოსვლას. ახლა უფრო ნელა მოცურავს, დაღლილია, უჭირს...

ხალხი წყნარდება, დუნდება ინტერესი, აქამდე აკივლებულნი ინერტულნი ხდებიან. ძაღლი აღარავის აინტერესებს. ნეტა გადამაფრინა ამ ღვარცოფად მოვარდნილ შენაკადზე, პლაჟის მთელ სიგრძეზე რომ კეტავს გზას, დამახვედრა ტალღებთან ნაომარ ძაღლს, თვალებში შემახედა, გამაზიარებინა მისი სიმარტოვე...

კბილის ტკივილი მიმატებს. შიგ ტვინში მირტყამს. ლაქაშებში დატანებული ბილიკი გავიარე. ჩოგბურთის მოედნისკენ გამავალ ხეივანში ვარ უკვე. სკამზე ვიღაც ორნი სხედან, ქალები. ერთი ქოთა, მეორე მღერის. ამათ კკითხავ, იქნებ სტამატოლოგს მიმაკლევენონ. ვუახლოვდები. მომღერალი უკვე ნაცნობი ქალია — შინაბერა მასწავლებელი, ტალონის გაცვლა რომ მთხოვა, სიმარტოვისაკენ რომ ისწრაფვის. ელვირამ მითხრა იმ ღამით, შინაბერა მასწავლებელიაო, ბობი ფიშერი დასიზმრებია, სიგიჟემდე უყვარდა თურმე სიზმარშიო. ბევრი რამ მითხრა კიდევ ელვირამ, ჭკვიანურიც, სულელურიც...

შინაბერა მასწავლებელს ისედაც წვრილი, ნაოჭასხტული თვალები მთლად მოუწკურავს, „ღამეს სიმწუხარე უფრო ემატება...“ აი, ამ სიტყვების ამოთქმა მოკამთავრებინე და მივედი. შეწყვიტა სიმღერა, შემომხედა გრძნობათა აგონიით გათანგულმა. „რა ემღერება ამ გატანჯული სახის პატრონს“,— გავიფიქრე.

მიღიმის, როგორც ძველ ნაცნობს, ჭიანაჭამ კბილებს მიჩვენებს.

— ბოდიშს ვიხდი, — ვთქვი და ხნიერი ქალის ხელებში შერჩენილ საქსოვს დავხედე. — სტამატოლოგს ვერ მიმასწავლით?

— როგორ არა! — სხაპასხაპით მოგო შინაბერა მასწავლებელმა, — ესე პირდაპირ ივლით სულ ბოლომდე, ოთახს ერთსართულიან პატარა შენობაში. თუ იჩქარებთ, მიუსწრებთ.

ჩქარა გავსწიე, მეტი რომ აღარ გაეგრძელებინა, თორემ ვიცი, ტალონზეც მკითხავდა.

სტომატოლოგს მივუსწარი. პანსიონატი კი არა, სამოთხეა, ყოველგვარი დახმარება შეიძლება მიიღო. რის შენობა, ერთადერთი პატარა ოთახია, ფიქვებითა და ველური ვარდით შემობურული. კართან კაცი დგას და ოთახში ვიღაცას ელაპარაკება, ხელებს იქნევს, შიგადაშიგ გულიანად ხარხარებს. მივუახლოვდი თუ არა, მაშინვე მოტრიალდა, გაჩუმდა, შემომაცქერდა დაკვირვებით და ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით მომმართა:

— თქვენმა კბილმა სამუშაო საათები არ იცის? ხალათი უკვე გავიხადე. მაშასადამე, ექიმი აღარა ვარ!

სიმწრით გავიღიმე.

ისევ დამაკვირდა, თავი გადააქნია, მერე საჩვენებელი თითი მბრძანებლურად გაიშვირა ოთახისაკენ. წინ შემიძღვა, კედლის საკიდიდან თეთრი ხალათი ჩამოხსნა და ფაშფაშა ქალს, ხელებს რომ იბანდა, მიმართა:

— საბოლოოდ გაფრთხილებ, სიმა, მომაშორე, რად მომისაჯე ამის ცქერა! — კედელზე გაკრულ სურათზე უთითებდა. ტანჯული სიცილით სახედაღმეჭილი კლოუნი იყო.

— რას აშავებს, — მშვიდად თქვა ქალმა. — მე ძალიან მომწონს — ხელები ისევ აიქაფა საპნით.

— ხედავთ? — შემომჩივლა უკვე თეთრ ხალათში გამოწყობილმა ექიმმა. — აი, ასეთ დღეში ვყავარ! —

დაბრძანდით! — სტომატოლოგიურ სკამზე მიმითითა: თვითონაც დაჯდა, თვალებში ჩამაშტერდა და ვიდრე პირს გამაღებინებდა, მკითხა:

— ამოვგლიჯოთ?

მხრები ავიჩეჩე.

— ხედავთ? ეტანჯავთ, მაგრამ მაინც გენანებათ... სიმაც ასეა. განა მოსწონს ამ დაღრეჯილი კაცის სურათი, უბრალოდ, შეეჩვია და ვეღარ ელევა. გაიღეთ პირი! ასე არაა, სიმა? ოჰ, შესანიშნავი პირის ღრუ გაქვთ! — საჩვენებელი და ცერა თითი ჯერ ზემო ყბის ძვლებზე შემომიტარა, მერე ქვედაზე. — ასეთი რამ იშვიათია!.. სიმა, რად არ მპასუხობ? ოღონდ კლოუნზე ცუდს ნურაფერს ეტყვი!.. ვერ გამიგია, რამ შეაყვარა! — თვალი ჩამიკრა .ეშმაკურად, თან მტკივან კბილს მიაგნო, წვეტიანი იარაღით მომიჩხრიკა. — მე კი ამ კაცს რომ ვუყურებ, ჭამის მადა მეკარგება. გინდაც შემწვარი ბატი დამიდო წინ, ლუკმას ვერ მოვციცქნი, — თვალებით ჩაიღიმა. — ჰო, მართლა, სიმა, იცი, რა ვქნათ, შობა რომ მოვა, საზიაროდ ვიყიდოთ ბატი და ვაშლებთან ერთად შევწვათ. მე ვიყიდი ვაშლს, შენ იყიდე ბატი. ხომ კარგი აზრი მომივიდა?

— ვაშლი იაფია, ბატი კი ძვირი, — თქვა ქალმა. — მე ვაშლს ვიყიდი.

ექიმი ბურღში ნემსს ამაგრებდა. მეც დრო ვიხელთე, ოდნავ წამოვწიე თავი, რათა ქალისათვის შემეხედა. ფანჯრიდან გაპყურებდა ზღვას.

— კარგი, მაშინ შენ იყიდე ბატი, მე ვიყიდი ვაშლს, — შეაბრუნა ახლა ექიმმა წინადადება. ბურღი პირთან მომიტანა და დაუმატა: — ვნახოთ, ვნახოთ, სიმა, ჩვენ პაციენტი არისტოკრატია თუ არა! ჯერჯერობთი ფითრდება, არისტოკრატის თვისებას ამჟღავნებს. პლებეები ამ დროს წითლდებიან. არ მიყვარს გაწითლებული პაციენტი.

ეს კი ხუმრობს, მაგრამ მე ჩემი მემართება. ბურღის ტრიალიდა მაკლდა! შიგ ტვინში მირტყამს. ლამის გული შემოღონდეს. წარბს არ ვიხრი მაინც. რატომ, რატომ ვითმენ! მართლა ვთამაშობ არისტოკრატობას? რად არ ვეტყვი, ამოგლიჯე, მაგის ყოფაც ვატირე! მომაშორე! დამპალ კბილსაც ვეფერო? მაინც არ ვიღებ ხმას. ბოლომდე ვითმენ... როგორც იქნა, მთავრდება, საზარელი ხრჭიალი.

— სულ ეს იყო, — ამბობს ექიმი, — აშკარად იგრძნო, ძვირად დამიჯდა დაბრალებული არისტოკრატობა.

სიმა წასასვლელად გამზადებულა, შავი ლაქის რედიკული გულზე მიუხუტებია და მაინც დგას. ექიმი ღიმილს ვერ იკავებს.

— მიდიხარ და ამ საფრთხობელასთან მარტო მტოვებ? — კლოუნის სურათისაკენ შოლტივით მოიქნევს მზერას

— კარგი, რახან ასეა, ჯერ იყოს, მოვიფიქრებ რამეს, — შემრიგებლურ პოზიციას ირჩევს სიმა.

ფუჭ, რა საძაგელი გემო აქვს დარიშხანს... ალბათ, სახეზე მახატია უსიამოვნებისგრძნება, რადგან ექიმი მამშვიდებს:

— რას იზამთ, უნდა აიტანოთ, ნერვი უნდა მოკვდეს. ზეგ მობრძანდებით.

სასაცილოა, ერთ პაწაწა ნერვს ჩავუსაფრდით, შხამით უნდა მოვსპოთ. სიმამ კიდევ ისე საგულდაგულოდ ჩარეცხა წეღან საფურთხებელი, გადმონერწყვა მეხათრება, იძულებული ვარ, ჩავყლაპო. ზიზღით მაჟრიალებს.

ექიმი პატარა მაგიდასთან ჯდება,

მეკითხება გვარს, სახელს, მამის სახელს, საკანცელარიო ჟურნალში იწერს.

— ჩვენი ხართ, ხომ? — ეღიმება. — პანსიონატის დამსვენებელი, უმატებს მერე.

— დიახ, — ვპასუხობ მაშინვე. რა კარგი მოსასმენია „ჩვენი ხართ“.

პატარა, საგანგებო ზომაზე დაჭრილ ქაღალდს იმარჯვებს, თან ისევ ქალის მისამართით ამბობს:

— მოკლედ, ვერ შევთანხმდით. მე კი ძალიან მინდოდა შემშვარი ბატი ვაშლთან ერთად.

—გინდოდათ და გექნებათ, — უყვავებს ქალი.

— მოკლედ, ვაშლი ჩემზე იყოს .. — თვალს მიკრავს ექიმი ისევ ეშმაკურად.

— არა, მასე არ მინდა... ორივეს მე ვიყიდი და დაგპატიჟებთ.

ექიმი ხარხარს ვეღარ იკავებს. მეც გულიანად ვიცინი.

— მაგრამ ამას რა მოვუხერხოთ? — კითხულობს სიცილით გულნაჯერები, კლოუნისკენ იშვერს ხელს. — ეს კი თქვენ, — ქაღალდს მიწვდის. — მეორედ მოსვლის თარიღი და საათი წერია ზედ.

— მაგასაც მოვუხერხებთ რამეს, — მშვიდად ამბობს ქალი.

გამოვდივარ ერთი ციდა ოთახიდან პირგამოშუშხული, საგრძნობლად გაყრუებულ ტკივილზე ყურადღებაგამახვილებული, მომყვება იმ ორ შეხმატკბილებულ ადამიანზე ფიქრი, ხუმრობახუმრობით რომ აძლებინებენ ერთმანეთს. კეთილი შურით შემშურს მათი სიმშვიდე, ისიც, მათი ერთადერთი ფანჯრიდან მხოლოდ ზღვა რომ ჩანს, ისე ახლოს, თითქოს შიგ წყალზე იდგეს ციდა კაბინეტი — მოწყალებისა და საათნოების ქოხი, რომლის კედლიდან გაცინებული კლოუნი იცქირება.

ისევ გუნებაზე ვარ, სიამოვნებით დავთანხმდებოდი იმ კლოუნის ფოტოდ ყოფნას, ოღონდ თუ არ ჩამომხსნიდნენ.

უაზროდ დავეხეტები სანაპიროზე, დაუსრულებლად ვმოძრაობ.

ბავშვები ისევ აქ არიან. იქითობას გვერდით გავუარე, არც შემოუხედავთ, თხუნელებივით იჩიჩქნებოდნენ. ვეება პირამიდას აგებდნენ. მოუმთავრებიათ, გარს უვლიან, შეჰხარიან.

— მშვიდობით! ხვალ მოგაკითხავთ! — იძახის ერთი.

— მშვიდობით! მშვიდობით! — ხელებს მხედრულად სწევენ მაღლა დანარჩენებიც, რადგან მზე სანახევროდ ჩამალულა მეწამულისფერ დასალიერში და გაყრის დროც დამდგარა.

ტოვებენ ხალისიანი შრომით შექმნილს. გზადაგზა რომელიმე ისევ შედგება წამიერად, გამოხედავს სილის პირამიდას, დასატოვებლად არ ეთმობა.

ლაქაშებზე გამავალ გზამდე თვალით მივაცილებ პატარებს — ათი-თორმეტიოდე წლის ბიჭუნები არიან. მერე მზის ჩასვლას გავაკვირი, ყოველდღიურ შეჩვეულ სასწაულს და ვგრძნობ, ისეთ სიმარტოვეში შევდივარ, როცა აღარავინ გჭირდება. ლევანი არ ითვლება... ლევანი ერთადერთი გამონაკლისია. კარგია, რომ მან ეს არ იცის და შეუზღუდველი ვარ ჩემს გრძნობებში.

მაინც ვინ იყო ის კაცი, იზეტას მაგიერ რომ გამაგონა ტელეფონზე? ფიქრიც კი მზარავს... ვუცქერ ბოლოვით გაწეული ღრუბლებზე უკვე ჩაწრეტილი მზის შეტოვებულ ათინათს და მახსენდება, ერთ ადგილას დგახარ დ საწვავს წვავმეთქი, ქალს რომ ვუთხარი და მომეწონა ჩემივე გამონათქვამი, რომლითაც ირონიულად შევუქე თავშეკავება, ქალური სევდას გულშივე რომ აკვლევნებდა, რათა ავეცილებინე ზედმეტ სი-

ტყვებს, მაინც ვერაფერს რომ ვერ შეგვიცვლიდა, ვერ გაგვიუმჯობესებდა ურთიერთობას.

ახლა თვითონვე ვიყავი იგივე მდგომარეობაში, იმ განსხვავებით, ჩემი წვა უმიზნო იყო, მექანიკური, არავის სჭირდებოდა... მეც კი არა!..

ლაქაშებიდან ბიჭუნა გამოვარდა, ერთი იმათგანი, სულ ათიოდე წუთის წინ ერთად რომ დატოვეს სანაპიროზე თავიანთი ნახელავი. ბიჭუნამ პირამიდისაკენ აიღო გეზი. ცისფერი მაისური ეცვა, მკერდზე და ზურგზე თითო-თითო თეთრი თევზი ეხატა. სილაში ფეხი ეფლობოდა, მაინც სწრაფად გარბოდა. მიუახლოვდა პირამიდას, დაეძგერა, ორთავე ხელით უფუღეროოდა გვერდს. საყრდენ სარამდე შეუწია მკლავი, მთელი ძალით დაუწყო რყევა. პირამიდამაც თანდათან დაკარგა ფორმა, ჩამოიშალა.

ბიჭუნას აღარ დაუყოვნებია, მალევე გაბრუნდა უკან, ისევ სირბილით მიაშურა ლაქაშებს.

რომ შემძლებოდა გამეჩერებინა და მეკითხა, რად ჩაიდინე ეგ, შენც ხომ სხვებთან ერთად მონაწილეობდი მის აგებაში-მეთქი, ნეტა რას მეტყოდა? მთელი საღამო არ მომცილებია ბიჭუნაზე ფიქრი.. კბილი კი მღრღნიდა. ეტყობა, საწამლავი არ სჭრის ჩემზე, ერთ პატარა ნერესაც ვერ მიკლავს.

არასდროს მჭონია ამდენი დრო საკუთარ თავზე ფიქრის, საკუთარ სულსა და სხეულზე კრიკიტის, არც სხვებზე დაკვირვების. მაგრამ რა შეიცვლება ერთ ადგილას დგომით და საწვავის წვით?

ბიჭუნამ ჩემს შვილებზე სევდა მოიტანა. არარაობა მათ წინაშე ვერ გამამართლებს, თავდებად ვერ დამიდგება, შესანიშნავად ვიცი ეს! დაკარგულებს ვეღარ დავიბრუნებ!..

ადგილს ვერ ვპოულობ. სიარულმა დამჭანცა, ნომერში დაბრუნება კი მეზარება.

კინოდარბაზის შესასვლელ კართან რიგია.

— რა გადის? — დავინტერესდი უნებურად.

—„ლამაზი მეგობარი“, — მპასუხობს ცისფერთვალა გოგონა, — მაგრამ თექვსმეტ წლამდე ბავშვებს არ უშვებენ.

ღმერთო, როგორ წყდება გული, ჯერ თექვსმეტი რომ არ შესრულებია!

რიგთან შინაბერა მასწავლებელი დგას. დამინახა და ხელი დამიქნია.

ესაა მეჭირვებოდა? საშინლად მაღიზიანებს... ყველანაირ, სადაც გინდა გაიხედო, ყველაფერში მონაწილეობს, მაინც ვერ გადის უბადრუკი მარტოობის რკალიდან. მერედა, ჩემთან რა უნდა! აჰა, მიახლოვდება უკვე.

— შემოდიხართ? — მეკითხება.

— არა, — ვპასუხობ შვებით, — ბილეთი არა მაქვს, — როგორ მიხარია, რომ ბილეთი არა მაქვს.

— აი, — ამბობს, —ზედმეტი ავიღ ერთი, ყოველ შემთხვევისათვის... თქვენი იყოს! — ბილეთს მაჩეჩებს.

რაღა ვქნა! ან ამის გვერდით რა გაძლებს, ან იმ კინოფილმს რა უყურებს. ალფონსის ფორსები მინდა ახლა?

ბილეთს ვართმევ, მადლობას ვუხდი შინაბერა მასწავლებელს. მადლობას ვუხდი ავანსად, უსიამო საღამოსათვის, მოჩვენებითი სიამოვნებისათვის, მასთან ეძულებითი დაახლოებისათვის.

უნებლიეთ დავცქერი შინაბერა მასწავლებლის მკლავზე ოქროს სამაჯურიან საათს. ჩვენ შორის გაჩენილი ვაკუუმის შევსებას ვლამობ.

— ათი წუთი დაგვრჩა დაწყებამდე, — მოქნეული მჭრელი იარაღივით აგებებს პასუხს ჩემს ისედაც დაძაბულ ნერვებს.

ჰაერი იქნებ არც ისე შეხუთულია, როგორც მეჩვენება, თუმცა სავსე კია დარბაზი. იდიოტურად ვათვალიერებ ახალშემოსულებს, რომ ამ ჩემი წყვილის ცალოსკენ არ გავიხედო, კიდევ რაიმეს თქმის საბაბი არ მივცე.

„ათი წუთი დაგვრჩა!“ როგორია?!

ცოტაა ათი წუთი და ბევრიცაა. გაჩნია, როგორ ემოციებს მიიღებ. რამდენი წუთი და საათი გაივლის ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცარიელებულ სხეულში უკვალოდ, რომ არც ჩამაფიქრებს.

— თქვენ აქ მარტო ხართ? — მეკითხება შინაბერა მასწავლებელი.

უცებ ვერ ვხვდები, რა სიმარტოვეზეა ლაპარაკი, მაგრამ ქალი ალღოიანია. — მარტო ისევნებთ თუ მეუღლესთან ერთად? — უმატებს გარკვეულობისათვის.

— მარტო... დიახ, რა თქმა უნდა...

— აქ ისეთი მოწყენილობაა — ლამის გული ამოგტანა სიტყვებს, როგორც მაშინ, სიმღერის დროს...

— და თქვენ გიკვირთ, როგორ გამიმეტეს მოწყენილობისათვის?

იცინის. მე კი ვფიქრობ, ამ ქალს, ალბათ, სარკე არა აქვს, თორემ თავის დღეში არ გახსნიდა პირს-მეთქი.

შუქი ქრება. უაზრო სიბნელე ენაცვლება ჩემს ფიქრს ტიტრების გამოჩენამდე. შინაბერა მასწავლებლის გვერდით მძღოლს საკუთარი თავი. სიძულვილში გადის საათ-ნახევარი.

ფილმის შემდეგ კიდევ ერთხელ ვიხდი მადლობას ბილეთისათვის. ქალს ვუხსნი, უნდა ავჩქარდე, გადაუდებელი საქმე მაქვს, საშუალება არ მეძლევა, შინამდე მიგაცილო-მეთქი.

თავს მაქნევს, გასაგებაო, თვალებით კი ჩემს არაჯენტლმენურ საქციელს დასცინის. იქნებ იმასაც ფიქრობს, მაინც არ გაგაცილებინებდი თავს შინამდე, ეკრე ნუ მიყურებ, ქალწული ვარო. ეჭვიც არ მეპარება ამაში.

— ღამე მშვიდობის... — ვამბობ, თითქმის სირბილით მივარღვევ მერე დარბაზიდან ტალღა-ტალღად გამოშლილ მაყურებელთა ნაკადებს.

ცარიელ ლიფტს მივუსწარი. ჩემი ოთახი სამოთხედ მეჩვენება. დავეგდები და დავიძინებ. ძილის წინ კი აბებს მივიღებ, რომ მეზობელი ოთახიდან ქალის კისკისი არ ვისმინონ.

ნეტა სად ხედავს დამლაგებელი სისხლის ლაქას? გაფაციცებით დავშტერებივარ იატაკს. ახლა უკეთესი ადგილი რომ მეგულებოდეს, სადაც შედარებით მშვიდად დავიძინებდი, სიამოვნებით წავალ... ელვირასათვის ხომ არა მეკითხა? აბა ცოტა ვიფიქრო? არ ეძინებ[illegible] ვადავიფიქრე.

სიზმრებს არ ვნახულობ, მაგრამ დილით მაინც დაქანცული ვიღვიძებ. ისეთი გრძნობა მაქვს, ყველა სახსელელი ჩემს სასიცოცხლო ენერგიის ხარჯზე კვდება და ძალას მაცლის, რომ თვით ვარ იმ სიზმრათა ასლი, ოღონდ სახედაკარგულთა, უშინაარსოთა, ისტერიაში გადასულთა, რომ ცხადში ვუერთდები ყველა სიზმარეულ ჩვენებას.

ბობი ფიშერი... ბობი ფიშერი... ალბათ, რამდენი ქალის ფიქრთა თანამგზავრია!..

ლევანს უნდა დავურეკო დღეს... აუცილებლად...

ზღვა ოდნავ ირწევა ნაპირთან, თითქოს სუნთქავს... ფრთიანი ჭიანჭველები ჰკესავით მოსდებია. ჩანს, უამინდობისას დაიღუპნენ. ეს ნაპირი მათი მშვიდი სამარეა. მთელი ჯარია აქ მიხოცილი, ქალაქი ან სულაც სახელმწიფო.

შორიახლო ვარჯიშითა და სირბილით გახვითქული კაცი გაჩერებულა.

— ფუჰ, — ამბობს ჩემს გასაგონად, — ძლივს დამშვიდდა ზღვა, ეს ნაგავი კი რა არის! შესცვლა დაგეზარება!..

კაცს ბანაობა სურს დილის სუფთა წყალში, ფეხშეუკარებელში, ამიტომ წუხს. ეტყობა, პანსიონატიდან არ არის, პანსიონატის დამსვენებლებს ასეთი რამ ნაკლებად აღელვებთ. მათი სხეულისათვის ჭაობისფერი ბალნეოლოგიური წყალი უფრო სასარგებლოა.

კაცი შედის ზღვაში, ხელებით ფანტავს ჭიანჭველებს, ერთი-ორი მოსმა მხარულით გაალწევს მერე მათ სასაფლაოს და უკვე სუფთა წყალშია.

რატომ მაინცდამაინც ბობი ფიშერი?.. თითქოს მისი სხეულით გაჭრილი წყლის ნაკვალევიდან მესმის უხმოდ. საოცარი ძალით შევიგრძნობ დაკარგულ დროს, უქმად ჩავლილს, ბერწს...

ზოგჯერ ქარი რომ აჭრიჭინებს კარს, შენ კი ადგომა გეზარება, რათა ჩარაზო,

ტან-ფეხი ვერ დაგიმორჩილებია უძარობით შეპყრობილს, აი ისეთივე პასიურობიდან მოდის ახლა ყველა ფიქრი... ყველა შეგრძნება...

ამსობაში დრო გადის, სტომატოლოგს უნდა მივაკითხო, აღარ შემიძლია ამ შხამის ტარება, თუ მოსაკლავი იყო, მოკედებოდა.

ავტობუსი ჩერდება პანსიონატის მთავარ შესასვლელთან. აბაზანებიდან ბრუნდება ხალხი. კუტები და დაცვენილები ხელით ჩამოჰკავთ კართან მიდგმულ ორსაფეხურიან ხის კიბეზე. ავტობუსის ფანჯრიდან დორა იცქირება დაღლილი თვალებით.

ნომერში შევდივარ და კბილებს საგანგებოდ ვიხეხავ, სტომატოლოგთან წასასვლელად ვემზადები.

კარზე მიკაკუნებენ. დამლაგებელმა მომკითხა, ალბათ. ნეტა გამესწრო! არ შემოვუშვებ, არ მინდა დალაგება. ახლა იმის დაფეთებულ თვალებს უყურე კიდევ!

მაგრამ კართან საფეთქელზე კულულებჩამოყრილი ექთანი დგას, ისევ ქათქათა, გახამებული ჩაჩი ახურავს, ხალათის ჯიბეში ლურჯარშიაშემოვლებული ვერცხლისფერი ცხვირსახოცი უდევს. თვალებს ვერ ვუჯერებ, მაგრამ ისაა!

— შეიძლება? — მეკითხება ზრდილობის გულისათვის, თორემ პასუხის მიღებამდე შემოდის მაღალი ქუსლების ბაკუნით.

კარს ვხურავ, უკან მივყვები. ოთახს ათვალიერებს, აივანზე გასასვლელ კარში ჩერდება.

— ხომ კარგად მოეწყვეთ? — ისე მეკითხება, თითქოს ჩემი პრეტენზიის შემთხვევაში, რაიმეს შეცვლა შეეძლოს. აივნის ჭიერის ლავგარდანს აკვირდება. — ო, ისევ დაუწყიათ ბუდის შენება! ჩანს, დამლაგებელი ყოველდღე არ შემოდის! — თავს უკმაყოფილოდ აქნევს.

— დაბრძანდით, — სავარძელზე ვანიშნებ. — ზღურბლზე დგომამ ვალები იცის.

ეცინება, — არც მე მიყვარს ვალი...

— ჯდება სავარძელში. — ექიმი გელოდებოდათ, რატომ არ გამოჩნდებოდ? კითხვას კი არა, საყვედურს ჰგავს.

— რა ვიცი, — ვერც ვიმართლებ თავს.

— ჩანს, არაფერი გაწუხებთ.

— თითქმის არაფერი.

— ძილი როგორი გაქვთ?

— არა უშავს.

— ჩვენ ძალიც ვალდებულნი ვართ, მკურნალობის კურსი დაგინიშნოთ. მონაცემების მიხედვით, რადიკულიტს უჩივით, ასეა, არა?

სულაც არ უხდება მშვენიერ მანდილოსანს ოფიციალური ირი.

— მოკლედ, მობრძანდით ექიმთან! — ფეხზე დგება. ფარული გაღიზიანება იგრძნობა მის მკვეთრ მოძრაობაში. წასვლას ეპირება და მაინც ფეხს ითრევს, თითქოს რაღაც დარჩა სათქმელი, რაღაც მთავარი.

ამის გაფიქრება და კულულებიანმა ექთანმა თქვა:

— დამლაგებელს შეახსენეთ, აივნის ჭერი ჩამოასუფთაოს! კიდევ მოვალ და შევამოწმებ.

— რას ერჩით ამ მერცხლებს!.. არ მესმის... — მხრებს ვიჩეჩავ.

— არ შეიძლება! — თავს ჯიუტად აქნევს აქეთ-იქით, საფეთქელზე ოდნავ ერხეკა კულული. — ამაზე პასუხს გვთხოვენ!..

— ახლავე წამომგყვეთ თუ მერე?..

უცებ ვერ ხვდება, რას ვეკითხები. ნუთუ აღარ ახსოვს, რისთვის მოვიდა? გაოცებული მიყურებს.

— ექიმზე მოგახსენებთ... რადიკულიტთან დაკავშირებით...

— ჰო, ჰო, — ახსენდება, — როცა გინდათ, ოღონდ აუცილებლად... — მიდის.

ვფიქრობ, თუ ჩემს ჯანმრთელობაზე ასე ზრუნავენ, მე რაღა თავს ვიდებ. ესეც არ იყოს, მკურნალობის ფული სახელმწიფომ გადამიხადა პროფკავშირების მეშვეობით. მეც ვალდებული ვარ, გაწეული ხარჯები ქარს არ გა-

ვატანო! ნამეტანი ჭკვიანურად ვაზროვნებ ზოგჯერ, პირდაპირ ეპიგრამებად გამოსადეგი აზრები მომდის.

ვესტიბიულში ვიღაც მიბრძანდება. ნახევრად გალებული კარისკენ არც მოუხედავს. თვალს ვაყოლებ, კულტმუშაკი ყოფილა. შარვალი ჩაძრომაზე აქვს, ეტყობა, წონაში დაიკლო, ტანსაცმლის გადაკეთებაზე კი არ იზრუნა. მაგიდის ჩოგბურთის რაკეტას იტყაპუნებს ბარძაყზე და მიდის. რაიმე სპორტულ ღონისძიების გეგმას თუ აწყობს...

სტომატოლოგიური კაბინეტის კარებში ვიღაც ახმახ ქალს შევყევი ფეხდაფეხ. მუშაობით გართულმა ექიმმა ცალი თვალით გამოგვხედა. სალმის ნიშნად თავი დაგვიქნია, — დაბრძანდით, ყველას ერთად მიგიღებთ, — გაურია თავისებური. — ახლავე... ყველა ჩვენი ხართ, ჩვენნ... — ჩაიღიღინასავით ბოლო სიტყვა. ხელოვნურ კბილს უდგამდა პაციენტ მანდილოსანს მარჯვენა ზემო ყბაზე.

ახმახი ქალი ექიმისკენ ახლოს მდგარ სკამზე დაჯდა. რატომღაც გავლიზიანდი, ნუთუ ექვი შეეპარა, რომ რიგით მას გავუშვებდი პირველს? მეც დავჯექი და უეცრად ფეხზე წამოვხტი ექიმს შევხედე. მან ორივე ხელით თავი დაუჭირა პაციენტ მანდილოსანს, სახეში ჩააშტერდა და უბრძანა:

— გაიღიმეთ!

პაციენტს, რომლის სახესაც ვერ ვხედავდი, ჩანს, გაეღიმა. ექიმი მრავალმნიშვნელოვნად ჩაფიქრდა, წარბები აზიდა, ხელები სწრაფად მოაშორა პაციენტის თავს, ხელის მკვეთრი მოძრაობით მარცხენა ყბისკენ მიუთითა და ისევ უბრძანა:

— გაიღიმეთ მხოლოდ ამ მხარეს! — თვითონაც ვეღარ შეიკავა სიცილი, დანარჩენებიც აგვიყოლია.

სიმა არა ჩანს. კინაღამ ვიკითხე, სიმა სად არის-მეთქი? ახმახი ქალის სახემ დამაღუმა. საშინელი შიში ეხატა ზედ. ექიმმა კი უკვე მოიხმო, რევერანსის მსგავსი მოძრაობით. ვფიქრობ: ხომ არ გავიდე გარეთ, რომ ამის საცოდაობაზე არ ვუცქირო?

ახმახი ქალი ჯდება სტომატოლოგიურ სკამზე და ექიმიც იწყებს ჩემს საყურადღებოდ:

— თქვენ ახლა ჰიპნოზური სეანსის მოწმე გახდებით. — სამუშაო მაგიდაზე რაღაცას ეძებს. — ამ ქალბატონს ხომ ხედავთ!.. არ ამყოდვნებს, თორემ შიშითაა შეპყრობილი. სინამდვილეში ტყუილად იწუხებს თავს. გაუმტკივარება ჰიპნოზით! დაადეთ პირი! — ახლა ქალს მიმართავს, — მიყურეთ, აი, აქ, — საჩვენებელ თითს წარბების შეერთების ადგილას იდებს, ცერა და შუათითით პინცეტის მსგავსი რაღაც უჭირავს. მერე სწრაფად შეაქვს იგი ქალის პირის ღრუში და სწრაფადვე გამოაქვს უკან.

— აი, ეს იყო სულ! — გარქოვანებულ ფესვს ლამის ცხვირზე ადებს, — რა ვქნათ, თავგვებს გადავუგდოთ თუ სახსოვრად შეინახავთ?

ქალი გაოცებისაგან ხმას ვერ იღებს. ექიმი საფურთხეზლისაკენ წწდის იარაღიან ხელს და მსუბუქი რაწყუნით წერტილს უსვამს ახმახი ქალის შიშს.

ჩემი რიგია. ნაცვლად იმისა, მომიხმოს, ექიმი კლოუნს ახედავს კედელზე, თავს მოისაწყლება და შემომჩივის:

— ისევ აქაა! ხომ ხედავთ, ვერაფერი გავაწყვე!

ვჯდები სტომატოლოგიურ სკამზე და ის-ისაა მინდა ვკითხო: სადაა სიმა? ექიმი მასწრებს:

— იცით, სიმა ავად გამიხდა. მგონი, იდარდა, სურათის ჩამოხსნა რომ მოვთხოვე.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ხუმრობთ...

— სიმა ძალიან მგრძნობიარეა, — თქვა ექიმმა. — სულაც აღარ ხუმრობდა უკვე. — თქვენ სიმას არ იცნობთ... — სიტყვა აღარ დასცდენია მეტი. მუშაობდა თავისთვის. მისუფთავებდა ნერვმოკლული კბილის არხებს, მონდომებით მიხრახნიდა შიგ სხვადასხვა ზომის ნემსს. საქმე რომ მორჩა, კბილი კბილზე დამაჭერინა, ნახე, პლომბზე რა-

იმე ზედმეტი ხომ არ არისო, თან ინტერესით ჩამკითხა:

— გიყვართ პოლიტიკა?

თავი გავაქნიე, არა-მეთქი. — პოლიტიკასა და სპორტსმენ ქალებს ვერ ვიტან.

მეგონა, გაეცინებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი... გულზე ხელები დაიკდო და დამეელოდა, რომ წამოვმდგარიყავი.

— ორი საათი არაფერი ჩაუშვათ პირში! — მომაძახა გამოსვლისას.

მაშასადამე, საღილს დავემშვიდობე საბილიარდოში მაინც შევალ! ცოტა თავს შევიქცევ.

საბილიარდოში შინაბერა მასწავლებელი დამხვდა. მომესალმა თუ არა, მაშინვე შემომჩივლა, თამაში მინდა, პარტნიორი კი არა მყავსო. კი, ბატონო, სიამოვნებით გაგიწევთ პარტნიორობას, ოღონდ დიდი ვერაფერი შვილი მოთამაშე გახლავართ-მეთქი.

ის-ის იყო საქმეს შევუდექით, ორორი ხელი გვქონდა გაგორებული, რომ საბილიარდოს ზედამხედველი მოვარდა. შეწყვიტეთ, შეწყვიტეთ, უყვიროდა ჩემს პარტნიორს, ხელში სწვდა და საბიძგებელი ჯოხი გამოჰგლიჯა.

— აქ სასწავლო კურსები კი არაა! თუ თამაში არ იცით, ნუ შემოხვალთ! გუშინ მოვრჩი ამ ოხერი მაგიდის გადაკვრას... მაინცდამაინც უნდა გაფბრიწოთ? როგორ უქლასუნებთ ჯოხს!

შინაბერა მასწავლებელი დადუმებული იდგა. ცხადია, გამოქომაგებას ელოდა, მაგრამ მეც გავრინდდი. სხვა დროს მსგავს შემთხვევაში ქვეყანას დავაქცევდი, სეირს ვუჩვენებდი ამ წვრილკისერა, გარუჯულ კაცს, თვალებს რომ ქაჩავს სიბრაზისაგან. არ ვიცი, რად, ხმის ამოღების სურვილი მეკარგება, მამაკაცური ეთიკის ელემენტარული ნორმის შესრულებაზეც არ ვზრუნავ. აი, რა ჭეშმარიტ არარაობად ჩამოვყალიბდი!.. მომეჩვენა, თითქოს ზედამხედველიც იგივეს ფიქრობდა, ჯოხი ორთავ ხელით ჩაებღუჯა და შემომყურებდა გადმობრაზული თვალებით.

შინაბერა მასწავლებელმაც შემომხედა, უმწეობა და ზიზღი ერთდროულად მომაფრქვია, გაბრუნდა, სწრაფად გასწია კარისაკენ. ასეთ დროს ცხვრისაბრალ ამოღება მოგიწევს კაცს, რომ სახიდან ფურთხი მოიწმინდო. ეროვნითარი განსხვავება არ იყო... რა საშინლად ვეჯავრებოდი ახლა ქალს, რომელიც სიზმრად ბობი ფიშერს ნახულობდა. ვეჯავრებოდი იქნებ უფრო იმიტომ, მისი დამცირების მოწმე რომ გავხდი.

ზღვა მშვიდია და ბავშვების ნაბანარა მტო

— ეგენი შენი ამხანაგებია? — კკითხე ბიჭუნას. მეტი ვერაფერი მოვიფიქრე უცებ, რაღაცათ ხომ უნდა დამეწყო...

თავი დამიქნია, ისეთი ინტერესიანი მოლოდინით შემომაცქერდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გაეგო.

— აქაურები ხართ? — კკითხე.

ისევ დამიქნია თავი.

— ახლოს ცხოვრობთ, ალბათ...

— არა, — თქვა ბიჭუნამ, — საიდანაც ა, ეს წყალი მოდის, — ძველ კალაპოტში დაბრუნებული შესართავიაკენ გაიშვირა ხელი, — იმას ცოტა ქვემოთ სოფელში. ჩვენთან სულ თეთრია, აქ კიდევ ყვითელი... — გულდაწყვეტილმა გაიღიმა.

— ო, მდინარე თქვენებური ყოფილა... ამიტომ აირჩიეთ ეს ადგილი სანანაოდ?

— კი, — თქვა ბიჭუნამ, — და კიდევ იმიტომ, აქ პანაიონატის ზონაა. ავადმყოფები ვერ ბანაობენ და მუდამ თავისუფლებაა. აბა სხვაგან, უჰ!.. — ხელი აიქნია, ჭედვაო, მიმახვედრა უსიტყვოდ.

— ყოველდღე ჩამოდიხართ?

— არა, ყოველდღე ვინ გამოგვიშვებს!

— კარგი აბა, გაიქეცი! — ვუთხარი.

გოცება ჩაუდგა თვალებში, ამისთვის დამიძახეთო? — ამბობდა იმ გოცებით.

ფრანი კი მიქრი-მოქროდა აღმა-დაღმა, მშვენივრად მართავდნენ. ეგზოტიკურ კუდიან ფრინველს ჰგავდა, სულ რომ არ გდომიყო აქერა, მაინც გტაცებდა თვალს.

ლეკანთან დღესაც ვერ დავრეკე... შემომაღამდა ეკვე... ვახშამზე მომეჩვენა, ელვირამ როგორღაც განაწყენებით გამომხედა, უყურადღებო ყოფილხართ, მითხრა, ალბათ. ამოღამაც არ მოვინახულებ ელვირას. აი, ამ საძილე ბებრა გადავყლაპავ და საკუთარ საწოლში დავიძინებ.

მაგრამ ნამეტანი ადრე იწყება ეს შობელძაღლი კისკისს. ბებრი ასე უცებ არ მომეკიდება.

სამჯერ ვურტყამ მუშტს კედელს. რაც ნიშნავს, „გაჩუმდით!“ ან „ცოტა ხმამაღლა დაბლა!“

კედლიდან კაკუნითვე მიბრუნდება პასუხი — „შენ არავინ გეკითხება!“

ისევ მე — „არ გამაგიჟოთ, თორემ!..“

პასუხი — „ფეხებსაც ვერ მოგკუჭამ!“

მე დაადარაკუნებლად აწეული მუშტი ჰაერშივე მიშუშდება. კედელზე ფეხაცმლის ნაკვალევია, განა ერთი და ორი... ისე აშკარად აჩნია ლიმონისფერ საღებავზე, გეგონება, ზედ ეულითო. კაცს ფეხსაცმელია, ასე, ორმოცდასამი ზომა... კვალი ალაგ-ალაგ ჩემი მუშტების ბრახუნით გაბაცებულა...

აქ ახლა აღარც კაკუნს აქვს აზრი, აღარც ჩუმად ყოფნას. გარეთ გავალ, სუფთა ჰაერზე.

შენობაში ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. დერეფნებში შუქი გამოერთოთო, სეფე კარიც ჩაკეტილი იყო. ვესტიბიულში უაზროდ დაიწყეს წინ და უკან სიარული. მორიგე ადმინისტრატორი, ჯაგრათმინან ბერიკაცი, თეჯირს მიღმა რომ ყვინთავდა, ჩემს ფეხის ხმაზე მოფხიზლდა, სანახევროდ წამოიწია.

— გნებავდათ რამე? — ისეთი ხმით გამომძახა, თითქოს ღამის საათებში ლაპარაკი მკრეხელობად ყოფილიყოს აქ მიჩნეული.

— ძილი გამიტყდა, ვიფიქრე, ჰაერზე გავალ-მეთქი. არ მეგონა, ღამით შემოსასვლელი თუ იკეტებოდა.

— აბა როგორ! ჩაუკეტაობა იქნება? — მთლად გაიშალა წელში. — გარეთ გაშვების უფლება კი არა მაქვს. — თეჯირში ჩატანებული კარი გამოაღო და ვესტიბიულში გამოვიდა. — ეხ, ნეტა ახლა ლოგინში გამაგორა!. ვინ მამაძაღლი...

— ერთად ხომ არ გაგვევლო ჰაერზე? — შევთავაზე უარით დაბნეულმა. — ცოტა დროს მაინც მოკლავთ...

— აჰ, ამ კარის გაღება არ იქნება! ტყუილად ნუ მეტყვით!..

— ნუთუ ასე გვიანია? საათი არა გაქვთ?

— საათი სადღა მაქვა, მომპარეა. ვიღაც მამაძაღლმა მატარებელში ამცანცლა მძინარეს. ვერ ვიყიდე მაგიერი. ეჰ, რა საათი იყო! თავიანი ძეწკვითო... ყველას თვალი ზედ რჩებოდა. მუშა, მუშა, ნუ იტყვითო!.. გერმანელების ნახელავი გახლდათ. დღედაღამ წყალში რომ გდებულიყო, წვეთი არ შეუვიდოდა. იმის შემდეგ რა საათში შეიძლება ფული გაიმეტო. ახლანდელი არ მწამს, რა ვქნა...

— რატომ, თანამედროვე საათები ძველებს ბევრად აღარ ჩამოუვარდება.

— რა ვიცი, — თქვა მორიგე ადმინისტატორმა. — ახლა ყველაფერი გაიოლდა. განა ახლანდელებს არ შესდით წყალი?

— ზოგს არა.

ბოლომდე მაინც ვერ დაიჯერა ჩემი ნათქვამი.

ვესტიბიულის მასიურ დედაბოძების ირგვლივ შემოყოლებულ მოზაიკის საყვავილეებში ჯორიანას მსგავსი, წვრილ-წვრილად ჩაკბილულ-ჩახვეული დეკორატიული მცენარე ხასხასებდა. ვუცქირე ერთხანს, მერე მორიგე ადმინისტატორს დავემშვიდობე და ზემოთ ავბრუნდი ჩაბნელებულ კიბეზე.

მივდიოდი ბოშასავით და თანდათან მეკიდებოდა ძილი. როგორ მინდოდა აქვე, კიბის საფეხურზე მეზოარის დამძიმებულ გუდასავით დამეგდო სხეული, მომეშორებინა ეს არაფრისმაქნისი ტვირთი, ანდა სულაც რომელიმე სართულის ნახევარკედელში ჩატანებული კუტიფანჯრიდან შემძლებოდა გავფრენილიყავი, მსუბუქი, სიზმარეული ნეტარების მსგავსად. გავუტეედი მაშინ ზღვისკენ ისე, რომ მორიგე ადმინისტატორის კარის გაღება სულაც არ დამშირდებოდა. იქნებ იმ თოლიასაც გადავწყდომოდი სადმე, ჯონათან ლივინგსტონად რომ მოვნათლე...

ოცნებობდა ნახევარდ დაბინდული გონება. მე კი ნელ-ნელა ვუახლოვდებოდ ჩემს რეალურ შესაძლებლობას, რაც იმით ამოიწურებოდა, რომ შევაღებდი კარს, რამდენიმე ნაბიჯით გადავლიდი ვიწრო ჰოლს, შუქსაც ავანთებ, რთავდი, ისე გაიხდიდი ტანსაცმელს და პირდაპირ ლოგინში შევძვრებოდი.

დერეფანში ბნელოდა, ასანთიც არა მქონდა და საკეტის ნახვრეტში გასაღების მორგება გამიჭირდა.

ჩემს ჩხაკუნზე მეზობელი ოთახის კარი გაიღეს. ჯერ სინათლის ჭავლი გამოსხლტა სიბნელეში, მერე ზღურბლზე მდგომი კაცი დავინახე. „მოკისკისე სამოთხის ჩიტა აცილებს, ალბათ“, — გამიელვა. მაგრამ კაცმა მე მომართა:

— დახმარება ხომ არ გჭირდებათ?

— ბნელა და კარს ვერ ვაღებ, — ჩავილაპარაკე არამკითხე მოამბის პასუხად, ისევ განვაგრძე ხლაფორთი.

— თუ ნებას მომცემთ, მოგინათებთ, — ჯიბეში ჩაიყო ხელი, ეტყობა, ასანთის მოსაძებნად. — მაგრამ იქნებ ცოტა ანს სულაც მე მწვეოდით. მომკლა უძილობამ...

ამას არ ველოდი... ყველაფერს ველოდი და ამას არა.

— კეთილი, — ვთქვი მაშინვე, კარს თავი ვანებე. — რახან ასეა...

ერთი სული მქონდა, თავით ფეხებამდე გვარიანად შემეთვალიერებინა ეს ბედნიერი კაცი, ღამის უძილობას ქალის კისკისით რომ ივსებდა. „ნეტა ერთი და იგივე ქალი ჰყავს ხოლმე, თუ სხვადასხვა? ხმა თითქოს ერთი და იგივესა ჰგავს“. ჩემი სმენის პატრონს ზუსტად უნდა სცოდნოდა ეს, მაგრამ კისკისი იმდენად შემაწუხებლად, ღამის ძალადობასავით მომეჭრებოდა ხოლმე ღამეებში, იმდენად თავსმოხვეული ზედმეტობად, უკვე ქალთან კი არა, უფრო რაღაც სატანურ სპეკტრთან იყო დაკავშირებული, დახუჭული თვალების წყვდიადში რომ გადაივლიდა და ლურჯი სიცილის მოლოდინით მზაფრავდა.

აი, რაზე ვფიქრობდი, როცა ღამის სანათურით ნახევრად განათებულ ოთახში შევყევი მეზობელს. ზუსტად ჩემნაირი ოთახი იყო, ოღონდ მომეჩვენა, ავეჯიც მეტი იდგა და სიმყუდროვეც.

კედლები ქალის ფოტოებით აეჭრელებინა.

— ჩემი აწ გარდაცვლილი მეუღლე გახლავთ, — ამიხსნა მოკლედ, — არ გაგიკვირდეთ, ყველგან თან დამაქვს ეს სახსოვრები, სხვა აღარა დამრჩარა. — კედლებიაკენ მოატარა მზერა — აი, როგორი ბედნიერი ვიყავი! — ერთ, შედარებით დიდი ზომის ფოტოზე მიმითითა — თვითონ იჯდა, ქალი კი უკნიდან მოხვეოდა და იცინოდა. — ასეთი იყო ჩემი იუნონა... დაბრძანდით! — თვითონაც დაჯდა, ფიქრიანად დამიწყო ცქერა. აი, მისი ხმა. — და მაგიდაზე დახვავებულ კასეტებზე მიაშვირა ხელი.

— მე კი მეგონა!.. — ამოვღერღე, საკუთარმა ხმამ უზომოდ გამახარა, მეგონა, ენა გადამეყლაპა-მეთქი.

— კედელზე რომ მიბრახუნებდით, მიეხვდი, რაც გეგონათ... ჩემი სახელი დიმიტრი გახლავთ. თქვენი ვიცი. ყოველთვის ვგებულობ მეზობლის სახელს, ჩვევა მაქვს ასეთი, რაიმე განსაკუთრებულობად არ მიიღოთ. თქვენ წინ რომ იყო, იმას

ასე და ისე-მეთქი, ვიკურთხებოდი გულში. მაშინვე ლურჯი სიცილის აბლაბუდა აეფარა დიმიტრის, ჩემკენ გამოცურდა

თვალები დავხუჭე, საკარძლის ზურგს მივეყრდნენ ნამდვილად ვერ ვიტყოდი, მიცვალებული ქალის კისკისის მოსმენა მერჩია მთელი ღამით თუ ეს წამიერი ჯოჯოხეთი, ჰოდა, დავხუჭე თვალი და აღარც გამიხელია. დავხუჭე თვალი და თან წვიფე უტყუარი დიაგნოზი:

ზედმიწევნით მგრძნობიარე კაცი ეყო �диონი...

ცალი ხელით მივები ვიღაცას თუთის მოკლედ შეჭრილ ტოტზე და თოკივით კოწწიალობდი. ჩვენი ეზოს თუთა იყო, ზედ შემოჩეულ ჩიტებს რომ აფრთხობდა დედაჩემი. ახლა არც ერთი ჩიტი არ ჭაკნებდა, ოღონდ ფოთლებს დაეწყო ცვენა. გზრიალით მოფრინავდნენ დაბლა, ზედ ცხვირთან ჩამომიფარფატდებოდნენ. „შემოდგომა დამდგარა, — ვფიქრობდი. — ბავშვებიაათვის კი თბილი ბათინკები ჯერ არ მიყიდია“.

დაბლა თმაგათეთრებული დედაჩემი იდგა, წითელი კაბა ეცვა (წითელი მისი საყვარელი ფერია) და რაღაცას მიყვებოდა მონოტონურად. ერთი სიტყვაც არ მესმოდა... კოწწიალობდი საცოდავად, თან მიკვირდა, ნუთუ ვერ ხვდება, რომ უნდა მიშველოს, რას დამდგარა და ლაქლაქებს, გავიდეს, ვინმეს დაუძახოს. ქათამი რომ ჰყავდეს დასაკვლელი, ხომ გაუდარაჯდება გზაზე გამვლელს, ლამის ჭირს მოსჭამს, მეცი პატივით. ახლა კი!..

ქათმების კვერცხის დადების დრო იყო, ერთბაშად რომ იწყებენ კრიახს. გულის შეღონებამდე მივყავდი ხოლმე ამ კაკაფონიას, დედაჩემს კი სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, მე მსიამოვნებს, რა ცუდი მოსასმენი ეგაო.

„ნეტა გაუშვიაოა, მოაშოროს აქედან ეს ქათმები, ისედაც სული ბეწვზე მიკიდია“. — ვფიქრობდი და ვიცოდი, დედაჩემამდე ვერ მიაღწევდა ფოთლები კი ცვიოდა. მშურდა ფოთლების, რბილ ტკაბანს რომ გამოსცემდნენ მიწასთან შეხებისას.

მთელი ხელი წამერთვა. გადამწყდებოდეს მაინც მაჯაში! — ესოდა დამრჩენოდა სანატრელად, — თოკი ჩამჭრიდეს-მეთქი!

ფოთლებთან ერთად დავეშვებოდი, ფეხწინ დავუვარდებოდი დედაჩემს, მაშინ იქნება მიხვედრილიყო რამეს. მაინცდამაინც პირდაპირ უნდა მეთქვა: — აჰა, ძე შენი... რაც ნიშნავდა: თუ მეტის გაგების თავი არ გქონდა, რაღად მაჩენდი! რა უფლებით მაჩენდი!

ის კი დგას, თხილს იღებს წითელი კაბის ჯიბიდან, კბილით ამტვრევს და იღეჭავს.

საკუთარი კვნესა მზარავს, უხმო, გვამში აბორგებული კვნესა. ცოფიანა ვემსგავსები და ვყვირი:

— წადი, იქით წადი, რომ კნატკენუტი მაინც არ ვისმინო! გაოცებული ამომცქერის.

— ნეტა, რა გიკვირს! ყველაფერი შენი ბრალია და თანაც გიკვირს!..

— რატომაა ჩემი ბრალი?

— იმიტომ, რომ ჩიტებს აფრთხობდი! რაც თავი მახსოვს, სულ ჩიტებს აფრთხობდი!

უჩუმრად შეტრიალდა. აღარ ჭამს თხილს. ხელები ჩამოუშვია, დატუქსული ბავშვივით მიდის. საშინლად მეცოდება, იმიტომ, რომ ბნელია, იმიტომ, რომ ინსტინქტების მეტი არა გააჩნია რა. თუ არ მოაბრუნებ, ასე ივლის დაუსრულებლად, სანამ ძალა არ გამოეცლება. სანამ გული არ გაუჩერდება. არადა, ბებერია. აწი ვეღარაფერს იღწვლის.

შენდობის სურვილი მიპყრობს. თუ არა მე, აბა სხვა ვინ შეუნდობს მის სიბეცეს, თუ არა მე, სხვამ ვინ დაიტიროს სიგლახაკე მისი, სიბრიყვე და სიმარტივე მისი.

უცებ ვიგრძენი შვებაც, რაღაც სასწაულებრივი ძალით ავეხსენ ტოტს და მსუბუქად ვკიდივარ ჰაერში.

... დამლაგებელს კი დაფეთებული სახე აქვს. ჩემ წინ ჩაჩოქილა და სახეში ჩამშტერებია.

— გული გამისკდა ლამის, — მეუბნება ხმაკანკალებული, ტირილმომდგარი, — ვიფიქრე... მტრისას, რაც ვიფიქრე. გილაწუნეთ და გილაწუნეთ ლოყებში. — დაწოლებულ ხელისგულებს მიჩვენებს. — თქვენ რომ... — ვერ ახერხებს ბოლომდე, მაგრამ ვიცი, რისი თქმაც უნდა. — რა დაგემართათ, აქამდე მოსულხართ და კარის გაღება ვეღარ შეძელითო? — მხარში მიდგება, ცდილობს წამომაყენოს.

— როგორ გრძნობთ თავს? — მეკითხება, როცა ოთახში შევდივართ.

— შესანიშნავად.

ფარდას ვწევ ფანჯარაზე, რომ მეტი ნათელი შემოვიდეს. არ ვიცი, რად ვიქცევი ასე. სხვა დროს, პირიქით, ვაბნელებ ხოლმე ოთახს. მერე ვამბობ:

— მართალი ზედმიწევნით მგრძნობიარე კაცი იყო

სოდაც გადის. შენ რომ წამზომებით სდიო, გააჩერებ, დაეწევი, ოდნავ მაინც შეაფერხებ? მაგრამ თვისება გვაქვს ჩვენ — ბუნების მიერ გაჩენილ ცხოველთა სამყაროს მეფეებს — ყველაფერში ცხვირი ჩავყოთ.

აქ ჩემთვის დღის ყველა დრო ერთნაირია. სხვებს, ალბათ, შედარებით, საღამოს გაყვანა უჭირთ. პროცედურები მომთავრებული, წყნარი საათი მომთავრებული, ჭამა-სმა მომთავრებული... რაღა უნდა გააკეთონ? მუდამდღე ჩემმა მტერმა უცქირა, აქ რომ ფილმებს უჩვენებენ!

საღამოა. უკანა მხრიდან მოვუარე პანსიონატის შენობას. მწვანეში ჩადგმულ ქვის მაგიდასთან დომინოს მოთამაშენი მიმსხდარან. ერთობა ხალხი, რა ქნან... როგორც ახერხებენ, რამდენზეც ხელი მიუწვდებათ...

ფიქვებთან კი სულ ბებრები შეკრებილან, ქალებიც, კაცებიც, სიცილი და გნიასია. თუმაც ნუ იტყვი, ფანტს თამაშობენ, ჩვენი დორაც აქ მობძანებულა.

— ამის პატრონმა რა ქნას? — კითხულობს ფანტის ამომღები ხმელხმელი შავი ქალი.

— მაგის პატრონმა რა ქნას და... — აჭიანურებს პასუხს ულვაშებგაფუებული ჩიფჩიფა ბერიკაცი.

— ოღონდ ძნელი არაფერი თქვათ!.. იცეკვოსო, ხეზე აძვრესო, მალაყს გადავიდესო, შეგვიბრალეთ, დაცვენილი ხალხი ვართ... — ხუმრობს ღიპიანი კაცი.

— მშვიდად ბრძანდებოდეთ! — ჩიფჩიფებს ულვაშებაფუებული, — ჩვენთვის ახლა მთავარია სიმშვიდე და დადებითი ემოციები. ამიტომ მაგის პატრონმა აგერ, ქალბატონ თამარს აკოცოს.

ჩხიკვნისკარტცხვირიანი ჭაღარა მანდილოსანი უმწეოდ ასავსავებს ხელებს. ატეხილ გნიასში მას აღარავინ აქცევს ყურადღებას.

— ვისია! ვისი! — იძახის ფანტის ამომღები, ორი თითით აფრიალებს ლუჯუჯრედებიან, დაკეცილ ცხვირ-სახოცს.

— ვისია! ვისია! — კითხულობენ აქეთ-იქით.

— ჩემია, — აცხადებს ყავარჯნიანი მოხუცი კაცი, წამოდგომას ლამობს, გვერდით მსხდომნი ეხმარებიან. ძლივს სწორდება, ჩოჩიალით მიდის.

— ქალბატონო თამარ, ცოტა თქვენც მიეხმარეთ, ნახეთარ გზაზე მაინც... — ციგნობს ვიღაც. მაგრამ ქალი აწურული ზის, არ აპირებს განძრევას. ხეიბარი თანდათან უახლოვდება. ყიჟინა მატულობს.

მბეზრდება ბრიყვული თამაშის ცქერა, გზას ვაგრძელებ. ხეიბრის საცოდაობით აღარა ვარ. ძვირად დაუჯდა ერთი კოცნა. აი, ამათი სექსი — ამის პატრონმა ამას აკოცოს, ამის პატრონს იმან აკოცოს... სექსი? ჯგუფური ხომ არა, შემთხვევით? მეცინება.

უაზროდ მივყვები გრძელ გაზონს. უცებ წარმოვიდგინე, იმ გაბავშვებულ მოხუცთა შორის რომ მენახა შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი, კაცი, რომელსაც თეთრი ვეშაპებისათვის, ალბათ, შიგ თვალებში უცქერია...

აი, ისიც... მართლა რა ფერფლისფერია. ზის დაშრეტილ შადრევანთან, წოპწოპაჭედიან თათარს ესაუბრება. შემამჩნია და ხელი დამიქნია. ნეტა ეს ფერფლისფერი კაცი როგორ მოიქცეოდა, ცეცხლმოკიდებული რომ გამოკიდებოდა? აი, რის გაფიქრება მოვასწარი მასთან მისვლამდე.

თათარი რაღაც საგანგებოდ დამაკვირდა, როცა შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი ჩაიწია და ადგილი გამთავისუფლა სკამზე. ახლა, ალბათ, თათარს გამაცნობს. ხელი უნდა ჩამოვართვა? მერე დაიწყება კითხვა: რას უჩივი? საიდანა ხარ? ვინა ხარ?

მაგრამ თათარი მოულოდნელად ადგა და წავიდა.

— ამ თათარმა გახსენათ სწორედ ამ ცოტა ხნის წინ, — მითხრა ფერფლისფერმა კაცმა.

— რაო, თათარმა? — ჯიუთხე სხვათა შორის.

— მგონი, თქვენი გაცნობა უნდოდა, — ისე ჩაფიქრდა ამის თქმაზე, თითქოს საკუთარ მეხსიერებას ამოწმებსო.

მივხვდი, რაც ოიცებდა. თუ ჩემი გაცნობა უნდოდა თათარს, რას წამოხტა და გაუტია..

— კაცი დავბერდი და რამდენი რამ არ მესმის, — ჩაილაპარაკა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ შორეული ცურვის ყოფილმა კაპიტანმა. მარცხენა ღაწვისთავი შეუტოკდა.

ძალმა ჩაგვიძუნძულა წინ და იმაზე გადავიტანეთ ყურადღება, შავხალვიანი თეთრი ძაღლი იყო.

— მზარეულს ჰყავს მოჩვეული, — თქვა ფერფლისფერმა კაცმა. —მთელი ღამე ყმუის. არ გაგიგიათ?

თავი გავიქნე.

— ბედნიერებაა ღრმა ძილი... მე კი გალიაში დამწყვდეული მგელივით დადივარ შუაღამემდე. დაბლა სართულიდან შენიშვნაც მომცეს, ფეხის ხმა გვაწუხებსო. ძალის ყმუილი არ გაწუხებთ-მეთქი? ამხანაგო, ეგ ჩვენს უფლებებში შედის, ძალს გვინდა ავიტანთ, გვინდა არაო. თქვენ კი ვალდებული ხართ, სხვებს ანგარიში გაუწიოთ, ღამით არ იმოძრაოთო! რას ეტყვი...

— ვინ არიან? — დავინტერესდი.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჩვეულებრივი ადამიანები არიან, როგორც ყველა... — ისევ შეუტოკდა მარცხენა ღაწვისთავი.

ფანტის მოთამაშენი აშლილიყვნენ, მათ ასაკს შეუფერებელი ყივილ-ხივილით გადადიოდნენ დაყვავილებადაწყებული მაგნოლიით თეთრად მოპენტილ მოლზე. მოკლეზე აპირებდნენ ზღვისკენ ჩასვლას.

— შესანიშნავად ერთობიან, — თქვა შორეული ცურვის ყოფილმა კაპიტანმა. — როცა მარცხენა ღაწვისთავი უტოკავს, გეგონება, თვალს მიკრავსო. — ყოველთვის მშურდა ასეთი ადამიანების... და კიდევ იმათი, ვისაც თქვენსავით ჩუმად ყოფნა ეხერხება. ან გართობა უნდა შეგეძლოს, ან დუმილი, ასე არაა? — სახეში ჩამაშტერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხერხულობა ვიგრძენი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა, ან საერთოდ, უნდა მეპასუხა თუ არა.

— მეგობარი მყავდა ახალგაზრდობაში, ჭირიც და ლხინიც ერთი გვქონდა. უთქმელი კაცი იყო... დღე ისე წავიდოდა, ორ სიტყვას ზედიზედ არ გადაამბდა. ერთთავად ფიქრობდა, თავისი თავიდან ვერ გამოიყვანდი. რომ გიყურებთ, ის მაგონდება. თქვენ ჯვარი გწერიათ, ომში დაილუპა. ამბობენ, თავი მოიკლაო. მჯერა, რომ ასე იქნებოდა. თქვენნაირებს ომში ტყვია არ უნდა მისცე! კი, ასეა... გინდ დამეთანხმეთ, გინდ არა, ასეა!

მდუმარედ შეეცქეროდი და ძალიან მომწონდა, მგრძნობიარე იყო... არც ცდილობდა დამალვას.

— იქნებ ბევრის უფლებას ვაძლევ თავს, — ბოდიშივით თქვა მერე, რადგან ერთი სიტყვაც არ დამიძრავს მისი აზრის არც საწინააღმდეგოდ, არც დასადასტურებლად. — კოსტა კი უეჭველად გაგეცნობათ. თათარს ჰქვია კოსტა. ახლა წავალ, ცოტას ზღვისკენ გავუყვები.

კოსტამ ღამით მომაკითხა.

— ჩემნაირი ავეჯი გიდგას, — ძველი ნაცნობივით ფამილარულად დაიწყო შემოსკლისთანავე. მოხერხებული საკარძლებია, თუ გინდა, შიგვე დაიძინებ. მაგრამ რა, ხავერდს ვერ ვეკარები. ბუსუსები მაყრის. ატამზეც ასე მემართება. ვინმემ თუ არ გამითალა, ხელს ვერ ვახლებ.

ტახტიც ხავერდგადაკრული იყო და ალარ ვიცოდი, დაჯდომა როგორ შემეთავაზებინა. გამახსენდა, ივანზე მოწნული სკამები რომ იდგა. შემოვიტანე, უსიტყვოდ დავუდგი. ისიც დაჯდა.

— პატარა საქმე მაქვს, — თქვა, წოპწოპა ქუდი შეისწორა, — შენ ფეხზე იდგომები? — მკითხა თან შეწუხებულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარძელში ჩავჯექი და სმენად ვიქეცი.

— ხალიჩა ხომ არ გინდა შეიძინო? — საქმიანი, ძალზე საქმიანი კითხვით მომმართა.

უარის ნიშნად თავი გავუქნიე.

— ვიფიქრე, იქნება მეც რამეში გამოგდგომოდი... — ისევ შეისწორა წოპ-წოპა ქუდი. — ისე კი ჩემთვის სულ ერთია, ნაღდ ფულს ჩაგითვლი...

ვერ მოვითმინე, არ მესმის, რას ლაპარაკობ-მეთქი, ვაწყვეტინებ სიტყვას. „კომერციონერი ვგონივარ“, — ვფიქრობ თან ჩემთვის.

— თაგვისფერი პიჯაკი რომ გაქვს, იმაზე... — ჩემს ერთადერთ პიჯაკზე მეუბნება, — რამდენი ხანია, სწორედ მასეთს დავეძებ, ვერა და ვერსად წავაწყდი. ადრე მქონდა... ახალი დაქორწინებული რომ ვიყავი პირველ ცოლთან, ოდესაში გემზე ვიყიდე ვიღაც მოგზაურისაგან. რაც იმ პიჯაკში ბედნიერი დღეები გავატარე!.. — ხელი ჩაიქნია იმის ნიშნად. ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანსო.

— ახლა რამდენი ცოლი გყავს? — საშუალება მომეცა საუბრის თემა შემეცვალა.

მარჯვენა ხელის ცერი და საჩვენებელი თითი ჩაკეცა, დანარჩენი მაღლა ასწია. ისეთ უმნიშვნელო კითხვად მიიღო, სიტყვების დახარჯვადაც არ ულირდა.

— კაცც შენ ყოფილხარ! — ვთქვი და თვალი ავარიდე მის შეყვეთლებულ სახეს. „ცოლზე ხომ არ სჩერს ამ საცოდავს?“ — გავიფიქრე.

— ეგ რა დიდი კაცობაა... არიან ერთად, ქსოვენ ხალიჩებს. ჰოდა, ბოლოს ესაჰ!.. — ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს გაუქლასუნა, ფულიო.

— მოკლედ, ცხოვრობ ღმერთივით.

— არა უშავს! — კმაყოფილებით ამოიქშინა, — ვერ დავემდურები ბედს... ოღონდ ეგ პიჯაკი რომ მომცა!.. გაიმეტე და მომყიდე, რა მოხდება!..

— ვერ გავყიდი, — ვთქვი გადაჭრით. — მე მაგაში ფულს ვერ ავიღებ.

— ვითომ რადა?

— იმიტომ, რომ მუქთადა მაქვს ნაშოვნი.

თვალები გაუფართოვდა. — ეგ როგორ!..

ეგონა, ალბათ, ვეტყოდი, კარტში მოვიგე-მეთქი ან საჩუქრად მივიღე, ან სულაც ვიპოვე-მეთქი, მაგრამ ჩემდა გასაკვირადაც, ისეთი რამ მოვიროშე, მილიონში ერთი კაციც ვერ მოიფიქრებს.

— გულახდილად გეტყვი. — საკუთარი ხმა ვეღარ ვიცან. — სამსახური მაქვს ისეთი, ტანსაცმელს იოლად ვშოულობ. კრემატორიუმი გაგიგია?

— მიცვალებულებს რომ წვავენ?

— გცოდნია და ეგაა! სწორედ მაგ სამეგ მ.ბარია. შევასვენებ გვამს და გამოვიღებ ფერფლს. ერთი მითხარი, აქეს რაიმე მნიშვნელობა, მკვდარი ტანსაცმლით დაიწვება თუ შიშველი? არაფერი, ხომ? — გამომეტყველებაზე ვამჩნევ, მეთანხმება. — ჰოდა, გახდასაც რაღა დიდი საქმე უნდა!.. მთავარია, თვალში მომივიდეს.. მიმიხვდი?

ოღნავ ჩაიღიმა, მოსწონდა ჩემი საზრიანობა. არ დააყოვნა, მაშინვე შემომტარა:

— ეგ რა კარგი ხელობისთვის მიგიყვანია?

— თაგვისფერი პიჯაკიც იქაურია... მიცვალებულს მოვპარე. ახლა რა სინდისით გავყიდო? აბა, დაფიქრდი, ხომ უკადრისი საქციელი იქნება, ჩემი მხრიდან ფულის აღება?

ჩაფიქრდა. — მართლაც ვერ გამოდის ლამაზი... — დაამკვნა მერე. ოღონდ წყალი როდი გადაუწურავს, — თუ ასეა, აწიც ხომ იშოვი...

— ეგ უკვე სხვა საქმეა.

— ოღონდ ზუსტად ასეთი... ორი ერთნაირი შენ რად გინდა?

— არც არაფრად. უთუოდ დაგითმობ... ფულზე ლაპარაკი კი არ გამაგონო... სახსოვრად მოგართმევ.

— რას ამბობ, კაცო! — უხარია, ლამის ცას ეწოს.

სიერუის აზარტი საშინელ დაღლილობაში გადამეზარდა. ავდექი, სიარული დავიწყე ოთახში. ის კი თავით ფეხამდე მათვალიერებს.

—ეგ ფეხსაცმელიც იქიდანაა? — მკითხა მერე.

— რასაკვირველია.

ქვედა ტუჩი გამობერა მოწონებისა და განცვიფრების გამოსახატავად.

— რატომ არ გინდა ხალიჩა? — ისე მკითხა, მივხვდი, მარტო პიჯაკი ეცოტავებოდა, მაგრამ მეტის თხოვნას როგორღა გაბედავდა.

— ხალიჩას ვერ ვიტან! — ვთქვი ზიზღით, თითქოს ქვეწარმავალი მეხსიერებინოს. — გულს მირევს ჭრელჭრელები!.. — ვიცოდი, არ ეპიტნავებოდა ასეთი განცხადება, მაგრამ უკან დამხვევი აღარ ვიყავი, ვუსპობდი სამაგიეროს შემთავაზების ყოველგვარ საშუალებას, ბოლომდე მინდოდა დამერწმუნებინა, რომ მუქთად მოპოვებული მუქთადვე შემეძლო გამეცა. — მოკლედ, როგორც დაგპირდი, ისე იქნება!

— ზუსტად შენნაირი... ორ ღილზე... ვიწრობორტიანი.

— გაიგებთა! — უკვე თავს ძალას ვატან, გაღიზიანება არ დამეტყოს.

— მაშინ ჩისამართი დაიტოვე, თორემ სად მომაგნებ, — ცმუკავდა, ვეღარ ჩერდებოდა ერთ ადგილას.

უბის წიგნაკი გადავშალე, ავტოკალამთან ერთად გავუწოდე თათარს და ვუთხარი:

— შენი ხელით ჩაწერე.

მუხლისთავზე დაიდო უბის წიგნაკი, ლამის ხატავდა ყოველ ასოს, ისეთი მონდომებით გამოჰყავდა, ზედ აკვდებოდა, ცდილობდა გარკვევით დაეწერა.

— კეთილი და პატიოსანი... — ვთქვი ბოლოს, წიგნაკი რომ დამიბრუნა და მეც ფეხზე წამოვდექი ნიშნად იმისა, ვიზიტი დამთავრებულად ჩავთვალოთ-მეთქი.

მიხვედრილობა არ აკლდა. მაშინვე წასასვლელად გაემზადა.

— სწორად მოვიქეცი, რომ მოვედი, — მითხრა კარებში გასვლისას, შერე რაღაც მოაგონდა, შეცბა:

— გამოგზავნის ფული?..

ხელი ჩავიქნიე, ეგ რა სალაპარაკოა-მეთქი. კაპიკების ამბავია...

— კარგი, კარგი, გნახავ,.. ჯერ ხომ აქა ვართ,—თქვა ისე, კიდევ უნდა მქონოდა მასთან შეხვედრის ბუდნიერება.

მეგონა, მარტო რომ დავრჩები, გულიანად ვიხარხარებ, კარგა გავერთობი მეთქი, მაგრამ უკაცრავად, საშინლად ეამფუჭებოდა გუნება. არ ვიცოდი, თათარი უფრო იდიოტურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, თუ მე. მაგრამ ორი დღიზა საძილე აბი დავლიე და მალე ღამეძინა.

დილით, ის იყო ოთახიდან გასვლას ვეპირებოდი, კარის სახელური ვიღაცამ მოსინჯა. აშკარად დავინახე, როგორ ნელა დაიწია დაბლა სახელური და კვლავ პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. მაშინვე გასაღები გადავატრიალე და გამოღებული კარიდან გავხედე კაცს, რომელიც აუჩქარებლად მიაბიჯებდა ფარდაგზე, თან უკანუკან იცქირებოდა.

— შინ ყოფილხართ? — მკითხა უცერემონიოდ და უკანვე მობრუნდა. — ვიფიქრე, უკვე საუზმეზე წახვედით. დაკაკუნება კი გადავწყვიტე, მაგრამ, რა ვიცი, თავი შევიკავე მაინც.

— განვავდათ რამე?

— მეც ამ სართულზე ვცხოვრობ... ვიფიქრე, დაველაპარაკები-მეთქი. დაკაკუნება რაღაც ძალიან საგანგებო რამ არის. — უკვე კართანაა. ერთი შემოპატიჟებაღა აკლია.

— მობრძანდით, — ვამბობ იძულებით.

— აქა მშვიდობა, — ილოცება ფეხის შემოდგმისთანავე. უშნოდ იკრიჭება, მტყუანივით, მთლად ჭკუადაწყობილს არ უნდა ჰგავდეს.

— ხომ არ აჯობებდა, ბარემ საუზმეზე წავსულიყავით? — ძველი ძმაკაცივით მიცხადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა ძნელი მისახვედრია, საუზმეზე წამსვლელი კაცი უჩემოდაც რომ წავიდოდა? სხვა რამ აწუხებს.

— ბრძანეთ, რაღაცის თქმა გინდათ, ბგონი...

იშმუშნება, ხან ოთახს ათვალიერებს, ხან მე.

— იქნებ გზადაგზა გველაპარაკა, თან გავიცნობდით ერთმანეთს... დაეახლოვდებოდით.

— მითხარით! — მოთმინება აღარ მყოფნის. ამასთან დაახლოებული მაკლია! „დიმიტრის მოგზავნილია ნამდვილად. ეტყობა, კისკისით პირთამდე სავსე ღამე ჰქონდა. მე კი არაფერი გამიგია. დიმიტრიმ ხომ არ იცის, რომ არ გამიგია. თავს მოვიკრი, თუ ასე არ იყოს!“ — უფრო მიმძაფრდება ინტერესი. — დაახლოების იმედად ნუ დავრჩებით, თორემ შეიძლება დაგვიგვიანდეს, — ვამბობ უკვე გაღიზიანებული. კაცი ახლა ვან-გოგის ნახატის რეპროდუქციას უყურებს, თითქოს ის, რაც უნდა მითხრას, სულაც არაა პირველხარისხოვანი და სასწრაფო. მართლა რა უშნოდ იკრიჭება...

— ჩემთან, იცით, რა კიდია? მოიკიკავე ქალები. ფეხის წვერებზე დგანან გამქვირვალე კაბებში გამოწყობილნი. შეხედავ და გგონია, უნდა გადმოფრინდნენო. ყველა ოთახში სხვადასხვა სურათი კიდია...

— ეს იმიტომ, რომ ესთეტიკური სიამოვნება მიიღოთ, მაგრამ თქვენ ხომ ახლა ეგ სურათები არ გაინტერესებთ... — ერთი სული მაქვს უკვე, როდის წავა, იტყვის თუ არა სათქმელს, ფეხებზე მკიდია. ისეთი დაბალი შუბლი აქვს, ისე ერთმანეთთან ახლო მიმჯდარი თვალები, ტკბილის ნატამალი არ უნდა გააჩნდეს. კი მაგრამ, ასეთი პრიმიტივი მომიგზავნა დიმიტრიმ? ამან რა პასუხი შეიძლება მიუტანოს?

საათს დავჩერებივარ, აშკარად ვაგრძნობინებ, შენი დრო არ მაქვს, ამოღერღე თუ რამეს აპირებ და მოუსვიმეთქი.

— წავიდეთ საუზმეზე, — არ იბნევა პრიმიტივი.

— მე მეორე წყებაზე შევდივარ, მანამდე კი ცოტა ხანს უნდა ვაკვირდეს შენობიდან, საქმე მაქვს... — აშკარა უპატივცემლობა ივრძნობა ნათქვამში, მიმხვედრი მიხვდება. — იქნებ დრო აღარ დაგვეკარგა? — ვუმატებ მაინც.

— დრო... — თქვა კაცმა, — დრო დაკარგულია და ეგაა!.. დროს რადას უშველი, როცა ნახევარი სიცოცხლე გაფრინდა...

შეიძლება გული შემიღონდეს... ახლა ამან თუ ფილოსოფია დამიწყო!.. რა ვუპასუხო? — ვფიქრობ საგონებელში ჩავარღნილი. „იქნებ არც არაფერი არ უნდა ვუპასუხო!“ მას კი სულ არ ენაღვლება ეს, ფეხებზე დამჩერებია.

— შესანიშნავი ფესაცმელი გაკვია... იქაურია? — მეკითხები კვლავ კრეჭით. თვალები თითქოს უფრო ახლო მიუდის ერთმანეთთან.

ანრზე ვერ მოვდივარ, რა იქაური, რას გულისხმობს.

— არამეკითხობაში ნუ ჩამითვლით, — ბოდიშობს უკვე. — ჩემი გასაჭირი მაქვს, ეს იმიტომ... რა ხანია, სალამანდრებს დავეძებ, ვერ ვშოულობ, რა ვქნა!..

ყველაფერს მიკეთდი. დიმიტრი არაფერ შუაშია.

— როგორ თუ ვერ შოულობ! — ავყვევი პრიმიტივს. — სალამანდრების შოვნას რა უნდა!..

— ეგ თქვენთვის. თქვენთვისაა ადვილი. მე მხოლოდ ერთადერთხელ მქონდა ცხოვრებაში ბედნიერება, როცა ფეხსაცმელი პოდაგრის ძვლებს არ მტკენდა. ეჰ, ნეტა მეღირსება კიდევ?.. ღია აგურისფერი იყო, თევზის ახეულ ლაყუჩს უგავდა უკანიდან ქუსლი, თასმებით იკვრებოდა და ერთ ნაკერსაც ვერსად უნახავდი. რბილები... რბილები... ის იყო და ის... მსგავსი აღარაფერი მცმია. თუ მოისხამ მადლს და მაშოვნინებ, ასე ვთქვათ...

თავს ვუქნევ, მიგიხვდი-მეთქი, სიმწრით მეღიმება.

— მერე მიცვალებულის ნაქონს ჩაიცვამ? — ვეკითხები.

— გინდაც თვით საიქიოდან იყოს

წამოღებული, ოღონდ ისეთივე... რბილი... ნამდვილი სალამანდრები... რაც ელირება... მზადა ვარ, ყველაფერი გავყიდო და ის ერთადერთი სალამანდრები ვიყიდო!..

— ფულზე ნუ ვილაპარაკებთ! — ვუცხადებ კატეგორიულად, — მიცალებულს ქონება მხოლოდ ქველმოქმედებას შეიძლება მოხმარდეს.

— აბაშენა... კაციც შენ ყოფილხარ! აი, მისამართი. წინასწარვე გავამზადე, გულმა მიგრძნო, უარით არ გამისტუტრებდი. — იხრება, ოთხად გაკეცილ ქაღალდს დებს საწოლთან მდგარ ტუმბოზე. — წავალ ამა საუზმეზე, გვიანდება... — თავს მიკრავს. ახლა ორმაგად აუტანელია მისი კრეჭა.

ღმერთო ჩემო... ღმერ... ლურჯი სიცილი მოდის და სათქმელს პირიდან მაცლის... საზიზღარი აბლაბუდა... ვასწრებ თვალის დახუჭვას, ვირინდები. თვალის დახუჭვა ოდნავ მშველის.

საუზმეზე მღვდელი ბუზღუნებს, რად აგვიანებს მომტანი, პროცედურა დროზე უნდა მივიღო, მერე, შვილოსა, ნათლობა მაქვს, ამდენი ლოდინისათვის სადა მცალიაო.

— როგორ, მამაო, აქაც გყავთ მრევლი? — ეკითხება შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი.

— მაშ, როგორ, მაშ როგორ, — თან საჩხერელ მძღოლს გასცქერის, სიცილით რომ ხოცავს ირგვლივ მსხდომთ. ალბათ ფიქრობს, რით ვეღარ ჩამოუვიდა თავისი ავტობუსიო.

— კომუნიკაბელური კაცია, — ამბობს დორა. — ისიც საჩხერელ მძღოლს გულისხმობს, რა თქმა უნდა.

მღვდელი ახლა ჭიქებს დასჩერებია.

— ერთი დიდი, გემრიელი ფინჯნით დამალევინა ეს მდუღარე... — ბურტყუნებს.

— მაშინ ფინჯნის თან ტარება მოგიწევთ, მამაო, — აფრთხილებს ფერფლისფერი კაცი.

— მომიწევს და ძალიანაც კარგი!.. ბოტკინიანის ნატუჩარს მაინც ავცდები.

— ბოტკინი რა შუაშია? — უკვირესად გაოცდა დორა.

— აი, იქ, წითელმოსასხამიანი ნამ ხომ ხედავთ, — მღვდელი ელვირაზე ანიშნებს, — ბოტკინი სჭირს.

დორას თვალები უფართოვდება, მაგრამ მისი თვალები ჩემსასთან, ალბათ, რა მოსატანია. თავში რომ მარტყამს, ფეხებამდე გამდის.

— დიტექთანი კართან რისთვის დგას? — განაგრძობს მღვდელი მშვიდად, — გავა თუ არა, შესამოწმებლად წაიყვანს, მერე გუდა-ნაბადსაც აუკრავენ! მითქვამს და დაიხსომეთ! — აქ შეიძლება ისეთმა ეპიდემიამ იფეთქოს, სუყველა ერთიანად გადავყვინთლდეთ. წარმოგიდგენიათ, რა სეირი იქნება?!

ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. მერე, როცა დიეტექთანმა ელვირა მართლა გაიჩერა კარებში, შეშფოთებული რომ ჩაჰკერკინტებდა თვალებში და რაღაცას უსსნიდა, ვიგრძენი, მთელ ტანზე როგორ გამომქონა ცივმა ოფლმა. ამას ნამდვილად ლურჯი სიცილის გამოცხადება მერჩია. პირი მიშრება, ბრაზი ლამის სასუნთქი გზების საბზმებად გადამეზარდოს.

— თქვენ რა, ცუდად ხართ? — მეკითხება დორა.

— წყალი!.. — ამომშრალი ხორხიდან ძლივს ამომაქვს ერთადერთი სიტყვა. დორა წყალს მისხამს.

სადაც სარკე შემხვდება, ყველაში ვიცქირები შეშინებული, ვაითუ ეყვითლდები. თვალთა სადაფი ჯერჯერობით კრიალა მაქვს. ეს დალოცვილი სარკეებიც რომ ყველგან კიდია — ვესტიბიულებში, კიბეთა საქცევებზე, ლიფტში, სასადილოსკენ მიმავალი ფლოგელის ყოველ ნიშთან, ნომრის ჰოლში, აბაზანაში, კაფე-ბარის კართან. გამიჩნდა თავსამტვრევი...

ტალონებს ავიღებ, პროცედურაზე წავალ, იქნება უფრო მალე გავიდეს დრო, სადილობისას ზუსტად გაირკვევა ყველაფერი. ვნახოთ ელვირა მოვა თუ არა სადილზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შემხვდა ერთადგილიანი აბაზანის ტალონები. შინაბერა მასწავლებელს ვერ გავაბარებ. რა გაეწყობა...

ეზოვარ სხვებთან ერთად კაბინების წინ გამწკრივებულ რიგში და უმწყვარი ბუშმალას შევეკვეცი. რამდენიმე დღეა ვიყოდე და ჯიბეში ჩამრჩენია ცოტაოდენი.

მღვდელმა ჩაგვიარა. ვიღაცას ეძებდა მგონი, აქეთ-იქით აკეკებდა თვალებს. ისევ მობრუნდა უკან. სპორტული მაისურის ყელზე აქაჩული ელვაშესაკრავი ხელის ერთი ჩამოკვრით ბოლომდე ჩაიხსნა. მოუსვენრობისაგან ეტყობოდა, ჰაერი არ ყოფნდა. ვიღაც კიბოსავით გაწითლებულ ზორბა ქალს მიესალმა. მერე გამისწორდა თუ არა, შემამჩნია:

— აქ ყოფილხარ?.. — როგორღაც სიხარული გამოხატა შეკითხვით. გვერდით მომიჯდა. — ხედავ რა ხდება? თორმეტის ნახევრიანები შემოვიდნენ უკვე, ჩვენ კი, თერთმეტის ტალონებით ისევ აქა ვსხედვართ! შენ რომლის გაქვს?

— თორმეტის, — ვუთხარი სხვათა შორის, თან იმ ზორბა, კიბოსავით გაწითლებულ ქალს გავცქეროდი, საცაა დერეფნის ბოლოში რომ მიეფარებოდა თვალს.

— პროკურორია, — თქვა მღვდელმა. — ვაქაცი ვერ შეედრება. ჩვენთან გამძლეობა სინდისიერების უუპროპორციულიაო, მძიმეა დამნაშავეთა სამყაროში მუშაობაო. თქვენთან როგორ არის, მკითხა ამას წინათ.

— იმედი მაქვს, ტყუილს არ იკადრებდით, მამაო?

— რასაკვირველია.

— გაჩუმდით, ხომ?

— სიჩუმე, შვილო ჩემო, აუწონავი ოქროა.

კაცმა ჩაგვიარა, უშნოდ მიალაჯებდა.

— ბრტყელტერფაა, — თქვა მღვდელმა.

— მაშასადამე, ჯარში არ უმსახურია... — დაუზუსტა მღვდლის გვერდით მჯდარმა ჭორფლიანმა, ცნობისმოყვარე მოხუცმა, ჩვენი საუბრიდან ალბათ, ერთი სიტყვაც რომ არ გამოგეპარვია.

აჰა, ხელს მიქნევს კაბინის კართან მდგარი თეთრხალათიანი სანიტარი, აქვე ახლო დაჯექი სადმე და მალე გაგიშვებო, ათი წუთის უკან რომ მითხრა.

— ჩემი რიგი მოვიდა, მამაო, — ვამბობ და ვდგები.

— იცი, რა? — ნერვული მოძრაობით კვლავ ზემოთ სწევს საყელოს ელვა-შესაკრავს მღვდელი. — მოდი, მოველაპარაკოთ, შენთან ერთად შემომიშვას, ეს კი, ლუქსია თუ რაღაც ჯანდაბა, ვისაც უნდა, მისცეს! როდემდე ვიყურყუტო აქ! — გაღიზიანებული აფრიალებს ტალონს.

დაბნეული შევცქერი. რამ დამაბნია, მღვდელიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია. სანიტარი ქალი ისევ იქნევს ხელს. ღარ ვაყოვნებ, მუდარით ვამბობ:

— ღვთის გულისათვის, მამაო, ნუ მიზამ მაგ საქმეს!.. არ მინდა შიშველი მღვდელი ვნახო!.. — სწრაფად მივდივარ.

— აქეთ მობრძანდით! — მეუბნება სანიტარი ქალი, შიდა ყრუ დერეფანში გაგიყავარ და ეზოს მხრიდან პირველი კაბინის გასახდელის კარს მიღებს. — ტალონი მომეცით! — მტოვებს მერე გასახდელში, თვითონ საბაზანოში გადის.

— მოითმინეთ, ჯერ ნუ ჩახვალთ! — უხეშად აფრთხილებს ვიღაცას, — წყალი ხომ უნდა გავაზავო!

თან გახდას ვიწყებ, თან ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან საბაზანოს შევჩერებივარ. ჭაობისფერი წყლით გატივტივებული აბაზანასთან შიშველი კაცი დგას. სანიტარი ქალი კი ჯიბიდან თერმომეტრს იღებს, წყალში დებს, აქეთ-იქით აქნევს. მეორე ხელით ონკანს ხსნის. „კაცის ნაწილ წყალში არ უნდოდა ხელის ჩაყოფა. მერე რა, რომ ასეთი პროფესია აქვს... თუმცა სჯობს, ჩემს საქმეს მივხედო“. შიგ შებრძანებულ ბატონს ორივე საკიდი

დაუკავებია. იძულებული ვარ, ერთზე გადავიტანო მისი ტანსაცმელი. აი, რა წვრილმანებში ვლინდება ადამიანის ბუნება. ხომ იცოდა, მეორე აუცილებლად რომ შემოვიდოდა.

საბაზანოდან წყლის გაძლიერებული ჩხრიალი მოისმის.

ისევ ვიცქირები ღრიჭოში. სანიტარი ქალი ახლა ჩემს აბაზანას ავსებს. უჰ, რა „გენტლური ნაკადებია!

— ჩადით! — ეუბნება იგი ჯიუტად აწურულ კაცს. — ონკანს უკეტავს. — ასეა წესი! თქვენ კი გადანელებას არ გვაცდით, მერე აგიწევთ წნევა და ვინ აგებს პასუხს?

შევედი, მაგრამ სანიტარ ქალს არც გამოუხედავს ჩემკენ, ონკანები დაკეტა, სილის საათი გადაბრუნა და უკანა კარიდან გავიდა. ჭაობისფერ წყალში გაყუჩებულმა კაცმა ერთი კი ამომხედა, მერე დახუჭა თვალი და მგონი, დაიძინა.

ვუცქერი კაბინის თავღია ჭერს და ვფიქრობ, რომ ეს ჩემი მეზობელი ნამდვილად მუდოა. ასეთს უნდა ადგე და უთხრა: თქვენი შარვალი თქვენივე საკიდზე უნდა ჩამოახრჩოთ! უჰ, მეც რა მაგარი ვარ! რას ვერჩი, ბაყაყივით წევს მღვრიე წყალში, თავისი გაჭირვება აქვს... იქ კიდევ მღვდელს ვაწყენინე.

ფანჯრიდან ყვითლად მოყვავილე ბალმის წვერები მოჩანს. სილის საათი — უჩინარი დროის მოძრაობის გრაფიკული სურათხატი — იფრქვევა, სინჯარიდან სინჯარაში იცლება დრო. კედელზე წერია: „იწექით მშვიდად!“ ვგრძნობ, წყალში ძალიან სწრაფად გადის დრო. სულ მალე ჩამოიცალა სინჯარა. სანიტარი შუშის კედლიდან იძახის, ამოსვლის დროაო.

ჩემს მეზობელს თეთრი, აკრეფილი ტანი აქვს. ფლოსტების თლახუნით მიეშურება გასახდელისაკენ. ნეტა ჩაიცვას და მერე გამიყვანა, მაგრამ ვინ დაგაცდის. აქ ყოველი წუთი ოქროდ ფასობს. ამიტომ ერთი ბეწო გასახდელში გვერდიგვერდ ვდგავართ. მე ნელა ვიშშრალავ, ის უკვე ეცვაო. მეორე გასახდელში ქალები შემოუშვიათ. ხმამაღლა საუბრობენ, თან, რასაკვირველია, იცდიან.

— ან უნდა გაეყოროდი, ან უნდა მომეთმინა. ასეთი ალტერნატივის წინაშე დამაყენა. როგორი საქმეა ღალატის მოთმენა! ავდექი და გავეყარე. ძვირად დამიჯდა, მაგრამ გავეყარე, — ამბობდა ერთი.

მეორე დუმდა. ვინ იცის, რას ფიქრობდა, რას მარხავდა დუმილში.

რა ბანჯგვლიანი მკერდი მაქვს, ფეხებზე ლაპარაკიც ზედმეტია... ნამდვილად მაიმუნის მირეკია რაღაც გენებში. ისე კი, ვიცი, გარკვეული კატეგორიის ქალებს სწორედ ბანჯგვლიანი მამაკაცი მოსწონთ. ამ ჩემი მეზობლივით უთმოს და ნაზკანას არც გაეკარებიან.

მაინც რას ვემართლები საწყალ კაცს, თითქოს რამე წაერთმიოს ჩემთვის. იცვამს პატიოსნად, მაგრამ ეტყობა, ნამეტანი პატივმოყვარე უნდა იყოს. ესე იგი, ფროიდის თუ დაკუჯერებთ, შარდის შეკავების უნარი დაქვეითებული აქვს.

ქალები უკვე გავიდნენ საბაზანოში, ახლა იქიდან ისმის მათი ხმა, წყლის ჩხრიალიც ვერ ახშობს. სიგარეტი ნეტა სად წავიღე? მღვდელთან დამრჩა სკამზე.

— სიგარეტი ხომ არ გექნებათ? — ვეკითხები ჩემს მდუმარე მეზობელს, თმას რომ ივარცხნის წმინდა სავარცლით.

შავი ცელოფანის პარკიდან იღებს განახევრებულ კოლოფს და მაწვდის. ერთ ღერს, მხოლოდ ერთ ღერს ვაძრობ.

— გქონდეთ, — მეუბნება, — თქვენი იყოს. საკუთარი ფულით მაქვს ნაყიდი.

— ვერ მიგიხვდით, რას გულისხმობთ? — გავღიზიანდი, ამ მუდოსათვის რამ მათხოვნინა სიგარეტი-მეთქი.

— მისახვედრი რაა! მით უმეტეს,

თქვენი ხელობის კაცისათვის!.. — როგორი მოსასმენია ახლა ეს?

ვხედავ! მთელი პანსიონატი მიცნობს უკვე.

— ჩემი ხელობა ხომ გამორჩენას გამორიცხავს, — ვეუბნები ამ პირქუშ მორალისტს, — ან იქნებ გგონიათ!..

— არაფერი არ მგონია! მაგრამ მაინც არ შემიძლია, გულგრილად შეეხედო... სამოქალაქო კოდექსის ენაზე, მაინც ძარცვა ჰქვია ამას...

— თქვენ თვლით, რომ დანაშაულია ცოცხალს მოახმარო ის, რაც მიცვალებულთან ერთად უაზროდ უნდა დაიფერფლოს?

— არ ვიცი... ეგ ისეთი საკითხია, ასე იოლად ვერ გადაჭრი. კოდექსებს რომ თავი ვანებოო, ზნეობას სად მიუდიხართ! იმას, რაც აი, აქ არის! — მკერდზე იბჯენს ხელის გაწმილ მტევანს.

არ ვეშვები საცოდავს, ღღინამდე ჩავდეგ. — მე კი შესანიშნავი ინგლისური პალტოს შემოთავაზებას გიპირებდით. ზუსტად თქვენი ზომაა, უკეთესს ვერას ინატრებთ...

დაფიქრდა. ცოტა არ იყოს, დაიბნა კიდეც. მაგრამ ღუმილის ოსტატია. ვერაფერს შეედავები. მხოლოდ გისმენს.

— იცით, ისე გამიწაფა თვალი, შევხედავ ადამიანს და კარგი მკერავივით ვხედები, რა მოუხდება, როგორი ფერი... ის პალტო კი, უელსის პრინცი რომ ჩაიცვამს, სწორედ ისეთია.

ცელოფანი მოქექა, სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი ამოიღო, ნელა შემოხსნა გაწებილი ლენტი. ეს უმნიშვნელო მოძრაობა დაძაბული ფიქრის შესანიშნავად სჭირდებოდა. უნდა მივეშველო, სხვა გზა არაა! პატივმოყვარეობა უნდა დავაძლევინო.

— გშველით მაინც ეს აბაზანები? — ვეკითხები, თან დერეფნისკენ მივდივარ.

— როგორ გითხრათ, დიდ ხეირს ვერ ვატყობ, — მპასუხობს და გვერდით მომდევს.

— ზოგი ამტკიცებს, სასწაულმოქმედი ჩერდება, მღვდელი ისეა აქ ყურყუტობს. არ მინდა დავინახო. საათს დავყურებ. — უკაცრავად, მეჩქარება... თქვენ, ალბათ, ცოტას დაისვენებთ, მერე კი ნელ-ნელა გაუყვებით.

თავს მიქნევს, ასე ვაპირებო, თანაც, ეტყობა, ასე უეცრად არ სურს დამცილდეს.

— ჰო, მართლა, პალტოზე რა მოიფიქრეთ. გამოგიგზავნოთ? — სხვათა შორის ვუგდებ სიტყვას.

— ხად გამომიგზავნით? ჩემი გზა არ იცით და კვალი.

— მისამართი რისთვის არსებობს...

— მაშინ დაგიწერთ.

— ეგრე აჯობებს...

სიგარეტის კოლოფს სიხურავს აგლეჯს, ჯიბიდან ავტოკალამს იღებს და მისამართს წერს.

ვდგავარ და ველოდები. ვდგავარ გარგანტუასავით დაბნეული, რომელსაც გარდაცვლილი მეუღლე და ახლადშობილი ვაჟი ერთნაირად უფორიაქებდა კაცთმოყვარე გულს და არ იცოდა, რა ეღონა, თავის თავს ეკითხებოდა, რა ექნა, ვიტირო თუ ვიცინოო.

სადილზე შესვლისთანვე ელვირას მაგიდისკენ გამექცა თვალი და გულზე შემომეყარა, ელვირას ადგილას ვიღაც სამხედრო რომ იჯდა. კინაღამ უკან გავბრუნდი, ერთი სული მქონდა, სარკეში ჩამეხედა. უხალისოდ მივუჯექი სუფრას. დორა და შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი უკვე შეექცეოდნენ წვნიანს. მღვდელი არ მოსულა.

შხამივით გადამდიოდა ყოველი ლუკმა. როგორ მშურდა ახლა იმ ტყინნაღრძობი საჩხერელი. მძღოლის სილაღის, დორას სიმშვიდის, ალბინოსების, მათ გვერდით მჯდარი იმ ახალი დამსვენებლის, ოქროსფერი ლამპასები რომ ჰქონდა დაყოლებული შარვალზე, ყველასი, ვინც გაყვითლებას არ ელოდა.

— ჩვენს მღვდელს, ეტყობა, გაუგრ-

ძელდა ნათლობა, — თქვა შორეული ცურვის ყოფილმა კაპიტანმა.

— გავანაწყენე დღეს, — დანანებით ჩავილაპარაკე საპასუხოდ.

— როგორ მოახერხეთ?

— უარი ვუთხარი აბაზანაში ერთად შესვლაზე.

ფერფლისფერი კაცი კინაღამ ჩაბერილდა. დორამაც სიცილით მომდგარი ცრემლების წმენდა დაიწყო.

— საღამოს ბარში ვიჯდები, — მითხრა ფერფლისფერმა კაცმა, ჭამა რომ მოვამთავრეთ.

გვიან მივედი, მაგრამ იქვე იჯდა, კუთხის მაგიდასთან. ყავა დაელია, თავჩაქინდრული ეწეოდა სიგარეტს. რომ მივუახლოვდი, ოდნავ აიქნია ფერფლისფერი თავი, დაჯექით, მერე ბარმენს ანიშნა, ერთი კიდევო, და იმანაც ფინჯნით ყავა მოიტანა.

უცებ მიეხვდი, საღამოებს აქ ატარებდა, ალბათ, ამ კუთხის მაგიდასთან. გული დამწყდა, რად არ შემოვდიოდი, „არ ვჯდებოდი მასთან ერთად, თუნდაც ასე ჩუმად, უსიტყვოდ.

— რა ვქნა, არ მჯერა, რასაც შენზე ამბობენ, — მოულოდნელად თქვა შორეული ცურვის ყოფილმა კაპიტანმა.

გამეცინა.

— მართალი ვარ თუ არა, რომ არ მჯერა?

— რახან ეგ კითხვა გიჩნდებათ, მაშასადმე, მართალი ხართ.

— რად დაგჭირდათ ასეთი ტყუილი?

— შემთხვევით მოხდა. მერე ინსტინქტმა იაქტიურა, ალბათ, იმიტომ, საკუთარი თავისათვის დამემტკიცებინა, სხვებზე უარესი რომ არა ვარ.

— გაგიჭირდება ცხოვრება... ძალიან გაგიჭირდება... — მერე ისევ დუმდა, უსიტყვოდ მეუბნებოდა, მაგის მეტი რა მინახავსო, გასაჭირის მეტიო.. კი არ მიკვირს, მეცოდებიო.

დაძირებამდე ვიღაცამ მომიკაკუნა კარზე. წითური ტიპი იყო. ძალიან გვიან ხომ არ შეგაწუხეთო? არა უშავს, მეოქი. მიეხვდი, თავისი მისამართი უნდა შემოეთავაზებინა.

— რას ინებებთ? — ვკითხე კარებშივე, არც შემიპატიჟნია. — მისამართი და საქონლის დასახელება ერთად დამიწერეთო.

— აი, აქაა ყველაფერი... — ქაღალდი გამომიწოდა.

გულმა ვერ გამიძლო, მაშინვე გავხსენი.

— სამეფო მოჰერის შარფი, რასაკვირველია, მამაკაცის, — დამასწრო, სანამ მის აჩხაბაჩხა ნაწერს ჩავიკითხავდი.

— კეთილი, — ვუთხარი წითურს. — ეს ადვილი საქმეა. ოღონდ თქვენთანაც მაქვს სათხოვარი.

თვალები გაუფართოვდა.

— ისეთი არაფერია... გადაეცით თქვენსავით მსურველებს, კარზე ნულარ მომიკაკუნებენ, ნურეკ გზაში გამაჩერებენ. ამ საქმეს ლაპარაკი რად სჭირდება... ასევე დაწერონ, — ქაღალდი ცხვირწინ ავუფრიალე, — და აი აქ... — კარს ვხურავ, ქვემოდან ვაცურებ ქაღალდს იატაკზე. — ხომ ასე აჯობებს?

თვალებით მეთანხმება. განა ტყუილად... ორ დღეში ოთხმოცდახუთი მისამართი შემიგროვდა, უბის წიგნაკში ვაწყობ ყველას ფურცლებშუა. სამაგიეროდ, მეზობელი ოთახიდან ქალის კისკისი აღარ მესმის, არ ვიცი, საძილე აბების ბრალია, თუ დიმიტრი შემოსწყრა იუნონას, რომელმაც უძილობისა და სიმარტოვისათვის გაიმეტა.

ზღვა არის თავისთვის, მიდი-მოდის წინ და უკან, დუდუნებს გაუცხოებული. მე კი წამდაუწუმ სარკეს ჩავჩერებივარ. ჯერ არაფერი მეტყობა სიყვითლის.

დღეს საინტერესო რამ მოხდა. მორიგე ადმინისტრატორმა ოთახის გასაღები რომ გამოვართვი, ნახევრად საიდუმლოდ მითხრა:

— მაშინდელივით თუ უძილობამ შეგაწუხოთ, მითხარით, ნუ მოგერიდებათ.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მომიწესრიგდა ძილი! — მივხვდი ესეც ჩემი ერთ-ერთი ადრესატი იყო.

ლევანს მაინც ვერ დავურეკე.

აბაზანის შემდეგ კარგი დასვენება. წევხარ ეროთიანად მოშვებული, ყოველ წუთს შეიძლება თვალი წაგიდოს და ნატრობ, ნეტა დამლაგებელი არ მომიკაკუნებდეს კარზე, სადილობამდე ასე გაუნძრეველად მამყოფაო.

მაგრამ დამლაგებლმა მაინც მომიკაკუნა ნასადილევს.

— არაფერი გაგიგიათ? — მკითხა საიდუმლო შეცხადებით.

— რა მოხდა? შემობრძანდით, შემობრძანდით! — ბეჭისთავზე ოდნავ შევახე ხელი. გაფითრებული იყო, საბეშეშლილი მიცქერდა. იქვე, ჰოლში აეკრა კედელს და ჩურჩულით გამიმხილა:

— თქვენი მეზობელი წაასვენეს. მომკვდარა.

უცებ დავაპირე მეკითხა: მოკვდა თუ თავი მოიკლა? მაგრამ მივხვდი, ქალი ჩემს ყოველ სიტყვას დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

— რომ გაინტერესებდათ, ვინ ცხოვრობს ჩემ გვერდითო, აი, ის, — დაუმატა, ვიდრე შეკითხვას მოვიფიქრებდი.

— ცუდი ამბავია... — ვთქვი და ქალს ჭიქით წყალი მივუტანე. — დალიეთ, ცოტა გულზე მოგიშვებთ.

ორი ყლუპი მოსვა. ჭიქა უკანვე დამიბრუნა და მკითხა:

— თქვენ რას იტყვით?

— რა უნდა ვთქვა... ფაქტი ფაქტად რჩება! რაღას გაიწყობ... — კარადის კარი გამოვაღე, პიჯაკი ჩამოვხსენი და ჩაცმა დავიწყე, გავდივარ-მეთქი, ვაგრძნობინე ქალს. უცებ საშინლად მომბეზრდა ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა. ავდგები და ხვალვე წავალ, მოვშორდები აქაურობას, თორემ ვატყობ, დეტექტივის მონაწილედ გამხდიან.

ვახშამზე მთელი შემადგენლობით ვსხედვართ. მღვდელი სულ დარბაზიკენ აცეცებს თვალებს. მგონია, ... დილოსნებს ათვალიერებს ეს შეჩვენებული. მეც გამექცევა ხოლმე მზერა ალბინოსებთან მდუმარედ ჯდარი სახედრო პირის ოქროსფერ ლამპასებისკენ. დიმიტრის შესახებ კრინტს არავინ ძრავს. ალბათ, არაფერი იციან.

— კაცი მომკვდარა... — ვამბობ.

— მერამდენე დღეა უკვე, — მპასუხობს დორა. — დღეს წაასვენეს.

მღვდელი რაღაცას ჩუმად ბუტბუტებს. ფერფლისფერი კაცი კი ზის მდუმარედ, შემწვარ თევზს შეეკცევა, მარცხენა ღაწვისთავი უხტის. მერე ვხვდები, წვრილ-წვრილი ფხების გამო ჯავრობს ჩვენი მღვდელი, ცოტა აკლია, შეიგინოს.

ფერფლისფერ კაცს ღიმილი გადაუვლის სახეზე. უცებ შეუთამამდება მღვდელს:

— მამაო, — ეუბნება, — პოკერი თუ გითამაშია?

მღვდელი ჭამას წყვეტს, წამიერად ფიქრობს, ვთქვა თუ არაო. მერე ისეთი აზარტული ენით პასუხობს: — კი, ოხრად!... — ყველას სიცილი გვიტყდება.

ბოლოს დორა გვიცხადებს, ნავახშმებს დიდი ზეიმი ეწყობა, დამსვენებლების მონაწილეობითო.

სცენა ღია ცის ქვეშ გაუმართავთ სახელდახელოდ, როიალიც აქვე მოუგორებიათ. კლუბიდან გამოზიდულ სკამებზე რომ ვერ დატეულა მაყურებელი, ზოგი მოლზე დამჯდარა, ზოგი ფეხზე დგას. ზეიმობს პანსიონატი. პროგრამა წინასწარაა მომზადებული, თვით კულტმუშაკია კონფერანსიე. ყველაფერს ასწრებენ — ჯანმრთელობაზე ზრუნვასაც, კულტმასობრივი ღონისძიებების მოწყობასაც. აი, როგორ უნდა ცხოვრება. მაყურებელთა შორის უმეტესობა ნაცნობია, ბევრი მათგანის, ალბათ, მისამართიც მიდევს აგერ, უბის წიგნაკში. კოსტა უკანა რიგებისაკენ, კიდეში ზის. ორი საათი

მაინც გაგრძელდება ზეიმი, ამ ხნის განმავლობაში დაავიწყდებათ, ჩემი ადრესატები რომ არიან. როგორღაც მებრალებიან... იქნებ იმიტომ ვერთობოდი სულელური ტყუილით, რომ ეს შებრალების წუთი განმეცადა, წუთი, რომელიც მაპატიებს ყველაფერს.

სცენაზე ქამარშემოჭერილი შარვლის ფართხუნით მოდის კულტმუშაკი.

— რა ხალისიანი კაცია! — ამბობს ვიღაც.

— თანაც ოთხ შვილს ზრდის, — აქვე ეპასუხება მეორე.

კონფერანსიე-კულტმუშაკი საღამოს გახსნილად აცხადებს. მე კი ვფიქრობ: „აი, ვისთვისაა მადლი ერთი წესიერი კოსტიუმის გაგზავნა!“

იწყება სკეტჩი, რომელშიც პანსიონატში მკურნალობა-ცხოვრების ღრმადმნიშვნელოვანი ნიუანსებია წარმოდგენილი. ვუსმენ და მოოცებს ადამიანთა ინფანტილიზმი... „დროდადრო ვუბრუნდებით ბავშობის ასაკს თუ საერთოდ ვერ ვაღწევთ თავს?“ — ვფიქრობ. სიგარეტს ვუკიდებ, ვდგავარ და თითქმის ღარ ვუსმენ. ტაში კი გრიალებს, მოწონების შეძახილთა ნიაღვარია... შემსრულებელთა ნაცვლად გახარებული კონფერანსიე იხდის მადლობას, ტირიფვივით იდრიკება წინ. მერე ახალ ნომერს აცხადებს. მისი ხმა ჯერაც მიუნელებელ ყიჟინაში ინთქმება. ოჰ, ამას ვის ვხედავ! სცენაზე შინაბერა მასწავლებელი გამოვეცხადა. ვარდისფერი ფუშფუშებიანი კაბა ჩაუცვამს, გიტარამამარჯვებული მიკროფონთან ჩერდება. მცირე არპეჯიოსებრი შესავალი და, შინაბერა მასწავლებელი აკვლდა. ამოაქვს, გული ამოაქვს, თვალებს ხუჭავს, აჯღაბაჯღა კბილები უჩანს. არ შემიძლია მოსმენა, ვშორდები მაყურებელს, როზმარინის ბუჩქებისაკენ მივდივარ, ვიდრე გაწელავდეს ფრაზას: „ღამეს სიმწუხარე უფრო ემატება...“ თავის სიმარტოვეს სიმღერას აჰკიდებდეს ტვირთად.

რა სიმშვიდეა როზმარინის ბუჩქებთან, შეუმჩვევეი და უბიწო. ადამიანებს რომ ამ ბუჩქებივით ბუნებრივად შეეძლოთ ყოფნა... მიწაზე ვეშვები. ... ვხედავი, მართალია, არაფერი გამიჩნია, მაგრამ უფლება მაინც დავიტოვე, მოვითხოვო, ოღნავ უკეთესნი ვიყოთ, ვიდრე ვართ.

უბის წიგნაკიდან მისამართებს ვიღებ, ყოველ მათგანს ქვეშ ვაწერ: მიცალებულები არაფერს გამოგიგზავნიან!

ისევე ვინახავ მისამართებს, ვდგები. ჯერ იქვე დავბორიალებ. მერე მოზეიმე დამსვენებელთა კრებულისაკენ მივეშურები. მაყურებლის წინაშე შუახანს გადასული, მუქყავისფერ გამოტკეცილ კაბაში მოპრანჭული ქალი დგას და უსტვენს, რომელიღაც ფრინველს ჰბაძავს, თვითონაც ფრინველს წაგავს. დაამთავრა სტეენა და ავანსცენაზე გამოვიდა, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო შესრულებით.

— როგორც უკვე მოგახსენეთ, — მიმართა მან მაყურებელს, — არაერთ ქვეყანაში ვყოფილვარ და ყველგან დიდ ინტერესს იჩენდნენ მხატვრული სტეენის ოსტატობის მიმართ. გერმანიაში სპეციალური პრიზით დამაჯილდოვეს. მაგრამ ეს იყო ადრე. მერე სამი შვილი გავზარდე და ჩამოვიცილდი ამ საქმეს... — სინანული ისმოდა სტეენა ქალის ხმაში. — ახლა შევასრულებ კიდევ ერთ ნაწარმოებს...

კოსტას მივაშტერე თვალი, ვიდრე არ გერძნო დაყინებული მზერა და არ მოიხედა. თითი დავუქნიე, აქეთ გამოდი-მეთქი. მაშინვე მისწი-მოსწია ხალხი და გამოვიდა.

გვერდზე გავიყვანე.

— სათხოვარი მაქვს და უნდა შემისრულო, — ვუთხარი, ჯიბიდან მისამართების დასტა ამოვიღე. — შენ ამ ხალხს ხომ ყველას იცნობ?

— თითქმის...

— ჰოდა, ეს ქაღალდები თავ-თავიანთ პატრონებს უნდა ჩამოურიგო ახლავე,

ეროვნული ბიბლიოთეკა
NATIONAL LIBRARY

აქვე სხეულიდან, ძებნა არ დაგჭირდება. შენ კი, რასაც დაგპირდი, მიიღებ.

შეცბა, არ იცოდა, რა ეპასუხა. მაინც გამომართვა ფურცლები, მიბრუნდა, თავისი ადგილისაკენ გაძვრა და შეუდგა საქმეს. ვხედავდი, როგორ არჩევდა სათითაოდ, როგორ ძებნიდა თვალებით რიგებში ვიღაც-ვიღაცებს, როგორ სთხოვდა ახლო მჯდომთ, დაკეცილი ქაღალდები გადაეწოდებინათ. ქალი კი უსტვენდა გრძელ, რაღაც თანმდევოვე კლასიკურ ნაწარმოებს, სადაც პირველი და მეორე ხმის ხშირი მონაცვლეობით მიიღწეოდა ეფექტი. უსტვენდა მთელი მონდომებით, კისრის ძარღვები ებერებოდა, თვალები უშტერდებოდა, მკერდი მძიმედ აუდჩაუდიოდა, ნაბიჯს ხან წინ წადგამდა, ხან უკან. ხელებს სასოებით იშვერდა მაყურებლისაკენ.

— სამი შვილის პატრონს რა სტვენა აუტყდა!.. — თქვა ვიღაცამ.

დაიღალა მსმენელი. აქა-იქ აჩოჩქოლდნენ, კოსტამაც შეუწყო ხელი ყურადღების გაფანტვას. აგზავნიდა ქაღალდებს, აგზავნიდა ყველა მიმართულებით.

მე კი მახსენდება ის საღამო, როცა ზეიმისმაგვარი მოვუწყვე იზეტას. სწორედ მაშინ გაფუჭდა ჩემს სიყვარულში რაღაც დიდი, ვერაფრითღა რომ ვერ გამოვასწორე.

— ყოველივე ისეა, როგორც ძველმოდურ რომანებში, — თქვა იზეტამ, თვალი მოავლო სტუმრებს, რომელთა შორის მეგობრები ნაკლებად ერიენენ. ამ ხარვეზის შევსება ეკისრა მოაგარაკეთა გასართობად თავგადადებულ, ადგილობრივი მნიშვნელობის ქალთა ტრიოს, ტკბილად რომ ღიღინებდა. დღესაც არ ვიცი, რად დავდგი ის სპექტაკლი, რად შევყარე ხალხი, ოჰიტომ ხომ არა, მამრის მესაკუთრულმა ბუნებამ მძლია, რომ მაშინ ჩემთვის ტყუილ-მართალსა და ცოდვა-მადლს შორის ზღვარს კი არ ჰქონდა იმდენად მნიშვნელობა, რამდენადაც განკითხვის ფაქტს და კიდევ თვითშთაგონებას, რომ რასაც ვიკვლევდი, რის ნამდვილი არსსა და ჭეშმარიტებას ვეძიებდი, იქნებ არასდროს არსებობდა, იქნებ ყველაფერი თვით გამოვიგონე საკუთარი თავის საჯიჯგნად. ასე ვფიქრობდი ხოლმე მაშინაც, როცა დავცქეროდი მძინარე ცოლის ხორბლისფერ სახეს, უშფოთველ, უძრავ სხეულს, ვაყუჯადებდი მის სუნთქვას, უხინჯო, მყუდრო წიაღში რომ მიხმობდა, დასცინოდა ჩემს ეჭვს, შემთხვევითობამ რომ მარგუნა სატანჯველად.

...იზეტა იჯდა ღია კარისკენ ზურგით მდგარ სავარძელში და ტელეფონზე საუბრობდა. არ გაუგია, როგორ გავჩერდი ზღურბლთან, კარის პორტიერს ავეკარი იმ უსასტიკესი წინათგრძნობით შეპყრობილი, რაც შემდეგ მოვისმინე.

— არა, — ამბობდა იზეტა. — ეს სულ სხვა რამ იყო, არც სიყვარული, არც გატაცება, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, ყველაფერზე აღმატებული, სახელი ვერ დამირქმევია. მოვიდა და კალთაში ჩამიდო თავი, მორჩილად, უსიტყვოდ. დღესაც არ ვიცი, იმ მორჩილებაში მამაკაცური ძალა სჭარბობდა თუ სინაზე. ერთიც იყო და მეორეც. საოცარი რამ დამემართა. არც სიხარული მიგრძვნია, არც ნეტარება, მტანჯველი განცხრომა დამეუფლა, უღმერთოდ მენატრებოდა, რაც ჩემ ხელთ იყო და მხოლოდ მე მეკუთვნოდა... მენატრებოდა, როგორც ოდესღაც განცდილი, გარდასული და არა იმწუთიერი. წარმოიდგინე, სხედხართ აყრილი, დროკამისაგან ნამუსრევი ნასოფლარის ორწოხს ჩაკიდებულ ბილიკისპირა ვეება სიპზე, დაბლა მდინარე მიქშინავს, კალთაში კი მამაკაცის თავი კი არ გიდევს მხოლოდ, არამედ დედაკაცობის აუწონავი მადლი. როცა ამას იგრძნობ, მისმენ? ჰო, როცა ამას იგრძნობ-მეთქი, შეგიძლია, არ შეგრცხვეს, მთელ ცისქვეშეთს უხმო და ეჩვენო ასე დაჩოქილი, უზომოდ ამა-

ყი ლამაზი დამარცხებით, და არ ინაღვლო, თუ ოდესმე ამისათვის პასუხს მოგთხოვს ვინმე. მისმენ, ხომ? ველაპარაკები ახლა და მგონია, მარადისობაში ვგზავნი უმისამართო ბართს. რატომ? იმიტომ, რომ წარსული მკვდარი დროა, მასთან კავშირს ველარ დაამყარებ. გახსოვს რეტაიმი? იმისადმი მიძღვნილი... მოგწონს? მთიდან დაბრუნებულმა პირველი, რაც მოვიმოქმედე, ის იყო, რომ ინსტრუმენტს მივუჯექი და თავიდან ბოლომდე დავუკარი, თითქოს ერთბაშად კი არ შემეთხზა, უკვე ზეპირად მცოდნოდეს, იმიტომ გამომდიოდა ერთი ამოსუნთქვასავით, მსუბუქ მინორში, ცრემლგარეული ღიმილივით... მთელი უბედურება კი, იცი, რა არის? ქმართან ვიცრუე მერე, შენ გეკუთვნის, შენთვის დაწერე-მეთქი რეტაიმი.

რა უსაშველოდ გრძელი მონოლოგი იყო, რა დაუნდობლად მართალი, იოტისოდენა იმედის ფენელფსაც აღარ მიტოვებდა ჩემი ქცევის გასამართლებლად. არ უნდა დავმდგარიყავი, ასე ქურდულად არ უნდა მესმინა. ისიც აღარ ვიცოდი, გამემეღვნებია თავი თუ უჩუმრად გავცლოდი შეჩვენებასავით სიმართლეს, ნაცარი შემეყარა ლიბომორყეული პატივმოყვარეობისათვის და არაფერი სხვა, მხოლოდ ქმარი გადამერჩინა ჩემში. კი, ამისათვის ზრუნავდა მაშინ ბრძა, მაგრამ მაინც შეუმცდარი ინსტინქტი, რომელმაც გამაპარა ოთახიდან.

მერე რამდენჯერ მიფიქრია, იზეტას გულახდილად, სხვათა შორის რომ ეამბნა იგივე ამბავი, მივანიჭებდი თუ არა ამდენ მნიშვნელობას-მეთქი? სულითხორცამდე ახიდი კი ვარ, მაგრამ ხომ არ შეიძლება ადამიანს წარსული წაართვა! ვიცოდი, არ ვიყავი მართალი, როცა ცოლს წარსულს ჩემდამი შეთქმულებად მივიჩნევდი, ოღონდ შემძლებოდა, ძველი სკივრივით ამოვექაჩავდი, ხელისგულზე დავილაგებდი მისი ქალურობის ყველა განცდას ისე რომ უფლებებზე არც ვიფიქრებდი. ქმრის პატივმოყვარეობა არავითარ უუფლებობას არ სცნობს. რაღაცას ხომ უნდა ჩაეჭიდო, სადღაც ხომ უნდა ჩადგა ფეხი მყარად, მით უმეტეს, როცა საკაცობრიო პატრიარქატი გიმაგრებს ზურგს.

და არ ვიცოდი, რას ელოდა ჩემი დაუსრულებელი დუმილი, ცოლს უკვე საყვარელ ქალად კი არა, ამოუხსნელ დილემად რომ წარმომიდგენდა... იქნებ განკითხვისა თუ განწმენდის დღეს, ერთბაშად რომ მიზღავდა, დამიბრუნებდა სიმშვიდეს. მოვიდოდა, დაიჩოქებდა ეჭვიანი წარსული და პატიებას ითხოვდა თავისი არსებობის გამო, იმის გამო, რომ წარმავლობა და სიკვდილი ერთი და იგივე სულაც არაა, რომ ქალის ფიზიკური ფლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასზე მეუფებას. მეხსიერებას შანთით ვერ ამოწვავ, რაც ერთხელ უკვე იყო, იგი უკვდავია. ჩვენ მხოლოდ თვალები უნდა დავხუჭოთ, დაუსრულებლივ ვიმეოროთ თავდასაცავად: არა! არა! არა! აი, მთელი შესაძლებლობა.

სწორედ ეს ერთადერთი „არა" მიტრიალებდა ხოლმე თავში, როცა თვალებში ჩავხედავდი იზეტას და აღარც იმ თვალებიდან ამოცალებული სიალალის მჯეროდა, აღარც საკუთარი სიყვარულის.

მერე ის საღამო მოვაწყვე აგარაკზე. დარბაზი საგანგებოდ დავიქირავე, ფარდებიც კი დავაცლევინე, ჩავთვალე, რომ ჩალისფერი აბრეშუმის ფარდები ერთდროულად საზეიმო განწყობასაც ქმნიდა და სიმყუდროვესაც. მაგიდაზე მინდვრის ყვავილები ჩავალაგებინე. ყველამ იცოდა, საღამო იზეტას ეკუთვნოდა.

და ისიც მეჯდა გვერდით, მშვენიერი, მოღიმარი, ოდნავ გაფითრებული, თითქოს მეტისმეტი სიხარულისაგან მსუბუქი სევდაც კი შეჰპარვოდა. აქაიქ ჩუმ-ჩუმად ისიც იკითხეს, ფეხმძიმედ ხომ არააო. ქალთა ვოკალური

ტრიო თავის მისიას პირნათლად ასრულებდა, ტკბილად აღიღინებდა ნაირნაირ „პოპურებს“, მერე შეასრულა „მშვენიერო მალვინა“, ისეთი სინატიფით, ისეთი გრძნობით, ყველა საკუთარ ინტიმს შეატოვა, რაც განსაკუთრებულად ქალებს ემჩნეოდათ, სასმელი და ტკბილი ნაღველი ცრემლის ჟურცხალივითა რომ მოსძალებოდათ გამოხედვაში. გვიანი იყო, მაგრამ არავინ ჩქარობდა. სმოკინგიანმა წითურამა, ვისთვისაც მჭონდა მინდობილი მთელი ორგანიზაცია, მაინც გამოაცხადა:

— ძვირფასო მეგობრებო! მასპინძლის თხოვნაა, რომ ეს მშვენიერი ღამე გავათენოთ! ღამე, რომელიც ქალბატონ იზეტასთან ერთად ეკუთვნის ყოველ თქვენგანს, დახუჭეთ თვალები და მიიღეთ, რასაც გიწოლდებთ ღამის სასწაული. მსურველებს ვთხოვთ, ღიმილით გვიპასუხონ!

ღიმილმა გადაუარა სუფრას, ტაშიც დაუკრეს სმოკინგიანი წითურის პლასტიკური აზროვნების ჯილდოდ.

ვიჯექი და ვფიქრობდი: ნეტა მას, ვისაც არ უფიქრია განკითხვის დღეზე და მოლოდინის უაზრობას არ გაუუკეთურებია ლხინი მისი. არც როდის დასჭირდება მას, მდუმარების ექსტაზისაგან ცნობაწარიცხილს, მისნის ენაზე წარმოთქვამდეს საიდუმლო ლიტანიას. ნეტა მას, ვისაც ძალუძს, მშვიდად და გულღიად მიიღოს ბედისწერა, როგორც უდროო დროს კარზე მომდგარი უცხო სტუმარი.

ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ ვერ ვმონაწილეობდი ზეიმში, რადგან ქაოტურ აზრთა კორიანტელი მახრჩობდა. ეს აზრები რაიმე ჯეშმარიტების დასადგენად კი არ მჭიროდნდა, არამედ ჯავშანივით წამომესხა, შიგ შეყუჟული, ჩემივე შეკოწიწებული, დღესასწაულის ღამეს ვემალებოდი. ვიღაც არგენტინული ტანგოს მოტივს ღიღინებდა... ვიღაც იზეტას ეპატიჟებოდა სპილოს ძვლის ქათქათა პიანინოსაკენ, ვიცით, რომ მუსიკოსი ხართ, უარს ნუ გვეტყვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითო.

არა, არ უთქვამს უარი.

და როცა კლავიშებმა ამოიდგა ენა და პირველივე პასაჟები სიხარულად წაეკიდა დარბაზს, მომინდა მივსულიყავი იზეტასთან ახლოს, რაც შეიძლება ახლოს და, სიტყვებით კი არა, როგორღაც შინაგანი იმპულსით, უტყუარი და ახლობლობის იმპულსით მეგრძნობინებინა: „ოღონდ ეგ არა! ოღონდ ეგ რეტაიმი არა და სხვა რაც გინდა!.. გემუდარები...“

იზეტა კი უკრავდა რეტაიმს და მე ვიცოდი, არ მოიპოვებდა ძალა ჩვენი კავშირის გადასარჩენად. ამის შემდეგ არავითარი აზრი აღარ ჰქონდა ხელზე ამბორს, თვალთა ჟუჟუნს, ალლოდისმენტს, იმასაც, რომ იზეტა უკვე ჩემკენ მოდიოდა, ოდნავ ღაწვებშეფაკლულს შვენოდა კრემისფერი, თავიდან ბოლომდე გოფრირებული კრეპის კაბა, თმა, როგორც ყოველთვის, ბიჭურად ჰქონდა აჭრილი და უკან გადავარცხნილი. ეს სისადავე ახლა უფრო მხვდებოდა თვალში და ისიც ჩემდა საწინააღმდეგოდ მიმაჩნდა. იზეტა არასდროს ცდილა, ჩემთვის თავი მოეწონებინა. ვნანობდი, ბოლომდე რად დავარწმუნე სიყვარულში. ხოლო როცა გვერდით მომიჯდა, მხარზე გადავდე ხელი, რითაც, ჩანს, კვლავ მესაკუთრეული უპირატესობა გავხაზე სხვათა თვალში და ვუთხარი:

— ხედავ, როგორი პროფესიული მსმენელი გყავს! არ მოველოდი... რაც გინდა იყოს, მაინც პროვინციაა...

აზრად არ მომსვლია მსგავსი რამის თქმა, ან აქაურთა შეურაცხყოფა, სხვისი დამცირების ხარჯზე თავის უშნოდ მოწონება. მერე ისეთი აზრების ძებნა დავიწყე, ნათქვამი ოდნავ მაინც გამომესწორებინა, მაგრამ იზეტამ დამასწრო:

— ასეთი მუსიკის აღქმას პროფესიონალიზმი არ სჭირდება... როგორც სიყ-

ვარულის განცდას არ სჭირდება ენათა მსგავსება.

ყოველგვარი ქმედების ხარისხი შედეგით განისაზღვრება — ტყუილს ტყული მოჰყვება, მსგავსი მსგავსს შობს...

უცებ ვიჯერებ, რომ პანსიონატის დამსვენებელთა ეს საღამო როგორღაც აგრძელებდა იმ შორიულ, ჯოჯოხეთურ ზეიმს. სცენაზე კულტმუშაკი იდგა, რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ აპლოდისმენტი არ წყდებოდა. მაყურებელი უკანვე იხმობდა სცენის მიღმა მიმალულ კაცს, რომელმაც გაწვრთნილი ზაზუნა აცეკვა ბურთზე.

კოსტამ გამომხედა, მზერაზე შეავატყვე, დაგალება შეესრულებინა. სცენის კუთხეში უფუნქციოდ იდგა როიალი, ჯერაც თავიუხდელი.

კულტმუშაკმა ორივე ხელი მაღლა აღმართა, დაწუნარდით, მათქმევინეთ სათქმელიო. ოდნავ ჩაცხრა ხმაური და მანაც დრო იხელთა, ხმამაღლა დაიყვირა: — ანტრაქტი!

არ ვიცი, რა ჭკუაზე დავდექი. სწრაფად გავიჭერი წინ, ვიდრე მაყურებელი აჩოჩქოლდებოდა, წინდიან ავხტი შემაღლებულ სცენაზე. კულტმუშაკივით ავწიე ხელები და დავიძახე: ანტრაქტი არ იქნება!

მოულოდნელობის დუმილმა გადაუარა მაყურებელს. შემეშინდა, ხმა არ ჩამწყვეტოდა, არ დავეთრგუნე ბრმა ძალას, რომელმაც აქ გამომისროლა და ჯერაც ვერ გამეგო, რას ჩამადენინებდა. ამიტომ კვლავ გავიმეორე აჩქარებით:

— ანტრაქტი არ იქნება, რადგან თქვენ თავდავიწყება უფრო გჭირდებათ, ვიდრე ფიქრი. აი, ამ ზაზუნამ, ახლახან რომ იხილეთ, სულ ცოტა ხნის წინ საკუთარი ნერწყვით პირის დაბანა და ჩიჩქნა იცოდა, მეტი არაფერი. ახლა კი ხედავთ, როგორ ცეკვავს? მერე კიდევ რაიმეს ისწავლის და მეტად დასცილდება თავის ცხოველურ ბუნებას. ადამიანებმა კი, პირიქით, რაც შეიძლება ბევრი უნდა ისწავლონ, რომ როგორ-გორამე მიუახლოვდნენ ადამიანურ ბუნებას. არ ვიცი, რა უნდა ვისწავლოთ, ის ერთადერთი მაინც — გავხდეთ ოდნავ უკეთესნი, ვიდრე ვართ!

ამის თქმა და სცენაზე ვიღაც შემოხტა, მთელი ხმით ღრიალებს:

— თვითონ მიცვალებულებს ძარცავს, ჩვენ კი აქ ჭკუას გვასწავლის!

ვიცანი, სალამანდრას ფირმის რბილ ფეხსაცმელზე რომ ოცნებობს, ისაა, კრეშენი კაცი. მომვარდა, პიჯაკის საყელოზე დამეკაჩა. ფეხის წვერებზე იწევს, მეორე ხელით პერანგის გულისპირი ჩამომბღუჯა.

— ჰკითხეთ, ჰკითხეთ, საიდანა აქვს ეს ტანსაცმელი! — ჩამოიქნია მკლავი, ფხრიწინით ჩამოიყოლა ჩემი გულისპირიც.

ახლა სხვა ამოვარდა სცენაზე, თვალებიდან ლამის ნაპერწკლებს ყრის:

— ყველაფერი ნაქურდალი აცვია!— ყვირილით აუწყებს ხალხს, შარვლის ჯიბეში მიყოფს ხელებს, აქეთ-იქით ქაჩავს და შარვლის ტოტს გვერდითა ნაკერზე მიხეკს. მეორე მხრიდან სხვა მომადგა. გამხადეს პიჯაკი, სახელოებით გაქაჩეს, სწევენ მონდომებით. კოსტაც აქაა. კოსტა ცდილობს, პიჯაკი უფნებლად დაისაკუთროს, მაგრამ ამაოდ. მერე ძირს ვგდივარ, ვიღაც ფეხსაცმელს მხდის, შურდულივით ისვრის შორს, მაყურებლის მიღმა. ხელს არ ვანძრევ, აბსოლუტური თავისუფლება მივეცი შურისმაძიებელთ, ზღვარი მაინტერესებს... სადამდე... სადამდე... ხალხი ჩუმადაა, ხალხი მაყურებლად დარჩა.

მხოლოდ მაშინ მანებებენ თავს, როცა უკვე დედაშობილა ვდგავარ. სრულიად არ მრცხვენია სიშიშვლის. ხელებს განზე ვწევ, მშვიდად ვკითხულობ: ძელი ხომ არ გექნებათ და სამი ლურსმანი?

ლალი ბრეგვაძე
ვუკრავ რეკტიციზს

არავინ მეპასუხება. მარტო მტოვებენ სცენაზე, მაყურებელს უერთდებიან. ვიღაც გამობრძის უკნიდან. იკებანა! ეს იკებანაა! ყვავილების ვეება გვირგვინები მოაქვს. ოდნავ ვიღრიკები და გვირგვინებს კისერზე მკიდებს ისე მორგებულად, თითქოს წინასწარ ყოფილიყოს ყველაფერი გათვალისწინებული. ყვავილების სამოსი მაცვია ტანთ და ის ბრმა ძალაც, რომელმაც აქამდე მომათქმევინა, საბოლოოდ მაწონასწორებს. „გათავდა...“ — ვფიქრობ შვებით, ქალს ვუღიმი და ვეუბნები: თქვენთვის და ყველა აქ მყოფისათვის (მაყურებლისაკენ ვიშვერ ხელს) შესრულდება რექტაიმი. იგი დიდი ხნის წინათ მიუძღვნეს მამაკაცს, რომელსაც შეუძლია, ქალს ერთხელ ჩაუდოს თავი კალთაში და მთელი სიცოცხლე დაამახსოვროს.

მაშ ასე, ვუკრავ რექტაიმს!

როიალისაკენ მივდივარ, ვხდი თავს, ვჯდები და დაკვრას ვიწყებ. მიკროფონი კარგად მუშაობს, ვგრძნობ, მსმენელამდე დაუკარგავად მიაქვს ყოველი ბგერა. ვარ ჩამძვრალი ყვავილთა სურნელოვან ფერადოვნებაში, იქვე, როიალის გვერდით, ოდნავ თავდახრილ იკებანას ვუცქერ, ნაზს, საოცრად ნაზს, ყოველგვარი სანტიმენტალიზმისაგან თავისუფალს, იმიტომ, რომ ჯანსაღია, იმიტომ, რომ ესმის, ცრემლგარეულ ღიმილს ჰგავს ეს მუსიკა.

დაკვრას ვამთავრებ, ვდგები, ვხუთრავ როიალს. იკებანას მაჯაზე ვკიდებ ხელს, უკანა გასასვლელისაკენ მიმყავს. ერთხელაც არ გამიხედავს მაყურებლისაკენ, გარინდული რომ ზის, ტაშის დაკვრა ვერ გაუბედავს, ოღონდ დაავიწყდა, ანტრაქტი რომაა.

რიზმარინის ბუჩქთან, ბიჭუნებთან ახლოს, მოვდელი დგას, ლამის გადმოუცვივდეს თვალები. ბიჭუნები ეშმაკურად იცინიან.

— ზღვაში ვერ შედიან, კონცერტებს კი მართავენ...

რომ დამინახეს, გაისუსნენ, გაშტერებულნი შემომცქერიან. მიანლოგრინასს მოვდელს წავუსაპარეკი: „ბავშვო, ილოცე ჩემთვის!..“ თავი დაიქნია, ჯვარზე მიიდო სმი თითი. იკებანა ისევ გვერდით მომდევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, მართლა, ეს გვირგვინები... — ტანზე დავიხედე.

— არა, მაგიტომ არა... როგორღაც ვეღარ მიგატოვეთ... — შედგა.

— მადლობელი ვარ... — არ ვიცოდი, სხვა რა მეთქვა.

— ნახვამდის! — დამეშვიდობა, იგრძნო, თავისი ყველა შესაძლებლობა უკვე ამოწურა.

ბიჭუნებს გავხედე. კვლავ მიცქერდნენ. უცებ მეცნო ერთი — ის იყო, პირამიდა რომ დაანგრია. ხელი დავუქნიე. ჯერ გაუკვირდა, მაგრამ ისევ მოვიხმე და სირბილით მეახლა.

— რამდენს გეძებდი, — ვუთხარი გულწრფელად. — რაღა ახლა შეახვდი, ამ სულელურ მდგომარეობაში... — ტანზე დავიხედე. იმანაც თავიდან ფეხამდე დამთვალიერა ერთხელ კიდევ. — მაგრამ ნუ მიაქცევ ყურადღებას. რაღაც მინდა გკითხო. ავალ, გადავიცვამ, ადამიანს დავემსგავსები. ჯერ ხომ აქ იქნები?

თავი დამიქნია.

— ან თუ არ გეზარება, ამომყევი ნომერში.

ამხანაგებს გახედა. მივხვდი, შეეშინდა, არ დამეკარგონო.

— კარგი, კარგი, მე თვითონ მოვალ აი, იქ, სუროშემოხვეული წითელი ტყემლის ხეზე ვანიშნე და გავჩქარდი.

ეზოც და პანსიონატის შენობაც ცარიელი იყო. ადმინისტრატორიც არ იჯდა ადგილზე, ჩამოვხსენი გასაღები და ლიფტში შესულმა სარკეში რომ ჩავიხედე, სიყვითლის შიშით კი აღარ დამიწყია საკუთარი ფიზიონომიის კირკიტი, ხარხარი ამიტყდა გიჟივით.

ბიჭუნა მართლაც მელოდა სუროშემოხვეულ ტყემლის ხესთან.

— წელან ხომ არ შეგაშინე? — ვკითხე სიცილით.

— არა, — თქვა მორცხვად, — მაგრამ ასეთი ნომერი პირველად ვნახე... კაცს რომ აშიშვლებდნენ!..

— ნომერი არ ყოფილა... გაუთავლისწინებლად მოხდა... — სხვაგვარად როგორ ამეხსნა.

ამხანაგები შორიახლო ელოდნენ. ჩქარობდა ბიჭუნა... სოფელში იყვნენ ასასვლელნი... არ მინდოდა ასე მოუხერხებლად, ნაჩქარევად მასთან საუბარი, მაგრამ ვიცოდი, ვეღარ შევხვდებოდი.

— გულწრფელი ხარ? — ვკითხე, — ტყუილები ხომ არ გიყვარს?

გაეღიმა, უხერხულად შეიშმუშნა.

— ერთხელ ზღვის პირას გიყურეთ, პირამიდა რომ ააგეთ ყველამ, — ფუ, რა არასაინტერესოდ დავიწყე!

მისმენს.

—მერე ერთად წახვედით.

მთლად სმენად იქცა.

— ცოტა ხანში შენ მარტო მობრუნდი და პირამიდა დაანგრიე. გახსოვს?

მზერით მემოწმება.

— შეგიძლია მითხრა, რად დაანგრიე?

ისე მიცქერს, თითქოს ახლა უფრო საოცრებას ვგავარ, ვიდრე წეღან — შიშველ-ტიტველი.

— ოღონდ, გეხვეწება, ნუ იცრუებ, თუ სიმართლის გამეღავნება არ გინდა, ტყუილს მაინც ნუ მეტყვი.

— ტყუილი რად მჭირდება! — თქვა ბიჭუნამ, — მოსატყუებელი რა მაქვს...

— მაშინ გისმენ, — ტყემლის ხეს მივეყრდენ, გულზე ხელი დავიჭდე, უცნაურად შიშგარეული მოლოდინი დამეუფლა.

— თქვენ გგონიათ, ამხანაგებს მოვატყუე? — მომიხვდა ეჭვს. — სულაც არა. ხომ ვიცოდი, ჩვენ მოსვლამდე ვიღაც აუცილებლად დაანგრევდა... ყოველთვის გვინგრევენ. ამიტომ ავდექი და თვითონვე...

— როცა შენვე ანგრევ, უფრო ადვილი ასატანია? — არ ვაცდი დამთავრებას.

— ვერ გეტყვით... მაგრამ განსხვავება მაინც არის... მეორე დღემდე ... ფიქრობ, შეიძლება ახლა ანგრევენ შენს აშენებულს, შეიძლება ახლაო, — გაჩუმდა, მეტის ახსნა არც შეეძლო, არც მოეთხოვებოდა.

— გიკვირს, ალბათ, როგორ დაგიმახსოვრე... აი, ამ თვეზით... — მაღსურზე ხელი დავუსვი ძვლებამოჩრილ მკერდთან და გავიფიქრე: „შენც ხომ დამიმახსოვრებ, რომ გაიზრდები, მაშინაც გამიხსენებ...“ — ალბ, ახლა გაიქეცი, ამხანაგები გელოდებიან!

ბიჭუნა მაშინვე შებრუნდა, — ნახვამდის... — ჩაილაპარაკა ისე, თითქოს ჩემთვის არც უთქვამს და გავარდა.

ზღვაზე გავედი. უნდა გამოვემშვიდობო. ამაღამე დავტოვებ აქაურობას. დავტოვებ ყვავილების გვირგვინთა სურნელებაში, მთელი სიცოხლე რომ მემახსოვრება.

ნახევრად ცარიელ ტრამვაიში ვჯდები. ისევ ის დამტვერილი ქუჩები, შენობები, მაღაზიები, მოდების ატელიე, კინო, საკოლმეურნეო ბაზარი, საპარიკმახერო, საყვავილე; ადრიანი, გამოუძინებელი მგზავრები... ყველაფერი ისე ნაცნობია, იმდენად ახლობელი, შეიძლება ხელი ჩამოართვა. აქ დაფრინავენ ჩემს აივანზე გაზრდილი მტრედები. ლევანი... და ის ქალიც აქ ცხოვრობს, ერთ დროს რომ მიყვარდა.

შინ მისულს საფოსტო ყუთი გაზეთებით ამოტენილი მხვდება, აქვეა რადიოქსელიდან გფერთხილების ორი ბარათი და საქალაქთაშორისო საუბრის გადასახდელი ქვითრებიც. წერილი კი არც ერთი... ქვეყნიერებაზე არავინ მწერს წერილს.

ნაჩქარევი შხაპი... საუზმეზე ბოდიშიი... არა უშავს, სადმე კაფეში გავალ იოლად.

ცხრის ნახევარი არცაა, უკვე ნაცნობ კართან ვდგავარ. მარჯვენა ხელს მაღლა ვწევ, ვაკაკუნებ სამჯერ ზედი-

ზედ, ძველებურად, ინსტინქტური სიზუსტით.

იზეტამ გამიღო კარი, მიყურებს გაოცებული. მე კი ვფიქრობ, ალბათ, დროდადრო ასე გვაკითხავენ ჩვენი საყვარელი მიცვალებულები-მეთქი, მაგრამ აღარაფერი გვესმის მათი, რადგან გარდასულთა ენა სხვა ენაა...

ნაცნობ, ათასგზის ნაცნობ სახეს მოვატარე მზერა, უკვე იმაზეც აღარ ვფიქრობ, ნეტა თუ შემიპატიჟებს? რაღაც იყო არაბუნებრივი ამ შეხვედრაში, უხერხულობის მსგავსი, რაც არც ერთი ჩვენგანიდან არ მომდინარეობდა. მომბეზრდა გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, ის იყო, დავაპირე მეთქვა სიმართლე, რაც თვითონვე ამ წუთებში აღმოვაჩინე, და აღმომჩენის გულწრფელი სიხარულით მინდოდა მეხარებინა: „მე ისევ შემიყვარდა ჩემი თავი! და მოვედი...“ რომ ბინის ინტერიერიდან მამაკაცის ხმა მოისმა: ვინ არის? — ეტყობოდა ლუკმა ედო პირში.

იზეტას მზერას ნაღველი გაერია, ისეთი კი არა, ერთხელ რომ მიამბობდა, თუ როგორ დაკარგა ლენინგრადის ახალგაზრდობის ყველა სურათი. ფოტოგრაფთან მიჰქონდა გასამრავლებლად, ვიღაცამ ხელჩანთიდან ამოაცალა წიგნაკიანად. თავს იკლავდა, როგორ ვერ გავიგე, რა დამემართოო.

ასე თუ ისე, ვიცნობდი იზეტას და მივხვდი, მაშინდებური, ყველაზე ძვირფასის დაკარგვის ნაღველი კი არ ერია მის მზერას, რისი გაზიარება იქნებ მეც შემძლებოდა, არამედ, ეს იყო საყვარელი მიცვალებულის გამოცხადების ზარი — შიში, გაოცება, უნდობლობა — ყველაფერი ერთად და, რაც მთავარია, ურვა! ურვა! ურვა!

ხოლო როცა ჰოლში გამოჩენილი კაცის დიდმა, თაფლისფერმა თვალებმა ფიზიკური ტკივილივით შემოაღწია ჩემში და გატანჯული მოთმინებით დაველოდე, სადაცაა ისევ იკითხავს იგი, ვინ არისო, იზეტამ მშვიდად თქვა: სართული შეეშალათ, ძვირფასო!

ცხვირწინ ნელა მომიხუა კარი და იხსნა კაცი, რომლის დიდი, თაფლისფერი თვალები რატომღაც სიკეთის ნიშნად მივიჩნიე.

მე და კავკასიონი

მე ყოველდღე ვხედავ
კავკასიის ქედებს,
მიწას ჩაფესვილს და
ღრუბლით გადაბელტილს.

დილით, როცა ვდგები
ადგებიან მთებიც,
და მწუხრამდე ერთად
მზის ყუდროზე ვთბებით.

მე ყოველდღე ვხედავ
ამაყ კავკასიონს,
ლაგამმიშვებულს და
ქართან მოკენწლავეს.
ფუძეშეურყეველად
ცად რომ ალამპრულა.

და მზის დასამხრისად
როცა ყოველ სულდგმულს,
ძირისძირობამდე
გულის ძილით სძინავს.
მეც მივლულავ თვალებს
რადგან მაღლა მხედი
კავკასიის მთები
მეგულება მცველად.

დილით როცა ვდგები
და მზე ოქროს ფუნჯით
დაასურათხატებს
ცხადლივ გარეშემოს
ჩემსკენ მომზირალი
ადგებიან მთებიც,
ასე ვდგავართ ლაღად
გაფრენილი ფრთებით,
გულმარგალიტ ცის და
მიწის მოყურადედ.
მე და ჩემი დიდი
კავკასიის მთები.

●

თუმც გასულდგმულდა
კოროში, კორდი,
ვიცი, იები
არ მოვლენ დროშდი.
მაგრამ, იები
ვიცი, რომ მოვლენ,
გამოფხიზლდება
ძილისგან ოლეც,
კვლავ სანადიროდ
გამოვა სვავი,
მაგრამ შენ ,ონდა
გეძებ. ,ااით,
მარტის თვალებზე
ცრემლები გოგავს,
მეც გულზე ვიხვევ
წვიმების გორგალს.
და დამდუღრული
შევყურებ ცარგვალს,
დღე გუშინდელი
დღევანდელს არ გავს.
გადავეჩვიე
მწყერივით გოგმანს.
ვიცი, შენ არც დღეს
არც ხვალზეგ მოხვალ
და სიყვარული
დამრჩება ოხრად!

●

არწევს ყვავ-ყორნებით
მონადიმეს,
არ ესვრის
ნამდვილი მონადირე,
არც ბულბულს
საგალობლად ყელაღერილს.
არ გაბდღვნის
ალალი ხელაღებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაჭაში, სალამურად
გაზრდილ ლერწამს,
ქარი არ დალეწავს
თვალიერწამ.
არც ლოდებს
გაჩენიდან ძილისგუდებს
გულში შიშს
ვერავინ ჩავუბუდებთ.
რადგან ბედი
გულზე აწერიათ,

ქვედრულა
ეწერი თუ
ქვაწერია —
უნდა მოვიხადოთ
კაცის ვალი,
რადგან საიმქვეყნო
საფიცარი,
არის სულ სხვა გზა და
სხვა ფიცარი!

●

არ ვიცი დღეიდან
ვინ უნდა
მიყვარდეს,
ან ვინღა მომიტანს
ბაზრიდან მიხაკებს.

ჩვენს შორის
ჩამდგარან
გულცივი კედლები,
დღითიდღე ვშორდებით,
და ვცალვცალკევდებით!

ეს შენი ბრალია
ტირილით თუ ვკვდები,
თუ უკან გიბრუნებ
ყვავილებს უკლებლივ:
გვირილებს,
შროშანებს,
ენძელებს
მიხაკებს...

და უკვე არ ვიცი
ვინ უნდა მიყვარდეს!

●

დღეები მიდიან უღიმღამოდ
სამარეს გიმშვენებს
სურა ვარდით,
ჩემი გატეხილი
უღლის გამო,
შემყრია ტირილის
სურავანდი.
სახლში შემოვდივარ
ფეხათრევით,
შენს სურათს
წმინდანივით ვეხათრები,
მე ვიცი რას ნიშნავს
ჩელოს გლოვა,
რას ნიშნავს
ფოთლებისთვის შემოდგომა.
და როცა
საიმქვეყნო ზიგზაგებით,

შენს გზას გამიყენებს
გზის გამგნები.
იწვები მდუმარე ქვაშაგებში
ჩემს შესაგებებლად
ვერ ადგები.
მე კარს შემოგიღებ
მოწიწებით,
გვერდით პირუჩუმრად
მოგიწვებ:
შენ თვალებს მომაპყრობ
ფიქრიანად
ჯავრით გალეულს და
სიფრიფანას,
და გთხოვ პატიებას
დარდიანი
გზაზე ამდენ ხანს რომ
დავგვიანდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოკორტრეტი. 1984.

მთელი ქვეყნის პირისპირ რომ დგას,
ამ ქველისძველი
ქვეყნის პირისპირ —
მთელი ქვეყნის პირისპირ რომ დგას,
ხანდახან კვესა რომ აღმოხდება
და დაღარულ პირისახეზე
ტკივილის ფოთლები რომ გამოაყრის...
და ეამიჟამ
რომ ირჯება ჯამბაზივით,
ხელებს ცარიელ ჯიბეებში რომ იფათურებს...
გზად უცხო მანდილოსანს
რომ უმიჯნურდება —
და ჭიქებს რომ ცლის,
ნუნუას რომ ეალერსება —
ვინ არის ეს გაღლეტილი შარახვეტია,
ეს ურწმუნო შარლატანი,
სხვათა ოცნებებში მოხეტიალე,
ვინ არის ეს გაღლეტილი შარახვეტია, —
ჩემს სხეულში რომ წვალობს,
ჩემს სულში რომ დუღს,
ჩემს ფიქრში რომ ბოლავს...
და წინ რომ მიდის ის
ამღვრეულ მდინარეთა საპირისპიროდ.

კოსმოსი

მარცვალში
შემკვრივებული სიცოცხლე.

წვეთში
შემკვრივებული ოკეანე,

სხივში
შემკვრივებული სამყარო.

სიტყვაში
შემკვრივებული წარსული...

და ყველა ერთად
ისე მცირეა
ლამის ცრემლის წვეთშიც მოთავსდეს!

მიტევებისა

ადამიანს ყველაფერი ეპატიება...

ეპატიება
ის მეორე ლოყას რომ უშვერს,
ეპატიება
საუკუნეებში განთქმული უნარი —
ქედისმოხრის უნარი რომ არ დაჰკარგვია...

ადამიანს ყველაფერი ეპატიება...
რადგან
ის არის ყველაზე მერყევი ფოთოლი,
რადგან
ის არის ყველაზე მყიფე ფირფიტა,
რადგან
ის არის ყველაზე დაბნეული ფრინველი,
რომელმაც დაჰკარგა ფრენის უნარი,
რომელმაც დაჰკარგა საკუთარი ცა...

და მიწაზეც ვეღარ ეტევა...

ადამიანს ყველაფერი ეპატიება —
რადგან
ის არის ყველაზე დაღლილი ფრინველი,
რადგან,
ის არის ყველაზე დაბნეული ფრინველი,
რომელმაც დაჰკარგა საკუთარი ცა...

ყველაფერი შეუმჩნევლად მოხდა

შექმნას არავინ უთვალთვალებდა.

ყველაფერი ზედამხედველის გარეშე მოხდა...
ისე დაღამდა პირველი დღე,
ისე დაღამდა მეორე დღე,
ისე დაღამდა მესამე დღე,
ისე დაღამდა მეოთხე დღე,
ისე დაღამდა მეხუთე დღე,
ისე დაღამდა მეექვსე დღე —
რომ არავინ გამოჩენილა,
და გარშემო არ შემორტყმია
ცნობისმოყვარე რეპორტიორების გუნდი,
არ აჩხაკუნებულა ფოტოაპარატები,
არ გადაუციათ პირდაპირი ტრანსლაციით,
არ დარხეულა აქ დიქტორის ჩახლეჩილი ხმა...

ისე დაიბადა ცა.
ისე დაიბადა მიწა.
ისე დაღამდა პირველი დღე.
ისე დაიბადა მზე და მთვარე.
ისე დაღამდა მეორე დღე.
ისე დაიბადა ზღვა და მდინარე.
ისე დაღამდა მესამე დღე.
ისე დაიბადა ქარი.
ისე დაღამდა მეოთხე დღე.
ისე დაიბადა ტყე და ბალახი,
ისე დაღამდა მეხუთე დღე.
ისე დავიბადეთ მე და შენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე დაღამდა მეექვსე დღე...

ხოლო მეშვიდე დღეს ეს ლექსი იწერება.
ხოლო მეშვიდე დღეს აურზაურია.
ყველაფერს ნათელი უნდა მოეფინოს.

პრესკონფერენციები.
შეკითხვები...
რედაქციები. აკადემიები. ინსტიტუტები...
ყველაფერს ნათელი უნდა მოეფინოს...
კვამლი
და ჭვარტლი
და ღრუბლები...
და ხმაური,
სულ რომ ფარავს იმ დღეთა კვალს,
მოწაში რომ აუჩინარებს...

ღამის ფოთოლი

დილის ტყეში დარჩენილი
ღამის ფოთოლი.

გალობს შაოსანი შაშვი.
მოთქვამს მონაზონი ჩიტი.
მღერის
ღამის ნათესავი ფრინველი.

ჭახჭახებს ის
დილის ტყეში დარჩენილი
ღამის ფოთოლი.

ტირის ღამეს,
მზის ხვრელში რომ გაუჩინარდა...
პრეისტორიულ მღვიმეში
რომ გადაიხაფრა...

ტირის ტყეში დარჩენილი
ღამის ფოთოლი.

წვიმა

წვიმამ შემოიხსნა ცისარტყელის ქამარი.
წვიმამ გაიხადა ღრუბლის სამოსელი.
წვიმამ გაიხადა ქოშები...
წვიმა წამოვიდა შენთან შესახვედრად.

მოაბიჯებს ნაზამთრალ ველებზე...
მუხლები ეკაწრება ჩირგვებზე გადმოსვლისას,
ნაკაწრებიდან მოეონავს ბალახი,
ნაკაწრებიდან მოეონავს სიმწვანე...
წვიმა მოდის შენთან შესახვედრად...

წვიმა მოდის,
რომ განკურნოს მიწის ჭრილობები,
წვიმა მოდის,
რომ განკურნოს ნაპრალები ამქვეყნიური,
წვიმა მოდის,
რომ განკურნოს შენი წყურვილი...
წვიმა მოდის შენთან შესახვედრად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძღვნა

როცა გაზაფხულის მზე დაბრუნდება
და გაადნობს ჩემი ფიქრის ყინულის კოშკებს
და ჩემს კვალზე
ხავსს დააფენს დავიწყებისას —

მაშინ შემიბრალე მე,
მსაჯულო ჩემო...

შეიბრალე შენ ის წვიმა,
ჩემს კვალს რომ შლის შავეთის გზაზე...

შეიბრალე ის მებაღე,
ჩემს უდაბურ ნასახლარში ხეს რომ ახარებს...

შეიბრალე ის ფურცელი,
რომ ინახავს ანაბეჭდებს ჩემი ხელისას...

ველის ბალახი
შეიბრალე
ჩემს სამარეზე...

●

ღამის ქალაქში დადის სხივი და ის ბავშვია...

ის ბრმა სიზმრებს გზას უნათებს,
ის ფსკერის კვამლს გზას უნათებს,
ის მდინარეს გზას უნათებს,
ის ჩემს წუხილს გზას უნათებს,
ის ჩემს სტრიქონს გზას უნათებს,
ის მოლოდინს გზას უნათებს,
ის სიმღერას გზას უნათებს,
ის სიყვარულს გზას უნათებს
ბნელ ღამეში
გულებისაკენ...

●

ჩემი შიში
გვერდითა მყავს,
ჩემი შიში,
ეს რამდენი წელიწადია...

ჩემი შიში
ერთი წამით არა მტოვებს,

რომ არა ვთქვა მეც სხვებივით,
რომ არა ვთქვა
სისხლის თქრიალით,
რომ არა ვთქვა საშინელი —

აჰა, მარტო ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედები

და ტირიან ჩვენი დედები...

და ცრემლის წყალში ამოწებულ ბალახის ფურცლებს
ეკიფენენ ხოლმე ძველ ჭრილობებზე...
ცრემლებით ბანენ
ჩვენს ძველისძველ წყლულებს ისინი...

და ტირიან ჩვენი დედები
ჩვენს დაკარგულ ფრთებს,
დაკარგულ ცას,
დაკარგულ სიზმრებს...
ჩვენს ნაღვლიან გზას,
რომ მიცოცავს ღამის მიწაზე,
ხმელი ყვავილის ეკლებით სავსე...

და ტირიან ჩვენი დედები...
ცრემლებით რწყავენ იმ ყვავილებს,
რომ ამოვა ჩვენს საფლავებზე...

და ტირიან ჩვენი დედები...

●

და მიწიდან თავს წამოსწევს
ქარდაკრული ჩემი ცხოვრება —

რომ საბოლოო მადლობა უთხრას
გაზაფხულის წვიმას,
გუბეებში რომ ჩქაფუნობს,
გზაზე რომ გადარბის ასკინკილით...

რომ საბოლოო მადლობა უთხრას
ამ უსმინარი ხმებისათვის,
ამ უკვდავი მუსიკისათვის...

რომ საბოლოო მადლობა უთხრას
მიწის მაგიერ —
ჯერ ენა რომ არ აუდგია,
ტყის მაგიერ —
ჯერ ენა რომ არ აუდგია...
რომ საბოლოო მადლობა უთხრას...

●

ამ გაზაფხულმა
ჩემს სიყვარულს
მოუტანა
ცრემლის ზღვაი...

მოუტანა
მერცხლის შავი მოსასხამი...
მოუტანა
ოთხი ლურსმანი...

დიდგორის ზეიმოდგომა

გულზე ატყვია დიდგორის ტყეს,
ყვითლად მოთოვლილს,
გადარჩენილი სისხლის ზღვაი:
თრიმლის ფოთოლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყე

ხეები დაობრმავა შემოდგომის სუსხმა:
დასცვივდათ ფოთოლი...

და ვეღარ ხედავენ,
ფანტელი რომ ეცემათ,
მაგრამ გრძნობენ ხეშეში ქერქით,
რომ რაღაც ციური,
ანგელოზის თმებივით ფაფუკი
აცვივა მაღლა აშვერილ ხელებზე...

და მთელი ზამთარი
უსინთლოდ...

და მთელი ზამთარი
ბნელში ხეტიალი...

და მთელი ზამთარი
ანგელოზის თმების სიგრილე..

ოპტიმისტური პოემა

თავისი რიგით ყველაფერი:

ჯერ უდაბნო.
მერე სამოთხე.
მერე ისევ ჯოჯოხეთი...
მერე ისევ ჩვენი ჩურჩული,

თავისი რიგით ყველაფერი:

ჯოჯოხეთის შემდეგ
წარღვნა...

წარღვნის შემდეგ
ცეცხლის ენები...

ცეცხლის შემდეგ
გამყინვარება...

ბოლოს ისევ
ჩვენი ჩურჩული...

●

უცნაურია:
როცა გლოცავენ —
სიტყვა ღიმილს გამოასხივებს...

როცა გწყევლიან —
ის შხამიან ყვავილებს ისხამს.

„გადამთიელის სისხლი“

ნოველა

ავთანდილ, იცი, რისთვის დაგიბარე? იქნებ გაგიკვირდეს კიდევაც! როგორც ხედავ, მაგნეტოფონი ჩართულია და, რასაც გელაპარაკები, ყველაფერი იწერება...

მომავალი იურისტი ამ საქმემ, წესით, უნდა დაგაინტერესოს! რა საქმემო? გეტყვი, აგერ! ჩემს საყვარელ ძმისწულს ყველაფერი გულახდილად უნდა გაუწყო და გაგიზიარო! როგორც იცი, შარშან ა-იქ, სოფელ ხარიაულში საგარაკო სახლის მშენებლობა წამოვიწყე... გასრულებას ბევრი აღარაფერი აკლდა, მაგრამ... ამ ორი კვირის წინ ისეთი რამ მოხდა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა! ყამარი... გადამიდგა! ცოცხალი თავით მანდაურობას აღარ გავეკარებიო! მე კი იქაურობა მარტო ჩემთვის არ მინდოდა. სასიძოც ხომ ხარიაულში ცხოვრობს. ჰოდა, ერთი სიტყვით, ჩემს გუნებაში ვაწყობდი გეგმებს, მაგრამ თურმე — კაცი ბჭობს, ღმერთი იცინისო, — ცარიელი ანდაზა არ ყოფილა! სწორედ ორიოდე კვირის წინ იყო, ერთხელაც რომ მივაკითხე მშენებლობის ხარიაულში... ყამარიც თან მახლდა. რომ იცოდე, როგორ დაჰყავს მანქანა... ჰოდა, ესტატეც მშენებლობაზე დამხვდა. ისე რომელ ნათესავს გაეხარდება ახლობლის ნახვაც კი... ალალი კაცია. ზოგი რაა მაინც! ანგელოზი რომ უწოდო, ისიც გეცოტავება! ესტატეც ნამდვილად ანგელოზივით ადამიანია. ხელობას ნუღარ იკითხავ, თურმე ხუროდაც კი უნდა დაიბადო! აი, მე, პედიატრს, იქნებ ჩემი საქმე ისე არ მიყვარდეს, როგორც მაგას ხუროობა. და ამას იცი, ყველაფერზე ატყობ... გამომეტყველებაზე, ხელის მოძრაობაზე, სიმარჯვეზე, სიბეჯითეზე! ჰოდა, იმ დღეს საქმეზე საუბარს შევყოვევით, ყამარს კი ვუთხარი, შენ აქ რაზე უნდა მოიწყინო, წადი, მზიასა და რატის დახედე, მეც ამ ერთორ საათში ჩამოგივლით-მეთქი. ამას წინათ რომ მითხრა დღეის დღეზე, შენა და შენი მშენებლები უნდა დაგპატიჟოთო, ხომ არ გადათქვამს, ის, ალბათ, უკვე სამზადისშია. ჩემს ქალიშვილს რომ გული ფაარუოად საქმრისაკენ მიუწევდა, ამას რა მიხვედრა უნდოდა. ყამარმა ერთი შემომხედა, დახარა თავი და უხმოდ გაგვეცალა. ფერდობი სწრაფად ჩაირბინა და თვალს მიეფარა. ასე, ალბათ, ოც, ოცდახუთ წუთსაც არ გაევლო, რომ... ვხედავ, ყამარი ისე ამორბის ფერდობზე, თითქოს ვინმე მოსდევსო!.. ერთხელ კიდევაც წაიფორხილა. გული გადამიქანდა, ხარიხიდან ძირს ფაცხაფუცხით ჩამოვედი და ქალიშვილს შევეგებე... ჩავკითხავ — რა მოხდა, რა ამბავია-მეთქი! ხმას არ იღებს. მკლავით ჩემ კისერზე ჩამოკიდებულს, თავი მკერდზე აქვს მობჯენილი და გამალებით, პირღია სუნთქავს. მისი გულისცემა გარკვევით მესმის, მეც ეს ოხერი გული ამოვარდნაზე მაქვს. აღარაფერს ვეკითხები. ვფიქრობ, სული მოითქვას და მერე... იტყვის, აბა რა იქნება-მეთქი. რამდენიმე წუთის შემდეგ, ეტყობა, ცოტა გონი რომ მოიკრიბა, ყამარმა ჩემს კისერზე შემოხვეული მკლავი მომაცილა, ორივე ხელისგული სახეზე აიფარა

და ასე, ძლიერ შეშფოთებულივით დგას და, რაღაცას ფიქრობს. მერე ისევ სახეზე ხელაფარებული, ვედრების კილოთი მეუბნება: — მამი, ახლავე წავიდეთ აქედან, ახლავე, — ხმას უფრო უწევს. — გესმის, ახლავე!

მე წყნარად, თითქმის ჩურჩულით ვეკითხები: — რა მოხდა, გამაგებინე... წასვლას რა უნდა — მაგრამ, მშენებლობა, ესტატე... რას იტყვის ის კიცა!.

— მერე გეტყვი, ახლა ამისი დრო არ არის... ვერც გაიგებ... შინ თბილისში, დალაგებით, ყველაფერს გიამბობ, აგიხსნი...

შენც იცი, ავთანდილ, ყამარი ცოტა ფიცხია, ნერვიული... ჯიუტიც! აღარ ჩავძიებივარ. ესტატეს ვუთხარი, ქალიშვილი შეუძლოდ არის, უნდა დაგტოვო, ხვალ-ზეგ ჩემს ჩამოსვლამდე, ხომ იცი, რაც უნდა გააკეთო და... წავედი-მეთქი. მანქანას ვეცი, ავამუშავე... ჰო, ყამარმა ისიც მითხრა, საჭესთან შენ დაჯექი, მე მანქანის წაყვანა ახლა არ შემიძლიაო. ჩემს გვერდითაც კი არ დაჯდა, როგორც ვმგზავრობთ ხოლმე. უკანა სავარძელზე, კუთხეში, სწორედ ჩემს ზურგს მოფარებული ისე მიიყუჟა, თითქოს აქაც ვინმეს ემალებაო. ცალი ხელი ისევ სახეზე აქვს აფარებული... თითქოს სინათლეც კი აღიზიანებდეს. ხმასაც არ იღებს. მის შემხედვარეს გულისცემაც აღარ მიწყნარდება. არ ვიცი, რა დამემართება. ბაურკვევლობაზე უარესი თუ არის რამე? უხმოდ, ჩემს თავს, ვითომ დასამშვიდებლად, რაღაცას ვეჩურჩულები... მაგრამ რა დაგაწყნარებს! ასეთი შემთხვევა ჯერ არ მახსოვს. აღმართს რომ შეეუდექი და სოფელს გადავხედე, მოულოდნელად გავოცდი. ვიფიქრე, მეჩვენება, თუ მართლა მომესმის-მეთქი! იქ, ქვემოთ, ასე ოთხასიოდე ნაბიჯზე, მანსურაშვილის ეზოში ვიღაც ბალახზე გორაობს და მჭახედ იცინის, თან რაღაცას გაიძახის, საკმაოდ ხმამაღლა, მაგრამ სიტყვების გარჩევა ძნელია.., არა, ერთი სიტყვა მაინც მაფიოდ ისმის დროდადრო — „წასვლია“... ამ ერთი სიტყვით კი რა უნდა გაიგო?.. ყამარს ვკითხე: ვინ არის ბალახში რომ გორაობს და კისკისით იქაურობას აყრუებს-მეთქი. ყამარმაც გაიხედა და გაკვირვებულს ერთი წამით ყველაფერი დაავიწყდა.. მანქანა გავაჩერე. გადმოსვლას ვაპირებდი. ყამარმა არ დამანება, — ჩქარა წადი, ვინც გინდა, იყოსო... როცა მანქანა დავძარი, ხმადაბლა დაუმატა ნათქვამს, — ვინ არის, ვერა სცნობ? „გადამთიელის სისხლი“, სხვა ვინ იქნებაო...

გამახსენდა, ვიღაცამ რომ მითხრა იმ წინეებზე — როცა რამე უხარია, „გადამთიელის სისხლი“ ეგრე ეზოში, ბალახზე გორაობს აქეთ-იქით ოც-ოცდახუთ ნაბიჯზე და გიჟივით იცინისო!..

ამის თაობაზე, მე, ავთანდილ, მეტს არაფერს გეტყვი. დანარჩენი ყამარს ჰკითხე. ის ყველაფერს დაწვრილებით გიამბობს, რის თქმასაც საჭიროდ სცნობს!.. შემდეგ... თუ დამავალებდა... სხვების ნაამბობსაც ჩაიწერ... ვის ნაამბობს? ამას ყამართან საუბრის შემდეგ დაიზუსტებ!.. არის რამდენიმე ადამიანი... მათთან საუბარი მარტო მე კი არა, შენც გამოგადგება, როგორც მომავალ იურისტს!... თუ გინდა, მეც გეტყვი... ხარიაულში თუ ჩახვალ, ინახულე რატი, ჩემი ყამარის საქმრო, მისი და — მზია, ხურო ესტატე.. თუ მუსავირთან გასაუბრებასაც მოახერხებ, ხომ კარგი, თუ არა და, ესეც იკმარებს: თანახმა ხარ? შენც დაინტერესდი? ძალიან კარგი! მუსავირი ვინ არისო? „გადამთიელის სისხლის“ მამაა... „გადამთიელის სისხლი“ უცნაურად ეღერსო? გეთანხმები, მაგრამ იმ ხალხთან გასაუბრების შემდეგ ყველაფერი ნათელი იქნება შენთვის. „გადამთიელის სისხლთან“ გასაუბრება იმიტომ არ დამივალებია, ის გოგო... ამ ორი კვირის წინ... უეცრად გარდაიცვალა! ახლა შენც დაინტერესდი? ძალიან კარგი. მადლობე-

ლი ვიქნები. დავუცადოთ, ავთანდილ, ყამარი ნახეკინ სათში უნდა მოვიდეს ინსტიტუტიდან... ჰო, რომორც გაგეხარდება, გადაქექე ე-მაგ თაროზე. მე აგერ, კლინიკაში დავრეკავ... დღეს მისკენ არ ვეპირებ და, უნდა შევატყობინო. ყამარი რომ მოვა, ერთად ვისადილოთ... ამდენი წიგნები ისტორიაზე რატომ გაქვსო? გიკვირს?: რა მაგის პასუხია და, მე პედიატრი კი არა, ისტორიკოსი უნდა ვყოფილიყავი, ეხლმრები ჩვენი საშობლოს ისტორიასა მარტო გადამთიელთა შემოსევების ჩამოთვლაც კი თავზარს დაგცემს!.. წარმოგიდგენია, რას გადავურჩითო?!! ვის არ გადაუთარეშებია ამ ჩვენს ხელისგულისოდენა მიწა-წყალზე, რომაელთა ლეგიონებიო, არაბებიო — ოთხასი წელიწადი აღმოსავლეთ საქართველოს რომ ამტუტებდნენ, და არც დასავლეთისათვის დაუყრიათ ხეირი. მერე მონგოლეთი, თურქები, სპარსელების გამაჩანაგებელი ბატონობა, ერთიანად აჭრილი ვაზი და ძირფესვიანად ამოგდებული თუთის ხეები, ასიათასობით ტყვედ წასახმული ქართველობა, ქალი, ბავშვი!... ღმეები არ მძინავს... ხანდახან ვსინჯავ ბავშვს და ჩემს თავს უნებლიედ ვიჭერ იმაზე, რომ ამ დროს გონება თურმე აქეთ ჰქრის!.. ჯერ არაფერი ამის შესახებ ყამარისთვის არ გამიმხელია... ჰალუცინაციად ჩამითვლის!..

ავთანდილ, აბა შენ იცი, როგორ ჩაატარე ამ „პირველ სეანსს“... ღმერთი არ გაგიწყრეს და არ წამოგცდეს, რომ ეს ჩემი დავალებაა! ხომ იცი, შენს საქმიანობაში, პროფესიაში სწორედ ანალიზის უნართან ერთად, მიამიტობით შეფერილი უშუალობა და უბრალოება აუცილებელი პირობაა წარმატებისათვის. ადამიანები ყველაზე მეტად გულწრფელებსა და გულუბრყვილოებს ენდობიან... არ იცოდი? არა, მაგაში მართალი ხარ — ზოგი რომ არაავის და არაფერს ენდობა ამ ქვეყანაზე, ზოგი კი ყველას და ყველაფერს: მაგრამ ახლა დოყლაპიებთან ხომ არა გვაქვს საქმე... ყამარს შენც ეცნობა... ოქნება ცოტა თამაშიც, გარანტიანი ვიც მოგიხდეს!.. თამაში რომ გდოდა, სამსახიობოზე შეხვიდოდი?.. რა გულიანად გამაცინე!.. ის სულ სხვაა, ეს თამაში კი სულ სხვა! შენა გგონია, რაკი საქმე თამაშს ეხება, რომელიმე დიდი მსახიობიც კი იურისტად ივარგებდა, ან რომელიმე დიდი იურისტი სცენაზედაც დიდი აღმოჩნდებოდა? სრულიადაც არა! ამაშია მოწოდების საიდუმლოება! რისი უნარით გაჯილდოებს ღმერთი! ავთანდილ, ამ ლაპარაკში, ეგერ ყამარიც არ გამოჩნდა!..

ხარიაულში რა მოხდაო?.. ხომ ვუთხარი მამაჩემს, ამის შესახებ არაფერი ეთქვა ნათესავებისთვისაც კი!.. ეს ჩემი ცხოვრების ინტიმური მხარეა და ვცდილობ არავინ ჩავრიო, მე თვითონვე გავუმკლავდე ყველაფერს!.. არა, რასაკვირველია, ასე ნუ გამიგებ... საიდუმლოების რანგში სულაც არ ამყავს, რაც იქ მოხდა და... რაბაც ასე შემრჩა მთელი ჩემი არსება! ეს, მე მგონია, შენთვისაც გასაგებია, მაგრამ, გამოტყდი... ო, ეს პროფესიული ცნობისმოყვარეობა! საიდუმლოებაო? საიდუმლოება, რასაკვირველია, თუნდაც იმიტომ აღარ არის, რომ ორმა ადამიანმა უკვე იცის ყველაფერი... დაწერილებით ვუამბე მამაჩემს და ჩემი ყოფილი... საქმროს დას — მზიას. ავთანდილ, დაიცა! მამაჩემს, მართალია, ნასადილევს თვალის მოტყუება სჩვევია, მაგრამ ახლა თავი განგებ ხომ არ მოიძძინარა?.. არა, მართლა სძინავს. განგაგრძოთ ჩვენი საუბარი... სხვათა შორის, მზია ერთი იმ უიშვიათესი ადამიანთაგანია, რომელსაც შეიძლება ენდო! იცი, ეს რა არის?! და რომელმაც შეიძლება გაგიგოს! იცი, ავთანდილ, ან ეს რა არის?! გზა გაიკვლიო ადამიანის სულის ლაბირინთებში! ასეთია მზია! მესამე შენა ხარ, ავთანდილ, ვისაც უნდა გავანდო ჩემი, როგორც გითხარი, უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამხელილი საიდუმლო. და შენ იქნები, ალბათ... უკანასკნელი. მე ამის შესახებ ადარავისთან კრინტს ადარ დავძრავ, უბრალოდ, მარტო იმიტომ კი არა, ჭორაობა და ლაყბობა არ მიყვარს, მხოლოდ იმიტომ და კიდევ, კიდევ იმიტომ, რომ... თუ რასაკვირველია, ამას მზიას მეტი გამიგებს ვინმე... ის ამბავზე ლაპარაკი ზოგიერთივით შვებას კი არა მგვრის, ფიზიკურ ტკივილს მაყენებს, აი ისე, მკერდზე რომ ვინმემ პირბასრი, წვეტიანი დანა მოგამბჯინოს! ავთანდილ, გახსოვს, რუსთაველის ნათქვამი — თავსა ახლად ვერვინ იშობსო! გახსოვს, არა? ძალიან კარგი. ადამიანის სულისა და ჯერაც ბოლომდე შეუცნობელი მისი ბუნების ამ მესაიდუმლეს რამ ათქმევინა ასეთი რამ, ჯერ კიდევ როდის, ჰაზ!! პირდაპირ გაკვირვებასა ხარ ადამიანი! ახლა ეს ყველაფერი შედარებით, მეცნიერების წყალობით უკვე ისე ნათელი და აშკარაა! თავსა ახლად ვერვინ იშობსო!!! წარმოგიდგენია?! რაშია საქმე!!! რატომ ვერ იშობს... და რას ვერჩი მაშინ იმ რატის, იმ „გადამთიელის სისხლს“, იმ მუსაკრის?!. იცი, რა არის ქრომოსომი? არა? ქრომოსომი არის ჩვენი სხეულის იმ უჯრედის სულ ქვედა შრე, სადაც ძევს... გენეტიკური კოდი. ეს იმას ნიშნავს, რომ უჯრედის ამ ქვედა შრის წყალობით, თუ ნება-სურვილით განპირობებულია ჩვენი რაობის უმთავრესი შინაარსი. ჩვენი ქცევის, ჩვენი ხასიათის, ჩვენი ბუნების მთავარი მიმართულება, შორეული წინაპრიდან მომდინარეც კი, ეს თავისებურება მემკვიდრეებში აუცილებლად იჩენს თავს და, ვაი შენი ბრალი, თუ რაიმე ავ საწყისთან გაქვს საქმე!.. ერთი შეხედვით წესიერი, კარგად აღზრდილი ოჯახიშვილის არსებაში მოულოდნელად ისეთ გამოვლინებას ვაწყდებით, თავზარი გვეცემა. ერთ ასეთ სასტიკ გამოცდას თურმე მეც უნდა წავწყდომოდი სწორედ იმ ჩემი ახლობელი ადამიანის სახით! შეეხედი... გავიცანი ერთი ფრიად მომხიბლავი ჭაბუკი, ავფეხდადგილი შენ კი არა, იმას უნდა რქმევოდეს! არ გეწყინოს, კი არ დაგიცინო, წარმოსადეგობას ვგულისხმობ. რომ შეხედავ, შეუძლებელია, არ გაიფიქრო — „ვეფხისტყაოსანის“ ავთანდილიაო! რა თქმა უნდა, მომეწონა... ისე მომეწონა, რომ გული გადამიქანდა, ასეთი რამ მანამდე არ მომსვლია. სირცხვილი რომ არ ყოფილიყო, მასპინძელს წყალს ვთხოვდი გულის მოსაბრუნებლად. ვერ წარმოიდგენ, რა ცუდად გავხდი! ხედავ, რაებს გიამბობ, ჩემო ბიძაშვილო! იმ წუთიდან დაუფიქრებლად გადავწყვიტე — ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ვიპოვე-მეთქი! და ამის მერე არსად ისე არ მომიხაროდა, როგორც ხარიაულში. იქაურია რატი, ავთანდილი რომ მეგონა. იმ ხანებში მამაჩემმა იყნოსა „რადაც“, და ხარიაულში სააგარაკო სახლის მშენებლობა წამოიწყო. რა იცოდა, თურმე, რა სიძნელეებს წააწყდებოდა, ვისა და რას ვუპირისპირდებოდით იმ ჩემი არჩევანით!.. ჯერ იყო და, საძირკველი იმ სააგარაკო სახლისა ამოყვანისთანავე მიუნგრიეს. ესტატეს უთხრა, გაეცეცხლება აქ საქმეს არ უშველის. ხმა, კრინტი არ დასძრა, თითქოს სულაც არაფერი მომხდარიყოს... მიზეზი უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვითა ჩანსო! რამდენჯერაც უნდა დაგვინგრიონ, იმდენჯერ ხელახლა უნდა ავაშენოთ სახლიც, ქვეყანაც!.. ასეთი იყო თავდაზვე საქართველოს ბედიც და, მაშასადამე, ქართველისაც. კეთილმან სძლია ბოროტსა — შემთხვევით ნათქვამი და ცარიელი სიტყვები არ გეგონოსო. მართლაც გაჭრა სიკეთემ, სიჯიუტემ და სიბეჯითემ. კედლები აშენდა... ჩასვეს კარ-ფანჯრებიც. მერე შუშებიც და.. მეორე თუ მესამე დღეს თითქმის ყველა ფანჯრის შუშა ქვედა სართულზე ჩამსხვრეული დაგვხვდა. ისევ ამოატანინა, და ისევე ჩაამევინა შუშები მამაჩემმა. ესტატე აღარაფერს ამბობდა, მხოლოდ თავს იქნევდა წარამარა აქეთ-იქით. ისევ ჩაამ-

სხვრიეს, მაგრამ ახლა უკვე ყველა არა, მხოლოდ ერთ მხარეს.. ისევ ამოზიდა და ჩაასვეინა მამაჩემმა ჩამესხვრეული შუშები. ერთხელ კი მაინც ვერ შეიკავა თავი ესტატემ და გამომწვევად ჩაჟღლაპარაკა მამაჩემს: — შენა, სულხან, იძახე — ილია ჭავჭავაძემა თქვა — საკეთით სძლიე შენს მტერსაო და, მაგამ კი გამსხვრიონ და გამსხვრიონ შუშები თავზედა! მამაჩემმა სიცილით მიუგო.., მაშ, რა, ილია ჭავჭავაძისაც აღარ გვჯერიდეს?!. რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა მივიყვანო სინანულამდე ის ჩვენი უხილავი მტრები!.. — ელოდე შენა! — მოკლედ მოუჭრა მამას ესტატემ. სოფელში სკა არ იცოდნენ რა იყო. მამაჩემმა იმ არემარეზე ფუტკრიც მოაშენა. ათი ოჯახი გაამწკრივა ეზოში სახლიდან დასავლეთით. გავიდა ხანი. ფიქრები თაფლით ავსო ფუტკარმა და.. ერთ „მშვენიერ“ დღეს მამაჩემს ათიდან მარტო სამი სკა-ღა დახვდა. ისევ შეავსო ათამდე. მერე კიდევ ორიც დაუმატა. ისევ მოპარეს ნახევარი.. ორი სკა კი იქვე სულ მიელეწ-მოელეწეთ. ეს უკვე მარტო ქურდობა აღარ იყო. რა სიძულვილის, რა ეელურობის ელფერი ედო ამას ყველაფერს, თუ შენი თვალით არ ნახავდი, ვერ წარმოიდგენდი. მაგრამ ეს საქმის სხვა მხარეა. შორს წავედით. შენ კი სხვა რამ გაინტერესებს. კონფლიქტი იმ ჭაბუკთან...

ხარიაულში მორიგ ასვლაზე, მამა მშენებლობაზე დავტოვე, ესტატესთან, მე კი მზიასა და რატის სახლს მივაშურე, ქვემოთ ცხოვრობენ. სოფელი გზის გადაღმა, მთაირდაპირე ფერდობზეა გაშენებული, აქეთაც ცხოვრობენ, იქეთაც, ცოტანი. ეზოში რატის მეზობლის ბიჭი შემხვდა, ასე, შვიდი-რვა წლისა. ჩემს საყვარელ ბატკანს, ამას წინათ მზიას ნებართვით წითელი ბაფთი რომ გავუკეთე, თოკით მიათრევდა. ბატკანი კიდევ უფრო გაუძალიანდა, მე რომ დამინახა. ბუჩქს წნელი წავატეხე და ბატკანს გავუშვირე. ფოთოლი დაყნოსა, მაგრამ არ მოუწიწკნია. ბიჭს ვუთხარი — სად მიეკარები, ხომ ხედავ, არ მოგაკვლია-მეთქი. მაგის ნერვაააო, უკანა ეზოში უნდა გადავაგა, მითხრეს, აქ ბალახს აფუქებსო. მაინც ისეთი რა უნდა გაეფუქებინა? რა მეთქვა.. მე აქ ჯერ არაფერზე ჩემს უფლებას არ ვიცხადებდი. ავედი მეორე სართულზე, ვეძახი რატის, მზიას. ხმას არავინ მცემს. შევედი დიდ ოთახში — აქ ზალას რომ ეძახიან. ეს სტუმრის მისაღები და სასადილოა. დარაბები მოხურულია. თითქმის ბნელა, ღრიჭოებში ძლივს ატანს სინათლე. გავედი უკანა აივანზე. მინდოდა მოაჯირს გადავყუდებოდი და რატისთვის მეზმო, მაგრამ ერთბაშად შევიცბი. აივნის ბოძს მოვეფარე, მგონია, არავის დავუნახივარ. პირზე ხელი ვიტაცე, რომ არაფერი წამომეყვირა... ის ჩემი საყვარელი წითელბაბთიანი ბატკანი რატის უკანა ფეხებით მკერდის სიმაღლეზე ეკერა. თავდაყირა დაკიდებული ბატკანი თავს იქნევდა, წინა ფეხებს აფხარკალებდა და უმწეო, საცოდავის წვრილი ხმით ბღაოდა. ხელის ერთი გაკვრით რატიმ ბატკანს ბაფთა წაავლიჯა, თითქოს უნდოდა ეთქვა — ეს რაღა ჯანდაბაააო და... მოისროლა. მერე ბატკანი მოსხლეტით მიწას დაანარცხა, წახრილმა თავში ხელი წაავლო, განზე გადაუწია და ისე ნელა, რაღაც ენით უთქმელი სიამოვნებითაც კი გამოუსვა ყელში დანა, რომ რა ვთქვა... ახლაც ამას რომ ვლაპარაკობ და ყველაფერს ცხადლივ ვიხსენებ, ტანში მაკრიალებს... ხელის იმ მოძრაობაში იყო რაღაც მეტი და უარესი, თითქმის შემზარავი, ვიდრე უმწეო ცხოველის დაკვლაა... ხელის მოძრაობაზე ადამიანს ხომ ეტყობა — სიამოვნებს თუ არა, რასაც აკეთებს!.. სხვა არაფერი მახსოვს.. ეტყობა, მაშინვე გული წამსვლია და წავქცეულვარ... სახეზე ნასხურებმა წყალმა გამომაფხიზლა, გონს მომიყვანა. თვალი

ლადო ავალიანი
„ბადამთიელის სიცხლი“

რომ გავახილე, პირველად გასისხლიანებული ხელი დავინახე... რატის ის ხელი ისე ეჭირა, თითქოს უნდა მომეფეროსო... თავს ძალა დავატანე, წამოვდექი და,.. გამოვიქეცი. იქ რაღა დამაკავებდა... მიკვირს, რომ მზიამ ვერაფერი შეიტყო იმ წუთას... სულ ამისი მეშინოდა, რომ მოვრბოდი... კიდევ კარგი...

შეიძლება ვინმემ თქვას — მერე რა მოხდაო! გააჩნია ვისთვის!.. იცი, ავთანდილ, შეუძლებელია ეიგუო ადამიანი, — დაუნდობელი და, ადამიანი — ცივსისხლიანი! იმ დღეს ასეთად მომეჩვენა რატი. და ამიტომაც სამუდამოდ გამოვეთხოვე გარეგნობით ასე წარმოსადეგ, ასე მომხიბლავ ჰაბუკს! მეტი რა გითხრა, ავთანდილ! რა მკითხე, მარტო იყოო? არა, იქვე ორი მეზობელი იდგა. ერთი — მისი თანატოლი, მეორე, უფროსი, თითქმის შუახნისა. ის მეორე რაღაცას ლაზღანდარობდა და თან საშამფურე ჩჩორებს ასუფთავებდა. რა იქნებოდა, რატის ან ერთისათვის, ან მეორისათვის ეთხოვნა — ბატკანს მე ნუ დამაკვლევინებთო, მაგრამ არა... დაკვლის სიამოვნება თვითონ უნდოდა მიეღო, „ივაკკაცა“ იმათ თვალში. იმასაც არ მოერიდა, ბატკანს ჩემად თვლიდა, თვითონ არ იყო, ისე მოგეჩვია, სულ უკან დაგდევს გამოჩნდები თუ არა, შენი იყოსო!.. და ამის მერე... შენ რას იტყვი? ხომ ვარ მართალი, ავთანდილ! როგორც წეღან გითხარი, თუ რამე მძულს, თუ ვინმე მძულს — პირველ რიგში — აი ასეთი დაუნდობელი და ცივსისხლიანი ადამიანი... გარეგნობით, წეღან რომ გითხარი, თუ გინდა ავთანდილსაც ჰგავდეს... მაგრამ რა ქნან დაუნდობლებმა და „ცივსისხლიანებმა?“ თუ ქრომოსომში ჩასაბლეულ მთავარ დამნაშავესთან გამკლავება არ ხერხდება.. და, რა ვქნათ ჩვენ...

დიახ, რატი გახლავარ. აგერ დაბრძანდით, გნებავთ, მამაპაპურ ტახტზე, ეს პაპაჩემის დროინდელი ფარდაგი და მუთაქაა!... მაგნატოფონი? რაკრაკებს ბესურთ, მაგნატოფონთან ახლოს მე ჩამოვჯდები, აგერ, მაგიდასთან... თქვენი სახელი? ავთანდილ! კეთილი, ბრძანეთ. ყამარი? ჩემმა დაიკომ, მზიამ გაიცნო. მზია და ყამარი, იცით, ალბათ, ერთ კურსზე, ერთ ფაკულტეტზე სწავლობენ უცხო ენათა ინსტიტუტში. დიახ, ფრანგულზე. მე? ბოტანიკოსი ვარ. ინსტიტუტი წელს დავამთავრე, გაზაფხულზე... თუ მე და ყამარი... ვიქორწინებდით, მაშინ, ასპირანტურაში გავაგრძელებდი სწავლას, თუ არა და, როგორც იტყვიან... სოფელი დიდია, რა მოხდაო, გაინტერესებთ... თქვენ, როგორც წეღან გამაცანით თავი, ყამარის ბიძაშვილი ხართ. ძალიან კარგი. ნათესავს შეიძლება უფრო მეტი უთხრა, ვიდრე გარეშეს. აჰა, იურისტი, იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი. ბატონმა სულხანმა გთხოვათ, ერთმანეთს გაკსაუბრებოდით. მამაა და ჯერ კიდევ არ კარგავს იმედს... გასაგებია. ყამარმა იცის რამე ამის შესახებ? არა. დასამალავი რა იყო? საჭიროდ არ ჩათვალეთ მისი ინფორმირება! არა, უბრალოდ მაინტერესებს, ის რას ფიქრობს. ვიცი, ტაქტიანი გოგოა და არა სჩვევია ყველაფერში უხეშად ჩარევა. მაგრამ, მე მგონია, დაინტერესდებოდა... რასაკვირველია, ახლა ეს საკითხი არ დგას „დღის წესრიგში“, როგორც თქვენ ბრძანებთ. მე ყველაფერს შეძლებისდაგვარად გულახდილად და დალაგებით გიამბობთ... თუმცა ეს „ყველაფერი“ ისეთ სფეროს განეკუთვნება, ვინ დაალაგებს და რა დაალაგებს!.. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ზოგ რამეში თვითონაც ვერ გავრკვეულვარ, მაგრამ, იცით... ვიყოთ გულახდილნი... ყამარმა, ცოტა არ იყოს, შემაშინა... თავისი ქცევით!.. მე ძლიერი ნებისყოფის, გაწონასწორებული, ნორმალური ადამიანი მჭირდება ცხოვრების თანამგზავრად! როგორ გეკადრებათ... ჯერ ამ ერთი

უცნაური შემთხვევის გამო როგორ შემიძლია ასეთ გოგოზე უარი ეთქვა!.. მე სხვა რამის თქმა მსურდა... თქვენ ცოტა ჩქარობთ, მომავალო... იურისტო! სრულებითაც არა?!. ბოდიში, აგრე იყოს! იცით, ჩვენი ოჯახი ისედაც ტრავმირებულია და... მე ახლა იქნებ უფრო ადვილად მაღიზიანებდეს სულ უბრალო რამეც კი.. დიახ, ტრავმირებული... ამ ოთხიოდე წლის წინ მე და მზიას დედ-მამა დავკვეფუპა. ავტობუსის ავარია მოხდა. ნაწვიმარზე, უმოაჯირო ქვის ხიდიდან ასხლტილი ავტობუსი ხრამში გადავარდა. დიახ, ძველისძველი ხიდია. აგერ, სოფლის ბოლოს. არც წყალია ღრმა, არც ხევი, მაგრამ... თოთხმეტი მგზავრიდან მარტო ხუთი გადარჩა... სწავლა არც მე, არც ჩემს დას არ მიგვიტოვებია, მაშინ ის ჯერ კიდევ საშუალაში სწავლობდა... ბიძეი ამოგვიდგნენ ხეარში. ჩემი — დედის ძმა, მზიასი კი, მამის ძმა.. მერე კიდევ ბავშვობიდან თითქმის ერთად გაზრდილ მეზობლის გოგოსთან მომიხდა უსიამოვნება. გეტყოდნენ, ალბათ... სამოოდე კვირის წინ ისე უცნაურად რომ დაიღუპა! მეტსახელად „გადამთიელის სისხლს“ ეძახდნენ. აშურად მარტო მამა უზმობდა. სოფლისთვის კი, როგორც გითხარით, ის დიდი ხანია „გადამთიელის სისხლი“ იყო. ნუღარ იტყვით, უცნაურზე უცნაური! ახლა მე და თქვენ თითქმის ტოლები ვართ. რა დასამალია, ამ ასაკში რა გასაკვირველია ჯაბუკს სისხლი ზედმეტად უდუღდეს!.. ის კი ძალიან თამამი, უცნაური იყო. მოგვწონდა ერთმანეთი. ის კი არა, ერთი სული მქონდა, როდის დავიმორჩილებდი... ამის სურვილს ის ბუნებრივად ბადებდა... ეგეთი აწყვეტილი რომ შენს ნებას დაუმორჩილო, თვალი, რომ ბიჭობაც ეს არის და, მაშინ ხარ ვაჟკაცი! რას გეღიმება, ცოტა რაღაც... შემპარავად? გენოშნა რამე, შენცა გქონდა ასეთი შემთხვევა, არა? ჰო, ეგეთი გოგო იშვიათობაა!.. ერთხელ, ღამით, შარაზე რომ მოვდიოდით.. მეზობელ სოფელში კინოს ატრიალებდნენ... რომ ვბრუნდებოდით, ის იყო მაგ[illegible] ეზოს ვუახლოვდებოდით, რომ ერთბა[illegible]ად მეცა, ტუჩებში რომ ვკბიბ[illegible]და, აი, ეგრე მოღეღილ მკერდზე მაკ[illegible]ცა და... მიკბინა. მერე რა მწარედ! მე მოულოდნელობისაგან შევეყარე კიდ[illegible]ვაც!.. ის გაიქცა. ერთხანს გაოგნებული ვიდექი შარაზე... მთელი ღამე არ მძინებია. ან კი რა დამაძინებდა. ამ გამოწ[illegible]ვევამ ისე იმოქმედა... ძილი კი არა, თავიც დამავიწყა... ნაკბენი მოფეთქვადა. გამიმიზეზდა. ღილით მედპუნქტში გავიპარე. მზიასთვისაც არაფერი მითქვამს. ნემსები დამჭირდა. კარგად დამჩხვლიტეს. ამის მერე, რადენიმე დღე ის „გადამთიელის სისხლი“ ეზოშიაც ალარ გამოჩენილა. შორიდან მალულად მითვალთვალებდა ხოლმე. ვერ მოვიხელთე, გამირბოდა... ალბათ, უფრო მეტად რომ მომნარცხებოდა და მეც რამე, უფრო დიდი სისულელე ჩამედინა. გარეგნულადაც? გარეგნულად ეგეთი იყო... ვერ დაიწუნებდი. თანაც, ალბათ, უცნაური. მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ მოხდენილი გოგო კი იყო. თავი ეგერ, იმ მსხლის მოყვანილობისა ჰქონდა. ნიკაპი ზომიერად ბრტყელი, ოდნავ გაყოფილი და რაღაცნაირად ლამაზი, მოგეწონებოდა. შავი, შავი თმა, ფოლადივით ოდნავ აქა-იქ მოლურჯოდ მბზინავი. ასეთივე შავი წარბები, სწორი, გაფრენილივითა. ესეეგ შავი წამწამები, თანაც ისე გრძელი, შეგაეუჭებდათ, ხელოვნურად წაგრძელებული ხომ არ არისო... კიდევ უფრო შავი თვალები, თანაც შუშის ნატეხივით სხივს რომ ირეკლავს, იგეთი. ერთი სიტყვით, ძნელი იყო, არ მოგწონებოდა, მაგრამ გაგაოცებდათ ერთი რამ... ოდნავ მოყვითალოსავით და, ცოტა გამჭვირვალესავით მოთეთრო სახის კანი, ერთბაშად რომ გადაუფითრდებოდა ხოლმე, თუ რამე ეწყინებოდა, ნაცრისფერი დაედებოდა და მარტო ეს შეგაკრთობდა. ეს მკვდრის ფერი უსიამოვნო გრძნობას აღვიძებდა!..

სწორედ იმ ხანებში მზიამ თბილისში, ჩვენი უფროსი ბიძის ოჯახში ყამარი გამაცნო. ძალიან მომეწონა. მაგისთანა გოგოს სიზმარშიაც ვერ ნახავს კაცი. გადავწყვიტე — როგორმე ჩამოვშორებოდი „ბადამთიელის სისხლსა“ და დავახლოვებოდი ყამარს. ჩემს დასაც ეს უნდოდდა. დები საერთოდ ძალიან გაინცდიან, თუ ვის უახლოვდება იმათი ძმა. მზია ყამარს, რა თქმა უნდა, ჩემზე უკეთესად იცნობს. ერთ კუთხეზე არიან. ორი წლის ახლო ნაცნობობა, მეგობრობა ბევრსა ნიშნავს! საქმე ის იყო, მე მოვეწონებოდი თუ არა ყამარს. საბედნიეროდ, მოვწონებივარ. ეს რომ ბატონ სულხანს შეუტყვია, მე და მზია ოჯახში მიგვიწვია. გაგვეცნო, გაგვიცნო, უფრო სწორად, მე გამაცნო, მზიას უკვე იცნობდა, რასაკვირველია. მერე ისე მოხდა რომ ხარიაულში აგარაკის აშენებაც კი მოისურვა. მაგის დედის დედა, ხარიაულიდან ყოფილა. სწორედ ბებიის რა ხნის დაქცეულ ნაფუძვარზე გადაწყვიტა სააგარაკო სახლის აშენება. სოფლის თავკაცებს გაეხარდათ, ბატონ სულხანი ხომ ბავშვების ექიმია. ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებსაც ხანდახან მიხედავსო. გამოუნახეს საუკეთესო ოსტატები. დაიწყო მშენებლობა. ხშირად მეც იქ ვიყავი. ბატონ სულხანისა და ყამარის გვერდით. ახლა რაკი სახლის მიზეზით ბატონ სულხანს ხშირად უხდებოდა ხარიაულში ჩამოსვლა, ყამარიც თან ახლდა ყოველთვის. ყამარი ხომ დედით ობოლია, და ბატონი სულხანი მისთვის მამაც არის და დედაც. თუ მე მშენებლობაზე არ დავხვდებოდი, ყამარი მაშინვე ჩვენთან ჩამოირბენდა ხოლმე... ჩვენს ურთიერთობაში შეიძლება ზედმეტად თავშეკავებულიც ვიყავით. ყამარი მეტისმეტად ამაყიცაა. უბრალოდ, უმიზეზოდ თითს არავის შეახებინებს. მე ეს მომშონდა. ასეთი ქალები ახლა იშვიათობაა, მხოლოდ ძველ წიგნებში თუ იპოვი ამათ პროტოტიპებს. და უცებ ასეთი მოულოდნელი ამბავი... ჩემი დანახვა, ჩემი ხმის გაგონებაც აღარ სურს თურმე!!! სამი კვირაა ხარიაულში აღარ გამოჩენილა. იმ ნაგსიან დღეს ვერ გავბედე მშენებლობაზე ასვლა, მეკითხა მაინც, რა მოხდა ისეთი... მიეხვდი, როგორ არ მიეხვდი.., ჩვენი სახლის უკანა აივნიდან, ჭგონია, თვალი მოუკრავს როგორ დავკალი ბატკანი. უნდა ვაღიარო, შევცდი, ალბათ, მაგის საყვარელი ბატკანი რომ დავკალი. კაცებს ხშირად მოსდით ასეთი შეცდომა!.. არასგზით ისეთ შედეგს არ მოელი, როგორიც მოჰყვება ხოლმე!.. ნაცნობი შემპირდა და მომატყუა, იმ დღისათვის ისეთივე ბატკანის ჩამოყვანას, მე რომ ყამარს ვაჩუქე. ილბლად მზიაც რომ არ იყო შინა, ქვევით, ბოსტანში საქმიანობდა. ყამარს სახლში ვერავინ უპოვია და ბოლოს, უკანა აივანზე გამოსულა. იმ მეზობლის ბიჭმაც რომ არაფერი მითხრა, წინა ეზოში ის ქალაქელი ქალიშვილი შემხვდაო... ეგრე ყველაფერი როგორ აეწყობა ხოლმე ხან საწყალმართოდ, ხან საუკეთესოდ. გამოსულა ყამარი და ყველაფერი დაუნახავს. გვიგონე ივანზე რადაცამ ბრაგვანი რომ მოადინა, ჯერ ვიფიქრე — ალბ ჩუმად მზიამ გვერდი როგორ აგვიარა და შინ ავიდამეთქი, ერთი გავძახე, პასუხი რომ არავინ გამცა, მეზობელმა მითხრა — კატა თუ იყოო. მეც ვიფიქრე, იმ გაგარეულებულმა კატამ თუ ჩამოაგდო რამეთქი, ავვარდი წამში, გასისხლიანებული ხელის ჩვარზე გაწმენდაც ვერ მოვასწარი, რას ვიფიქრებდი... ვხედავ, რის კატა, რა კატა, აივნის იატაკზე ყამარი არ გაშხლართულა! გულწასულსა ჰგავს, გადაფითრებულია. პეშეზე წყალი დავისხი დოქიდან, ცოტა მეტიც მომივიდა, სულ ჩამოვიღვარე... ვასხურე ყამარს. უმალ გონს მოვიდა, ჯერ აახამხამა, შემდეგ ფართოდ გაგაღლილი თვალები შემომაფეთა და ზეზე წამოიჭრა. ხელი მკრა და ოთახში შევარდა. მეც, რასაკვირველია, გავედევნე... კიბეზე რომ ჩარბოდა, დავეწიე...

ერთი ამომხედა რაღაც გაგულისებით და ხმადაბლა, მაგრამ ისეთი კილოთი მითხრა — არ მომეკაროო, სულ მთლად მოვიშალე, უცაბედად სისხლიან ხელზე დავიხედე.... ცოტა ხნის შემდეგ გონს რომ მოვედი, მაშინაც ღარ გავდევნებივარ... ერთი კი გავიფიქრე, ხომ არ გაგიუებულა-მეთქი. სხვა რა უნდა მეფიქრა. მერე ეზოში ჩავედი. მეც არ ვიცი რატომ, მუსავირის მხარეს ღობესთან მივედი, მუსავირი ეზოში მიდი-მოდიოდა, იმათ ხომ სულ ჩვენი ეზოსაკენ უჭირავთ თვალი! გადარაჯებულებივით არიან. დამიძახა — რა მოხდაო! გამიკვირდა. რა ხანია ხმა ღარ გაუცია. არაფერი-მეთქი, მერე მაინც გავეპასუხე სიცილით, — ყამარს მგონია დაუნახავს, ბატკანს როგორ ეკლავდი და გული წასვლია-მეთქი. მუსავირის გვერდით როდის, როგორ აიტუზა ლანდივით „გადამთიელის სისხლი“ არ შემინიშნავს. მუსავირმა, ეტყობა, ჩუმად გადაუჩურჩულა ქალიშვილს ჩემი ნათქვამი... „გადამთიელის სისხლმა“ კი უეცრად რაღაც ველური შეკივლებით შეასავსავა ჰაერში მკლავები, გარიბინა ეზოში და ხმამაღალი ძახილით ბატკანის დაკვლაზე გული წასვლიაო, გაგორდა და გამოგორდა ბალახზე. მუსავირმა ერთი გახედა ქალიშვილს რაღაც გამოუცნობი მზერით, და კიბეკი აუყვა. „გადამთიელის სისხლი“ კი გორავს ბალახზე და თან კივის, იცინის — გული წასვლია, გული წასვლიაო... და რა მოჰყვა ამას ყველაფერს, თუ იცით?! გეტყოდნენ, აბა რა იქნებოდა... კივილ-სიცილში, სულ რამდენიმე წუთს რომ გაგრძელდა, „გადამთიელის სისხლს“ გულიც... გასკდომია... გესმით?! სიხარული თუ კაცს მოკლავდა, არ ვიცოდი!.. ეგონა, ალბათ, მეტოქე ჩამოვიცილე, რატის ასეთი ქალი რაში გამოადგება, ბიჭი ისევ მე დამრჩებაო!.. რა თქმა უნდა, ასეც რომ მომხდარიყო, და ყამარზე მართლა უარი მეთქვა, მაგათი ოჯახის სიძეობაზე, ალბათ, სიკვდილის შიშითაც ვერ დამიყოლიებდნენ!.. რატომ? თუ ის გოგო ადრე მომშორნდა?.. რატომ და შენ შეხვიდოდი იმ ოჯახში, რომელსაც მთელი სოფელი სძულს და სოფელს კიდევ ისა? იმ ოჯახში, რომლის უფროსიც სოფელ-სოფელ ძაღლებს დასდევს, ბადით იჭერს, პუნქტში ჩასაბარებლად და თავს ამით ირჩენს! იმის ფასად ძაღლებს ტყავი რომ ცოცხლად გააძრონ... რა სიცოცხლეა ეს სიცოცხლე. ეგ არაფერი. მერედა, რა სიამოვნებით აკეთებს ამას, ნეტავი გაყურებინა! საბარგო მანქანის დაბალ ძარაზე გალიაში გამომწყვდეულ, თითქოს ტრაგიკული წინათგრძნობით საშინლად დანაღვლიანებულ ძაღლებს გისოსებიდან აქა-იქ დრუნჩი რომ გამოუყვიათ და ხმადაბლა წკავწკავებენ, თითქოს ქვითინით მოთქვამენო, მუსავირი გვერდით მისდევს და თვალებში დროდადრო ხმიერად აფურთხებს საცოდავებს! სხვისი ტანჯვა, ცხოველიც რომ იყოს, ადამიანს სიამოვნებას უნდა ჰგვრიდეს?.. გამოგიტყდები და, იმ ბატკნის დაკვლის შემდეგ ბევრი რამ რაღაც უფრო მწვავედ ვიგრძენი. სწორედ ყამარის წყალობით... მაგ მუსავირის წამხედურობით კი სოფელში რამდენმა ისწავლა არაადამიანურად ქათმის დაკვლა!... როგორ? როგორ და, ქათამს კისრის ძირში წაუჭერს ხელს. აფართხალებულ ფრინველს კისრის ზედა ნაწილს მეორე ხელით გადაუგრეხს და თვალის დახამხამებაში თავი წაგლეჯილია. ახლა, გზაზე რომ მიდის... თუ რამე სულიერს წამოეწია, ბაყაყი იქნება, ხოჭო თუ ლოკოკინა, თავისი რეზინის სქელლანჩიანი ფეხსაცმლით ისე გასრესს, თვალს არ გაახამხამებს!.. რა გინდა, რას ერჩი— იყოს, იაროს! თუ სადმე შორს არ არის წახეტებული, დღისით, ჩვეულებრივ, უფრო ხშირად სძინავს, ღამით კი, სოფელს რომ სძინავს, ეგ ფხიზლობს, სულ ერთია მთვარიანია, უმთვარო, ჭვიმიანი, ქარიანი. დაბორიალებს ეზოში, ვითომ რაღაცას ასწორებს, რაღაცას ეძებს...

მერე დაადგება სოფლის შარას... იქნებ სასაფლაოზედაც აციდეს... მე შენ გეტყვი, რამის შეეშინდება! იქ რას აკეთებს, რა ესაქმება, კაცშვილმა არ იცის... იმ უდროო დროს იქაურობის მის მეტი ვინ გიჟი გაეკარება. ერთი ჩვენი გამწარებული ქვრივი დედაკაცი იმასაც აბრალებდა — მკვდრებსა... ძარცვავსო, ახალ დასაფლავებულ მკვდრებს ტანსაცმელსა ხდისო!.. კაცი გაგიჟდება ამნაირ ლაპარაკს რომ ყური უგდო! მე მგონია, ზოგ რამეს უგონებენ... ყველა კაცს მაგასა ჭკიდებენ... მთავარი ეს კი არა, მაინც ის არის, რომ რაღაც თითქოს ჩვენც გადმოგვედო... რამდენი ჰბაძავს უკვე ხან რაში, ხან რაში!.. დიდი მიხვედრა, ალბათ, არ სჭირდება კაცს, ბატონ სულხანის საგარაკო სახლს რომ დროდადრო აოხრებდა, ფანჯრის შუშებს უმსხვრევდა, სკასა ჰპარავდა, სულ ალბათ, მაგისი და სამეიდე მაგის ამყოლის ოინებია. ისე გაძლება არ შეუძლია...

დიახ, მზია ვარ. რაღას მიცნობდით... სულ ერთხელ ვნახეთ. შარაშანწინ ყამარმა ავტობუსის გაჩერებასთან რომ გამაცნო თქვენი თავი. ვიცი, მიკვდი, რაც უნდა იყოს შეხვედრის მიზანი და... საუბრის თემა. წინასწარ უნდა გითხრათ, ძალიან გამიჭირდება, მაგრამ „ხელცარიელს“ ხომ ვერ გაგიშვებთ. ეს მაგნიტოფონი, მგონია, ბატონი სულხანისაა, აგერ ჩემი ხელით არის მიწერილი ფლომასტერით „ყა-მა-რი“. წინაადმდეგი რატომ ვიქნები? ისე, უბრალოდ, გამიკვირდა. კი ბატონო, დარჩეს ჩემი ნათქვამის ჩანაწერი. მარტო მე ხომ არ ვიქნები... ჩემს ძმას უკვე გასაუბრებიხართ. საინტერესოა, რა გითხრათ... თავს ხომ არ იმართლებს, არა? დაგვიანებული სინანულია. მე მგონია, ამ საქმეს აღარაფერი ეშველება. ჩემთვის, იცით, ეს რა არის? ერთი სიკვდილი გავათავეო, რომ ეტყვიან... რას ამბობთ, ასეთი სარძლოს დაკარგვა!.. ყამარის დაყოლიება ღმერთის ძალ-ღონესაც აღემატება! იდეოლინკრაზი ხომ ... ეცემა, რასაც ნიშნავს... სწორედ ეს გარემოება განაპირობებს კერძოდ, ყამარის შემთხვევაში, იმგვარ რეაქციას. მე არ ვამტკიცებ... ყამარი სწორედ ასეთი მომწონს! ის ჩემთვის ისეთივე ახლობელ ადამიანად რჩება, როგორიც ამ კონფლიქტამდე იყო. რატის, შეიძლება, ბოლომდე ჯერაც არ ესმის, რა სულიერი ტრავმა მიაყენა ყამარს. ყველაფერი, ერთის მხრივ, ბედია, მეორე მხრივ, იღბალი! ბედია ჩემი ძმისთვის, უფრო, უბედობა!.. იღბალია — ყამარისათვის... ცოტა გვიან, შეიძლება კიდევ მეტი და მძიმე შედეგი მოჰყოლოდა, იქნებ... ტრაგედიაც! ყამარი, ერთი შეხედვით, სუსტი არსებაა, მაგრამ ხშირად გარეგნობა მაცდურია! მთავარი მაინც სულის ძალაა და არა კუნთის. მახსოვს ასეთი შემთხვევა, როდესაც ხარიაულში ხმა დაირხა — რატის საცოლო „გადმთიელის სისხლი“ აშურა კი არა, ყამარი არისო, ა-ის ჩვენი მეზობელი მუსავირი და მისი ქალიშვილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავიკიდეთ. „გადმთიელის სისხლი“ ხმამაღლა გაიძახოდა — თუ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ის ვიღაც ყამარი ამ ჩვენს არემარეზე, მოვკლავო! ყველას შეგვეშინდა, აბა რა იქნებოდა... მე შენ გეტყვი, ჭკუა დაუშლიდა თუ რა! თავისი მუქარის დასტურად გამოიტანდა ხოლმე ორლულიან სანადირო თოფს და ეზოში ისროდა, ვითომ ბეღურებზე ნადირობდა. ამ ამბავმა, რაღა თქმა უნდა, ყამარის ყურამდეც მიაღწია... ჩვენც გავაფრთხილეთო, — ცოტა ხანს მაინც ამ არემარეზე არ გამოჩნდე, თუ მშენებლობაზე ჩამოხვალ, ნუ მოგვკითხავ, ჩვენ თვითონ ამოვალთ და გინახულებთო. გაგიგონია! მეორე დღესვე ის და მამამისი მშენებლობაზე ამოსულან თუ არა, — სხვათა შორის ეს მუქარა მამამისს დაუმალეს, — ყამარს არ დაუყოვნებია... უმალ ჩვენკენ გამოუწევია. შარაზე

ჯერ კიდევ შორიდან რომ დავინახე ელდა მეცა, გავშეშდი. „გადამთიელის სისხლიც“ ამ დროს ეზოში იყო, თოფი, მართალია, თან ჰქონდა, მაგრამ გამოტანას რა უნდოდა. მოდის ყამარი, თანდათან უახლოვდება მუსავირის ჭიშკარს, ჯერ იმათ ეზოს უნდა ჩამოუაროს. ამასობაში „გადამთიელის სისხლმაც“ მოჰკრა თვალი შარაზე მომავალს, ჩაკბეჩილი მსხალი ბრაზით განზე მოისროლა. მკერდზე ხელები შემოიჭდო, თავი რაღაც ჯიუტად ნახევრად დახარა და ნელი ნაბიჯით მიაშურა ჭიშკარს... ეუცქერი და ეკანკალებ... იმის მაგივრად, ყამარმა შორიახლოს გაჩერებით ჩაუაროს მუსავირის კარ-მიდამოს, მოულოდნელად მის ჭიშკართან ჩერდება და ღიმილით იცქირება აშურასაკენ, სარზე ხელმოჭდობილი... ნელა მიაბიჯებს ჭიშკრისაკენ აშურაც. მივიდა ღობესთან... გამომწვევად უცქერის ყამარს, თვალით სჯამს და ზომავს მეტოქეს!.. არც ყამარი იღებს ხმას, არც აშურა. „გადამთიელის სისხლი“ ჯიუტად, ჯიქურ უცქერის, უცქერის და უეცრად... გულზე აკმაღე დაჭდობილი მკლავების ცაში აქნევით, მერე გასავსავებით, ზურგს აქცევს ყამარს და ამორბის უკან... მორბის თითქმის სახეშეშლილი, ახლა უკვე მისებური ფერდაკარგული... სულმოოთქმელად არბის კიბეზე და ერთი წამის შემდეგ კუთხის ოთახიდან ღია ფანჯარაში ისმის კივილისებური ისტერიული მოთქმა...

ყამარი კი იქაურობას არ შორდება. ჯერ შეიძლება კივილის ხმა არც გაუგონია... სარზე როგორც ეჭირა, ისევ ისე აქვს ხელი ჩაკვეტილი... კმაყოფილია, მიამტი ღიმილით გასცქერის მუსავირის ეზოს. სახლს... მე სულ იმის შიშსა და მოლოდინში ვარ, აი, ახლა გამოიტანს თოფს ის შეჩვენებული „გადამთიელის სისხლი“ და, აი ახლა-მეთქი. მაგრამ, არა. იქნებ მამა არ ანებებს?.. ხარხარისებური მოთქმის ხმა კი ისევ ისმის მისი ოთახიდან... მზის სხივი რომ აირეკლეს, თვალში მეცა ალაპლაპებული შუშა. ვირმა ფანჯარა ბრაზით მოიტეხა, მოიტეხა კი არა, მოახეთქა ჩარჩოს, ტარე კოჭლობით აივანზე გამოვიდა, კიბის თავზე ერთი ადგილის ტკეპნას მოჰყვა და პირის მოძრაობაზე, გამომეტყველებაზე ემჩნევა, რომ იგინება... გვწუეველის, გვემუქრება, ალბათ. როგორც იყო, წვდან რომ ერთბაშად წამერთვა, ხმა ისევ მომივიდა... ვეძახი, ხელს ვუქნევ ყამარს — მანდაურობას მოეცალე-მეთქი... იმას თითქოს არ ესმის, არც არაფრად აგდებს... მერე, როგორც იყო, სარს ნელა უშვა ხელი და, მადლობა ღმერთს, წამოვიდა იქიდან... ახლა კი ჩავირბინე კიბე ფეთებით, ეზოში შემოსულ ყამარს ჩავეგებე... თავი, რასაკვირველია, ვერ შევიკავე საყვედურისაგან — ქალო, რას ფიქრობდი, მაგათთან ხუმრობა შეიძლება?! ვერა ხედავ, რა ალესილები არიან და, კიდევ ეგეთი გამოწვევა ესაჭიორობათ-მეთქი!.. გაიცინა, თითქოს აქ არაფერიაო. მკლავი მომხვია, გადამკოცნა და აქეთ დამიწყო დამშვიდება... — რაც უფრო მეტად შეგეშინდება... სიტყვას არ ამთავრებს, მიცინის, ისედაც ყველაფერი გასაგებია, რა ვთქვა. ფსიქოლოგიური შეტევის საუცხოო გაკვეთილი მივიღე! მკლავში ხელგაყრილი მომყავს, თან მალულად ვიცქირები მუსავირისაკენ. ის ისევ კიბის თავზე დგას, ისევ ერთ ადგილს ტკეპნის, როგორც კოჭლს სჩვევია, ეტყობა, ისევ მოშხამული, მისი სისხლის ერთი წვეთიც კი, ალბათ, კამჩს მოკლავს. მახსოვს, ეგ უბედური, ერთი საშუალო ტანის, უბრალო შესახედაობის კაცი იყო, ცოტა ჯმუხი, სანამ სახურავიდან გადმოვარდებოდა. კრამიტს ამაგრებდა თურმე, ჯერ იმ გაბარჯღუნ თუთის ხის ტოტებს დასცემია, ჩამოოულწავს, შემდეგ ძირს მოუდენია ზღართანი. უღმერთოდ დამტვრეულა. ფეხიც მაშინ მოსტეხია და ცალი თვალიც დაესებია. მარცხენით კოჭლობს, გადაბმული, მსხვილი

ჭაღარა წარბები სწორედ დავსილი თვალისაკენ ბოლოჩამოვარდნილი აქვს. საღი თვალის მხარეს კი — მრისხანედ აზიდული. რაღაც საშიში შესახედავი იყო ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ. ხანდახან მაინც, რა შემზარავი გამოხედვა ჰქონდა, ყამარი მეტყოდა ხოლმე — თუ მუსავირი ეზოშია, იქით ნუ გამახედებო!.. აშურა რომ დაეღუპა, ეგ კაცი თითქოს ერთბაშად „ჩაქრაო“. იმ ცალ საღ თვალსაც აღარ ახელს ხეირიანად. თავი სულ დაბლა აქვს დახრილი და ქვეშქვეშ იცქირება. ცალი ხელიც უკანკალებს... „სულ კარგად“ არის მაგისი საქმე. თან მეცოდება, თან მეშინია... როცა კი ეს შესაძლებელია, თვალს ვარიდებ. მაგის ტრაგედიასო, რა ბრძანეთ?.. მარტო ეს შემთხვევა — შვილის დაღუპვა განაპირობებსო? გადაჭრით, თითქმის დაუფიქრებლად გიპასუხებთ — რასაკვირველია, არა! ქალიშვილი რომ ცოცხალი ჰყავდა, მაინც ნუგეში იყო, მაგრამ არც მაშინ ეტყობოდა რამე სიკეთე. ასეთებიც არიან. სიძულვილით თავიდანვე დადაღულებს, სიყვარული აღარ ეკარებათ. სიყვარული სულს ანათებს, ლამპარივითაა. უამისოდ იქ ბნელი. სიძულვილი კი უფრო აბნელებს იქაურობას... მოდი და ასეთ სიბნელეებში გზა გაიკვლიე!

სწორად მოუსწავლებიოთ. ესტატეც მე ვარ და ხუროცა. რაზე გარჯილხარ, რა გაინტერესებს? მუსავირი თუ გამიგონიაო! გამიგონია რასა ჰქვია, მეზობელია! ნეტავი მართლაც არ გამიგონოს! რა მაგისი პასუხია და, მარტო ჩემი ხნისანებს თუღა ახსოვთ, რომ ე მაგ მუსავირის ნათლობის სახელი შოოა! მაშ! მამამგისი კი სულ სხვანაირი კაცი იყო, სოფელს უყვარდა. რა ხანია, მოკვდა. ერთ წუთს ვერ ნახავდი უსაქმოდა! სულ ფუსფუსებდა...

დღისით კარ-მიდამოშია, ხეხილის მოვლაც კარგი იცოდა, საღამოთი კიდევა, გვიანობამდე იჯდა აივანზე და ჯამებსა თლიდა... კაი ხელოსანი იყო... ‘შვილი კიდევა იგეთია რომა, ნუღარ იტყვი... უსაქმურიცა და უცხენობაც. ადრე, როგორც გითხარი, შინს სახელით იცნობდა სოფელი, მერე კიდევა, მუსავირი შეარქვეს... ახლა აქ, ხარიაულშია, ეგ ერთი კომლიღაა — მანსურაშვილი, თუ ეგეც კომლია... ქალიშვილიც ამ წინეებზე ღმერთს გადაულოცავ და დარჩა ჯერჯერობით მარტო, ესე, იაქედა. მე რომ მაგისი ხასიათი ვიცი, დიდხანს კენტად ვერ გაძლებს. ხანდახან ბიძაშვილები აკითხავენ. ქალიშვილზე რას ვიტყვი? მაშ როგორ, ყველაფერიც მახსოვს... მაშ მეზობელი ‘რის მეზობელია. რომც გინდოდეს შენა, თვალს გამოეპარება რამეი?! ის გოგო ჯერ, თვრამეტისაც არ იყო... საშუალოს დამთავრება, მგონია, მოასწრო, შარშანა, თუ წელსა... ეგა, აშურაი, პირველი ცოლის ხელში გასჩენია მუსავირსა. „გადამთიელის სისხლი“ რას ნიშნავსო? ეგ თქვენ უკეთ არ უნდა იცოდეთ, განთლებულმა ხალხმა? ჰოო, აშურას ეგრე რათ უხმობდნენო? აბა, რა ვიცი. სოფელმა ეგრე შეარქვა, ეგრე მონათლა. იცი, რას გეტყვი — სოფელში მეტსახელს ძნელად თუ ვინმე გადაურჩება. მართალი თუ გინდა, „გადამთიელად“ რომ მოგნათლავს, უნდა მიხვდე, სოფელი საქციელს ვიწუნებს. კაი კაცი ყველა შინაურია. ი აშურაი კიდევა, მეტი რომ არა ეთქვა, უცნაურზე უცნაური გოგო იყო... ბიჭი ხარ და ამიხსენ! სოფელშია, კაცო, ძროხას არ უშვებდა, რო ცალი რქა არ მოეტეხა... მერე რა ოსტატურადა! ეგ კიდევ რა... თუ ამ არემარეზე სამფეხა ძაღლს წაეწყდი, მეოთხეთი რომ კოჭლობს, კუდგაფცქვნილ მამალს, წვერშეკრეჭილ თხასა, სულ იმ „გადამთიელის სისხლის“ ოინია. მამალ კატებსაც იგრე ყვარამდა ის ცხონებული, რომ, რა გითხრა... ჩასვამდა მამამისის ძველი ჩექმის ყელშია და, ჰაიდა...ახლა შენც გეცინება და მეცა, მაგრამ მაგან რომ ჩვენს ძროხას ერთ დილას რქა მოს-

ტეხა, ჩემმა დედაკაცმა წყეველითა და კივილით აქაურობა აიკლო! სოფელიც ადგა და „გადამთიელის სისხლი“ შეარქვა. ეგაო, ალბათ, ჩვენებური არ არისო! სად რა წაახდინოს, იმასა ცდილობსო... ერთსა და ორს ამისთანებს კი არა, უარესსაც გაუძღებს სოფელი. მაგრამ წამხედურებიც რომ გამოუჩნდებიან! მაგისთანებსა, მარტო მოწინააღმდეგეები კი არა, მომხრეებიცა ჰყავს... რქამოტეხილი ძროხის პატრონი რომ ცოფსა ჰყრის, ეგერა, მეორეი სიცილითა კვდება! რა მოხდაო. ძროხის ცალი რქა რა არის, წყეველით მაგისთვის ი „გადამთიელის სისხლ“ დედაბუდიანა არ ამოგდოო... გესმის, კაცო?! აი, ადამიანი ეგეთია!

აიკო სოფელი ე-მაგ „გადამთიელის სისხლმა“ და „წავიდა! რაღაც საიდუმლო საკვდილით კი გამოასალმა წუთისოფელს ი დალოცვილმა ღმერთმა. კაცო, ერთი წუთის წინა თურმე ეზოში რომ გორაობდა ბალახებზედა, რაღაცნაირი სიცილით იქაურობას რომ აყრუებდაო, და... უცებ ყველფერი რომ მიწყნარებულა... კიბეზე გადმომდგარ მუსავირსა ავად რომ ენიშნა თურმე ეს გაყუჩება, რამდენჯერმე უხმო — აშურა-აშურაო! მერე კი უყვირნია — ხალხო, შვილი მამიკელს, შვილიო! საღამოს შინ რომ მივედ, ცოლი მარწმუნებდა — იმ არემარეზე არავისი ჰაჯანება არ იყო, რანაირად უნდა მოეკლა ი გოგო ვინმესაო... ცოლი აივანზე მჯდარა, წინადღით ფეხი იტკინა და ძირს ვეღარ ჩამოდიოდა... ა, ემ მუსავირის ეზო კი, როგორცა ხედავ, ხელისგულივითა ჩანს. არავისი ბრალიც არ არის, რამდენიც უნდა იქაქანოს და იხრიალოს მუსავირმა, შვილი ე — მაგათ მომიკლესო... რატისა და ყამარს გულისხმობს, კაცო! ვინ დაიჯერებს ასე ჰაიჰარადა... ხალხი ბრმა კი არ არის, ყველას კარგად იცნობს, რომ იტყვიან, კოჭებში ეტყობაო, ვინც შეეჭედება, კარგად დააკვირდეს ი კოჭებშია და... ეგეთი ადამიანი „გადამთიელის სისხლი“ რომ იყო, განა მარტო სხვასა, თავის თავსაცა მტრობს... აგე თუ ალბა ახლა შენ ეგრე გინდოდა თუ არა, ყველფერი კი დამაფქვევენე და... აი, ე — მაგ შენმა ბალღურმა უეშმაკო სიცილ-ღიმილმა გამაბრიყვა. არა, მართალი ხარ, გაბრიყვება რასა ჰქვია... ერთი სიტყვით, ადამიანიც იმ დაკეტილ კარსა ჰგავს, თუ „გასაღებს“ უპოვი... აგრე არ არის? შენ რომ წაბვიდე, მე გაგიშვებ? გაკეთებული ღვინო კი არ უნდა დაგალევინო!.. რაიო, ნატურალურსაც ვერ დაგლევო... მუსავირი უნდა ვინახულოო?.. კაცო, შენა, თავი ხომ არ მოგძულებია?.. მა როგორ გავიგო... იმისი მონატრება!.. ძია სულხანმა დამავალაო!.. აბა რა გითხრა!.. მე კი გულითა გთხოვ და — შენა, როგორც გენებოს!..

ძია სულხან, ბოლოს მუსავირსაც მივადექი. ვიფიქრე, ყველაზე ძნელი საუბარი, ალბათ, ამ კაცთან მომელისმეთქი. კიბეზე ავედი. ვიწრო აივნის კუთხეში ტახტი დგას, იქ რომ ზის ცხვრის ტყავის უსახელო მოკლექურთუკიანი, როგორც ამიწერეს, ის არის, სწორედ მუსავირი. ჩემს მისვლაზე არ წამომდგარა, მივესალმე. მერე ვეკითხები — თქვენა ხართ მუსავირ მანსურაშვილი-მეთქი? მიცქერის ცალი თვალით, სახე ჩემსკენ ნახევრად აქვს შემობრუნებული. ხმას არ იღებს. მერე ვკითხე, პირდაპირ... შორიდან აღარ დამიწყია. — რა დაემართა შენს ქალიშვილს? სამედიცინო დასკვნით, გულის უეცარ შეტევას უმსხვერპლია... ადრე თუ უჩიოდა-მეთქი. მიცქერის, ხმას კი არ იღებს.

დავაკვირდი, ავხედ-დავხედე, ცოტა შეიშმუშნა... პირის გაღება დაეპირა, მაგრამ უმალ მოკუმა... არ უნდოდა შეემჩნია, რომ ქვედა ტუჩი აუთამაშდა... — თქვით რამე!..

ხმას არ იღებს... ისევ მდუმარედ, გაშტერებით მიცქერის... იმასაც ვერ ვგრძნობ — ფიქრობდეს — თავიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომწყდიო... რაღაც კი უნდა მითხრას, მაგრამ ჯერ თითქოს ვერ გაუბედია... მეც ველოდები, მოთმინებით... ასე დაყინებული ცქერისაგან თუ რისაგან, არ ვიცი, ის ცალი, საღი თვალი აუბრწყვიალდა. თვალის კუთხეში ცრემლის წვეთი ამოიზარდა... სულ მატუ-ლობს, მერე უცად მოსწყდა, ლოყაზე ჩამოცურდა. თვალი ისევ ცრემლით ეევსო... ახლა უკვე ღაპაღუპით ჩამოსდის... არც კი ინძრევა, არც იმშრალებს... მხოლოდ ქუთუთოებს თუ შეატოკებს დროდადრო.

არ ვიცი, როგორ მოვიქცე... ის ახლა იმ ცრემლით სავსე, ამღვრეულ-აბრწყვიალებული ცალი თვალით მიცქერის... რაღაც უცნაურად ტირის... თუ ეს ტირილია, ისიც უხმოდ. მაგრამ რაღაც არ ჰგავს... არაფერი ამისი მსგავსი არ მინახავს!..

თვითონ ერთხელაც არ შეტოკებულა, მხოლოდ ხელის მოკაკულ თითებს ამოძრავებს ფრთხილად... და ხორხის ბორცვი აუდ-ჩაუდის, როცა ცრემლგარეული ნერწყვს ყლაპავს ჩუმად; უხმოდ ტირის და მიცქერის... ვიცი, არც ყრუ არის, ჩემი ნათქვამიც კარგად ესმის, მაგრამ ჯიუტად სდუმს... არა, უთუოდ რაღაც უნდა მითხრას, მაგრამ არ იცის, როგორ დაიწყოს. გაგარეულებულ-გაველურებულს ჰგავს. მალულად ვაკვირდები. თავი უნებლიეთ გამოქვაბულში წარმოვიდგინე... ასეთი რამე თუ დაგესიზმრებოდა ჩემ-ლოდ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ცხადში ვხედავ...

რა გავიგო? მეტყველების უნარი ხომ არ დაუკარგავს?! ამას წინათ რომ ქალიშვილი ისე უცნაურად მოჰკვდომია, ახლა, ამასაც არაფერი დაემართოს!..

ნელა ვდგები, იქნებ ისიც გაინძრეს... თუ არაფერს მეტყვის, გამაცილოს მაინც კიბის ბაქნამდე... თუ ჩემს მოსვლას არ გაუხარებია, არც ჩემი წასვლა უხარია? რა გავიგო?

დუმს. უძრავად ზის...

მხარზე ხელს ვახებ... არ ვიცი, ამას როგორ მიიღებს... მოფერებად? იცის კი, რა არის მოფერება? მაგრამ ცდა ბედის მონახვევრეა! იქნებ ამით მაინც გამოვიწვიო, ამან მაინც გაადიზიანოს და დაურღვიოს-მეთქი წონასწორობა. არა, ჩემთვის გამოცანად იქცა მისი ეს უცნაური გარინდება, დაყინებული ცქერა... ცრემლი ხომ... არა, ასე არ ტირიან...

რაღაც უცნაურად დეფორმირებულ სახეზე — ცალი წარბი რომ მაღლა აზიდულა, მეორე კი ბოლოთი ძირს დაქანებულა — რა მკაფიოდ აღბეჭდილა ერთსა და იმავე დროს ჩემი ბოღმა, გაბოროტება და... სინანული!

მეტის თომენა ძნელია. უკან ვიხევ? არა. მივდივარ. ღმერთმა ნუღარ შემახვედროს ასეთ იდუმალებასთან!

გაზაფხულიდან გაზაფხულამდე

კიდით კიდემდე ასე მზიური
  და მშობლიური
    მიწის ბადალი,
საგუმბათონი ზარზმის, გელათის
  რას შევადარო —
    არც რის სადარი!
სადაც სულ სხვაა ფიქრი წარსულზე,
  ჩანს სიყვარული
    მარად მაღალი,
ღვივის გენებში მადლი სიკეთის,
  ვით გულგამთბარი
    ხნულში მარცვალი.
როცა გალავნებს ლეწდა მომხვდური:
  ამბრი, არაბი,
    უმბრი, სპარსელი,
ომში კვდებოდა ყველა პოეტი,
  მაგრამ ვინ უწყის,
    გვყავდა რამდენი...
დღეს დაშაქრული რითმა თამადობს,
  ზოგგან წყალმარჩხი,
    ზოგგან ანკარა...
ნუთუ ნაღველმა ჰპოვა საშველი!
  ნუთუ ღრუბელი
    ქარმა დაშალა!
ერთი. შეხედვით სულს მოსწყინდება
  მუდამ მწყურვალი
    ჰყავდეს დუშმანი,
ისევ ელიან საუკუნეებს
  სვეტიცხოველი
    და მცხეთის ჯვარი!
რას შევადარო ასე მზიური
  ცა და ქვეყანა,
    არც რის სადარი!
მტკვარზე, არაგვზე, ქსანზე, იორზე
  ლექსის სათავე
    და შესართავი.
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე
  სულ საოცნებო
    არის, რაც არი!

არქეოლოგს

(ვუძღვნი ჯურხა ნადირაძეს).

უნდა რამ გწამდეს, როდესაც
  ფრთხილად
    საუკუნეებს ეხები, ხელით.
როცა ეპოქებს ჯიუტად ზვერავ,
  თანამედროვის ფიქრით და
    მზერით...
მზეს, უთვალავი დიდების მხილველს,
  ათასწლეულებს, მდუმარედ
    დენილს,
რომ მოაგონო წარსულის სუნთქვა
  გიყვარდეს უნდა ფესვები ძველი!
ნეშტები მხოლოდ მუდმივად დუმან,
  სარკოფაგებში ბატონობს
    მტვერი...
ოცნებას მაინც ვერ დასთმობ უმალ,
  მოყვასთა უცხო სახელებს ელი,
მაგრამ ვინ უწყის მოყვარე გხვდება,
  თუ საკუთარი მამულის მტერი?!
გენები სისხლში იწყებენ ბორგვას!
  გონების სანდო ნათება გშველის
და ისტორიას, მანამდე უცნობს,
  ალაპარაკებ საგნების ენით!

ბოლოდინი

მე გელოდები,
  როგორც ტალღას ელის ნაპირი...
და არასოდეს მავიწყდება
  ზღვის გასაჭირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რამდენჯერ ფასი
საკუთარ თავის
აღემატება
ვნებათა ღელვას.

მომენატრება გაზაფხულთა გადაფოთლება

ზოგჯერ უბრალო საგზალია
შემოქმედება,
ზოგჯერ გოდება და გულამდე
ცეცხლის მოდება.
როცა დღეების უმზეობით
სული ღონდება,
თითქოს ახლოა
ბედისწერის გაბოროტება...

მაგრამ ოცნება
სიმაღლეებს არ დაეხსნება,
სანამ მაწამებს
ტკივილები დაუძლეველი...
მომენატრება
გაზაფხულთა გადაფოთლება
და მაგონდება
განწირული ნაზარეველი.

თეთრი სურათი

ხსოვნიდან გრძნობით
მოდენილ ფიქრებს
ჰგავს ღამეების
ველური ჯოგი...
ზოგი ხმაურით
ატარებს კირთებს,
კუდსაც იმშვენებს
ბორკილით ზოგი.
ცივი გონების
ვარსკვლავი ბრწყინავს
და სიჯიუტე
მაქეზებს ცოდნის,
დილას ვუწოდებ
უსიზმრო დილას,
ლოდინს ვერ ვარქმევ
უიღბლო ლოდინს...

და ერთნაირად
ნაცნობ სახელებს
დიდებულების
ჩრდილი ამშვენებს,
ვუახლოვდები
უცხო ნაპირებს,
სად ფერადებში
ჩანს სინამდვილე,
მაგრამ იმედის
სხივებდაფენილს
ღიმილს ღიმილი
უხდება მხოლოდ,
ვგავარ მწვერვალზე
მარტო დარჩენილს
და საოცრებებს
არ უჩანს ბოლო!!!

●

ვიდრე ბუნება
მეტ-ნაკლებად მწყალობელია,
ბედნიერება
მესახება იმგვარ წყალობად,
რომელიც ყველას
შეიძლება არ გვიწყალობოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცივი გონებით

სადღაც კოლუმბის ნატერფალი
უმძიმს კონტინენტს...
ტასმანიაზე ველურები
კოცონს უვლიან.
ვაშინგტონიდან მოსკოვამდე
სივრცე კანკალებს.
და სასოების ყველა ნერვი
დაძაბულია ...

შეჰკედლებია უკვდავებას
აინშტაინი!
მხოლოდ კაენის შთამომავალს
ათრობს ცდუნება;

რათა ულმობელ კატაკლიზმებს
ჰქონდეს მიზანი —
ქვეყნად დაღლილი სიყვარულის
განადგურება!

მაგრამ სულ სხვაა გაზაფხული,
როცა ბუნება
ითვლის საათებს
და მისდევენ დღეებს
დღეები...
ცივი გონებით რა წუთამდე
უნდა ვეელავდეთ,
რომ მოვიგონოთ
დაკარგული სამოთხეები!

ტკივილის გრძნობით

მე სიმაღლეებს
ვიგონებ ხშირად.
და სიდიადე მიზიდავს მთების,
სადაც რაიმე
არა ღირს ჩირად,
თუ არასოდეს
გქონია ფრთები...

რარიგად იწვევს
სიშორე ტკივილს,
სიზმარში ზოგჯერ
ზმანება მზარავს...
იმგვარად ვუსმენ
მწვერვალთა ყივილს,
როგორც მწუხარე
მუზების ვარამს!

წითელი ხელებით

ჩვენი ისტორია ომებმა დასერეს.
გვზარავს მატიანე
სისხლით და გოდებით...
მახვილებს ვულეწდით
კულტურულ
მძარცველებს,
ხმლით მოვიგერიეთ ველურთა
ტომები!

გვსურდა სიყვარულის ძეგლები
აგვეგო
და ასწლეულები
დავნამეთ ცრემლებით.
ერთი ოქროს ხანა
იმდენად არ გვეყო,
მზეს მოვფერებოდით წითელი
ხელებით!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდუვალობა

მზე ფანჯრების წინ თვალებს იხატავს,
და გაზაფხულით შველის ტკივილებს,
მზის ფანჯრების წინ მთელი სამყარო
გადაიფრენს და გადაიკივლებს.

აქ იყო დილა სულ სხვანაირი,
ქარებს უსმენდა ლურჯი ქალაქი.
ავსებულიყო დუმილით ზეცა,
სახლები იქვით და ლაპარაკით.

და გაცრეცილი ღრუბლების მიღმა
მზე ისე ჩანდა, ვით თოვლის გუნდა,
ქუჩები მხრებზე შეედგათ ქარებს
თითქოს ქალაქის წაყვანა სურდათ.

ქარის ხელებში თრთოდა სამყარო
და უცნაური გვკლავდა წყურვილი,
მაგრამ რაღაცა მაინც მოხდება
გარეშე ჩვენი ნება-სურვილის...

მზე ფანჯრების წინ თვალებს იხატავს,
და გაზაფხულით შველის ტკივილებს,
მზის ფანჯრების წინ მთელი სამყარო
გადაიფრენს და გადაიკივლებს.

თოვლის მოსვლამდე

გინდა როგორმე უშველო ქალაქს,
შუბლზე შეეხო წვიმისგან დაღლილს
ფეთქავდეს შენი ვარსკვლავიც მარად,
როგორც ქალაქში მზიანი სახლი.

უნდა ენთო და უნდა უსმინო,
ჯადოსნურ ექოს, წლებს რომ
გითვლიდა,
ან იწყებოდე მართლაც უბრალოდ —
სიკეთიდან და სინამდვილიდან.

განა არაფერს არ ნიშნავს თოვლი,
როცა გიბრუნებს სულში სინათლეს,
შენ გჯერა მთვარის,
შენ გჯერა თოვლის,
მაგრამ ვერაფრით თავს ვერ იმართლებ.

ეს მე ვიყავი რომ მიგავიწყდით,
როს მოფრინავდა ციდან ზამთარი
მიწას მოჰყავდა ხელით მინდორი —
ციდან ქალღმერთის შემონთავალი.

უკვე დაკარგა ლოდინმა ფერი,
ისიც გახუნდა, ჩაქრა მინდორთან,
ყელში წყდებოდა სიტყვების კვალი
რის თქმა გინდოდა,
რის თქმა გინდოდა.

დღეს ირონია არ არის თქვენში,
მე არც მჯეროდა თქვენი წვიმების,
ვიღებდი ღიმილს, ვიღებდი ნუგეშს
და ყველას უხმოდ გინაწილებდით.

●

მე მაშინ მხოლოდ დაგიმახსოვრე,
ეს — მახსოვრობაც კაცთა ნიჭია.
დღემ სოცარი ხილვით დამღალა,
მაგრამ ვერაფრით ვერ შემიჩვია.

თვით მახსოვრობის ფერადი ექო
მხიბლავს და ფერად თოვლში
ვეფლობი,
გადღლილია მთელი სამყარო,
თოვლის ნატვრით და შეუჩვევლობით.

ხელი გავუშვი ფეხადგმულ წუთებს,
და რწმენის ღმერთი სათქმელს
ამთავრებს,
მე სიყვარულით
და ლექსებით ვარ დამუხტული,
სულ ასე ვივლი
ბოლო ზღაპრამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეები

დღეები ერთურთს არაფრით გვანან
ან რისთვის ვეიცხავთ,
რისთვის ვემდურით,
თავისებური დარდი აქვს ქალაქს
და გამოხედვა თავისებური.

დღეებით ვიწყებ „საღამოს“ ხატვას
(იმ სურათზედაც ასე ვდაობდით)
სად მიგვაქანებს ეს გულგრილობა
და უნდობლობის მძიმე ჭაობი.

შენ არაფერი არ იცი ჩემზე
და არ მიტოვებ სიტყვებს ახლებურს,
უაზროდ შრება სურათი მზეზე
ვეღარ ვახერხებ რომ მოგახედო.

მე შენში ვეძებ იმ ფერს ერთადერთს,
როს განიბნევა ქარში ნისლივით,
დასასრულივით იწყება დილა,
და დღე მთავრდება დასაწყისივით.

ჩვენ მოვიგონეთ ეს განშორებაც
და ჩავიჭედეთ ფიქრში დილემად
საიდან მოდის ეს უნდობლობა: —
ცხოვრების მწარე გამოცდილება.

დღეები ერთურს არაფრით გვანან
ასე გვიცცლიან მუდამ ხასიათს,
დავიწყებული დღე გუშინდელი
შენი პოტრეტის ერთი ხაზია.

●

დღეებს ვაგროვებ, დღეებს წვიმიანს
(გზით გადაღლილი საღამო ჩქარობს)
აღარ მჭირდება თავის მართლება
სიჩუმისა თუ ხმაურის გამო.

დღეს უკვე შიში ჩემგან შორს არის,
თვით ვარსკვლავები ელიან შედეგს,
მაინც მაწუხებს კითხვა მთავარი:
სად მიდის ქარი ქარიშხლის შემდეგ?!

მაინც რა არის სიმშვიდის იქით —
როცა ყოველი დუმს და ისვენებს,
შემოვაცილე წვიმას ხმაური,
შემოვაცილე წვიმას სისველე.

რადგანაც შიში ჩემგან შორს არის
და ვარსკვლავები ელიან შედეგს,
ვიცოცხლებ სანამ მაწუხებს კითხვა:
სად მიდის ქარი ქარიშხლის შემდეგ?!

მასკარადი

საცრად ცეკვავთ თქვენ ჩემს გარშემო
და ჯადოქრული გართობთ აზრები,
თვით სასწაული იღვიძებს თქვენში
გულახდილობით და გაბრაზებით.

ფერადოვანი ნიღაბი ჩემი
როგორც სინაზე და სიძლიერე,
ფარულ სინათლით უცებ გაცოცხლებთ,
უცებ გავსებთ და გაცარიელებთ.

ვერ გადამალეთ ამ ერთ ღამეში,
ვერ დაიჯერეთ ეს დამარცხება:
ყველა ოცნება, როგორც სიბერე,
დაუძლურდება და გაბაცდება.

საცრად მხიბლავს ეს მასკარადი —
ხასიათების ლაღი სიცრუე.
ღამის კიბეზე ჩამორბის ჭინკა
და უცებ ყველა სურვილს მისრულებს.

ლევან სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ათონელი

რომანი

— საქართველოსთან მტრობა არ გვარგებს, — სთქვა ბასილისა ზოიამ.

— მეც ყოველთვის აგრე ვფიქრობდი — საქართველოსთან მტრობა ნანდვილეს მეგობრობით და მოყვრობით უნდა შეიცვალოს, — დაუდასტურა ბასილევსმა რომანოსმა.

ეს იყო ერთადერთი, პირველი და ყველაზე მტკიცე (ერთსულოვნება (და ერთიზროვნება, რაიც კი ექნებათ განგების ძალით თავმოყრილ ცოლ-ქმარს.

და ამ კეთილმა ხმამ მოატანა საქართველოში.

გიორგი ბერი ითვლეინებოდა: სასურველ არს საქართველოდან კონსტანტინოპოლს წვევა_ უზენაესისა!

და ისევ წარემართა მელქისედეკ კათალიკოსი.

ისევ დიდის პატივით შეხვდა ჭიპი დედამიწისაი საქართველოს მწყემსმთავარს.

და შეხვდა „სიყვარულითა დიდითა“ რომანოს კეისარი „საყუარელ ქართველთა“ სულიერ მამას, შეხვდა და „მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, სამღდელმთავრო და სამღდელო სამკაული, და წარმოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსავე თვისსა“ კათალიკოსი მელქისედეკ.

მეორე ქართული წვევა კონსტანტინოპოლს უფრო ფართო და ღრმა განზრახვებით იზრახებოდა და განიბჭობოდა ქუთათისის სასახლის კარზე. ამჯერად თვითონ დედოფალი მარიამი, დედა ბაგრატ მეფისა და ქვრივი დიდი გიორგი პირველისა, ემზადებოდა კონსტანტინოპოლს გასამგზავრებლად.

მე კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიტან სამუდამო მშვიდობას, კავშირსა და ერთობასო, ეუბნებოდა მარიამი ბაგრატს. და ეს იქნება ჩემი უმორჩილესი არზანიგი საყვარელი საქართველოსთვისო.

— ხოლო, პირადად შენთვის, შვილო ჩემო. და მეფეო ჩემო, პატივსა კურაპალატობისასა, ვითარცა არს ჩვეულება და წესი სახლისა ჩვენისა.

მდუმარედ ისმენდა ბაგრატი.

— და კიდევ რას მპირდები, დედაო საყვარელო? — ხმა ამოიღო როგორც იქნა.

კიდევ ცოლს გპირდებიო, ფიცხლად მიაგება მარიამმა.

?!

სწორედ, და ცოლი შენი იქნება კეისრის ასულიო.

ეს კი მაინცა და მაინც აღარ გაჰკვირვებია ბაგრატს, რადგან არ იყო ახალი ამბავი ქორწინებრივი მოყვრობანი საქართველოსა და ბიზანტიის სამეუფო სასახლეთა შორის.

ბიზანტია, სომხეთი და ოვსეთი — აი, სამი ქვეყანა, რომელთა სამეუფო სასახლეებთან საქორწინოდ, სამოყვროდ და სანათესაოდ მიელტვოდნენ შვილნი ქართული სახელმწიფო სასახლისანი.

თვითონ ბაგრატი ოვსის ქალზე ოცნებობდა ყმაწვილური ოცნებით. მამის ნათქვამისთვისაც მოეკრა ყური: ქვეყანაზე არა ქალს არა აქვს ისეთი ჯიშიანი ძუძუ. როგორც ოვსის ქალსო. და

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3, 4, 5.

კიდევ: საოცრად ჯიშიანი ნაშიერი მოსდგამს ქართველისა და ოვსის შეუღლებასო.

ამაებს ფიქრობდა ბაგრატი, მაგრამ ხმამაღლა აღარ გაუმხელია, რადგან ესეც ახსოვდა, რომ დედამისს, დედოფალ მარიამს არ უყვარდა ოვსის ქალებზე სიტყვის ჩამოგდება. არ უყვარდა, რადგან აკი ოვსის ქალმა გაუნახევრა და გაუწმია მას ქმართან სიყვარული და სარეცელი...

და მარტო დედის ქალური გულსატკივარი კი არა, თვითონ ბაგრატაც ეთქმოდა საყვედური ეგზომ საყვარელი მამისადმი: აკი სწორედ ოვსის ქალთან, ალდესთან ტრფიალით გაუჩინა მამამ ბაგრატს, კანონიერ უფლისწულს უკანონო მეტოქე დემეტრე...

რად არას იტყვიო, ფიქრი გაუწყვიტა მარიამმა.

და ამოიღო სიტყვა ბაგრატმა: კარგია და საშურველი ბიზანტიასთან მშვიდობა, ერთობა და მეგობრობაო, მაგრამ ნუთუ მაინცა და მაინც აუცილებელად მჭირდება მე, დედაო საყვარელო, მათი ნაწყალობევი კუროპალატობა და, კიდევ... სადედოფლოს მომათხოვრება?

მომათხოვრებაო?!

ეს რა საკადრისიაო, სახე გაურისხდა მარიამს, კუროპალატიც, ნობილისიმოსიც, პატრიკიოსიც, სებასტოსიც, პროედროსიც — ყოველთვის დიდ პატივად და არზანიგად ეძლეოდთ კეისართაგან ქართველ მეფეებსო.

— მაგრამ თვითონ კეისრები რად არ ატარებდნენ მაგ სახელებს — უცებ იჭექა ბაგრატმა — არ ატარებდნენ, უკვე აღარ კადრულობდნენ და მხოლოდ ქვეშევრდომებს ურიგებდნენ, ქვეშევრდომებს-მეთქი!

— ამას რად იტყვი, შვილო, მამაშენი გიორგი, ან პაპაშენი ბაგრატ, ან მამის პაპა დავით მეფეთამეფე კუროპალატი კეისრისგან ნაჩუქარ მაგ წოდებებს რომ ღებულობდნენ, განა ვისმეს ქვეშევრდომად თვლიდნენ თავის თავს?

— თვითონ, რასაკვირველია, არ თვლიდნენ, მაგრამ კეისრები კი თვლიდნენ. და ასედაც არის: ის ვინც წყალობას ღებულობს, მწყალობელის ქვეშევრდომობასაც მაშინვე უნდა შეურიგდეს. თავის გონებას მაინც უნდა გაუმხილოს, რომ წყალობის მიმღებელი მწყალობელის ქვეშევრდომია-მეთქი!

გაცხარებით ლაპარაკობდა ყმაწვილი მეფე.

უსაზღვრო გაკვირვებამ შეიპყრო მარიამი. ასეთი არასოდეს უნახავს ძე თვისი, აწამდე მორჩილი და თვინიერი. თითქოს ერთბაშად გაზრდილიყო და გარდასახულიყო თერთმეტი წლის ყრმა.

კრძალულად მიეახლა და მოხვია ხელი შვილს.

— ნუ აჩქარდები, შვილო ჩემო, რადგან ჯერ ნაადრევია წყალობის მიღებაზე უარს ვამბობდეთ და მწყალობელთან დამოყვრებასაც არ ვეძიებდეთ.

და დასძინა მცირე ხნის შემდეგ:

— დღეს ასე გვიჯობს, ხოლო ხვალ ხვალემ გვაჩვენოს!

სდუმდა ბაგრატი.

ისევ ჰქონდა დუმილის უნარი ჯერ ყრმა ხელმწიფეს.

და გაემგზავრა დედოფალი მარიამი კონსტანტინოპოლს.

და დახვდა დიდის ზარზეიმით საქართველოს დედოფალს ოქროს ჭიპი დედამიწისა.

გამორჩეული სიხარულით და სიყვარულით შეხვდნენ მარიამს ქართველები და სომხები.

ქართველები იმიტომ, რომ — მარიამი საქართველოს დედოფალი იყო.

სომხები იმიტომ, რომ — მარიამი სომეხი იყო.

და ერთად იყვნენ იმ დღეს ქართველები და სომხები, ვითარცა ერთ სისხლ და ერთ ხორც ძმანი ღვიძლისანი.

ლევან სანიკიძე
გიორგი ათონელი

(მაგრამ — ხვალ კი იქნებოდნენ ერთად?!).

კეისარი რომანოს არგიროსი და ბასილისა ზოია ძოწოშობილი საღვთო კონსტატორიონში დიდის პატივით შეხვდნენ საქართველოს დედოფალს.

ორივე მხარემ პირობა დასდო სამუდამო მშვიდობაზე, კავშირსა და მეგობრობაზე.

კავშირი მტკიცდებოდა ორივე მხარისათვის დიდად სასურველი დამოუკიდებლობით: საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე ცოლად ირთავდა რომანოს კეისრის ასულს (პირველი ცოლისაგან), ელენეს.

რომანოსი ბაგრატს, სიძეს და ხელმწიფეს, არზანიგად უგზავნიდა კურაპალატის ზედწოდებას.

მოდიოდა ბიზანტიიდან მარიამ დედოფალი.

მოჰქონდა მშვიდობა საქართველოსთვის.

მოჰყავდა სადედოფლო ქართველი მეფისათვის.

ტაოში ჩაეგება მეფე ბიზანტიიდან მომავალთ.

ერთმანეთს შეხვდნენ, ბანას.

იქვე, ბანას ტაძარში დაიწერეს ჯვარი ბაგრატმა და ელენემ.

ქუთათის მოვიდნენ და დიდის ზარზეიმით იქორწინეს.

და საქორწინო სანთიობოს კარებთან მარიამმა ელენეს აჭამა კომში. პატარძალმა კომში უნდა სჭამოსო გარდაქალწულების წინ, — უჩურჩულა დედამთილმა რძალს.

მაგრამ საბედნიერო კომშმა ბედნიერებას მაინც ვერ უწონამორბედა.

არ გასულიყო თვე თაფლობისა, რომ უეცრად ყმაწვილი დედოფალი გარდაიცვალა.

და არ გასულიყო ერთი წელიწადი და ბაგრატ მეფემ მეორედ იქორწინა.

ამჯერად მან ცოლად შეირთო ბორენა — ოვსთა მეფის, ურდურეს ასული.

ბიზანტიასთან მოყვრობის მოშლამ გაათამამა ბაგრატ მეფის მოძალეები.

და აუმხედრეს ბაგრატს მისი ნახევარ-ძმა დემეტრე, ალდეს ნაშობი.

ანაკოფიას ჩადიოდნენ მოლალატენი, ალდესთან და დემეტრესთან, და „იყო მათ, შორის მი-და-მო საუბარი“.

მაგრამ დემეტრემ ვერც მასზე გაცილებით ძლიერი ძმის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედა, ვერც მის დიდსულოვნურ პატიებას დაელოდა, დაჰკრა ფეხი და კონსტანტინოპოლს გადიხვეწა.

თავშესაფრის საფასედ დემეტრემ ციხე-ქალაქი ანაკოფია კეისარს მიართვა.

ამნაირად, ისევ შემოდგეს ბიზანტიელებმა ფეხი აფხაზეთის.

ხოლო, ქართველთა მეფეს ანაკოფიისთვის ჯერ არ სცალოდა.

რანის სატახტოში, განძაში მაშინ ისევ ამირა იჯდა, სახელად ფადლონ.

ოცი წლით ადრე ბაგრატ მესამემ, ბაგრატ მეოთხის პაპამ, ქართული მიწების შეწუწხებისთვის სასტიკად დაამარცხა და დახარკა განძის ამირა.

ახლა კი ისევ გამძლავრდა და შემოუტია ქართულ სამნებს ფადლონმა.

ბაგრატ მეფემ ბრძოლად გამოსვლა უბრძანა ლიპარიტ ბაღვაშსა და იოანე აბაზისძეს. და ამათაც შემოყარეს ლაშქარნი.

ბაგრატმა დამხმარედ უხმო კახეთის მეფეს, კვირიკეს, და ისიც წამოვიდა კახთა ჯარით.

მეფემ ტფილისის ამირაც, ჯაფარ ალის ძე გაიწვია ფადლონთან საომრად. ჯაფარს ქართველ მეფესთან წაკიდება ხელს არ აძლევდა და ისიც აღჯდა საალშერად ცხენზე.

ბრძოლა მოხდა ეკლეცთან.

სასტიკად დამარცხდა განძის ამირა.

ქართველებმა „გააქციეს ფადლონ და გაუწყვიტეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვი. ამიერიდან სიკუდილამდე შეჰავდა ფადლონ“.

არ ავიწყდებოდა ბაგრატ მეფეს მისი მოძღვრის, გიორგი ბერის დანაბარები:

ტფილისი — თავი საქართველოსი,

ქუთათისი — გული საქართველოსი,

მცხეთა — საფეთქელი საქართველოსი.

და იყო ოთხასი წელიწადი საქართველო უთავოდ, ანუ უტფილისოდ.

და ამოიჭრა გულს განაზრახი ბაგრატ მეოთხემ — უცხო უღლისაგან დაუღლული ტფილისის დახსნა.

მაგრამ ტფილისის ამირა ჯაფარ ალის ძე აკი მისი მოკავშირე იყო ფადლონთან ბრძოლაში. ჯაფარმა, ტომით არაბმა, ქართველების საკეთილდღეოდ თვისტომი გიმეტება და ახლა ბაგრატს სიკეთე მტრობით როგორ უნდა გადაეხადა და გუშინდელი მოკეთის წასახდენად დღეს მახვილი როგორ ამოეწვადა?

მაშინ საკუთარი ხელის გაუსვრელად და სამოკავშირეო სიტყვის გაუტეხლად განიზრახა ბაგრატ მეფემ ტფილისის დახსნა. და იხმო მან ლიპარიტ ბაღვაში და იოანე აბაზაისძე. იხმო და განაზრახა: იქნებ ისე მოახერხოთ, ჯაფარ ამირა ტფილისს განაშოროთ და ხმაც ისე დაადგოთ, მე ამ განზრახვისა არაფერიც არ მცოდნებოდესო.

ბაღვაშმა და აბაზაისძემ მეფის ნაბრძანები იტვირთეს და აღსრულებასაც შეუდგნენ.

მუხთაგვერდს მივიდნენ მცირე ამალით და ტფილისს კაცი გგზავნეს ჯაფარ ამირასთან. მოსალაპარაკებელი რამ გვაქვს, მოდი და მოვილაპარაკოთო, — შეუთვალეს.

ჯაფარმა ღალატის გერში ვერ აიღო და გულდანდობილად შეხვდა მაწვეავრი.

და, ის იყო, საგანგებოდ გამართულ კარავში ფეხი შედგა, რომ ერთბაშად ლიპარიტ ბაღვაშის სტვენაზე ქართველები ჯაფარს წაესივნენ, მიწას გააკრეს და ხელფეხიც შეუკრეს.

— ღალატი, ქართველებო, ღალატი?! — იყვირა ჯაფარ ამირამ — გაშთქვენს სულსა! მე არაბი ვარ და ... ...

ან მე ვიყო ქართველი, ან შენ — ბერძენი!

— ვამჯობინოთ ვიყოთ რაც ვართ და ვიყოთ ერთად, — წამსვე უპასუხა გიორგიმ კეთილი ღიმილით.

— ნანდვილივე ხარ ოლიმპიელი, განმაბრძნობებელო!

— ?!

— სწორედ შენებრი რიტორი დიდოსტატი უნდა ყოფილიყო პერიკლე ათინელი, რომელსაც ათენში ეძახდნენ ოლიმპიელს.

—?!

— ოდეს პერიკლე მეტყველებდა, არ იძვროდა არც ერთი ნაოჭი მისი სამოსელისა, არც ერთი ნაკვთი მისი სხეულისა, და იძვროდნენ ოდენ ბაგენი, საიდანაც იგი აფრქვევდა ელვასა და მეხს, ვითარცა ზევსი ოლიმპიელი.

— რა გქვია, ძმაო, შენ? — ჰკითხა გიორგიმ, მცირედ შეცბუნებულმა.

— მიქელ პსელოს.

— მაშ, გამარჯვება, მიქელ პსელოს!

და ხელი გაუწვადა გიორგიმ.

და უცებ ემთხვია ხელზე ყმაწვილი იგი.

ფრომ ორი წელიწადი კიდევ ჩამომარცვლა და, ნებითა კეისრისა რომანოს არგიროსისა, წამოემართნენ ქართველები საქართველოსკენ.

მოდიოდა კრავაი, ქვრივი ფერისისა, მოასვენებდა ქმრის ნაშთებს ქართულ მიწაში დასამიწებლად. მოდიოდა და მოჰყვებოდნენ სახლეულნი და მსახურეულნი მისნი.

და მათ შორის — ორივე გიორგი, ბიძა-ძმისწული.

მოდიოდა ახალგაზრდა გიორგი და ფიქრობდა ფიქრითა უთვალავითა და უზღვროითა.

ფიქრი ფიქრს ათოვდა, ფიქრი ფიქრს შლიდა, ფიქრი ფიქრს აშენებდა, ისევ და ისევ, განუწყვეტლივ და განუცხადებლად.

ისევ გაახსენდა მიქელ პსელოსი.

რა გამძაფრებით ესურვილება ამ ყმაწვილ ბერძენს, ყველა დიდი სულით მოღვაწე რომ ქართველი იყოს. „ბერძენ“ და მაინც ქართველები იყვნენო ყველაზე დიდი მამანი სრულიად საქრისტიანო ეკლესიისა: ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი, ევაგრე პონტოელი, და კიდევ... კიდევ რამდენი...

და, კაცმა რომ თქვას, მართლა ქართველები კი იყვნენ.

მაგრამ ქართველები ხომ ისეთები ვართ, ჩვენდა სასიკეთოდ მანამ კრინტსაც არ დავძრავთ, სანამ სხვა, უცხოელი ვინმე არ იტყვის ჩვენს ღირსებას.

ოღონდ უცხოელმა გვაღიაროს, ხოლო ჩვენს სიტყვას ჩვენზე და საერთოდ ჩვენში რა ფასი აქვს!

ასეა, რადგან — უცხოელმა შიშველი სიშლეგეც რომ სთქვას, ჩვენ მაშინვე ამას ვიტყვით, ღვთაებრივი გონების ნაკვეთი რომ გვითხრა ამ უცხოელმაო, ხოლო ჩვენებურმა რომ მართლა საღვთო ნიჭისა რიმე წაიდუნოს, მაშინვე პირში თუ ვერა, ზურგიდან მაინც ქოქოლას დავაყრით, მეხი კი დავაყარე შენი სიშლეგის გვადრუცსო.

ასეა, რადგან — ქართული სიტყვათ-მიმოქცევაშიც „უცხო“, „უცხოური“ და „უცხოელი“ იგივეა, რაიც „უკეთესი“, ანუ „სა-უცხო-ო“.

ხოლო, ვითარ მგონია მე, ასე იმად უნდა იყოს, რომ ქართველი მისი ღირსების აღიარებას უფრო უცხოელისგან ჰპოვებს, ვიდრე საკუთარი სისხლიერი ქართველისაგან.

წრეგადასულად უყვარს ქართველს:
როცა მას აღიარებენ,
როცა მას აქებენ,
როცა მას ადმერთებენ,
როცა მას ეალერსებიან,
როცა მისი ეშინიათ,
როცა მისი ერიდებათ,
როცა მისი ეფიქრებათ,
როცა იგი უყვართ,
როცა იგი სწამთ,
როცა იგი ე-პირ-ვე-ლე-ბათ.
და პირველობას ქართველი კაცი ხომ

თავის სისხლიერს, ნათესავ ქართველს ცოცხალის თავით არ დანებებს — უცხოელს კი იგი თავის თანანაშობ უპირატესობას, ანუ პირველობას, მეორადობაში ისევე ჰაიპარად გაუცვლის, როგორც ესამა პირველობილება ოსპის წვენში გაუცვალა თავის მომდევნო ძმას იაკობს.

პირმშობობა ოსპის წვენში, სათქვლეფ ნახარშში!

მოდიოდა გიორგი მძიმე ფიქრთმეტყველებით დატვირთული.

ფიქრი ფიქრს ათოვდა, უხმო შრიალით. ათოვდა, ეფინებოდა, ეტკეპნებოდა, ძველი ფიქრი ნაფიქრალად იკარგებოდა, ახალი ფიქრი ბუდეს იშენებდა, განუწყვეტლივ, განიადაგებით.

და კვლავ მივიდა ხახულს, სავანესა საყვარელსა.

მივიდა და ეთაყვანა მოძღვართა სანატრელთა და ბერთა ღმერთშემოსილთა ყოველთა.

მიეხვივნენ და მიესხეულნენ ყრმასა რჩეულსა და აღზრდილსა თვისსა წმიდა მამანი — ბიძა საბა, მაკარი განმანთლებელი და დიდი ილარიონ თვალოელი (ხოლო დიდი ბასილი ბაგრატ მეფის ძე და ღმერთშემოსილი ანტონი მნათე, უკვე სულით განყრილნი იყვნენ სხეულთაგან და სხეულნი მათი განწიაღებულ იყო ხახულის წმიდა მოღვაწეთა სამარტვილოში).

უცქირა ილარიონ თვალოელმა ღამენათევი, დამაშვრალი თვალებით გიორგის, უცქირა და უთხრა ბოლოს:

— სახე შენი ჭაბუკური სახიერებისა და ზადშეუხებლობისა, თმა შენი წაბლოვანი, უშაღარო და უნაკერო, გარნა, ვითარცა იტყვის დიდი ბასილი კეესარიელი — არა ჭაღარა და სითეთრე თმისა, არა ნოაჭი და ზადიერება სხეულისა, არამედ ოდენ სიბრძნე და გონიერება არს მხცე და სიჭარმაგე კაცისა.

— და ყოველივე სიკეთე მისი არის შენგნით — წამსვე მიაგება სიტყვა ილარიონს მაკარიმ — შენგან სვადა იგი სძესა სწავლისასა და შენგანვე წარემატებოდა ყოველთა სათნოებათა შინა.

— არა ჩემგან, არამედ ჩვენგან! — ხმა აღუტეევა თვალოელმა.

— შენგან, სწორედ შენგან — ჩაერია საბა — შენა ხარ, მამაო ილარიონ, პირველი მოძღვარი გიორგისი და მიზეზი ყოვლისა კეთილისა. და აწცა შენ უნდა აკურთხო მონაზონობა მისი.

მონაზონობა უნდა ვაკურთხო? აკი სიყრმითგანვე მონაზონია გიორგი?

— გარნა, კურთხევითა აწამდე მაინც არის უკურთხებელი და აწცა სწორედ შენ უნდა აკურთხო გიორგი ბერად და მონაზენად, ღმერთშემოსილო ილარიონ! — მიეჯარნენ და მიეძალნენ დიდ თვალოელს საღვთო მამანი და მოწესენი ყოველნი.

და აკურთხა დიდმა მოძღვარმა თავისი დიდი მოწაფე ბერად.

და იყო გიორგი ბერი მოძღვართაგან, სულიერ ძმათაგან და მოყვასთაგან უსაზღვრო სიყვარულითა და ყურადღებით გარემოსილი.

და უცებისად, ერთ დღეს გიორგიმ იგრძნო, რომ იყო მ ა რ ტ ო, მ ა რ ტ ო ხ ე ლ ა და მ ა რ ტ ო ს უ ლ ი.

და საოცარი სწორედ ის იყო, რომ მისი მ ა რ ტ ო ო ბ ა სწორედ ა დ ა მ ი ა ნ ე ბ თ ა ნ ყ ო ფ ნ ა იყო, თანაც ეგზომ მოყვარულ და მზრუნველ ადამიანთა შორის ყოფნა.

თითქოს, სწორედ ადამიანებთან ყოფნა ა მ ა რ ტ ო ე ბ დ ა, ანუ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ დ ა, ანუ ა ღ ა რ ი ბ ე ბ დ ა მის სულს.

ადამიანებთან იგი მ ა რ ტ ო იყო.

და ერთადერთი, როცა იგი მ ა რ ტ ო ა რ ი ყ ო, მხოლოდ მაშინ იყო, როცა მ ა რ ტ ო ი ყ ო — ადამიანთაგან თავდასხნილი, განრიდებული და განმ ა რ ტ ო-ებული.

ასე იყო, რადგან — როცა იგი მხოლოდ თავის თავთან იყო, თავის სულთან, თავის აზრთან, თავის ფიქრთან,

თავის სიტყვასთან, თავის ლოგოსთან — იყო მხოლოდ თავის საკუთარ ყოველივესთან თანაზიზღოვნებაში, თანაფიქრთმეტყველებაში — და ამიტომ სწორედ მაშინ არ იყო მარტო, სწორედ მაშინ იყო იგი თავდასხნილი მარტოობისგან.

„ადამიანებო, უკეთუ მე თქვენ მარტლა გიყვარვართ, უკეთუ ჩემდამი თქვენი სიყვარული არის წრფელი და არა ფარისევლური, გემუდარებით, დამტოვეთ მარტო, რათა თავი დავიხსნა მარტოობისგან“.

უხმოდ, უბგეროდ ბღაოდა სული მისი.

„ადამიანებო, მოყვასნო და მოყვარულნო ჩემნო, მე თქვენთან მარტო ვარ, მარტო, და ამიტომ გემუდარებით, გამიშვით მარტო“!

ბორგავდა, ჯანყდებოდა არსება მისი.

და ახლა მიხვდა გიორგი, რომ ადამიანთაგან მხოლოდ ერთთან ყოფნით არ იყო მარტო.

და ის ერთადერთი იყო თვალშვენიერ არსუკისძე, მარჩბივი მისი სულისა.

და ნეტავ თვალშვენიერიც თუ ამასვე ფიქრობდა ახლა, ამ წუთში? — ფიქრობდა გიორგი.

ფიქრობდა ხალხისგან განმარტოებული და მარტოობისგან თავდასხნილი.

„ყველასთან მარტო ვარ მე — მარტოხელა და მარტოსული. მხოლოდ ამ ქალთან ყოფნით არა ვარ მარტომყოფელი. და კიდევ გიორგისთან ყოფნით არ ვიყავ მარტო“, — ფიქრობდა არსუკისძე.

იგი თავდამხედ იწვა და მარჯვენა ხელი გულაღმა მწოლარე ქალის მარცხენა ძუძუზე ესვენა.

— რატომ სდუმხარ და რას ფიქრობ, თვალშვენიერო? — ჰკითხა ევნიკიამ და ვაჟის ხელი მკერდიდან მცირედ ჩამოიცურა.

— არაფერზე არ ვფიქრობ მე, არაფერზე, როცა ვარ შენთან და ვარ ასე, — თქვა თვალშვენიერმა და ისევ დაადო ხელი ქალის მარცხენა მკერდს.

და უკვირდა ევნიკიას, ვაჟი რომ უფრო მარცხენას უფერებდა, ვიდრე მარჯვენას, უკვირდა, შეტყობა ეწადნიერებოდა, მაგრამ შეკითხვას ვერ უბედავდა.

ვაჟმა კი იმ დღეიდანვე შეიგრძნო და შეიცნო მარცხენა ძუძუს გრძნობაალვსილი მიმზიდველობა, რა დღიდანაც პირველად შეახო მთრთოლვარე ხელი ქალის საკინძეს.

და ეს იყო ნარჩეულობა მარცხენა რძესადინარისა, რადგან იქ გული სცემდა.

ხოლო, გული გამორჩეული ცხოველმოსილებით აორთოლებდა ქალის მკერდის მარცხენა მხარეს.

სწორედ აქ იწვა ძუ, ხვადის სულის შემარყეველი ძუ — ძუძუში იწვა.

(ძუძუ, ანუ ორჯერ ძუ — ძუ და ძუ — ძუ-ძუ).

და ევნიკიამ არ იცოდა, რა უცნაური ფიქრები უტრიალებდა ვაჟს იმ წუთს, ფიქრთაგან აქნილ გონებაში.

არაფერზე არ ვფიქრობო, — ამას კი ეუბნებოდა — როცა შენთან ვარ, არაფერზე არ ვფიქრობო, რადგან შენთან ყოფნით ფიქრის უნარიც მეკარგება და მიქრებაო.

უხაროდა ქალს, უსაზღვროდ უხაროდა. შეიძლება ვაჟი სტყუოდა კიდეც, მაგრამ ქალი რის ქალი იყო ვაჟის ტყუილს თუ ფესვებს მოუჩჩრეკდა.

სახე მზისთვალივით ბიბრწყინავსო, უთხრა ვაჟმა, და ეს მაინც აღარ უნდა ყოფილიყო ტყუილი, რადგან ქალი მართლა ძალიან ლამაზი იყო, მზისთვალივით მბრწყინავი სახით და მზესავით მხურვალე ტანით.

ვაჟიც მზე იყო ქალისა.

და გახელებით ჰკოცნიდა ერთურთს ორი მზე — მზენი სხივგახელებულნი და სისხლგახელებულნი.

დრო და დრო კი, დრო ითიშებოდა და ჩერდებოდა.

და სივრცე უსივრცო ხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის ყვირილი, თუ მზის მყვირალობა სუფევდა გარშემო.

რაღაც უსაზღვრო და უზომიერო ფუტკრის მანანას უცნაური ტკბობით მოეცცა მთელი სამყარო.

და ანაზდაითად, ციდან ორბის ყივილი ჩამოიჭრა.

წამოიწია არსუკისძემ.

— არ ადგე რა, არ ადგე! — და ქედზე დაეკიდა ქალი ვაეს.

ისევ იყივლა ორბმა.

— არ ადგე რა, თვალშვენიერო, თვალის ჩინო, თვალო ნატვრისა!

არცა ჯოჯოხეთი, არცა მიწა, არცა ცეცხლი და არცა ქალი — არა იტყვიან: „ამა არს!“ — გაუელვა სვეტიცხოვლის აღმშენებელს და წამოდგა ფეხზე.

ცას აჰხედა.

ორბი ირაოზე იდგა და ეჩვენებოდა არსუკისძეს: ორბი ესე ჯვარსახოვანი, ანუ ჯვარი ესე ორბსახოვანი, იყო ჯერაკუმია ცისგვამისა.

ხოლო, მკერდი ქალისა — ჯერაკუმია დედამიწისა.

თვალით აზომდაზომა თვალშვენიერმა მანძილშორისი ქალსა და ფრინველს შორის.

სიმაღლე ესე სვეტიცხოვლისა?

ხოლო, ძალმოსილება ამა სიმაღლის დაძლევისა?!

მარჯვენა ხელი მომუჭა მესვეტიცხოვლემ, ისე მკვრივად, რომ ფრჩხილები გაულურჯდა. მერე უცებ გაშალა და თვალის საფფრით დააკქერდა ხელისგულს, დააკქერდა და იხილა:

ზოლი სიცოცხლისა — მკვეთრი, შუაზე ნაწყვეტი.

ზოლი გონებისა — ღრმაკვალოვანი, ნატყუპი აშკით გამძლავრებული.

ზოლი თირკმლისა, ანუ ტანის სიმთელისა — ღრმაკვალოვანი.

ზოლი ბედიღბლისა — მჭრქალი, ულონო, უღიმღამო.

ბორცვი ვენერასი (ქვედამხარი ცერა თითისა) — სუფთა, უზადო, ნიშატი წრფელი სიყვარულისა.

ბორცვი იუპიტერისა (ქვედამხარი საჩვენებელი თითისა) — მაღლივად დახაზული, ნიშატი სიამაყისა.

ბორცვი სატურნისა (ქვედამხარი შუა თითისა) — ნიშატი გონგამჭრიახობისა.

ბორცვი აპოლონისა, ანუ მზისა (ქვედამხარი არათითისა) ნიშატი სიმშვენიერისა.

ბორცვი მერკურისა (ქვედამხარი ნეკა თითისა) — ნიშატი გულმეცნიერებისა.

ბორცვი მარსისა (ქვედამხარი ხელისგულისა) — ნიშატი სიმამაცისა.

ისევ იყივლა ორბმა.

—არიელ! — აღმოხდა თვალშვენიერს.

— რაო? — იკითხა ევნიკიამ.

—არც რა! — ხელი აიქნია თვალშვენიერმა.

ალბათ ხელისგულზე ნაკქერალისას ამბობს რაიმესო, იფიქრა ქალმა, ფეხზე წამოდგა, ვაეთან მივიდა, მიესხეულა, ხელისგული გაუშალა, დააკქერდა და უთხრა:

— ასეთი ხელისგული ჩემი მკერდიდან აგაყვა შენ.

თვალშვენიერს სადღაც შორიდან ჩაესმა ეს ხმა, რადგან კვლავ სვეტიცხოველს ჩაეთრია მისი გონება.

ახლა მას მ ა რ ტ ო დ დ ა რ ჩ ე ნ ა და მ ა რ ტ ო ო ბ ი ს გ ა ნ თავის დახსნა მოსწყურებოდა, რადგან ქვემოდან...

ქვემოდან ქვის ძახილი ესმოდა.

ქვის ძახილი!

— ხოლო ჯვარი? — უცებ ჰკითხა ქალმა.

— ჯვარი?! — ძლივს გამოერკვა ვაეი (ქვის ძახილისგან ძლივს გამოერკვა).

— ჰო, ჯვარი, ჩემი თმით შეკვერთხილი, მკერდზე რომ გეკიდა შენ.

და ვერ უპასუხა არსუკისძემ.

თითქოს სიტყვის ფუძე მოშლოდა.

მას ისევ ქვის ძახილი ესმოდა.

ქალი კი ქალურად არ ეშვებოდა, ქალურად ელამუნებოდა და ესხეულებოდა.

— დაკარგე განა ჩემი კულულით შეკ-

ვერთხილი ჯვარი, რამდენჯერ გკითხე და უპასუხოდ დაადგე კითხვა ჩემი? იქნებ ვისმეს უსახსოვრე, ვისმეს გაუყავ სიყვარული და სიხარული ჩემი!

— კარგი, გეყოფა, ევნიკია, და უკითხველად ირწმუნე, ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნე-მეთქი, რომ ჩვენი სიყვარული ისევ ისეთია, ვითარცა იყო — თვინიერ განყოფისა და ზადირებისა, — უთხრა და აკოცა თვალშვენიერმა.

— მაშ, ისევ გიყვარვარ?

— უკვე გითხარი და რამდენჯერ გითხრა!

— მაშ, დაჰხატავ ჩემს ხატებას სვეტიცხოველში?

ამას კი ვეღარ უპასუხა თვალშვენიერმა, რადგან მის გულისხმაში ქალის ხმა ისევ ქვის ხმამ დაჰფარა. ქვის ძახილმა.

ხოლო, გიორგი (მარტოობას მოწყურებული მესვეტიცხოვლის სულის მარჩხივი) იმ ჟამს მარტო არ იყო, რადგან მ ხ ო ლ ო დ თავის ფიქრებთან იყო, ადამიანთაგან განლტოლვილი და განრინებული.

მას წასვლა გადაეწყვიტა, ნათესავთაგან, ახლობელთაგან, ნაცნობთაგან და ყოველთა მცნობელთაგან შორს წასვლა.

მარტომყოფლობის შორიელი გზის მთავარი ზრახვა იყო მოვლა, მოხილვა და მოლოცვა ყოველი წმიდა ადგილისა ხახულიდან იერუსალიმამდე.

და ერთ ნისლიან ღამეს იდუმალ გავიდა გიორგი ხახულის სავანიდან. გადა, და ვითარცა „მოსე შევიდა ნისლსა...“

დილით, როცა აღარც წყვდიადი იყო და აღარც ნისლი, გიორგის გადაკარგვა შეიტყო ყველამ. შეშფოთებამ და შეჭირვებამ შეიპყრო ხახულელთა სამწყსო.

მაკარი წინამძღვარმა სასწრაფოდ ფეზზე დააყენა ყოველი მოწესე. მისი ბრძანებით გაუსიეს გზის მცოდნენი და გზისმლეწველნი ყოველ მხარეს, ყოველ შარაზე, ბილიკზე და საცანდალოზე, რათა მოეძიათ გიორგი და მოეგზავნებიათ უკანვე, უსიკვდილოდ.

მდევარი იგერუნა გიორგიმ და, რაკიდა სხვა საშველი აღარ იყო, „სალმრთოო ღონე იხმარა“: გზაზე ერთი ვინმე მაწანწალა შეხვდა, დაბებკილი და დაკონკილი სამოსელით, თავისი მთელი შესამოსელი გაუცვალა, მისი ძონძები გადაიცვა და გზა განაგრძო. ესეც საკმარისად არ მიიჩნია. ვიღაც ბრმა საპყარს გადაეყარა, ხელი ჩაავლო, წაუძღვა და წაიყვანა. ასე იარეს შეუსვენებლივ ერთმანეთზე აბმულნა ბრმამ და „ბრმის ჭირისუფალმა“. იარეს სამი დღე-ღამე.

მერე ერთ ტყეში შევიდნენ, უსიერსა და კაცის ფეხისგან უფეხურსა შემოაღამდათ. ცისკვამი ღრუბლით და მრუმით გაიტენა. ჰაერი გაბოროტდა. მეხი გავარდა.

მთელი ღამე ნამეხარ და ნაელვარ მიწას მეხის წიწილა აცხრებოდა წვილითა და წოკობით.

ეშმა განსხეულდა სრულიად ჰაერეთში.

ეშმამ შვიდჯერ დაანარცხა მიწაზე გიორგის ბრმა თანამგზავრი. კბილები აღრჭენინა, აყმუელა და აყეფა ნაცოფარი ძაღლივით.

არ მოშორდა გიორგი ძრწოლით გონშერყეულს. მოშლილ ყბებს უსწორებდა, პირიდან მოდენილ ლოშქრს უწმენდდა, ამოცვენილ ფალეებს ბუდეებშივე უბრუნებდა, ძიგძიგით ატანილ სხეულს უზელდა, სისხლს უთბობდა, გულს უსალბუნებდა, სულს უმშვიდებდა.

მხურვალე, დაუღლელი ხელებით სათნოებით აღსავსე სიტყვით და ლოცვით სრულიად განავლტო გიორგიმ ბოროტი ეშმა საწყალობელი უსინათლოს სულისა და სხეულისაგან.

მეორე დღეს, როცა ტაროსს საშველი დაადგა, ისევ ლოცვით და სიტყვით სრულიად განკურნებული თანამგზავრი მისგანვე აჩემებულ ერთ მონასტერში

მიიყვანა და იქ დატოვა გიორგიმ.

დატოვა, დალოცა, დაემშვიდობა და გზა განაგრძო.

მიდიოდა ძონძით მოსილი.

მიდიოდა ფეხშიშველი და თავღია — „უხამლოი და უქუდოო“.

მიდიოდა „უღვინო და უწველოი“.

მიდიოდა „გზასა იწროსა“, ერთგზისი იჯრით, „რამეთუ დღესა შინა ერთგზის მიიღის პური და წყალი“.

და, აჰა, ესერა, „ესევითარი შრომითა და მოღვაწეებით შემკობილი მიიწია შავსა მთასა“.

შავი მთა! მთაი საკვირველი!

მარგალიტი სირიის უდაბნოური ასკეზისისა!

გიორგის მოსვლამდე შვიდასი წელიწადი გაევლო აქაურ განრინებას, უკიდურესად მკაცრსა და უზენაესად ღვთაებრივს.

აქ დაიწყო „მესვეტეობა“.

საფუძვლის ჩამგდები — სვიმეონ მესვეტე.

ოცდაათი წელიწადი იჯდა ფეხმოუცვლელად სვეტზე — განმხოლოებული ცასა და მიწას შორის.

და აკვირვებდა ქვეყანას საკვირველმოქმედი ესე.

უთვალავი ადამიანი „მორბიოდეს“ მის სახილველად და სათაყვანოდ დედამიწის ყოველ კუთხიდან.

მათ შორის — მრავლად „მორბიოდეს“ ქართველნი.

სვიმეონის გარდაცვალება — და ატყდა ომი მისი ცხედრისთვის. აქეთ — ბიზანტიელნი, იქეთ — ანტიოქელნი. იმარჯვეს ანტიოქელებმა და მათი ღვთაებრივი სისხლ-ხორცი დაკრძალეს მათსავე მიწაზე, ანტიოქიაში.

ხოლო, შავი მთა გახდა — „მთაი წმიდაი“, ანუ „მთაი საკვირველი“.

მესვეტეობა ასკეზისის უმაღლესი გმირობის გამოვლინებად იქცა. ბევრმა მოწესემ მიჰბაძა სვიმეონ მესვეტეს თავისი „ახალი მესვეტეობით“. ზოგმა, თითქოს გაუძლო, უმრავლესობამ ვერ გაუძლო და ნაადრევად მიითრია მიწიერ ცაში აცმული სვეტის თავისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო, მესვეტური გმირობით ყველას სძლია მეორე სვიმეონმა, უფროსისგან ასი წლის შემდგომ — სვიმეონ მესვეტე-უმცროსმა, სასწაულთმოქმედმა, რომელიც ორმოცდასამი წელიწადი „ბრწყინვიდა, ვითარცა მთიები თავსა ზედა სუეტისასა“.

ეს იყო უწმიდესი და უსაკვირველესი გმირი მაშინდელი საქრისტიანო სამყაროისა.

უამრავი ქრისტიანი აწყდებოდა შავ მთას, მთასა საკვირველსა, სვიმეონ მესვეტისა და დედამისის, წმიდა მართას სახილველად, სათაყვანოდ, მათ ტაძარში სალოცავად და სამოღვაწეოდ.

და მრავალთა შორის იყვნენ ქართველნი.

დედა რომ გარდაეცვალა, თურმე ამას ეევდრებოდა ქრისტეს სვიმეონ მესვეტე — შენი ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი მისახსოვრეო.

და აი, ერთ დღეს სამი ბერი ეწვია სვიმეონ სასწაულთმოქმედს, სამივე ქართველი, იერუსალიმიდან ახლად მოვლენილნი. და ერთმა მათგანმა, ანტონიმ, მოართვა სვიმეონს ოქროს ჯვარი, რომელშიც ჩატანებული იყო ნამკესი ძელისა ქრისტეს ჯვარცმისა.

(იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში აათალა თურმე ანტონიმ ნამკესი ძელსა ცხოველსა, რომელზე გადანაჭერით შეკრულ იყო ჯვარი ქრისტეს ჯვარცმისს).

და ნამკესი იგი შეიქნა უზეშთაესი ევლოგია სვიმეონ სასწაულთმოქმედისა.

ხოლო, ანტონი სვიმეონმა აკურთხა სელევკიის ეპისკოპოსად.

და მიდიოდა სვიმეონ მესვეტე-სასწაულთმოქმედთან. „ერი მრავალი ქართველთაი“, რომელთაგან ბევრი რჩებოდა იქვე, მის სავანეში სამოღვაწოდ, მისი წილხვედრი წუთისოფლის აღსასრულამდე.

(და ყველა მათგანი, საფლავს ჩასული, კმარულობდა საქართველოდან წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღებული ერთი მუჭა მიწის გულზე დაპნევას).

და სვიმეონ მესვეტემ დაიმოწაფა და გამოგზავნა საქართველოში სამოღვაწოდ ცამეტი მამა: იოვანე (ზედაზნელი), დავით (გარეჯელი), სტეფანე (ხირსელი), იოსეტ (ალავერდელი), ზენონ (იყალთოელი), ანტონ (მარტყოფელი), ისე (წილკნელი), თათე (სტეფანწმინდელი), შიო (მღვიმელი), ისიდორე (სამთავნელი), აბიბოს (ნეკრესელი), მიქელ (ულუმბოელი), პიროს (ბრეთელი).

მერე, არაბობა და ისლამი დაეუფლა სირიას.

მერე, ისევ ბიზანტია და ქრისტიანობა გამძლავრდა ანტიოქიას.

ისევ გამრავლდნენ ქართველები შავი მთის სავანეებში — სვიმეონწმიდას, რომანწმიდას, პროკოპიწმიდას, ბარლაამწმიდას, წყაროთა მონასტერს, ეზრას მონასტერს, ლერწმისხევს, კალიპსოს, კასტანას.

და იდგა შავი მთა, მთაი საკვირველი, დატვირთული ქართველ მოღვაწეთა ტაძრებით, სალოცავებით, სააზროვნო სავანეებით.

მთავარ ტაძარში — ლარნაკი სვიმეონ სასწაულმოქმედისა და ნეტარი დედამისისა მართისი.

და აღვიდა მთასა საკვირველსა გიორგი.

შეევიდა მთავარ პასტოფორიონში, თაყვანი სცა და ეამბორა ლარნაკსა სასწაულმოქმედისასა.

მოიარა და მოილოცა ყოველი მონასტერი, ყოველი დიდი და მცირე სალოცავი. მოიკითხა ყოველი წმიდა მამა და ყოვლისგან მიიღო ლოცვა და კურთხევა, აღსავსე სიყვარულითა და სათნოებითა.

მაგრამ მთავარი მაინც სრულიად შავი მთის სამონასტრო ცხოვრების წინამძღვართან შეხვედრა და მისგან ლოცვა-კურთხევის მიღება უნდა ყოფილიყო. თვითონვე უწყოდა გიორგიმ: „თვინიერ მოძღვრისა არა არს ცხორებაი სულისაი და წარმართებაი მონაზონებისაი“.

ხოლო სახელი წინამძღვრისა და მოძღვრისა იყო — გიორგი შეყენებული. ასე დარქმეოდა, რადგან მას მუდმივ საცხოვრისად და სულის სამოღვაწოდ თავი თვისი თვითონვე შეეყენებინა შავი მთის კლდეს, ერთ ღრმასა და ბნელ ქარანძავში.

და იდგა კლდისა დანახეთქში გიორგი შეყენებული, „ვითარცა გვრიტი უბიწო და ტრედი უმანკოი“.

„ძაცი ზეცისაი და ანგელოზი ქვეყნისაი“.

„ყოვლითურთ უცხო და განშორებული ხორცთაგან და ხორციელთა ზრუნვათა გონებითა ღმრთისა მიცვალებული“.

„დიდი მნათობი ნათესავთა ქართველთა“.

აგერ, მეთორმეტე წელიწადი მიდიოდა გიორგი შეყენებულის თვითშეყენებიდან და თვითდაყუდებიდან. მეთორმეტე წელიწადი ქვეყნისგან თვალით არა ეხილა რა, თვინიერ კლდისა, სანთლისა და საღვთისმეტყველო საკითხავისა, და პირსა მისსა იმღენსაე ხანს არა ეგემნა რა, თვინიერ პურისა და წყლისა.

და შევიდა გიორგი ჭაბუკი გიორგი შეყენებულთან, შევიდა და იხილა იგი, ვითარცა გედი, თეთრ სპეტაკ თმაწვერში სრულად დანთქმული განლეული სხეულით. და, თითქოს უხილავ ცაზედეთში ასაფრენად გამზადებული.

(„ჰოი, დაყუდებაო, განმანათლებელო სულისაო!“).

არასოდეს რომ არაფერი შეხარბებია — თეთრი, ახალშობილი თოვლივით ქათქათა წვერი შეეხარბა გიორგის.

„ოდესმე ასე მეც გავთეორდები?!“

და ეს ფიქრი უცებ გაუწყვიტა ზენაარმა ხმამ.

„მე გელოდი შენ! — შემოტრიალდა და უთხრა გიორგი შეყენებულმა. — გელოდი და ვიცოდი მოხვიდოდი. — გაიმეორა მან, მშვიდად, გალმასავით.

— არა ღირს ვარ, უნეტარესო! — ალმოხდა მოსულს.

— მე შენ ხშირად გხედავდი ძილში ჯვარშუბლიანს, და ეს უფრო ცხადი იყო, ვიდრე სიცხადე შენს უხილავად.

უთხრა და მიაპყრო მოხუცმა თვალი ჭაბუკი ბერის შუბლს. უცქირა, უცქირა, მერე უცემ ხელები მაღლა აღიმოხა, თვალებიც ზეაღაპყრო და შეჰღაღადა: „აწ განმიტევე უფალო, მონაი შენი, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა ტარიგი შენი, შუბლითა ჯვარსახოვანითა!“

„არა ღირს ვარ“, დაანირა ჭაბუკმა შეყენება შეყენებულისა, მაგრამ უმალვე ჩაუჭრა მოხუცმა: „სდექი მდუმრიად, რამეთუ უსიტყვოდაც მესმის ძვრაი და ძალი სულისა შენისა, მიხილავს სიკეთე გულისა შენისა და განმიცდია ტალანტი შენში ღვთაებრივად დაუნჯებული!“

უთხრა და აკურთხა კურთხევითა უწმიდესითა გიორგი უხუცესმა გიორგი უმრწემესი.

აკურთხა და დაიმოწაფა.

დაიმოწაფა და დაამკვიდრა სავანესა რომანაწმიდას.

და დაჰყო გიორგიმ რომანაწმიდას „სამი წელი დიდითა შრომითა და მოღვაწეებითა, მარხვითა და მღვიძარებითა, სიმდაბლითა და მორჩილებითა“. ასეთი ღვაწლოვანი და კრძალული ცხოვრება კი — ყოველი სასულიერო მოღვაწისთვის იყო „ფრთე აღსვლად ღმრთისათანა“.

უსაზღვრო სიხარულით აღესებოდა გული გიორგი შეყენებულს, ქართველთა შორის ამაღლებული სულის მოგლინებაზე მარად მონატრებულსა და მეოცნებეს.

— დიდი ეფთვიმეს შემდგომ, სწორედ ამ ჭაბუკმა უნდა სრულყოს ნაკლულოვანება ენისა ჩვენისაი, — ამბობდა ხოლმე იგი შავი მთის მამათა და მოწესეთა შორის.

— და მადლობა ღმერთსა, რომელიც მისი დედის წილხვდომილ ქვეყანას დასაღუპად არ იმეტებს და არ უგულებელჰყოფს სიგლახაკესა ჩვენსა, — ამბობდა ეს ამბავი ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელჰყოფს სიგლახაკესა ჩვენსა, — ამბობდა ეს ამბავი ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის და განზომილების **საყრდენიც** ადამიანს მიტომ მისივე „მე“-ის გარეთ ეგულება. და ეძიებს, ეძიებს, სიკვდილამდე ეძიებს იგი საკუთარ „მეს“, სადღაც სხვაგან, ისევ საკუთარი „მე“-ის გარეთ. და ასე, მთელი ცხოვრება ადამიანისა არის საკუთარი „მეს“ ძიება ყველგან, თვინიერ საკუთარი „მე“-ისა. და ადამიანი იშვიათად თუ მობრუნდება და შეეხიზნება საკუთარ „მეს“, — შეეხიზნება და შეემყუდრობა ოდენ იმისთვის, მცირეოდნად მაინც რომ ძალა მოიკრიბოს და ისევ სასწრაფოდ გავიდეს საკუთარ „მესგან“, კვლავ დაუცხრომლად საკუთარი „მეს“ საძიებლად.

მაგრამ ყოველი ადამიანის გასვლა საკუთარი „მესგან“ და საკუთარი „მე“-ის ძიება, არის მაინც ძიება ქვენასოფლურ ნივთიერ-გრძნობიერ სამყაროსა შინა.

მე კი — მე ასკეტი ვარ და საკუთარი „მეს“ საძიებლად, მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად მივილტი ღვთისკენ, მარადიულად და ყველგან არსებულ ღვთაებისკენ.

და გზა ჩემი არის — **ასკეზის!**

მე ასკეზისის გზით უნდა დავძლიო ჩემს გარშემო შემოგარსული და შემოჯარული ნივთიერ-გრძნობიერი ყოფიერება, ვითარცა უმდაბლესი, ბიწიერი, სუფთა სულის მაცდუნებელი და მაწამებელი ყოფიერება.

არსუკისძე ხელოვნებაა.

მე — ასკეზისი.

მაგრამ, იქნებ ასკეზისიც — ვითარცა გზა ბილწი გარეყოფიერების დაძლევისა და ღვთაებრივამდე ამაღლებისა — აგრეთვე **ხელოვნებაა**? და იქნებ, უფრო **დიადი ხელოვნებაც**?!

„თვალშვენიერ, თვალშვენიერ, გამესიტყვე მე, ტყუბსა სულისსა შენისასა!“

და, რეცა, მოესმა ხმა არსუკისძისა, ხმა სიტყვითა ფიქრთმეტყველებისა, სიტყვითა უხმოითა შინაგანმდებარითა:

„ასკეზისი არა არს ხელოვნება, — ვინ ნთგან არა არს შემოქმედება“. — „მაგრამ ასკეზისი არის გზა ქვენასოფლურის გადალახვისა და ზენასოფლურთან მიმთხვევისა!“ — ფიქრი აუჯანყდა გიორგის.

„მაგრამ მხოლოდ განსვლა და მიმთხვევა არა არს ხელოვნება“ — უქცია ფიქრი თვალშვენიერმა.

„ასკეზისის გზით მე ვიხილავ შუქსა ღვთაებრივსა!“

„იხილავ, ალბათ, იხილავ, მაგრამ არცა ხილვა — თუნდაც ღვთაებრივი და ზესთასოფლური შუქის ხილვა — არ იქნება ხელოვნება, არ იქნება შემოქმედება. ასე არს, რადგან **შემოქმედება ქმნადობაა ჯერ უქმნადისა და აარსებულისა**. ხოლო, მარტო ხილვითა ერთითა ახალი, ნარუქი, არარა შეიქმნების“.

„მაშ, ასკეზისს არა ძალუძს შემოქმედება?“

„შემოქმედება ძალუძს მხოლოდ შემოქმედებას“.

„ასკეზისი ჩახშობაა ქვენასოფლური ვნებებისა“.

„შემოქმედება კი არ განარჩევს ვნებათგან ქვენას და ზენას, მისთვის ვნება ყველა ვნება არს. და თვითონ შემოქმედებაც არის ვნებათა აჯანყება, გარდასახვა, გარდაქალწულება და აყვავება, საიდანაც ბოლოს და ბოლოს უნდა იშვას **ნარუქი**, ახალსახე და ახალნერგი შენამოქმედი“.

„მერე, ეგ ხომ არ არის ანტიმერთობა?!“ — სული და სისხლი შეუძრწუნდა გიორგის.

„ვინ იცის — შესაძლოა, ხელოვნება მართლაც არის ანტიმერთობა **არსებულისა**, მაგრამ უეჭველად უნდა იყოს თვითონ ღმერთობა მანამ **აარსებულისა** და ახლა სწორედ ხელოვნებისგან შექმნილი ნარუქისა“.

„ასკეზისის გზით მე მაინც გავალ ქვენასოფლისგან, რომელ არს კუტი, ცოდვილი შვილი ზენასოფლისა“.

„გახვალ, გააღწევ ქვენასოფლისგან,

რამეთუ წმიდანი ხარ, და მიაღწევ ზესთასოფლურსაც სიწმიდითა შენითა, მაგრამ დარჩები მხოლოდ წმიდანი და არასოდეს არ იქნები ხელოვანი, ანუ შემოქმედი ნარუქისა, მანამდე უქმნადი შენამოქმედისა...“

ვიდოდა და ფიქრობდა.

ფიქრობდა ფიქრითა თვისითა და ფიქრითა ტყუბისა სულისა თვისისათა.

ვიდოდა შეუჩერებლივ ქართველი პერეგრინუსი ქალბაბარის ძვალზე უმტკიცესი ძვლითა და ძარღვით.

გადაიარა სირიის უდაბნო.

გაიარა დამასკო.

ისევ ბრძოლა მზესთან (უცნო მზესთან, რომელიც არ ჰგავდა მზესა ქართულსა) და ბრძოლა მზისგან დადაღულ დედამიწასთან (დედამიწა, რომელიც არ იყო „დედა“ და არ ჰგავდა მიწასა ქართულსა. მისი „დედამიწა“ ახლა მის გულზე დაკიდული ქართული მიწის ნაშთი იყო).

და აჰა, ესერა, ფეხი შედგა გალილეას.

გალილეა, სამშობლო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

(თუმცაღა რაი არს „სამშობლო“ ღვთაებისათვის?!).

აი, ნაზარეთიც. მთებში ჩაკარგული მცირე ქალაქი.

ბეთლემს იშვა და ნაზარეთს იზარდა უფალი ჩვენი.

აი, ეკლესია ხარებისა.

ეკლესიაში, ქვემოთ, მღვიმე-ქარანქავი, და ჩაჰყვა ქვის კიბეებს გიორგი.

აი, ის ადგილი, სადაც მჯდარა ქალწული მარიამი და რთავდა ზეზის ძაფს. და აქვე მიეახლა მას მთავარანგელოსი გაბრიელი და ეტყოდა: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა; კურთხეულ ხარ დედათა შორის!“

აი, ქარანქავი, სადაც იზრდებოდა უფალი ჩვენი!

აი, სარეცელი, რომელზეც ეძინათ ღვთისმშობელს და მის ღვთაებრივ ძეს!

იმავე ქარანქავის მარცხენა მხარეს გიორგიმ იხილა საფლავი იოსებისა, მარიამის ქმრისა. თვითონ ქრისტემ დაემარხა იგი, თავისი წმიდა ხელებით. სამარის კედლიდან წყალი გადმოსჩქეფდა, ფერად თეთრი. საკმეველის სურნელოვანი და სნეულთა მაკურნებელი.

მერე გიორგიმ თაყვანი სცა სვეტსა, რომელთან იჯდა უფლით მუცელქმნილი მარიამი.

ამოვიდა ქარანქავიდან და უკანასკნელად მიმოიხილა უფლის მშობლიური ქალაქი.

მშობლიურიო?!

მაგრამ რაი არს-მეთქი „მშობლიური“ უფლისათვის?! აკი სწორედ და მხოლოდ აქ, მის „მშობელ მიწაზე“, მისმა „მშობლიურმა ხალხმა“ არ აღიარა ღვთაებრივობა მისი ღვთაებრივი შვილისა! განა იოსებ ხუროის ძე არ არისო, განა დედამისი მარიამი არ არისო, განა მაგის ძმები არ არიან იაკობ, იოსე, სიმონ და იუდა — ყველანი მიწიერნი, და თვითონაც მათი სისხლი და ხორცი როგორღა იქნება წინასწარმეტყველი, განა მესია, განა მაცხოვარიო?! — იღრნებოდნენ, იხერხებოდნენ, ქირქილებდნენ და ქილიკობდნენ ნაზარეველნი, და მაშინ სთქვა ქრისტემ სიტყვა მწარე და მწარედ სახსოვარი: არა შეიცნონ და შეიწყნარონ წინასწარმეტყველი სოფელსა თვისსა და სახლსა შინა თვისსა!..

და უცებ, შხამიანმა ფიქრმა გადაუარა გულზე გიორგის:

„ვაი, თუ — ნაზარეველნი ჰგვანან ქართველებს?!“

ნაზარეთს გაშორდა და ერთი ისრის გასროლის მანძილზე მიადგა წმინდა წყაროს, მიწის ღრმა გულიდან მომდინარეს.

აქ მოისმინა ქალწულმა მარიამმა სიტყვა პირველი ხარებისა — „გიხაროდენ, მიმადლებულო...“

და ისხურა სახეზე გიორგიმ წმიდა წყალი წმიდა წყაროისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განაგრძო გზა. და მივიდა კანას, სადაც უფალმა წყალი ღვინოდ აქცია.

და მივიდა მთასა თაბორსა.

თაბორის მთა — სადაც ერთგულმა მოწაფეებმა — პეტრემ, იაკობმა და იოანემ — იხილეს ფერისცვალება მაცხოვრისა („და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“).

თაბორის წითელ კლდეზე მონასტერს ავიდა და ილოცა.

და აქ უთხრეს გიორგის: თაბორის მონასტერი და ნაზარეთის ოთხი ეკლესია ქართველებმა ააშენესო. ეს მაშინ, რაკამს ვახტანგ გორგასალმა დაიპყრო იერუსალიმი...

ვიდოდა გიორგი ქალბაბარის ძვალზე უმტკიცესი ძვალით და ძარღვით.

და მიაღწია იქ, სადაც იორდანეს ზემო ნაკვეთი ერთვის ტბასა გენისარეთისასა, გინა ტიბერიადისასა.

იორდანე! აქ ჩავლილმა ტალღებმა განბანეს და განანათლეს უფალი კაცობრიობისა.

მდინარე გადაიარა, ტბის ჩრდილო მხარეს გაუყვა და მივიდა კაპერნაუმს.

„კაფარ“ — „სოფელია“, და აქედანვე უნდა წარმოსდგებოდეს ამ მცირე ქალაქის სახელიო. მაგრამ „სიმცირე“ ვით ითქმოდა, როცა სწორედ კაპერნაუმი იყო უსაყვარლესი ადგილი თვითონ უფლისა. სწორედ აქ შეიგრძნო და შეიცნო მან პირველად ძალღვთისაობა თვისი, — ძალღვთისაობა და თვითონ ღმერთობა. აქვე, კაპერნაუმს იწამა ხალხმა მისი პირველი შეგონებანი, ვითარცა სიტყვანი ჭეშმარიტი ღვთაებისა, მესიისა და მაცხოვრისა.

და ყველაზე ძლიერი, რაიც მან, უფალმა აქ, კაპერნაუმს თქვა:

„ადამიანო, ღმერთი თვითონ შენწი არს!“

(ამიტომ, — თუნდაც ამიტომ — ადამიანს უნდა უყვარდეს ადამიანი, მისი ღმერთობისთვის მაინც უნდა უყვარდეს!).

და, ალბათ, აქ პირველად — ერმა, „რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკუდილისთა, ნათელი აღმოუბრწყინდათ მათ“.

იორდანეს გასწვრივ ვიოდა გიორგი, ლოთის ზღვისაკენ.

ზღვიდან ჩრდილოეთით ერთი დღის სავალზე იგი მივიდა იქ, სადაც მონიშნული იყო ადგილი ქრისტეს ნათელსა.

უსიამო გრძნობამ გაუნელა აღტკინება სულისა: ფრიად მღვრიედ და მწვირედ მოედინებოდა იორდანე — წმიდათაწმიდა მდინარე დედამიწისა.

უეჭველად სუფთა, ანკარა, ლურჯად მოლივლივე იქნებოდა მ ა შ ი ნ იორდანე, გამნათლავი მაცხოვრისა, — ინუგეშა თავი გიორგიმ — მტკვარივით, არაგვივით, ანუ რიონივით ლურჯი და კამკამა...

მაშ, იორდანე!

ნათელ უფლისა!

ნათელაო?!

„ნათ-ელა“, „ნათ-ლა“ — ჩაეცინდა გიორგის გონება ამ სიტყვას.

ხოლო, ბერძნულად — „ბაპტისმა“.

მაგრამ „ბაპტისმა“ ხომ „განბანვაა“, ან „ჩაყურყუმალავება“, თუ „ჩაყვინთვა“, და სხვა არაფერი?!

ქართველებმა კი „სინათლე“, ანუ „ნათელი“ ჩასდეს და „ნათვლა“, „მო-ნათვლა“, „განნათვლა“ დაარქვეს.

იოანე ნათლისმცემელსაც ბერძნები „ნათლისმცემელს“ კი არა, „ბაბტისტესს“ ეძახიან — „განმბანველს“, თუ „ჩამყურყუმალავებელს“.

საოცარია: ნათელი, ჯვარი, ვაზი და ქალის თმა — ოთხივე ზენიშნი ერთ „მოქცევაში“ მოუქცევია ქართველი კაცის უცნაურ სულს!..

ქართლის მოქცევა გაახსენდა... „მო-ნათვლა“ მტკვარში, „მო-ნათლ-ვა“... ნინო „განმა-ნათლ-ებელი“... ჯვარი ვაზისა... თმით შეკვერთხილი...

და უბეში ხელი ჩაიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსუკისძის ნაჩუქარი ჯვარი იძვროდა მძიმედ მღელვარე მკერდზე...

შუადამე დადგა — ყმა ქრისტეს ნათლობისა.

უთვალავი სანთლით, კელაპტრით, კერეწინით განათდა იორდანე.

ხალხით გაჭედილიყო მდინარე.

„კირიელეისონ!!!“ — რეცა, ზეციდან ჩამოიჭრა მქუხარე ხმა.

„კირიელეისონ!“

„უფალო შეგვიწყალე!!!“ ზრიალებდა ხალხი...

და შევიდა გიორგი იორდანეში. კოჭებამდე შევიდა, მერე — მუხლებამდე.

წყალი არ იყო ცივი.

არც თბილი იყო.

დაიხარა, წყალი ამოპეშვა და სახეში შეიქცია. კიდევ მეორედ, მესამედ.

და ასე — „მოიბანა“ სახე.

თუ „მოინთლა“...

და, აჰა ესერა, მინიშნება საწუთისოფლო ბედისწერისა: ქრისტე იყო ოცდაათი წლის, ოდეს იდგა აქ, ამ მდინარეში, და ინათლებოდა... და გიორგიც იყო ახლა ოცდაათი წლის, იქვე, ქრისტეს ნანათლევში ჩამდგარი!

გული მიუჩუმდა, რეცა... ძიიინ, ძინ... ისევ დარეკა. ოცდაათი აითვალა გულის ნაძგერი.

ისევ ამოპეშვა და შეიქცია სახეზე წყალი, ქრისტეს ნავლევი.

ემწყუთხა წყალი, მწარედ ემწყუთხა.

ეს — წყალი იყო მლაშე და მარილანი?

თუ სახეზე ნადენი, ნაგზაური და მზით ნამშრალევი ოფლი იყო ეს?

უბიდან ჯვარცმა ამოიღო, არსუკისძის ნაძღვნევი.

დააცქერდა, დაიხარა და ამოავლო იორდანეში ნაწილი წმინდა ნინოს ეკლესიისა.

თითქოს რაღაცის შეეშინდაო, ნასწრაფევად ჩაიდო და ჩაიმალა უბეში ჯვარცმა გიორგიმ.

ჩაიმალა და ჩაითბო.

წყლიდან გამოვიდა და გზა განაგრძო დასავლეთისკენ.

გათენდა, როცა იერიქონს მივიდა.

იერიქონი! ისუ ნავეს საყვირებით დაქცეული და დარეცილი დიდი ციხე-ქალაქი. ახლა სარკინოზთა მცირე დასახლება იყო აქ...

აჰა, მთა გაბანისა, სწორედ გაბანის მთის წვერზე შეჩერდა მზე, უფლის ბრძანებით, სანამ ისუ ნავე იერიქონელთა, ამორეველთა და ქანაანელთა მხედრობას ერკინებოდა, და მხოლოდ მაშინ ჩაესვენა მზე გაბანს გადაღმა, როცა ჰაბირუელთა მთავარსარდალმა მტერს ხელი მოუთავა.

მაშ, მზე დამდგარა და გაჩერებულა გაბანის მთაზე.

„მზეო, დადექ და დაგვიანდი!“ — გაახსენდა გიორგის ანამპისას დედის მოთქმა და აერყა სული...

იერიქონიდან, ბეთანიის და ელეონის მთის გავლით, პირდაპირი გზა მიდიოდა იერუსალიმს.

და მივიდა გიორგი ბეთანიას, ავიდა ელეონის ანუ ზეთისხილის მთაზე, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა თვითონ იერუსალიმი.

იერუსალიმი, თვალისჩინი დედამიწისა! რამეთუ ამბობდნენ ჰაბირუელნი: თვალი დედამიწისა არის პალესტინა, თვალის გუგა — იერუსალიმი, ხოლო თვალის კაკალი, საიდანაც იმზირება მთელი სამყარო — ტაძარი სოლომონისა! — დრვიმოთალიკონოს!

ძველად ელეონსაც „სამი სინათლის მთას“ ეძახდნენ, — რაკი სწორედ სამი სინათლე გაიკლიდა აქ: ამომავალი მზე, ჩამავალი მზე და შუქი მოდენილი სოლომონის ტაძარში ანთებული ჩირაღდნებიდან.

ელეონს დადგა იესო ქრისტე და აქედან გაგზავნა ორი მოწაფე იქვე, სოფლიდან სახედრის მოსაყვანად, რათა შემჯდარიყო და შესულიყო იერუსალიმში. და დასასრულიც ქრისტეს მიწასთან შეხებისა აქვე დასრულდა: სწორედ აქედან, ელეონის მთიდან ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღლდა ზეცად იესო მაცხოვარი, მისი ჯვარცმიდან ორმოცი დღის შემდგომ.

კლდოვან ნიადაგს ეტყობოდა კიდეც მძლავრად ნაყრდენი მარცხენა ფეხის ნაკვალევი.

დაემხო და ემთხვია „უთვალავჯერ ნამთხვევ უფლის ნატერფალს გიორგი. სამჯერ ემთხვია — ნაქუსლარს, ნათითარს და შუაგულს — ჯვრაკუმიას (ძლიერი ქუსლი ჰქონია იესოს, გრძელი თითები და ღრმად შეზნექილი ჯვრაკუმია ფეხისგულისა).

როცა უფლის ნატერფალს ჰკოცნიდა, სამჯერვე რაღაც სუნი შეიგრძნო გიორგიმ, მანამდე სრულიად უგრძნობელი და უცნობელი სუნი.

ისიც ვერ გაარკვია, სუნი იყო თუ სურნელი ეს?

ან რისა იყო, რაისაგანი?

ცისა თუ მიწისა?

ღვთისა თუ კაცისა?

თვითონ ქრისტეს ნატერფალ-ნასხეულარისა, თუ ადამიანთა ნამთხვევარ-ნალოშნარისა?

ვერ მოიაზრა გიორგიმ რა დაერქმია ამ შეგრძნებისთვის — სურნელი ღმერთისა თუ სუნი კაცობრიობისა?!

წელში გაიმართა და საკუთარ ფეხებს დააცქერდა. მაგრამ უმალვე, „ცოდვილ ვარ“, გაუელვა და ახლა თვალი მოატარა ისევ ელეონს.

ზეთისხილის მთა უხვად დაეღარა ნაპრალთა, ქვაბთა, ლაკვანთა და ქარანძავთა.

ყველაზე ახლოს, ორმოც ნაბიჯზე, იყო გამოქვაბული, რომელშიც ქრისტე თავს უყრიდა, ასწავლიდა და წაფავდა თავის მოწაფეებს.

ჩავიდა და ილოცა გიორგიმ იმ პირველ ქრისტიანულ სიტყვანალოცვარზე და ცრემლნათხევარზე.

ამოვიდა და კვლავ დააცქერდა იერუსალიმს.

აქედან დაბლა, თითქოს ხეშეში ჩანდა ქალაქი დავითისა და სოლომონისა, სამი მხრიდან კლდოვანი მთებით გარშემორტყმული.

აი, დედაქალაქი მსოფლიო ქრისტიანიზმისა.

დედა-ქალაქი...

დედა...

(ქართველებმა დაარქვეს „დედა“ სატახტო ქალაქს. მხოლოდ ქართველებმა. მხოლოდ... მხოლოობა უყვართ ქართველებს).

აი, ზედა-ქალაქი იერუსალიმისა!

აი, ქვედა-ქალაქი!

აი, ახალ-ქალაქი!

აი, მორიონი, ანუ გოლგოთა, გინა თხემი!

აი, ტაძარი იაღვესი!

აი, სიონი!

აი, დავითის კოშკი, სადაც დაიწერა ფსალმუნი, ზესთასოფლური საგალობელი!

გიორგის მოსვლამდე ორი ათას წელზე მეტს ითვლიდა ეს ქალაქი. ღვთაებრივმა დავითმა, ისრაელის და იუდას თორმეტივე ტომი ერთ სახელმწიფოდ რომ შეკრა, მაშინ გამოაცხადა იერუსალიმი ერთიან ჰაბირუელთა სატახტო ქალაქად. მერე დავითის ღვთისთესლიერი ძე და მემკვიდრე, სოლომონ ბრძენი, რომელმან ფრიად უაღრეს აღაშენა, გაამშვენიერა და განავრცო იერუსალიმი, ვითარცა უწმინდესი, უმდიდრესი და ულამაზესი ქალაქი სამყაროისა. ხოლო, ზენიშანი ჰაბირუელთა იმყამინდელი აღზევებისა — სოლომონის ტაძარი, იაღვეს სახელზე აღმართული, უანგარიშო სიმდიდრით აღვსილი და უნატიფესი სამკაულებით დამშვენებული. მერე, შემდგომად სოლომონის აღსრულებისა, დაცემა და დაშლა ჰაბირუელთა სახელმწიფოსი; ცალკე ისრაელი და მისი სატახტო სამარია, ცალკე იუდეა და მისი სატახტო იერუსალიმი. ისრაელსა და სამარიას ასირიელებმა მოუღეს ბოლო. მათმა მრისხანე მბრძანებელმა შარუკინ მეორემ აიღო სამარია, გაძარცვა, გაანბრა, მისი მოსახლეობა დე-

და-წულიანად გაირეკა და მიმოფანტა მის უზარმაზარ სახელმწიფოში. სამარიის დაცემიდან ასოცდათექვსმეტი წლის შემდეგ იერუსალიმსაც ეწვია უბედურება. ახალი მსოფლიო მბრძანებელი, ბაბილონიის უნიკიერესი და უსასტიკესი ხელმწიფე, ნაბუქოდონოსორ მეორე შემოიერა ცეცხლით და რკინით. იუდეის მეფე, სედეკია, გაიქცა ოჯახით. იერიქონის ველზე წამოეწივნენ ბაბილონელნი, შეიპყრეს და მიჰგვარეს თავის მბრძანებელს. ნაბუქოდონოსორმა სედეკიას თვალწინ მის ვაჟებს ყელები გამოსჭრა, თვითონ სედეკიას თვალები დაუშრიტა. მანამდე გაუგონარი სისასტიკით დაცხრა თავზე იერუსალიმს ნაბუქოდონოსორი. ქალაქი გაძარცვა და ძვლებამდე გაგაშშვლა. მისი ციხენი და სიმაგრენი საძირკვლამდე დაანგრია. სოლომონის ტაძრიდან ის საარაკო სიმდიდრენი ერთიანად გაიტაცა, თვითონ ტაძარი დაანგრია და ბალავრიანად მოთხარა. და იერუსალიმის მთელი მოსახლეობა დედა-წულიანად აჰყარა და ბაბილონში ტყვედ წაიყვანა.

ფიქრი მოიცვალა გიორგიმ: „და სწორედ ნაბუქოდონოსორისგან იერუსალიმის წარტყვევნის ჟამს მოხდა, რომ ჰაბრუელთა ერთმა ჯგუფმა სიკვდილს, ანუ ტყვეობას გამოასწრო, ჩრდილოეთით წამოემართა, რის ვიავგლახით საქართველოში შემოაღწია და თავშესაფარი ითხოვა. ქართველებიც რაღა ქართველები იქნებოდნენ ლტოლვილთა და მიუსაფართა თუკი არ შეიფარებდნენ, მშიერთ არ დააპურებდნენ, მცივანთ არ გაათბობდნენ და უსახლკაროთ არ დასახლებდნენ! და დაასახლეს და დამშვიდრეს ლტოლვილი ჰაბრუელნი ქართველებმა ქართულ მიწაზე, მცხეთის ახლოს, სოფელსა ზანავს, ანუ ხერკსა. და ათას შვიდას წელზე მეტი გასულა მას შემდგომ...

მაგრამ ხიზნობას და სტუმრობას ხომ თავისი საზღვარი აქვს, და თუ „საზღვარი ესე“ მასპინძელმა არ შეახსენა, აკი ხშირად ხდება, რომ ხიზანი ხიზნობას დაივიწყებს, მასპინძლის მადლსაც ხსოვნიდან ამოირეკავს და სტუმარ სახლში ალალი მასპინძლობით (თანაც „ქართული მასპინძლობით“!) მიღებული, იმავე სახლის მამასახლისობას დაიჩემებს... დიახ, დიახ, ასე იცის ხშირად „ნამეტანი მოფერებულმა“ ხიზანმა. თუმცაღა სწორედ ჰაბრიუელნი არ აღმოჩნდნენ ასეთნი, ღორისსულოვნად უმადურნი. მათ სცოდნიათ ფასი მადლისა: ისინი, „ქართველ ჰაბრიუელებად“ წოდებულნი, ქართველებს საქართველოში პირველობას არ ეცილებიან! ამამედ მათ კვალს მოჰყვებიან, მათ გვერდში დგანან, მათთვის გულწრფელად თავს გამოიდებენ. და სწორედ ამიტომ არის, რომ არავინ წაააყვედრის ჰაბრუს საქართველოში — შენ ქართულ მიწაზე ცხოვრობო, შენ ქართულ პურს სჭამო, შენ სხვა ჯიშისა ხარო, შენ სხვა სჯული გაქვს და სხვა ღმერთი გწამსო...“

ისე — საქართველოს ფასი და მადლი, მგონი, მოსულმა უკეთ იცის, ვიდრე დამხვდურმა...

ისევ მოინაცვლა ფიქრი გიორგიმ.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა „ბაბილონური ტყვეობა“, — მანამ, სანამ სპარსეთის სახელმწიფოს დამაარსებელმა, დიდმა კიროსმა არ დაამხო ბატონობა ბაბილონისა. და დაბრუნდნენ ჰაბრუელნი იერუსალიმს, კვლავ აღაშენეს და ააღორძინეს საღოცავი ქალაქი თვისი.

განვლო ორასმა წელიწადმა და ალექსანდრე მაკედონელი მოვიდა იერუსალიმს.

კიდევ ორას სამოცდაათი წელიწადი და — გნეუს პომპეუსმა შეიყვანა რომაული ლეგიონები იერუსალიმში.

კიდევ სამოცდაათი და — ქრისტე დაიბადა.

კიდევ სამოცდაათი და — ისევ რო-

ლევან სანიკიძე
გიორგი ათონელი

მაულებმა, ტიტეს სარდლობით, აიღეს და დაანგრიეს აჯანყებული იუდეის წმინდა სატაძრო.

კიდევ სამოცი წელიწადი და — ადრიანე იმპერატორმა ისევ სძლია აჯანყებულ იუდეველებს და იერუსალიმის ადგილზე რომაული კოლონია დააარსა — ელია კაპიტოლინა.

კიდევ ორასი წელიწადი და — ქრისტიანობის გზაზე შემდგარმა კონსტანტინე იმპერატორმა სწორედ ქრისტიანობის „წმიდა ქალაქად“ გამოაცხადა იერუსალიმი.

კიდევ სამასი წელიწადი და — არაბებმა აიღეს იერუსალიმი და მათმა ხალიფამ, ომარმა ქრისტიანთა წმინდა ქალაქი ახლა მუსლიმანთა „მეორე წმინდა“ (მექას შემდგომ) ქალაქად მაცნო ქვეყნიერებას.

მას შემდგომ გავიდა ოთხასი წელიწადი და, ჯერ ისევ არაბები ბატონობენ იერუსალიმში.

ჯერ ისევ...

ჯერჯერობით...

და ყოველივე ჯერჯერობით არის ამ ქვეყნად.

და გაახსენდა გიორგის: ოთხასწლოვანი „ჯერჯერობითი ბატონობა“ არაბებისა საქართველოში.

ყოველივე „ჯერჯერობით“ სუნთქავს ამ ქვეყნად...

...იერუსალიმსა და ელეონს შუა გეთსამანიის ბაღი იდგა, ნატვრის თვალივით.

გეთსამანია, სადაც უკანასკნელად ილოცა ქრისტემ!

და მივიდა გიორგი გეთსამანიას. უამრავი მლოცველი დამუხლულიყო უფლის უკანასკნელ ნამუხლარზე. გიორგი მუხლის ჩასაბჯენ ადგილს ეძებდა ამაოდ.

და მოეცვა გეთსამანია სურნელს ღვთაებისას და სუნს კაცობრიობისას.

— მოდი, ძმაო, და აგერ ჩემს მკერდზე დამაბჯინე ეგ შენი მუხლი! — მოესმა გიორგის მიწიდან ამდგარი სიტყვა.

მთქმელი გულღმა იწვა, მკლავები თავქვეშ სასთუმლად ელაგა და ... ბოდა ღიმილითა მარიხიანითა.

— ქართული გცოდნია, — უთხრა გიორგიმ.

— მცოდნია რა, — იქნებ ქართველიც ვიყო.

— არა, არ იქნები შენ ქართველი.

— მაშ ვინ ვიქნები შენის ფიქრითა?

— შენ სომეხი უნდა იყო.

— მერე რა, გენაღვლება, რომ სომეხი ვიყო?

— მენაღვლებაო? რაისთვის მკადრებ?

— მაშ, მოდი და ერთად ვილოცოთ!

— ერთად ვილოცოთ? შენ მონოფიზიტმა და მე დიოფიზიტმა?

— არა, შენ ქართველმა და მე სომეხმა.

და წამოიწია მუხლზე სომეხი.

და დაეშვა მუხლზე ქართველი.

და ილოცეს ერთად, მაგრამ ჩუმად, თავისთვის, უერთმანეთოდ.

იყვნენ ერთად და იყვნენ ცალცალკე.

და იცინოდა ქართველ-სომეხთა ბედისწერა გეთსამანიის ბაღსა ზედა!

წავიდეთ და ერთად შევიდეთ იერუსალიმშიო, უთხრა ქართველმა, თავთავისი ლოცვა რომ მოითავეს.

— ერთად შევიდეთ, ჰო, ერთად! — გაეხარდა სომეხს.

— წმიდა სტეფანეს და ცხვრების კარებით შევიდეთ, — თქვა ქართველმა.

— არა, ოქროს კარებით შევიდეთ, — თქვა სომეხმა.

— არა, ცხვრის კარებით!

— არა, ოქროს კარებით!

— ცხვრის კარებით შევიდა პირველი ტარიგი საუფლოი იერუსალიმში. ამიტომ ჩვენც იქედან უნდა შევიდეთ! — დაბეჭდა ქართველმა.

— თვითონ ქრისტე პირველად ოქროს კარებით შევიდა იერუსალიმში და ჩვენც იქიდან უნდა შევიდეთ — არ იშლიდა თავისას სომეხი.

— მაგრამ ოქროს კარები ხომ ამოქოლილია ომარ ხალიფას ბრძანების შემდგომ?

— ომარმა ამოქოლა, მაგრამ ჯვაროსნებმა აკი გახსნეს.

— ჯვაროსნებმა გახსნეს, მაგრამ აკი ისევ ჯვაროსნებმავე დაკეტეს!

— როგორაც არ უნდა დაჰკეტონ, გასაძრომს მაინც მოვიძიებ, — სთქვა სომეხმა და გაიცინა.

— მაშ, მე წავედი!

— მეც წავედი!

და ქართველი წავიდა „ცხვრისკენ“.

და სომეხი წავიდა „ოქროსკენ“.

ცალცალკე მიდიოდნენ, ბედისწერა კი ერთი ჰყავდათ — ბედისწერა, ახლა რომ სიცილით კვდებოდა...

და შედიოდნენ განუწყვეტელ მდინარებად იერუსალიმს მლოცველნი ქრისტიანენი, მოდენილნი დედამიწის ყოველი კუთხით. შედიოდნენ ფეზით, ცხენით, სახედრით, საზიდრით.

ოღონდ ამხედრებულნი ქალურად უნდა მსხდარიყვნენ ცხენზე, მარცხნივ ორივე ფერხით გადალაგებულნი. ბრძანება იყო არაბთა მბრძანებლისა: მაკაცურად ცხენზე შეჯდომის უფლება არ მიეცათ ქალაქს შემავალ ქრისტიანთათვის. ეგენი ხომ დიაცები არიან და უნაგირებზეც ეგრე უნდა ისხდნენ, დიაცურებ ფეხებმირქმულნი და აშაერმიტყუპულნიო. სიკვდილი არ აცდებოდა ქრისტიანს, ვინც ამ ბრძანების გაცდუნებას შეეცდებოდა.

და შიშობდა გიორგი, — ვაი თუ ცხენზე ქალურად გადართხმული ქართველი ვიხილო ამ უცხო მიწაზეო. იქნება ფეხით შესვლა ამჯობინონ იერუსალიმში ქართველებმა, როგორც მრავალი სხვა ქრისტიანი ამჯობინებსო. ისედაც რა საკადრისია უფლის წმინდა ნაკვალევზე ცხენით ჯირითოო, — ფიქრობდა გიორგი.

ქალაქს ჩვიდმეტი კარები ჰქონდა: იაფა, ნესეი, წყარო, ცხენები, ლილეგი, ოქრო, წმიდა სტეფანე, ჰეროდე, დამასკო, შალეკეტი, შუათანა, ეფრაიმი, სიონი, ცხვრები, თევზი, ძველთაძველი, გენათი.

მლოცველობა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იწყებოდა, წმინდა სტეფანესა და ცხვრების კარებიდან (ასე დარქმეოდა, რადგან ამ გზით და კარით ეროკებოდნენ ქალქში სამსხვერპლო ბატკნებს), რომლისთვისაც შემდგომ წმინდა სტეფანეს კარებიც დაერქმიათ.

შედიოდა გიორგი იერუსალიმში და მისი გონება მოეცვა ქრისტეს პირველი შესვლის სურათს, ათასი წლის ნათევს: შედის ღვთის ქალაქს თვითონ ღვთაება, სახედარზე ამხედრებული (შეგცოდე, ღმერთო — რომელი კუდაბახალა ქართველი იკადრებს ვირზე შემჯდარი სატახტოს შესვლას!), და ეგებება ერი ალტკინებით ატაცებული და აბღავლებული: ეგებებიან, მირტის და ზეთისხილის რტოებს მიუფენენ, ტანსაცმელსაც იძარობენ და იმასაც ფეხქვეშ მიუგებენ, და მიუგალობენ: „ოსანა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

და შევიდა გიორგი იერუსალიმის იმ ნაწილში, რომელიც რომაელთა მბრძანებლობის ჟამს განეკუთვნებოდა და სახელად ერქვა „ახალი ქალაქი“.

იარა და უფრო ძველ კედლებს მიადგა, ეზეკიას და მანასეს კედელ-ბალავანს. გაიარა „ცხვრები“ და მიუახლოვდა მთასა მორიასა, რომელზეც სამ ტერასად დამყარებული აღმართულიყო მთავარი ტაძარი, „რაითაც იმზირებოდა მთელი სამყარო“.

პირველი ტერასა ეზო იყო, შემდგომში „წარმართთა ეზოდ“ წოდებული, სადაც შესვლა შეეძლო ყველას, მართლმორწმუნე ჰაბირუსაც, ქრისტიანსაც და ყოველ სხვა სჯულის ქაფარ-წარმართსაც. აქ იდგა სავაჭრო ციებცხელება, ფულების გაცვლა-გახურდავება, ყოველნაირი საქონლისა და პირუტყვის ყიდვა-გაყიდვა, მსხვილი სანივთო მიმოქცევა და წვრილი ფერეზიკობა. ერთი სიტყვით, სწორედ აქ სდუღდა

სახარების მამხილებელი და მგმობარი სიტყვით მონათლული „ქვაბი ავაზაკთა“.

ზედა ტერასა ქვედასაგან ქვის კედლით იყო გაყოფილი და იქ მხოლოდ იაღვეს თაყვანისმცემლებს შეეძლოთ შესვლა. იქვე გადასაზღვრული იყო მესამე ეზო მხოლოდ ჰაბირუელ ქურუმთა და რაბინთათვის, ხოლო რაბინთა ეზოში იყო აღმართული თვითონ ტაძარი — დრვიმოთალიკონოს.

ტაძარი ნაგები იყო თეთრი, ქათქათა მარმარილოთი. კედლები მისი — ოქროთი მოჭედილი.

და ვითარცა ცეცხლი განუკვეთელი და ფერუცვალებელი — ისე ვარვარებდა ტაძარი იგი ცისა და მიწის შესაყარში.

თვითონ ტაძარი სამად განიყოფოდა — კარიბჭე, წმიდა სალოცავი და წმიდათაწმიდა. კარიბჭეში შესვლა შეეძლო ყველა მორწმუნე ჰაბირუს, მხოლოდ მამაკაცს და სხეულით უნაკლულოს. ოქროს კარები და უძვირფასესი კრეტსაბმელი ფარავდა წმიდა სალოცავს, ტაძრის ყველაზე დაბლობ და მცირე ნაწილს, სადაც შესვლა შეეძლოთ მხოლოდ ქურუმებს. აქ ენთო შვიდ-ლამპვანანი სანთებელი, ვითარცა შვიდი პლანეტა; ტაბლა თორმეტი პურით და მათზე გამოსახული ამდენივე ზოდიაქოთი. და კიდევ აქვე — სამსხვერპლო, სადაც იწირვოდა საწირავნი, მოყვანილნი დედამიწის ყოველ კუთხიდან. მესამე ნაწილი ტაძრისა იყო წმიდათაწმიდა, კაცთაგან ცარიელი, რამეთუ იქ ცხოვრობდა თვით იაღვე, ღმერთი უზენაესი, ელოი, ადონაი, საბაოთ... მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა წმიდათაწმიდაში შესვლის ნება და ისიც წელიწადში ერთხელ...

შედიოდა ქართველი ბერი ტაძრად და გულში ფსალმუნობდა: „ვიხარე, რომელთა მრქვეს მე — სახლსა უფლისასა შევიდეთ. დადგრომილ იყვნენ ფერხნი ჩვენი ეზოთა შენთა, იერუსალიმ!“ და შევიდა იქ, სადაც „თაბორ წლის წინ მისულიყო იესო მაცხოვარი და გაეწმინდა იგი ვაჭართაგან, თაღლითთაგან და ფერეზიკთაგან. და მას შემდეგ, რაც ქრისტემ იაღვეს „სახლი სალოცავისა“ გაწმინდა „ავაზაკთა ქვაბისაგან“, დაბრუნდა ისევ ელეონზე და ბეთანიას. და მეორე დღეს კვლავ შევიდა იგი იერუსალიმს.

გიორგიც მიბრუნდა და ის ღამე ბეთანიას გათენა. ხოლო დილით კვლავ გაჰყვა უფლის ნაკვალევს. ისევ შევიდა იერუსალიმს, ოღონდ მეორედ აღარ შეჰყოლია ქრისტეს ნაკვალევს მთავარ ტაძარში: ეშინოდა, ღმერთის სურნელი კაცთა სუნს არ გადაეკარა უფლის სახლში. ტაძარში აღარ შესულა, მაგრამ ტაძართან იესოს ნათქვამი უწვავდა წყაროს სმენისას:

„ამინ მეტყვი თქუენ: არა დაშთეს აქა ქვაი ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს“.

და მიჰყვებოდა და მოჰყვებოდა გიორგი უფლის ნაკვალევს იერუსალიმსა და ელეონს შორის.

ეფრაიმის კარებით დავით-სოლომონის გალავანი გაიარა, ზედა ქალაქში შევიდა, მერე სიონის კარებით სიონის მთაზე ავიდა. იქ დიდხანს იდგა. გონებაში ისევ ფურცლავდა ქრისტეს ცხოვრების წიგნს, გონებით ფურცლავდა და თვალით ნახილველს უდარებდა.

აი, იქ, სიონიდან სამხრეთით, იოსეს კაიაფას სახლი იდგა — კაიაფა ჰაბირუელთა მღვდელმთავრისა. მანდ შეიყარა სინედრიონნი სოფერიმებისა და ზრახვა-ჰყვეს ქრისტეს შეპყრობისა და სიკვდილისა. მანდ მივიდა იუდა „და ჰრქუა: რაი გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი? ხოლო მან მიუწონეს მას ოც და ათი ვეცხლი“. აქ გაისმა პირველად საღალატო ვერცხლის ჩხრიალი.

მერე — საიდუმლო სერობა, 13 ნისანი (2 აპრილი), ხუთშაბათი, წინარე დღე პასექისა, და უსაშინლესი სიტყვა უფლისა:

„ამინ გეტყვი თქუენ, ერთმან თქუენ-განმან მიმცეს მე“!

და ამ სიტყვით შერყეულ მოწფეებს, თვინიერ იუდა კარიათელისა (როგელიც უკვე წასულიყო ღალატის ხორცსხმად), — ქრისტემ პური და ღვინო მისცა ზიარება საკუთარი ხორცისა და სისხლისა.

ზიარება ქრისტეს ზესთასოფლური ღვაწლმოსილების უკანასკნელი ნაქმნეი იყო დედამიწაზე.

იღვაწა სამი წელიწადი, დაიწყო ნათელით და დაასრულა ზიარებით...

გიორგი მივიდა გეთსამანიას, სადაც, საიდუმლო სერობის შემდგომ, მობრუნდა ქრისტე მოწაფეებით (ისევ თვინიერ იუდა კარიათელისა).

იქვე ზეთისხილის ხეივანი იყო. ხეთა შორის რვა გამორჩეული სიდიდის, ათასწლოვანი ხენი.

და აქ, ბაღსა გეთსამანიისასა, იმ ღამით უკანასკნელად ილოცა ქრისტემ, სამჯერ ილოცა უმძიმესი სულის ტკივილით. ილოცა, „ვიდრე ოფლი მისი იქმნა, ვითარცა სისხლი“.

და აქვე — მდევართაგან კოცნით ამოცნობა, იუდას კოცნით!

და შეპყრობა ქრისტესი.

(აი, ის ხე, რომლის ქვეშაც იუდამ აკოცა ქრისტეს).

და აქედანვე — წაყვანება ქრისტესი იოსებ კაიაფასთან, სინედრიონის სამსჯავროს წინაშე... და იქიდან — პილატესთან...

და იყო გაჭედილი პერეგრინუსებით გეთსამანია. იდგა სურნელი ღვთაებისა და სუნი კაცობრიობისა, ურთიერთ შენაზავი. ლოცულობდა, ქვითინებდა, გმინავდა, ჰგოდებდა, ზმუოდა გეთსამანია, აღუთქალავი ხმითა და ენით ნაზავი ზუნით ზმუოდა.

და უცად, ამ მსოფლიო ზუნსა და ზუზუნში ქართულიც მოესმა გიორგის: „შენ ხარ ჩემი სალოცავი, ჩემი გეთსამანია, გულში შენი სიყვარული — სარია, სამანია“.

სული გაეყინა გიორგის: ქვეყანა ჰგოდებდა, ქართველი კი იცინოდა და ქილიკობდა!

ესეც მოსდგამს ქართულ ჯიშს: რაცა მოეპრიანება, მსოფლიო საგდებელსაც სალხინებლად და სასაცილოდ გაიხდის.

„ღმერთო, ღმერთო, მე მეპატიე, ან მე მომკეთხე ამ ცოდვისათვის!“

და გაეცალა გიორგი გეთსამანიას, გაეცალა და გაქცა გაუგემურებული. იგი ახლა მიდიოდა იქით, საითაც ათასი წლის წინ მიჰყავდათ შეპყრობილი ქრისტე ჰაბირუელ სინედრიარებს და უგულო რომაელ ლეგიონერებს.

აი, ის ადგილიც, სადაც ათასი წლის წინ იდგა სასახლე რომის პროკურატორისა. და იდგა პილატე პონტოელი — ხარბი მოხელე და გულქვა ჯარისკაცი, სხეულით და სისხლით ბოროტი კაცეშვილი.

(ხოლო, „ბოროტ სხეულში სული მკვდარია“ — გაახსენდა გიორგის ორიგენედან ამოკითხული).

განთიადი იდგა 14 ნისანისა, პარასკევისა, პასექის დღესასწაულისა, ოდეს ზნარგაკრული ქრისტე მიიყვანეს პრეტორიუმში, პილატე პონტოელთან.

ჰაბირუელმა სოფერიმებმა რომაელი მაგისტრატის სადგომში შესვლა არ ინდომეს — ამ დღესასწაულის დღეს არ შევბილწოთო და პილატე გარეთ გამოიხმეს.

რას უჩივით და რა ბრალს დებთ ამ კაცსო, — იკითხა პილატემ უგულო ზმორვით.

საჩივარი და საბრალობელი რომ არ იყოს, არც მოვიყვანდითო, უპასუხეს ჰაბირუელთა.

მაინც რას უჩივითო?

მოსეს კანონებს ებრძვისო, იერუსალიმის ტაძრის დანგრევას აპირებსო.

მერე, ეგ ხომ თქვენებურად ღვთის გმობაა და სხვა არაფერი, ამიტომ თქვენც ადექით და თქვენი სჯულის კანონებით განიკითხეთ და გასამართლეთო, ხელი აიქნია პილატემ.

მარტო ღვთის გმობა კი არა, ეგ კაცი თავს იუდეიის მეფედ აცხადებს, ხალხს აჯანყებს და ამით რომის კეისარს ემე-

ტოქება. ამისთვის ხომ სიკვდილი ეკუთვნის, ჩვენ კი სიკვდილის განაჩენის უფლება არა გვაქვსო, შენ კი უფლება გაქვს და კიდევაც გეკალება სიკვდილით დასჯოო, — ყარყაშებდნენ რაბინები.

კეისრის მეტოქეობაო? ხალხის აჯანყებაო? — ახლა კი დაფრთხა პილატე პონტოელი.

მაშინვე იესო სასახლეში შეიყვანა, მარტოდმარტო სიტყვასაუბრად.

შენ მართლა იჩემებ იუდეიის მეფობასო, ჰკითხა პილატემ.

შენ თვითონ მიიჩნევ მაგას ჩემ ნათქვამად, თუ სხვები რომ მაბრალებენ, იმას უგდებ ყურსო, თავისად ჰკითხა იესომ.

განა მეც ჰებრაელი ვარ, შენი ხალხისგან მეფეს ველოდეო, — ზიზღით თქვა პილატემ — შენიანები გდებენ შენ ბრალს იუდეიის მეფობის აჩემებაში, და ისეთი რა ჰქენ, რომ გაბრალებენო?

ისინი არა სტყუიან, რომ მეფობას ჩემსას ვამბობო. მაგრამ ჩემი მეუფება სულ სხვაა, ვიდრე მათ ესმითო, — ამბობდა ქრისტე — ჩემი მეუფება არა ამქვეყნიური არისო. და ასე რომ არ იყოს და მეც ჩვეულებრივ მეფობას ვგულისხმობდე, მაშინ მე, ვითარცა მეფეს ამქვეყნიურს, უნდა მყოლოდა პასენიკნი, ჩემდა მოსამსახურენი, მებრძოლნი ჩემდა მბრძოლნი და მე ალარ ვიქნებოდი პყრობილი მპყრობელთაგან ჩემთა. ამიტომ ვამბობ, რომ მეუფება ჩემი არა არს ამიერ მიწაოსფლისაო, — მშვიდად დაასრულა იესომ.

— მაგრამ რაკი შენს მეუფებაზე ლაპარაკობ, მაინც ხომ მეფედ აცხადებ თავს? — ჩასდია პილატემ.

— რაკი შენ ასე ამბობ, დე იყოს ასე. მე დაბადებული და მოვლინებული ვარ ჭეშმარიტებისთვის, ჭეშმარიტების სასწავლებლად და ვინც ჭეშმარიტება შეიცნო და შეიყვარა, იგი აჰყვა ხმასა ჩემსა და გზასა ჩემსა, — მხურვალედ თქვა მეუფემან ჭეშმარიტებისა მან.

ჭეშმარიტებაო?!

— რაი არს ჭეშმარიტებაი?

და უშვერმა, უგვანმა ხარხარმა შეარყია სასახლე.

იცინოდა პილატე, მას რომ შვენოდა ისე იცინოდა.

— ჭეშმარიტებაი, ჰა, ჰა, ჰა, ჰე, ჰე, ჰე!

და ასეთი სიტყვადი როშვილისთვის მოითხოვენ ეს ჯკუაშერყეული ჰებრაელნი თავისი თვისტომის სიკვდილს!

(ისეთი იყო გონი პილატესი, მის გლემფურძოვან გარსში ვერ შეაღწია სიცხოველემ და სინათლემ ლოგოსისა: „ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა“!).

„რაი არს ჭეშმარიტებაი?!“

(გონებაბრჯგუ პილატე კი არა, — ერთიც ვიკითხოთ, დღემდე რომელმა ბრძენთაბრძენმა გასცა სრულქმნილი პასუხი ამ მარადიულ საკითხავს?!).

და გამოვიდა, და გამოუცხადა პილატე პონტოელმა ჰებრაელ სოფერიმებს: მე ამ კაცში საბრალობელს ვერაფერს ვხედავ!

ვერაფერს ვხედავო?!

— ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ ეგე! — იმდაენეს რაბინებმა.

ხელი აღმართა პილატემ და განაგრძო: ეს კაცი არ იმსახურებს-მეთქი სიკვდილს, მაგრამ კიდევაც რომ იმსახურებდეს, აკი ყოველ თქვენს დღეესასწაულ პასექზე ჩვენ რომაელნი ვათავისუფლებთ ერთ დამნაშავეს, სიკვდილისჯილს, და მოდით, ეს იყოს ესეო.

— იესო?! — დაიგმინა სოფერიმთა კორომმა.

— ჰო, იესო! — იყვირა პილატემ.

წამიერი გარინდება და ისევ ავრიალეს ჰებრაელნთა:

— დე იყოს აგრე, და გაათავისუფლე იგი, ვისაც სახელად ჰქვია იესო, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— გაათავისუფლე იესო ბარ-აბბა!

— ?!

კიდევ ჰყოლია ერთი იესო შეპყრობილი პილატე პონტოელს — იესო ბარაბბა, მკვლელობისათვის სიკვდილმისჯილი.

და გაათავისუფლე იესო, ბარ-აბბად წოდებულიო, ღრიალებდნენ ჰაბირუელნი.

— მაშინ, რაი ვუყოთ იესოს ქრისტედ წოდებულს? — იკითხა პილატემ.

— ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ! — იყო პასუხი.

— მაგრამ რა ბოროტებისთვის?

— ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე!

ერთხანს უცქერა გულდრეკილ და გონებაბჯკუე რომაელმა პროკურატორმა ცოფიან ატანილ რაბინთა ლოშქრიან პირებს, ჩასისხლულ თვალებს, ყიყვინან ქისრებს და გადაწყვიტა: ეს ვიღაც ქრისტეა, განა ჰიერს მაგისთვის ახალი შფოთის ატეხვაო, და... წყალი მომიტანეთო, ბრძანა.

და მოართვეს წყალი.

და დაიბანა ხელები პილატემ, დაიბანა და თქვა სიტყვები კაცურ-კაცობის მარადიულად შემარცხვენელი:

„უბრალოა ვარ მე სისხლისაგან მაგისისა. თქუენ იხილეთ!“

შენ არხეინად იყავიო — იბღავლეს ჰაბირუელთა — „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა იყოს!“

მთავარია, ეგ მოკვდესო! — ასეთი იყო ფიქრი ჰაბირუელთა,

მთავარია, მე ხელები დავიბანოო! — ასეთი იყო ფიქრი პილატე პონტოელისა.

(პონტოელი, პონტოელები, ქართველები... ნუთუ პილატე პონტოელიც ქართველი იყო?!... სული შეუძრწუნდა გიორგის).

და იტანჯა იესო პილატე პონტოელის „დაბანილი ხელებით“.

სცეს შოლტით.

გააშიშვლეს და, „ვითარცა მეფეს“ წამოასხეს ძოწის ქლამიდი.

შეთხზეს გვირგვინი ეკალთაგან და, „ვითარცა მეფეს“ დაადგეს თავზე.

მარჯვენა ხელში მისცეს არგანი, „ვითარცა „კეტრთხი მეფისა“.

მუხლი მოიყარეს მის წინაშე, „ვითარცა „მეფის წინაშე“, და მიეშეტერდნენ სიცილით, ღმეკვით: „გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათა!“

და ნერწყვევდნენ, აფურთხებდნენ სახეში და ჯოხებით სცემდნენ.

და როცა ყველამ — ჰაბირუელთა და რომაელთა — ცემით, ფურთხებით, კიცხევით გული იჯერეს, ძოწეული მოეხადეს და ისევ მისივე სამოსელით შემოსეს.

და უტვირთეს ჯვარი უმძიმესი და, რომაელი კენტურიის თანხლებით, დაძრეს ჯვარცმად გოლგოთისაკენ.

გოლგოთა!

(გალილეურებული ებრაული სიტყვისგან — „გულგოლეთ“, რაიც ნიშნავს — „თავის ქალა“).

პრეტორიუმიდან გოლგოთამდე ორი ათასი ნაბიჯია.

გზა, რომელსაც სამარადჟამოდ დაერქვა — „ვია დოლოროზა“ — „გზაი მწუხარებისა“, გინა „ვნებისა“.

თოთხმეტჯერ დაეცა ამ გზაზე უფალი მაშინ.

მჯიღი აძგერეს ტანზე 122-ჯერ, სახეზე 30-ჯერ, ყვრიმალზე 27-ჯერ.

კვერთხი შემოჰკრეს თავსა და მკერდზე 205-ჯერ.

ისევ მჯიღი კისერსა და წელსა — 22-ჯერ.

ისევ მჯიღი კისერსა და წელსა 28-ჯერ.

თოკით თრევა 11-ჯერ.

გმინვა მისიკვდილებისა 35-ჯერ.

ცემა შოლტით 6666-ჯერ.

ცემა ნაწყლულევზე ლერწმით 1-ჯერ.

ცემა ეკლის ხურთით 22-ჯერ.

შენერწყვება პირსა 22-ჯერ.

სისხლი აქცევინეს მიწამდე 1125-ჯერ.

მიერეკებოდნენ: რომაელი ლეგიონერი 508, პასენიკი 103, შემოოკველნი და შემკვრელნი 5, დანარჩენნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მოსეირენი, მომტერენი, მოსარჩლენი). — ურიცხვნი.

მხოლოდ „ვინმე სეიმონ კვირინელმა, ელეონ მომავალმა“, შეაშველა მცირე ხნით ხელი უფლის ტვირთსა უმძიმესსა...

და იდგა გიორგი გოლგოთაზე, უძრავი, მდუმარი.

მის გარშემო უთვალავი ადამიანი ირეოდა და მაინც იყო მარტო — „თვითონ“ „თავისთვის“.

და გარშემო მოზიმზიმე კაცთა მოდგმისგან მხოლოდ კაცობრიობის სუნს შეიგრძნობდა.

უფლის სურნელი თითქოს კაცობრიობის სუნს გადაექარა...

უცხო ფიქრებმა დაფლითეს და დაინაწილეს მისი გონება.

მაშ, გოლგოთა!

აქ იდგა სამი ჯვარი, ანაგებით სამი. შუათანაზე თვითონ გალურსმეს მაცხოვარი.

აქეთ-იქეთ — ავაზაკნი, „ძვირის მოქმედნი“.

„მამაო, ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა!“ — ეს მისი უკანასკნელი სიტყვა იყო მიწაზე თქმული.

შემდგომად მაცხოვრის აღსასრულისა, „განიგდეს წილი და განიყვეს სამოსელი მისი“.

და კვართი მაცხოვრისა წილად ხვდათ ქართველებს, ელიოზ მცხეთელს და ლონგინოზ კარსნელს!

მაშ, ქართველები ესწრებოდნენ უფლის ჯვარცმას.

და ერგოთ და წამოიღეს კვართი უფლისა!

და დაემარხა კვართი უფლისა მცხეთას!..

უბეში ჩაიდო ხელი გიორგიმ.

თბილი იყო ჯვარი ნინოსი.

და თბილი იყო გული გიორგისი.

მაგრამ — ჯვარს გაეთბო გული, თუ ჯულს — ჯვარი?

ღვთის სურნელს მოეცვა არსება გოლგოთას მდგარი ქართველი მწირისა.

კვართი უფლისა ქართულ მიწაში!

მაგრამ მარტო ჩვენ ვიცით ამ ...

ეიწამეთ, თუ...

ისევ გაუგრილდა გული.

ისევ იმძლავრა კაცობრივმა სუნმა ღვთაებრივ სურნელზე...

აქ ახლა დიდი ტაძარი იდგა, უფლის საფლავის სახელობისა.

მთელი გოლგოთა მოეცვა ამ ტაძარს, სრული ირგვლივით.

ტაძარი ესე გაცხადებული იყო მსოფლიო საქრისტიანოს საკუთრებად, ყველა ქრისტიანი ხალხის ერთიუფლებიანობით და სწორპატიობით. ყოველ ქრისტიან ქვეყანას და სათვისტომოს თავისი სალოცავ-საწირავი და სასანთლე-სანათებელი ედგა ამ ტაძარში.

შევიდა გიორგი გაჩირაღდნებულ ტაძარში, უამრავი სანთელი ენთო, ჯგუფად და ჯუჭქად, უამრავ კაცთა ხელით ნანთები, უამრავ ენითა ნალოცავ-ნაგალობევი.

ძლივს მოიძია გიორგიმ ქართველთა სალოცავი. ნიშის თავზე ქართულმა წარწერამ მიანიშნებინა და მიაკვლევინა:

„უფალო ადიდენ საქართველო, წილხვდომილი შენის ღვთაებრივის დედამშობლის მარიამისა“.

წარწერას ნათლით აპურებდა უნიათოდ მოლიცლიცე მცირე სანთელი.

ვინ იყო და ვინ აანთო იგი?

თვალი მიმოატარა გიორგიმ.

ხალხისგან ტევა არ იყო.

ქართველი კი არავინ იყო.

არავინ!

უბიდან დიდი კერეონი ამოიღო, სანთლის ნაბეკუტავზე აანთო და სასანთლეზე დაამყარა მყარი მარჯვენით.

„იქმენინ ნათელი!“ — წაიჩურჩულა.

„იქმენინ ქართველი!“ — უფრო ხმამაღლა თქვა.

„იქმენინ საქართველო!“ — უფრო ხმამაღლა.

ვიღაცებმა მოჰხედეს მის უცხო ხმას. მხოლოდ წამით მოჰხედეს.

ლოცულობდა ქართველი პერეგრინუსი.

„უფალო, უფალო, დიდსულოვნებითა შენითა შეუნდე ქართველს ქართველობა, რომელი შენვე უძღვენ, ვითარცა არზანიგი ღვთაებრივი. მძიმეა ტვირთი ადამიანისა, უმძიმესია ქართველისა. შენ აავსე კაცთასიყვარულით გული ქართველისა და ვინძღო, მეოხებითა შენითა, ზოგად კაცთასიყვარულმა არა დააკნინოს ქართველთსიყვარული ქართველის გულში“.

დიდხანს ლოცულობდა.

მუხლები სტკენოდა, მაგრამ მხოლოდ მუხლებს სტკიოდა მათი სატკივარი, რადგან სულს არ ესმოდა სხეულის სატკივარი.

ადგა გიორგი და შეუდგა ტაძარში მოქცეული გოლგოთის ყოველი წმიდა ადგილის მოხილვასა და მოლოცვას.

აი, ყველაზე მაღალი ადგილი, სადაც რომაელები ჩვეულებრივ ჯვარზე ლურსმავდნენ და ჯვარიანად კლდეზე ჰყრიდნენ ასეულობით სიკვდილმისჯილებს. და ქრისტეც მათთვის, რომაელებისთვის, ერთი „ჩვეულებრივი იმათგანი“ იყო, რომელიც „ჩვეულებრივი ჯვარცმით“ უნდა მოეკლათ და სხვა არაფერი. აქ კლდე ამოხვრეტილია ერთი წყრთის სიღრმეზე, სადაც ჩარჭობილი ყოფილა ჯვარი, უფლის მაწამებელი.

„ელი, ელი, ლამა საბაქთანი! ღმერთო, ღმერთო, რაისათვის დამიტოვებ მე?“ — გახმიანდა გიორგის სულში ქრისტეს ძახილი ჯვარცმიდან.

აი, „ქვა მირონცხებისა“, რომელზეც პირველად დაწვენილ და მირონი სცხეს ჯვარიდან გარდამოხსნილ იესო მაცხოვარს.

აჰა, ის მრგვალი ქვაც, ქრისტეს ჯვარცმის გამო ორმოცი ქალწულის ცრემლთაგან დასვრეტილი.

ჯვარცმის ადგილიდან ხელმარჯვნივ, კლდეში ღრმა ნაპრალია — სრულიად კაცთა მოდგმის მამამთავრის, ადამის საფლავად სახელდებული. როცა ჯვარზე გაკრულ უფალს რომაელმა ლეგიონერმა შუბით ფერდი განუპო, კლდეში შეიჩეხა, ნაპრალად გასკდა, უფლის ფერდიდან გადმონადენი სისხლი ადამის თავს ესხესა და ადამის მოდგმაც, სრულიად კაცობრიობა, განიბანა და განიწმინდა ცოდვებისაგან.

ჯვარცმიდან დასავლით კი ის ადგილია, სადაც განიყვეს ქრისტეს სამოსელნი და... კვართი უფლისა წილად ხვდათ ქართველებს.

(მხოლოდ ჩვენ ვამბობთ და მხოლოდ ჩვენ გვწამს?!).

ტაძრის ღია გუმბათი, მისი შუაგული ჯერაკუმია, პირდაპირ დასაქერის ყველა წმიდა ადგილზე ყოველად უწმიდესს — თვითონ საფლავსა უფლისასა.

ეს არის მღვიმე, ქარანძავი, ქვაში ნაკვეთი. ქარანძავის შესასვლელამდე სამი ტერფის დაშორებით სწორკუთხა რუჟანი ქვა ადგია. სწორედ ამ ქვით იყო ამოქოლილი დაკრძალული ქრისტე მღვიმეში, ხოლო ოდეს აღდგა, ეს ქვაც ზეციური ხელის კვრით გადმოვარდა და გზა მისცა უფალს, ადმდგარსა და აღორძინებულს. ქვა იგი ახლა „სამყაროს ქვად“ იწოდებოდა.

ქარანძავის მცირე კარში, — რომელიც სიგრძე-სიგანით ოთხ წყრთას არ აღემატება — ადამიანი დაჩოქილი თუ შეეტევა.

გიორგი ოდრიკალად მოიდრიკა და ძლივს შევიდა.

შევიდა კი არა, ხალხის მდინარემ შეიტანა ქრისტეს საფლავში.

ქრისტეს საფლავი!..

ხელმარჯვნივ კლდე გამოკვეთილი იყო, ვითარცა საწოლი.

და ეს იყო სასვენებელი, გინა სარეცელი, გინა „კუბი“ უფლისა, — სიგრძით ოთხი წყრთა, სიგანით ორი, სიმაღლით ნახევარი.

ხუთი დიდი კანდელი ანათებდა უფლის სამარეს.

საკმევლის სუნით გაჟღენთილიყო ჰაერობა.

თუ — ღვთაების სურნელით?!.

მიჯრით, მიტმასნით, მიდიოდნენ მლოცველნი ქრისტეს სარეცელზე, ჰკოცნიდნენ, ლოშნიდნენ, ცრემლვადნენ, თავს ახლიდნენ, ხელით ელაციცებოდნენ, ფარჩხლებით და კბილებით ეჭიდებოდნენ — იქნება უმცირესი ნამკესი რამ მაინც აეგლიჯათ და წაეღოთ მარად სახსოვარ და საბედნიერო ღვთაებრივ ეკლოგიად.

თავისთვის რომ წაეღოთ, თავისთვის-მეთქი...

(რადგან ყველას ცალკეულად ყველაფერი თავისთვის უნდა და ესურვილება — საკუთრად, თავის ეკლოგიად).

ლამის ჩაენთქათ სულშერყეულ ადამიანებს უფლის. ნარეცალი.

ლამის კაცობრიობის სუნს სრულად ჩაენთქა სურნელი ღვთაებისა.

და სწორედ ამას შეუშინდა გიორგი — ვაი, თუ კაცთა უთვალავი ნატეჩარისა და ნაოფლარის ქვეშ უფლის სურნელი ვეღარ ამოვიცნოო, და ამბორით ალარ შეაწუხა უფლის წმიდა ნაწოლი.

მხოლოდ, შუათანა საუფლო კანდელს მარჯვენა ხელით სანთელი მიუშვირა, სინათლე გადაინთო, მარცხენა ხელით დაიფარა (ხალხის ოხშივარს რომ არ ჩაექრო) და გარეთ გამოვიდა.

გამოსვლისთანავე წინ ვიღაც გადაუდგა, ხელში მქრალი სანთლით და მავედრებელი ხმით:

— ჯვარშუბლიანო, გადმომინთე სანთელი შენი!

მარცხენა ხელი გაექცა შუბლისკენ გიორგის, მარჯვენათი სანთელი სანთელს გადაუკიდა და სინათლის მავედრებელს სწრაფად გაშორდა.

მაგრამ უცებ გაჩნდა მეორე, კიდევ მესამე, მეოთხე, კიდევ, კიდევ...

— მეც გადმომინთე, ჯვარშუბლიანო!

— მეც მომიკიდე!..

— მეც...

— მეც მიმახედე, ჯვარშუბლიანო!..

და მოაწყდა ხალხი.

და უკიდებდა და უნთებდა სანთელს ყველას, უნთებდა უფლის სანთლიდან/ ქართველი მწირი, ჯვარშუბლიანი.

ხალხი კი თვალებით ნთქავდა მის შუბლს.

და უცებ გაუქრა ჯვარი შუბლიდან ვიორგის.

სახე ისე დაეძაბა და გადაეტეხა, ყოველი მცირე ნაოჭიც გადაეწმინდა სახისა და შუბლის კანიდან. მაგრამ ისე გაუჭირდა, ლამის გახეთქოდა საფეთქელზე ძარღვი კათოლიკე.

და სანამ შუბლზე ჯვარი ისევ გამოისახვოდა, გიორგიმ თავი დაიქნია, თმანი წინ გადმოიყარა და შუბლი სრულიად უჩინარჰყო.

და ვიდრე გაოგნებული ადამიანები გონს მოეგებოდნენ, გიორგი თითქმის სირბილით გაშორებოდა იქაურობას.

გარბოდა ადამიანთა ზღვაში — ადამიანთა, რომელნიც ვიდოდნენ: თუ ფეხით, თუ ცხენით, თუ კარაულით, თუ ვირით, თუ კერძო ვირით, თუ საზიდარით. და მათ შორის ქრისტიანნი დიაცურად ცხენის თუ კარაულის ცალგვერდზე ორივ ფეხგადაწყობილნი.

გარბოდა და ეშინოდა გიორგის: დიაცურად ამხედრებულთა შორის ქართველი ვინმე არ გადაჰყროდა.

უკვე ღამდებოდა, ელეონის მთაზე რომ ავიდა.

მიწაზე დაეშვა.

ახლოდა მიხვდა, რომ უსაშველოდ დაქანცულიყო.

მიწას იქაური ძმინკარე მზის მხურვალება არ გამოჰყრიდა და მასზე მწოლარე ადამიანს საძილე მოთენთილობით აკრავდა.

და ის იყო, გიორგის კიდეკაც ეწვია ძილი (ძმაი სიკვდილისა), რომ უცებ სიმღერა შემოესმა. ხმა ქვეშოდან მოდიოდა, კედრონის მხრიდან.

ქართველები მღეროდნენ:

„საქართველოში, საქართველოში,
სადაც ქართველი არის თვით ქრისტე“.

მსწრაფლს გაეყარა ძილი (ძმაი სიკვდილისა) გიორგის.

სული დაუფეთა ქართულმა სიმღერამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონაც მოსწყურდა ქართველს ქართველებთან სიმღერა.

როგორც სჩვეოდათ ქართველებს: მკლავი-მკლავს გადაჭდობა და სიმღერა ტანის ტორტმანით.

მაგრამ რა სიმღერა იყო ეს, — „საქართველოში ქართველი არის თვითონ ქრისტეო?!“.

ეს კი მართალია, რომ ღმერთი უსრულესად და ყოვლისმომცველად სწორედ სამშობლოში განიცდება, მაგრამ...

ღმერთო დიდებულო, ისევ ყველაფერი თავისი და თავისთვის უნდათ, — ყოველი სიდიდე ქართული ჯიშისად ესურვილებათ, ელანდებათ, ეჩვენებათ და ბოლოს ეპუშმარიტებათ კიდეც.

თვით უზენაესი ღმერთიც „თავის სისხლ-ხორცად“ ენატრებათ და ეოცნებებათ ქართველებს.

ღმერთი უეჭველად ქართველი იქნება!

ღმერთის „მშობლიური ენა“ უეჭველად ქართული ენა უნდა იყოს!

საკუთარი ღმერთი უყვართ ქართველებს.

მაგრამ საკუთარი ღმერთის მოკვლაც უყვართ ქართველებს.

თუმცაღა მარტო ქართველებს?

და ისევ გაჰხედა გიორგიმ გოლგოთას, მორიონს, ადგილსა სიმწარისასა.

და წამსვე გაუელვა:

„მშვიდობით, მეფობამ ისრაელისაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკალით, უბადრუკნო და წარწყმედილნო, უფალი და მაცხოვარი ყოველთა, და იქმენით ბოროტად მკვლელნი შემოქმედისა თქუენისა, ვაი თქუენდა უბადრუკნო!“.

(ეს ელიოზ მცხეთელის დედის სიტყვები იყო, როცა მან მცხეთაში მყოფმა, ქრისტეს აღსასრული გრძნებებით უცნაურითა იმ წამსვე იგრძნო, რა წამსაც მას იერუსალიმში სული აღმოხდა ჯვარზე გალურსმულს).

ჰაბირუელებმა თვითონ მოჰკლეს თავისი ღმერთიო!

ხოლო ქართველებს კიდევ უფრო ეწადნიერებათ და ეხერხებათ მოკვლა საკუთარი ღმერთისა.

ჰაბირუელებზე მეტად ქართველები ვერ იტანენ ცოცხალ ღმერთს.

სამაგიეროდ, ქართველებს მკვდარი ღმერთი უყვართ — თვითონვე რომ მოჰკლავენ (ან იარაღით, ან ავი სიტყვით) და თვითონვე გააღმერთებენ.

აგერ, ათას წელზე მეტია, რაც ჰაბირუელებმა მოჰკლეს ღმერთი, ტომით თავის სისხლხორცი, მაგრამ ცოცხლად გამეტებული, ამდენხანს აღარც მკვდარი იწამეს ღმერთად.

ქართველები კი — ოღონდ მოჰკლან და — მკვდარს იმ დღესვე გააღმერთებენ.

ასე მოსდგამთ...

ასეთები არიან...

ასეთები...

არა და... მსოფლიო კაცობრიობის წინაშე სრულიად ცალკე ერსაც ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც ცალკე კაცს მისი ერის წინაშე.

ცალკე ერს არა აქვს უფლება ღმერთი მოუკლას კაცობრიობას.

ვითარცა — ცალკე კაცს უფლება არა აქვს ღმერთი მოუკლას საკუთარ ერს.

...ერი, რომელმაც ხელი შეიგინა ღვთაების სისხლით...

...კაცი რომელმაც...

ჩაეძინა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზიძრები დედაზე“

1

ცივ შუბლს შეგყინვოდა მძივები,
სითბო შერჩენოდა თვალებს...
ისევე იმედით გვიმზერდი,
წამები წამებით ვთვალე...
სულ ბოლოს გაცივდა იმედი
და კიდეც დახუჭე თვალი.

2

ეს იყო შენი ბოლო სათხოვარი,
ბოლო გახუმრება,
ბოლო შეგონება:
— ბოძთან ნუ ფრიალებს თეთრი
თავსაფარი,
უკვე მნებდებაო, სიკვდილს ეგონება.

3

უფალმა უძილობას მიმანდო,
ნეტავი დამძინა მშვიდადო,
სთქვი და გავისუსეთ, გავყუჩდით,
ფრთხილად დავუწიეთ ლამპას.
მართლაც ჩაგეძინა...
ეს ძილი
ვაი რომ საუკუნოდ გასტანს!..

4

რა ვქნა, არ მეშვება ჩემი კაცი,
დამსდევს,
წამოდიო, ხელს მკიდებს,
სურს რომ დავიწეროთ ჯვარი იქაც,
მე მინდა გიყუროთ ჯერ კიდევ.
სთქვი და...
გავიცინეთ შემთვრალებმა,
ვლხინობდით
ჭერი მაღლა აგვჭონდა...
ცეცხლი მეკიდება,
ცრემლი მეძალება, —
თურმე სასაცილო რა გვქონდა?!

5

მიდიხარ,
შენს გზას რა ვუწოდო,
რა ეკადრება?
აგერ იწყება,
აქვე უხვევს,
აქვე თავდება.
მაგრამ გრძელია,
უსასრულო,
დაუსაბამო...
ამ გზით შემოდის
დღეს ჩემს გულში
ცივი საღამო.

6

შენ რომ მიდიოდი
და ზეცა ტიროდა,
ღრუბლებმა ცრემლები გიღვარეს,
ნოთამ და ეფვანამ
როგორ გაგვაოცეს:
დიდხანს იწრიალეს,
იბღავლეს...
შენ რომ მიდიოდი,
იმ ღამეს...

7

დიდი ოჯახის სიგანე-სიგრძე, —
ძენი, ასული, რძლები და სიძე.
ძეთა ძენი და ძეთა ასულნი, —
ფესვგამძლე ვაზი — ხეზე ასული.
თეთრად ვყვავოდით,
დღეს ვჩანვართ შავად,
ორმოცზე მეტნი შენს ირგვლივ
ვდგავართ.
...მიქელ-გაბრიელ, ვერაფერს გახდი,
აქ კვლავ მაგრად დგას სიცოცხლის
ტახტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8

ერთ წვეულებაზე თამადამ შეგაქო,
ხუთი სიკოცხლის დედა ხარო.
მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:
ხუთი სიკვდილისაკო...
ბოლო სიტყვა არ გაგიგონია,
რაც მთავარია:
ამ სიმართლის ცეცხლით
არასდროს დაგდაგვია გული.
ბედნიერი მიდიხარო,
მიტომაც მოგძახოდნენ ბოლო გზაზე.

9

იყო დრო-ჟამი,
ბნელი ღამე შავ კაბად გეცვა,
მძიმედ გალივ წელიწადი რვაათეული,
სხივს გიძვირებდა ზოგჯერ მთვარე,
ხანდახან მზეცა,
შენივე გულის შუქით იყავ
განათებული.

10

პირმშო გააცილე,
გაისტუმრე ქმარიც,
მერე ორი მაზლი,
შემდეგ კიდევ შვილი...
მერე მოლოდინი,
ცრემლი,
ყინვა,
ქარი,
თოვლი თმაზეც, გულშიც,
ზეცა ჯანღაშლილი.
სულ თან გსდევდა სუსხი ომის
მონაჭროლი,
სამარეში ჩაგყვა მაშინდელი თოვლი.

11

ნიშნობის ბეჭედი ოყა ფქვილზე
გადაცვალე
და მერე გამოცხობა არ გაცალეთ,
ბალღები დაგსდევდით ღავღავით.
ერთმა მაწიერმა პურმა დაგვაპურა
და შენმა ტკბილმა „გენაცვალემ,"
ნაზამთრი ჩიტებივით გავლაღდით.

12

ჩვენ რომ ყვავილა გაგვიხდა ავად,
რა დამავიწყებს იმ დღეს,
ბავშვებს გვდიოდა ცრემლები ღვარად,
სიმწრით ვიქამდით თითებს.
შენ არ გჩვეოდა ვაი და ვიში,
თუმც ვერ მალავდი სევდას, —
მარჩენალ ძროხის დაკარგვის შიში
თვალებში გედგა, დედა!

13

მეუღლე,
უღლის გამწევიო,
ეს შენზე ითქმის,
ერთნაირ გულით გიმზერია მზისთვის
და ქმრისთვის,
ერთ სასთუმალზე თავი გედოთ
სამოც წელს თითქმის,
წინ ზიხარ,
უკან დაიწიო,
არ გითქვამს მისთვის.
...მეუღლე,
უღლის გამწევიო,
ეს შენზე ითქმის.

14

რძლების მალულად ხბოს რომ
აყლაპებდი რძეს
და შრატსაც მიართმევდი ბლომად,
ის ხბო ახლა იმ ვაშლის ძირას წევს,
შენ რომ გიყვარდა ხოლმე ჯდომა.
წევს და იცოხნება ნება-ნება,
მშვიდად იგერიებს ბუზებს.
რა უჭირს: არაფერი აგონდება,
დარდი არ აწვება გულზე!..

15

ვიწექი, გუნებაზე არ ვიყავი,
ჩემს ხელს მოეფერე,
გულში ჩაიკარი:
— იცი, ამ ხელმა რა ჰქნასო? —
დაწეროს,
დათესოს,
დახნასო.
წიგნი და ყანა აშრიალოსო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერი და პური ანიავოსო.
გულიდან ჯავრი ამომყაროსო
და მერე... მიწა მომაყაროსო.
გულიდან ჯავრი ვერ ამოგყარე,
ვერ შეძელ, მიწაც ვერ მოგაყარე...

16

შენს საფლავზე შუაღამით შუქმა
გაიკრთომარა,
ციცინათელა მეგონა,
ჰო, მეგონა,
ჰო, მარა...
შუქმა უცებ მოიმატა,
ელვასავით იალა,
თურმე ნაბოლარა შვილმა გზიდან
გამოგიარა,
პაპიროსის ნამწვავებში დარდი
გააბწყიალა.

17

შენს ნამზითვ სკივრში აღმოჩნდა
ბარათი,
გოგობაში მეზობელ ბიჭს მოუწერია
შენთვის,
ბარათს მისივე ნახატი ერთვის:
გულია დახატული გულთან ახლოს
და შეერთებული ისრით...
იმ ბარათით ეხლა ათი ოჯახი
ვსახლობთ
და ათივედან უკვე დღეს
„იავნანა“ ისმის.

18

რა ხნის იყოო?..
დედის
ასაკზე ლაპარაკი ღირს?
რაც მეტი ხნისაა მშობელი
მეტ ტკივილს უტოვებს შვილს.

19

ბედისწერამ შავი ფერი დაგიბედა,
შავი კაბით ნათელს ფენდი ეზო-კერას.
გაუმარჯოს ამ გაზაფხულს,
რა ჰქნა, დედა,
რა ლამაზი, ჭრელი კაბა შეგიკერა.
შემოგივლო ყვავილების არშიები,
მოგიჩითა ჩიტით, ციით და ენძელით.
დიდთოვლობა, ვაი, როგორ მაშინებდა,
გული მეწვის: ზამთარს როგორ
გაუძელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვები

როცა ვხმაურობთ,
აი, ეს ქვები,
მაშინ თავისთვის ჩუმად გვისმენენ,
გვისმენენ სანამ აისებს ვხვდებით
და შუბლს იფლი და სისხლი
გვისველებს.

იმახსოვრებენ თარიღებს საშიშს
და წლებს, რომლებიც ლაღად
გარბოდნენ...
როცა მთლიანად ვმუხვდებით მაშინ,
აი, ეს ქვები ლაპარაკობენ.

„წუთისოფლის სტუმრები ვართ“

მცირე ხნით ვაწუხებთ წუთისოფელს,
ცოტა ხანს ვუჭრიალებთ კარებს...
მიწაო, სიცოცხლე თუ გვიბოძე,
დიდი ხნით გებოძა ბარემ.
გზა გამოვლილია უმოკლესი,
დრო უკვე გვიქადის დაისს...

ზეცაო, მზე და დღე თუ მოგვეცი,
გრძელი დღე მოგეცა მაინც.
მიწაო, სიუხვეს ნუ გვიზოგავ,
ზეცაო მოგვხედე მგზავრებს. —
ცოტა ხანს ვაწუხებთ წუთისოფელს
მცირე ხნით ვუჭრიალებთ კარებს.

ბური

მე — სიტყვის ბური ზეცას შევღიმი,
ის ჩემში, როგორც განიერ ბაში
ძევს
და ცხოვრება მკაცრი მეღვინე
მოდის
და ჩუმად მისინჯავს ბაშნიკს.
თავლია ვიყავ და გარს მეხვიეთ
ლამაზი ხალხი და გულში მიზის
ამაყი სახე ჩემი მეღვინის,
ცისა და მიწის,
შენი და სხვისი.

რადგან მოითხოვს ამას შაირი,
სიტყვის ბადაგი ღვინდება ადრე,
ღრმად ვსუნთქავ ჩემი ქვეყნის ჰაერით,
რომ ჩემშიც ღრმად და ლამაზად
ჩანდეთ...
და რითმაც სხვაში არასდროს
გამცვლის,
კვლავ თავს მომახვევს მელექსის
სიზმრებს,
მოვა ლექსი და თასივით დამცლის,
ხოლო ცხოვრება შემავსებს ისევ.

●

ჰყვებიან,
რას არ ჰყვებიან ქვეყნად,
ჰყვებიან მრავალ ტყუილს და
მართალს:

„ვერ გავუბედე...“
„ვერ ვუთხარ...“
„შემრცხვა...“

და ჭორი ერთი იზრდება ათად.
ჰყვებიან ცალკე,
ჰყვებიან ერთხმად
ამბებს, ათასგან ნათრევს და ნატარს.
რას არ ჰყვებიან, გაიგოს ღმერთმა,
მაგრამ რა ცოტას ამბობენ მართალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლომია

გემი და აფხაზური ეზო

თითქო სასახლე დაიძრა ნელა, —
ზღვის მყუდრო ყურეს გაშორდა გემი,
და ქალაქს უცებ ეცვალა ფერი
რალაცის შიშით და გულისცემით.

და მოშორებით გაჩერდა იგი,
ჩაუშვა ღუზა — საკუთარ დამღით,
ზღვა იყო მწვანე, ვით მოლი მინდვრის,
ვით აფხაზური ეზო და ბაღი.

გაჩერდა. დადგა და მერე წამით
გახედა ქალაქს მწუხარე თვალით,
და მომეჩვენა, აფხაზთა მიწამ
კვლავ დაატყვევა ლვთიური ძალით.

თეთრი ბაშლიყი

გადაგივიწყეს, დაგკარგეს ისე,
ვით შორეული ფრინველის ფრთები,
და როცა სადმე გხედავ და გიმზერ,
კვლავ პირტიტველა ყრმასავით ვკრთები.

ვიცი: ვერ ვპოვებ ამიერიდან
კაცს შენთან ერთად მიმავალს სოფლად,
ჩაგფლეს, ჩაგკეტეს ზანდუკში
ფრთხილად,
ვით გარდასული დღეების ხსოვნა.

ვთქვათ, ვინმემ კიდეც მოგისაკლისა
და ნელი ბიჯით გამოჰყვეს ქუჩებს,
ფრთამოკრეალე კარუსელივით
მოგაჭერდება ქალაქი უცებ.

ბაშლიყო, გერგო ხვედრი ამგვარი,
ვფიქრობდი ასე და ვტკბებოდი
სოფლური ლხინით,
როცა ქორწილში ნეფე-დედოფალს
უთხრეს: „ერთმანეთს შეაბერდით
თეთრ ბაშლიყივით!“

და მე მეგონა, ამ სიტყვის უმალ
ცეკვა-თამაშით ავარდა ჭერი,
შეგხედე ჩუმად, ვით ლხინის სტუმარს
და გულისგულმა მოიღო რეჩხი.

უშენოდ ვინ თქვა სიმღერა გულის,
ან ცეცხლოვანი ეს ჩვენი ცეკვა,
ღმერთმა გიბოძა მშვენება სრული
და თეთრი ფრთები—გაშლილი ცერად.

არწივები

ცას მიარღვევენ, კავკასიონის
ვეება ფრთების სტვენა-შრიალით,
თითქო ლაჟვარდი ლურჯი სარკეა
არწივთა ხმებით ნათილისმარი.

შემორკალავენ კლდის კენწეროებს,
თითქო საწუთროს ბრუნავს ბორბალი,
და თეთრი თოვლი მთათა წვეროზე
მოჩანს, ვით მათი საბან-გობანი.

არ ჰყვარებიათ სუნთქვა მინდვრების,
არც ბაობები წვიმით დამბალი,
სად სიზარმაცე, ნესტი ყვითელი
თვლემს უზრუნველად მთელი ზამთარი.

ცაზე წყვილ-წყვილად უშენებიათ
ბუდე იმედის, ბუდე მომავლის,
და ვარსკვლავები — ღამის სტუმრები
ფარდაგზე სხედან მთვარის ოვალით.

ო, არწივებო, — ცის ბინადარნო,
ხართ მოგონება ჩვენი სიბერის,
ხართ სიჭაბუკე გულისწამტანი,
ფიქრი, ოცნება, კვამლი ცისფერი.

ხართ ალმაფრენა დაუცხრომელი,
სწრაფვა, ტკივილი ყოვლისმპყრობელის.

ცას მიარღვევენ კავკასიონის
ვეება ფრთების სტვენა-შრიალით,
თითქო ლაჟვარდი ლურჯი სარკეა
არწივთა ხმებით ნათილისმარი.

●

ზღვა კვლავ წყნარია და აფრებს სძინავთ,
ნუ გაალვიძებთ, ზვირთებო, ჩუმად!
ცის კოშკებივით დამდგარან მწკრივად
მთები — ბუნების უკვდავი სუნთქვა.

მთელი დღე ქროდნენ აფრები ზღვაზე,
თეთრი, სულ თეთრი ცხენების დარად,
და ახლა ფრთები — ქარებით სავსე
დაუკეციათ ნელი-ნელ წყნარად.

ქალაქს დაღლილი კაცივით სძინავს
და დუმილს ქსოვენ ხეები პალმის,
ბნდად ნიჩბების ჭრიალიც მიწყდა,
დაცარიელდეს ქვეყანა ლამის.

ცას ვარსკვლავები ვარდებად სცვივა
და ფრინველივით მთვარე მიცურავს,
ზღვა კვლავ წყნარია და აფრებს
სძინავთ,
ნუ გაალვიძებთ, აფრებო, ჩუმად!

●

თუ გმირს ბრძოლაში დაჭრიდნენ
ტყვიით,
დაჭრილს სიმღერით ჰკურნავდნენ,
ძმანო,
უმსუბუქებდა ყოველგვარ ტკივილს, —
ო, იგი ჰანგი მწველი და ამო!

ბილიკს მიჰყვება გოგონა ერთი,
ტკვიანაკრავი ტრფიალის ძალით,
მაგრამ დაჭრილის სიმღერა მწველი
ველარ განკურნავს სოფლის ამ ყვავილს.

●

დედის ხსოვნას

აყვავებული ხეხილის ბაღი
და გაუშლია ლამაზად ფრთები,
თითქო ანათებს ათასი ჭაღი
დამძიმებული ძვირფასი ქვებით.

ნეკავის, სინათლის დამდგარა წელი
ყოვლისშემქმნელის ნებით და ეშხით,
თითქო ბუნებამ მოგართვა ძღვენი
ან მკათათვეში საკუთარ პეშვით.

●

იქ, სადაც ყანას ჰყოფს თხმელის
ღობე,
ბარაქით სავსე დგანან ბელღები,
თითქო სიმინდის ყვითელ ტაროებს
ცად გაუწვდიათ სხმული ხელები.

ო, შემოდგომავ, — **თვალო ედემის,**
დღითა და ღამით **ოქროსფერდები,**
და ღობის გასწვრივ **დგანან ბელღები,**
ვით ზღვაზე განძით **სავსე გემები.**

აფხაზურიდან თარგმნა **მაინო კალანდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

რამდენიმე სიტყვა „ცისკარსა“ და ახალგაზრდა მწერალზე

მასშტაბური და განუსაზღვრელია ეურნალ „ცისკარის“, როგორც ალკ ცენტრალური კომიტეტის და მწერალთა კავშირის ორგანოს დანიშნულება.

„ცისკარი“ დღეს განიცდის ე. წ. თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს. „ცისკრიდან“ ფაქტიურად ახლა მიდის თაობა, რომელმაც თავისი მბრძო ატარა 25 წლის განმავლობაში ეურნალის ტვირთი, შექმნა მისი სახე, შინაარსი, მოუპოვა პოპულარობა...

მაგრამ დროს თავისი მოაქვს და ახლა დგას ამოცანა, რომ „ცისკარი“ უმოკლეს დროში იქცეს უფრო ახალგაზრდულ ლიტერატურულ ორგანოდ.

„ცისკრის“ რედაქციამ იცის, თუ რა ახალ ნაწარმოებზე მუშაობს ესა თუ ის ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი და როდის წარმოადგენენ ისინი თავიანთ ნაწარმოებებს. თუკი აქამდე ვერ ბედავდნენ რომანთან შეჭიდებას, ახლა რამდენიმე მთავარი სერიოზული პრობლემის ამსახველ რომანზე მუშაობს, მუშაობენ პიესებზე, ლექსთა ციკლებზე...

გამოვაქვეყნეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი და მაინც მეტი შეიძლებოდა გაკეთებულიყო ახალგაზრდა მწერლების მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსაკვეთად, ხალხის ცხოვრებაში ცხოველმყოფელი მონაწილეობის მისაღებად. ახალგაზრდა მწერალი უნდა იდგეს იქ, სადაც მისი ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემები წყდება, ერთი წამითაც არ უნდა დაავიწყდეს, რომ მას ყველაფერი სისხლხორცეულად უკავშირდება: სოფლისა და ქალაქის სატკივარიც, სოციალური და პოლიტიკური საკითხები, დრომოჭმული ფორმებთან გამოთხოვებაც და ცხოვრებისეული სიახლეებიც. მისი ნარკვევი დაშაქრული არ შეიძლება იყოს, მწვავე პუბლიცისტური პათოსი არ უნდა უნელდებოდეს, ყოველმხრივ უწყდებოდეს მზერას. საქართველოს ყოველ კუთხეს და კუნჭულს დასტარიალებდეს ფიქრით, ამასთან არ თმობდეს საშვენ გადასახედს, საიდანაც როგორც საკუთარი ტკივილი, ისე განიცდება დიდი მსოფლიო მოვლენები. აი, ასეთი მწერალი — მოქალაქე იშვითად ჩნდება „ცისკრის“ ფურცლებზე. გამონაკლისები მთლიან სახეს ვერ ქმნიან. უსამართლობა იქნებოდა იმის თქმა, თითქოს რედაქციამ ზრუნვა დააკლო საქმეს. მაგრამ ეტყობა, გაცილებით მეტი ენერგიაა დასახარჯავი, რომ ახალგაზრდა მწერალი აქტიურ პოზიციაზე დააყენო.

ახალგაზრდა მწერლების დამოკიდებულება ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროებთან დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს. გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს იმ მიზნით, რომ „ცისკრის“ ფურცლებზე სისტემატურად აისახებოდეს ახალგაზრდა მხატვრების, მოქანდაკეების, რეჟისორების, მსახიობების მიღწევები, ახალგაზრდა ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ფილოლოგთა მონაპოვარი, მათი შემოქმედებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ტენდენციები. უფრო უნდა მომრავლდეს ინტერვიუები და დიალოგები ცნობილ ადამიანებთან.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს დროზე უნდა გაკეთდეს და დასახულიც გვაქვს შესაფერისი გეგმა.

„ცისკრის“ რედაქცია მზად არის მიიღოს გულშემატკივრის პოზიციიდან თქმული ყველა სამართლიანი შენიშვნა და გაითვალისწინოს ისინი თავის შემდგომ მუშაობაში. საგანგებოდ

გამოგონილ ბრალდებებს ვერ ვერეწმუნებით. ამიტომ ყველა შენიშვნა საფუძვლიანად უნდა გაისინჯოს, დეზინფორმაციამ არ უნდა იზეიმოს! „ულიმღამო, უფერულ" ეურნალს მკითხველი არ ეძებება.

„ცისკრისადმი" ინტერესი კი ყოველწლიურად მატულობს, ეურნალის ხელისმომწერთა რიცხვი ბოლო ხანს 12800 კაცით გაიზარდა. და ეს, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდა მწერლების დამსახურებაა, მათი ვრცელი მოთხრობების, რომანებისა და ნოველების, ზეაი ალოზიისა და დრამატურგიის, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილების მონაპოვარია ის გამძაფრებული ეურადღება ქართველი მკითხველისა, რომელიც თავისთავად გამოიხატება ტირაჟის სწრაფ ზრდაში. შემთხვევითი არ არის, რომ საკარიელთა ოჯახის ოთ ყოველწლიური პრემია 1983, 1984, 1985 წლებში ზედიზედ ხვდა სწორედ „ცისკარში" დასტამბული ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს.

მოყალე წერილში ძნელია ცალ-ცალკე დაახასიათო ისინი, ვინც ღირსეულ მემკვიდრეებად უნდა გვეგულებოდეს. ძალზე დიდი მათი ხვედრითი წონა ეურნალის ფურცლებზე, არაერთი წერილი გამოგვიკვეულებია, სადაც გაანალიზებულია ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების ღირსება და ნაკლი; მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ჭეშმარიტ ლიტერატურულ დონეზე დისკუსიის გამართვა, რათა უფრო ცხადად გამოიკვეთოს, უფრო დაკონკრეტდეს მათი შემოქმედებითი სახე.

რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვიფიწყდეს ცნობილი ქართველი მწერლების მნიშვნელოვანი წვლილიც ეურნალისადმი განსაკუთრებული ინტერესის გაღვივებაში. ტრადიციულად სიტყვის ალიარებული ოსტატებისა და ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების თანამშრომლობა მოუტანდა ხოლმე „ცისკარს" წარმატებებს!

ის, რაც ახალგაზრდა მწერლის ცხოველმყოფელ მოღვაწეობას და თვალსაწიერის სიფართოვეს განსაზღვრავს, უფრო გლობალური მოვლენაა და არ შეიძლება მასზე არ ითქვას საგანგებოდ.

ამ ნიკით, ის ეერთდიციით, ან ენერგიით, რაც ახალგაზრდა მწერლების საუკეთესო ნაწილმა გამოავლინა დიდი და ღირებული ეროვნული ლიტერატურის შექმნა შეიძლება.

ოღონდ უნდა დაფიქრდეს ორივე მხარე. პირველეოოლისა ჩვენ ყველანი უნდა დავფიქრდეთ სად მივიდეთ ახალგაზრდა მწერლები, რომელთაც მოიტანეს შეუოყვნელი ოცნებები, უსაკეთესი განცდები და ზღვა გეგმებისა? დავახვედრეთ თუ არა ქართველი მწერლობის მარადიული ტაძარი სუფთა, ჰაერი გამეკვრივალი, ღრმა და კაჟკაჟა, ისეთი, როგორიც ეკადრება. დიდ ქართულ მწერლობას? დავახვედრეთ თუ არა ლიტერატურულ ვნებებით დამფუძნებული ატმოსფერო, რომელიც გაუთავეცებდა. შემოქმედებით პოტენციას, აღავსებდა შექმნის დაუოკებელი წყურვილით, ჩაითრევდა დიდ ლიტერატურულ მორეეში და მოსთხოვდა გაეღო ენერგიის უდიდესი ნაწილი? ატმოსფერო, რომელიც იგულისხმებდა ამალლებულთან შეხვედრას და კიდევ უფრო ამაალლებდა ნათელი და წმინდა ოცნებებით ტაძარში ფეხაკრეფით შემოსული ახალგაზრდა მწერალს?

დიახაც, მარადიული და ხელშეუხებელია ქართული მწერლობის დიდი ტაძარი, მაგრამ ისიც რა დასამალია, რომ თანდათან გადავეჩვიეთ ლიტერატურაზე ეურეოოოوو

ამიტომაც გაძნელდა ნამდვილი ლიტერატურული დისკუსიის ჩატარება ახალგაზრდულ ქართულ პოეზიაზე, ამიტომაც ვერ ხერხდება დისკუსიების ჩატარება ახალგაზრდულ პროზასა, დრამატურგიასა და კრიტიკაზე, არამარტო „ცისკარში", ყველგან! ახალგაზრდებმა კამათის ცუდი ნიმუში იხილეს, ისინი დაიბნინა კამათის ფორმებმა, რაც დაბეჭდათ მწერლობაში!

მსოფლიო და ეროვნული პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაში მწერლობის შინაგანი მთლიანობის აღდგენის მიღწევა დღეს აუცილებელი, იმ მთლიანობისა, რაც უტაჭტბამ, ტენდენციურობამ, ჭეშდენებებმა დაარღვია. ამაზე ყველანი ღრმად უნდა დავფიქრდეთ და მთლიანობაც დროზე უნდა იქნას აღდგენილი. ეს გამამაცოცხლებელი მოვლენა უმოკლეს დროში უნდა მოხდეს იმავე ახალგაზრდობის თვალწინ.

მეორე მხრივ, გონებაგახსნილი, უნიჭიერესი ახალგაზრდა მწერლებიც უნდა დაფიქრდნენ, რომ დიდი ქართული მწერლობა მარადიული და არა ის ქვედინებები, რომლითაც ახალგაზრდელთა წარმოდგენები გაუცარუდათ, რომ ეს დამახინჯებული ფორმები სწრაფწარმავალია და ისინი, ახალგაზრდები, სულ მალე პირისპირ დარჩებიან იმ ჭეშმარიტ სიმაღლეებთან, რასაც ქართული მწერლობა ჰქვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ის დიდი ქართული მწერლობა მოითხოვს მათგან კოლოსალური შრომის ფასად მაინ. კვლეონ საუფაარ ბმას და სათქმელს.

ვიმეორებ, იმ ნიჭით, იმ ერუდიციით, იმ ენერგიით, რაც ახალგაზრდა მწერლების საუკეთესო ნაწილმა გამოავლინა დიდი და ღირებული ეროვნული ლიტერატურის შექმნა. შეიძლება.

ოღონდ მეტი უნდა ვიფიქროთ ეროვნული მწერლობის დიდ ტრადიციებთან ორგანულ კავშირზე. ტრადიციიან კარგა ხანია დასვა მთელი რიგი ნაწარმოებების მისამართით კითხვა: მოითხოვს კი ახე გაგრძელებას იაკობ ცურტაველის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულის, სულხან-საბას, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის პრობლემა?

მოითხოვს კი ახეთი გაგრძელებას შოთა რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის პოეზია?

რუსეთის, კერძოდ — პეტერბურგისა და მოსკოვის კულტურული ცხოვრების ატმოსფეროთი გარემოცულმა ილიამ, აკაკიმ, ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ გაიცნეს იმდროინდელი რუსული და ევროპული ლიტერატურის თითქმის ყველა მიმდინარეობა, ღრმად შეისწავლეს ფილოსოფოსთა ნაშრომები, მარტო ვაჟა-ფშაველას მიერ დამოშავებული ფილოსოფიური წიგნების უბრალო ჩამოთვლაც კი იკმარებდა აქ თქმულის დასტურად. მაგრამ მათი ორიენტირი არ გამრუდებულა. კეთილი გავლენების კვალი ჩანს, თავადვე აღიარებენ ამას, მაგრამ რა მაღე გამოვიდნენ მსოფლიო ოკეანის თვალისმომჭრელი სიღრმეებიდან, რა ზუსტად განსაზღვრეს თავიანთი შემოქმედების საგანი, როგორ დაუქვემდებარეს ყველი დეტალი უზარმაზარი შემოქმედებისა იმ საგანს. ეროვნული ქართული პრობლემატიკის მხატვრულ ანალიზში მუდამ ივარაუდებოდა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში მონაწილეობა. მე ვგულისხმობ საგნებთან მწერლის დამოკიდებულების მეთოდს და არა მხოლოდ ეგნოსი ალსიკოსების ინთავითვე მოცემულ შესაძლებლობას. შემოქმედებითი მიმართულებაა უმთავრესი. იგი საუკუნეებში გამოკარებული ტრადიციაა. ასეთი ტრადიცია კი კანონია, მას არ ეღალტბის.

ისეთი წარმოდგენა არ მინდა შეიქმნას თითქოს დღევანდელ ახალგაზრდულ მწერლობაში შეიმჩნევა ესოდენ საგანგაშო ნოტები და სხვა თაობები დაზღვეულნი იყვნენ თავის დროზე მსგავსი ცდუნებებისაგან. ყველა თაობას დადგომია გამოცდის ჟამი, მაგრამ ჩვენმა წინა თაობებმა წარმატებით ჩაიბარეს გამოცდა და, დიდი ტრადიციების ერთგულნი, დროზე მოეგნენ გონს. ეს კია, ახლა მეტია ცდუნების დოზა. ეს საფრთხე დროისგან გამრავლებულმა ინფორმაციამ დინებამ წარმოშვა. ამდენად იზრდება ახალგაზრდა მწერლების პასუხისმგებლობის ვრძნობაც ეროვნული მწერლობის წინაშე. მათი ერუდიცია და ნიჭიერება გვაიმედებს, რომ ეს სირთულეც გადაილახება. ეს პრინციპული საუბრის თემაა და იგი დისკუსიებში უნდა დაზუსტდეს კონკრეტული მაგალითებით. მარტო სიცოცხლე არ გადაეცემა თაობიდან თაობას: ეროვნული მწერლობის თავისთავადი კანონებისადმი ერთგულებაც მემკვიდრეობითია: ჩვენ უფლება არა გვაქვს მემკვიდრის უფლება დავივიწყოთ. არც იმის უფლება გვაქვს, ჩვენში მოვლენმარე მოთხოვნილება მივაძინოთ, სულაც გავეცინოთ და მის პრიალა ზედაპირზე უცხოური ილეთებით ვისრიალოთ. უმჯობესია მე ვაზვიადებდე ახლა, ვიდრე ეს საშში ტენდენცია თვითონ გაღრმავდეს და გაზვიადდეს ხვალ.

იმის თქმაც მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, თითქოს, უკლებლივ ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალს შემოქმედებაში შეიმჩნეოდეს ესოდენ ნაკლოვანებანი ძვრები. ან შემოხვევაში ახალგაზრდა მწერლები მხოლოდ იმითა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ერთნი უფრო ერთგულებენ ეროვნულ ფესვებს, მეორენი — ჯერ კიდევ ლიტერატურული გატაცებებით არიან შეპყრობილნი.

ურთიერთობა გარემომცველ სამყაროსთან უფრო რთული და მრავალწახნაგოვანი ხდება დღითიდღე, ამ ურთიერთობაში მწერლის ფიქრმა საქვეყნო ფიქრს საუკუნოვანი წონასწორობა უნდა შეუნარჩუნოს, რადგან ქართული ლიტერატურის უმთავრესი საგანი ქართველი ერის სასიცოცხლო საგანიც იყო მუდამ.

როსტომ ჩხეიძე

სევდა ერეკლე ტატიშვილისა

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ერთი ასეთი ეპიზოდია შემორჩენილი, ეპიზოდი, ამ სურათის ირგვლივ რომ იკერება:

ერეკლე ტატიშვილის კარის ზღურბლთან სისხამ დილით პავლე ინგოროყვა ჩამომჯდარა, მუხლებზე განუურელი ვეება ჩანთა უდევს, ჩანთაზე ფურცლები გაუშლია და ჩაჰკერკეტებს, ერეკლე ტატიშვილი თავს დასდგომია, ოღონდ მოულოდნელობისაგან წამიერად გახვებულულ ჯერ კრინტი ვერ დაუძრავს და სურათიც ასევე წამიერად რჩებადება, რჩებდება, ვიდრე ამ წამიერ გარინდებას ერეკლე ტატიშვილის გაოცებული და ბუნებრივი შეკითხვა დაარღვევდეს, „პავლე, აქ რას აკეთებ?"; და ვიდრე პავლე ინგოროყვა ფურცლებიდან თავს აიღებდეს და აუხსნიდეს, სანამ შეპირებულ მასალას არ მომცემ („ქაკაასონისათვის" შეპირებულ მასალას გულისხმობს), აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ყოველ დილით ასე ვიჯდები აქ, პირობა რომ არ დაივიწყოო.

ამგვარი სურათი აღდგება ჩვენს წარმოსახვაში.

აღდგება ისეთი, როგორიც ნიკა აგიაშვილმა შემოგვიხატა.

მასაც გადმოცემით სცოდნია. თვით ერეკლე ტატიშვილისაგან მომისმენია, ასე იგონებს, ჟურნალ „მნათობის" რედაქციაში გვიამბობდა, „ქაკაასონისათვის" მასალას შეპირები პავლე ინგოროყვას და მეორე დილითვე ჩემი კარის ზღურბლთან იჯდა, პირობა რომ არ დამერღვიაო.

სურათსაც ასე გადმოცემით აღადგენს.

ოღონდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ერეკლე ტატიშვილის პიროვნული ხასიათი მისი მოწაფეებისაგან, იგი საკმაოდ გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი კაცი ყოფილა და თავის ცხოვრებისეული ეპიზოდების თხრობას ახლობლებთანაც კი გაურბოდა, ასე რომ, ნაკლებ საფიქრებელი ჩანს, „მნათობის" რედაქციის თანამშრომლებთან გაება მუსაიფი; მით უმეტეს, რომ რედაქციებში საერთოდ არ დადიოდა. თუ თვალს გადავავლებთ იმდროინდელ პერიოდიკას, ადვილად დარწმუნდებით, რომ პრესაში მისი თანამშრომლობა წყდება ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაციის უკანასკნელი ჟურნალის, „ახალი კავკასიონის", გამოცემის შეწყვეტასთან ერთად.

ამიტომ ნიკა აგიაშვილს ეს ეპიზოდი შეუძლია სცოდნოდა ერეკლე ტატიშვილის რომელიმე მეგობრისა თუ მოწაფისაგან და სურათიც მათი ნაამბობის მიხედვით აღდგენა, და თუ წერს, თვითონ ერეკლე ტატიშვილისაგან მომისმენია, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამბის რეალურობას არავინ დაეეჭვებინა და მისი სიმართლე ყველასთვის დამჯერებელი ყოფილიყო.

მაგრამ ეს შეთხვევა, უჩვეულობის მიუხედავად, და იმის მიუხედავად, როგორი გადმოცემის გადმოცემითაც არ უნდა მოეღწია ჩვენამდე, ისეთიც დამჯერებელი და სარწმუნო ჩანს, რადგან ამგვარი შემთხვევის გამოგონება შეუძლებელია.

ეს შეიძლება მხოლოდ სინამდვილეში მოხდეს.

და რადგანაც სინამდვილეშია მომხდარი, ამიტომაც მიგვანიშნებს და წარმოგვიდგენს ეს ერთი პატარა შემთხვევა, თუმც გაკვრით, მაგრამ ასე ზუსტად ერეკლე ტატიშვილის სკეპტიციზმსა და პავლე ინგოროყვას უსაზღვრო ოპტიმიზმს.

ორივე პიროვნების ხასიათის ეს თვისებანი უფრო მკაფიოდ გამოჩნდება, თუ იმდროინდელ საზოგადოებრივ ვითარებასაც გავითვალისწინებთ, რადგან ასე ცალკე ეს ეპიზოდი თუ მხოლოდ რომანტიკულ იერს იძენს, მაშინდელი ვითარების — მღელვარე, მწვავე და აბურდული ვითარების — ფონზე დრამატიზმითაც კი იმუხტება.

ასეთ რთულ ვითარებაში დიდი მისია დაე-

კისრებისა პავლე ინგოროყვას „კავკასიონისათვის". ეფროსეო ტიბის ეურნალად რომ ჰქონდა ჩაფიქრებული — ეურნალს, რამდენადაც კი შეიძლება, სრულად უნდა წარმოედგინა ქართული მხატვრული და მეცნიერული აზროვნების სურათი და სწორი გეზითაც წარმართა ეს აზროვნება. ამით ეურნალს უნდა დაედასტურებინა, რომ დარბეულ, გაწამებულ და ომედდაკარგულ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს კვლავ შესწევდათ დიდი ტრადიციების ღირსეულად გაგრძელების უნარი.

ერთი-ერთი იმთაგანი, ვისაც პავლე ინგოროყვა უნდა დაურდნობოდა, ერეკლე ტატიშვილი იყო, ერეკლე ტატიშვილი, პოლიგლოტი და ერუდიტი, მსოფლიო კულტურების საუკეთესო მცოდნე. ვის სახელსაც დაუკავშირდა უცხო ენების კათედრის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მთარგმნელთა და ეროპელ ლიტერატურის სპეციალისტთა და მკვლევართა მთელი სკოლის აღზრდა. „ცალკეული ცნობები მის ცხოვრებასა და სამწერალო თუ პედაგოგიურ მოღვაწეობაზე შეგვიძლია შევიტყოთ მისივე მოწაფეების ლიტერატურული წერილებითა და მოგონებებით. სამწუხაროდ, მეტად მცირე რაოდენობის წერილებით, რომელთაგან ღრმა ფსიქოლოგიური წვდომითა და ანალიზით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვახტანგ ჯელიძის ესეი.

ამასთან ერეკლე ტატიშვილი არის ერთი ნოველის პერსონაჟიც (ოთარ ჩხეიძის „ნაკაკლარი") და ორ რომანშიც გამოჩნდება, ერთგან, როგორც პროტაგონისტი ერთ-ერთი მგზრისა (იგულისხმება ეგნატე ლაზარეშვილი კოტე ხიმშიაშვილის რომანიდან „ჯინეკი ხორნაული"), მეორეგან კი, თუმცა მიუთითებლად, მაგრამ სრულიად აშკარად თვითონ მისი ლიტერატურული პორტრეტიც დახატული (ოთარ ჩხეიძისავე „ცხრაწყაროს"). როგორც შენიშნეს, ერეკლე ტატიშვილი უნდა იყოს შთამაგონებელი თურქანის სახისაც ბასილ მელიქიშვილის ამავე სახელწოდების ეროცელ მოთხრობაში.

ეს პროზა, რაც შეეხება პოეზიას, ბასილ მელიქიშვილის ლექსზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ერეკლე ტატიშვილის პიროვნებით, მისი სულით, მისი არსებით არის გამსჭვალული ნიკო სამადაშვილის ლექსების უმეტესობაც, რასაც იოლად მიგვახვედრებს რამდენიმე მხატვრული სახე, მუდმივი ეპითეტი ან რომელიმე დეტალი თუ მინიშნება, ლექსიდან ლექსში რომ მონაცვლეობს და მკაფიოდ გვიჩვენებს მოძღვრის გაიდეალებულ სახესაც და მის დიდ გავლენასაც პოეტის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ პრინციპებზე.

ყოველივე ამით დასტურდება, რომ მოწაფეებისათვის ერეკლე ტატიშვილი მხოლოდ იშვიათი ლიტერატორი თუ მოძღვარი არა ყოფილა, ეფროსეულ ენებსა და ლიტერატურებს ეუფლებდა და მოღვაწეობის გზას უდგენდა, იგი მათ წარმოდგენაში განასახიერებდა მთელს სამყაროს, სადამდეც კი თვალი და გონება მიუწვდებოდათ და, ეთქვათ, ეს ორი სტრიქონი მისი გარდაცვალების შემდეგ შექმნილი ლექსიდან, შეიძლება თქვას, ყველას გულისთქმა გამოხატავდა და გამოხატავს:

შენ რომ წახვედი, ასე მგონია,
ცოცელი ქვეყანა თან გახვეტე,
გამოხატავს ისე, რომ არაფრის დამატებას არ საჭიროებს.

იმ დროისათვის კი, პავლე ინგოროყვა რომ იყო მისი კარის ზღურბლთან, ერეკლე ტატიშვილს უკვე ძმიდ ცხოვრება გადაეტანა, სულ სხვას მიელტვოდა და მკაცრი სინამდვილე სულ სხვა გზაზე აბარებდა, ცხისეე ენენია და ეშიერაციის სიმწარეც, იმედიც ბევრჯერ გასცრუებოდა, სიკვდუკის ოცნებებიც გასძარცვოდა და, მრავალი უბედურების მხილველსა და ხელმოცარულობით შეპაყრობილს, ლამის ყველაფერზე ჩაენანა ხელი.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცს, ადვილი შესაძლებელი იქნებოდა, რომ პირობა ვერ შეესრულებინა; და ამიტომაც იყო, რომ პავლე ინგოროყვამ ასეთი, ერთი შეხედვით, უცნაური გზა გამოძენნა.

ამ ცდას კი ის მოჰყვა, რომ „კავკასიონის" პირველივე ნომერში (1924 წ.) ერეკლე ტატიშვილის ორი წერილი და ერთი თარგმანი, ედგარ პოს „სიჩუმე", დაიბეჭდა (ამას ემატება კონსტანტინე ბოჭინაძისათვის მომზადებული „ყორანის" აწკარედი), და თუ ამ ორი წერილიდან ერთი, პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო დამსახურებისადმი მიძღვნილი, გაზეთ „ქართული სიტყვიდან" არის გადმობეჭდილი, მეორე, „საკია-მუნი", ბრწყინვალე ესეი ბუდიზმის ისტორიიდან, საგანგებოდ „კავკასიონისათვის" დაწერა.

„საკია-მუნის, ისევე, როგორც ერეკლე ტატიშვილის სხვა ესეების, მხატვრულ-ენობრივი სტილი ექსპრესიული და შესაბამნეკად რიტმული, რითაც თუმცა ორიგინალურად გაიაზრებს და აშკარა თავისებურ ელფერს ანიჭებს ვასილ ბარნოვის მხატვრულ ესეტეტიურ კონცეფციას მიჰყვება, ხოლო „სიჩუმის" თარგმანში რიტმული წყობა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ არის გამოკვეთილი და, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანს გრაფიკულად ლექსის სახე არა აქვს, ეს არის ვერლენის მშვენიერი ნიმუში ქართულ ენაზე. ინგლისურადაც, ცხადია, „სიჩუმე" თავისებუფალი ლექსია და თუმცა იქ გარეგნულად ლექსის გრაფიკული სახე აქვს, თვითონ ედგარ პო უწოდებდა არა ლექსს, არამედ ლექსს პროზად.

რადგან რიგმისა და მუსიკალურობისგან განძარცული და საზოგადოებრივი ლექსი მისთვის უკვე ლექსი აღარ იყო. შესაძლოა ერეკლე ტატაშვილმა ამიტომაც აღარ მისცა თარგმანს ლექსის სახე, თუმცა, რა თქმა უნდა, ედგარ პოსეული ჩკაცოდ ორგანიზებული რიგმი და ღრმა პოეტური განცდა თარგმანშიც ასევე შეინარჩუნა.

აქვე მხოლოდ ზოგადად შევნიშნავ, რომ „ეს იტყოდა ზარატუსტრაში" ჩართული ბიბლები ერეკლე ტატაშვილს ასეთივე ღრმა პოეტური განცდით, ოღონდ, „სიტუმისაგან" განსხვავებით, გრაფიკულადაც ლექსის სახით აქვს თარგმნილი და ამ თარგმანებს, „სიტუმესთან" ერთად, ეხატვა ული ლიტერატურის გარდა, საგულისხმო მნიშვნელობა აქვთ ქართული თავისუფალი ლექსის ისტორიისთვისაც.

„კავკასიონზე" ფსიქრობდით.

„კავკასიონის" განხილვა, მისი ორივე ნომრის თავიდან ბოლოშდე გადაკითხვა, თვალწინ ელვა ჩიენს რედაქტორის მიზანს, რომ ქართულად თარგმნილიყო არა ცალკეული ნაწარმოებები, არაშედ მკითხველის თანდათან, და რაც შეიძლება, სრული წარმოდგენა შექმნოდა თითოეული დიდი თუ გამოჩენილი მწერლის შემოქმედებაზე. ლიტერატურულ მიმდინარეობებსა და გარკვეულ, ცხადია, მნიშვნელოვან, ლიტერატურულ ეპოქებზეც კი.

ამდენად, აქედან გამომდინარე, „კავკასიონის" გამოცემა რომ გაგრძელებულიყო, ისევდაც საფეკრებელი ჩანს, რომ ერეკლე ტატაშვილი ედგარ პოს კიდევ არაერთი ნაწარმოებს თარგმნიდა. მას შემდეგ, რაც პაველი ინგოროყვას არქივში პოს ნოველის, „შავი კატა", ერეკლე ტატაშვილისეული თარგმანის ავტოგრაფი აღმოჩნდა, ამის თქმა უკვე დაბეჯითებით შეიძლება. და თუმცა ახე სამწუხაროდ შეწყდა ედგარ პოს შემოქმედების თარგმანება, ამ მშვენიერი ჩანაფიქრის ეს ერთი პატარა ფრაგმენტი, თარგმანი ნოველისა „შავი კატა", თავისი მხატვრული ღირსებით, ზუსტად მოძებნილი ინტონაციითა და ენობრივი სტილით, დღესაც საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორი მხატვრული მეთოდითა და სტილით უნდა ითარგმნოს პოს ნოველები ქართულად (მოგვიანებით ალექსანრე გამყრელიძემ განაკრძო მასწავლებლის დაწყებული საქმე და პოს კიდევ რამდენიმე ნოველა თარგმნა).

ზემოთ შევნიშნე, რომ ლიტერატურულ პრესაში ერეკლე ტატაშვილის თანამშრომლობა წყდება ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაციის უკანასკნელი ჟურნალის „ახალი კავკასიონის" (1925 წ.) შეწყვეტასთან ერთად, აკ არის გამოქვეყნებული მისი უკანასკნელი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი; დაწყებითაც, არსებითად, ასოციაციის მიერ დაარსებულ ჟურნალ-გაზეთებში დაიწყო და აქვე გაგრძელდა ამ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთა მონდომებით (საზოგადო ყრილობის მერე დამტკიცებულ წესრთა სიაში, რომელიც „კავკასიონის" ინგოროყვას არქივში ინახება, ასოციაციის ნამდვილ წევრად ერეკლე ტატაშვილიც არის არჩეული). მანამდე კი ორადორი წერილი ჰქონდა გამოქვეყნებული: ერთი კონსტანტინეოლოდან გამოგზავნილი მიმოხილვა თურქეთის საშინაო მდგომარეობისა („ალმოსავლეთის საკითხი და ბალკანეთის ზავი" „სახალხო გაზეთი" 1918 წ., № 984, 86, 87. გამოქვეყნებულია ინიციალებით ი. ტ. და თუმცა სტეფიფაკური ხასიათის გამო ძნელია სტილით ვიცნოთ, ეს, რომ ერეკლე ტატაშვილი ძლიერ იყო დაინტერესებული საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებით და, ამასთან, იმ ხანებში სწორედ კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა, უეჭველად ადასტურებს მის ავტორობას. აქვე, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით, კერძოდ, გაზეთ „ქართული სიტყვის" 1924 წლის 27 აპრილის ნომერში ამავე ინიციალებით, ი. ტ. დაბეჭდილი ინფორმაციული ხასიათის მასალა „მხატვართა სალამი", ოღონდ ამ შემთხვევაში ინიციალები ეკუთვნის დღეისათვის სრულიად უცნობ მხატვარს ირაკლი ტოფაძეს) და ერთიც ესეი ნიკოლოზ ბარათაშვილზე („სიკვბუკის მგოსანი", „ხალართველო", 1916 წ., № 261. აქ აშკარად არის საგრძნობი ბარნოვის სტილის გავლენა).

„ახალ კავკასიონში" გამოქვეყნებული ის წერილი კი ეძღვნება კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების პირველ წიგნს, „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ", და არის, საერთოდ, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის პირველი მაღალი, მტლეკ, ლიტაცებული შეფასება. წერილი გამოქვეყნებულია ფსევდონიმით: ი. რ.-ე. წერილის ენობრივი სტილის ანალიზით (თუმცა რამდენიმე ადგილი, გარკვეული მოსაზრებებით, რედაქტორსაც დაუმატებია)' სავარაუდო იყო, რომ ეს ფსევდონიმი ერეკლე ტატაშვილს ეკუთვნოდა. წერილის დედნის რამდენიმე გვერდის აღმოჩენის შემდეგ პაველი ინგოროყვას არქივში, უეჭველი გახდ ერეკლე ტატაშვილის ავტორობა. წერილი დაბეჭდილი ეოფიოლ შემოსულთან, ამოოლებია რამდენიმე ადგილი და, პირველ რიგში, ის ადგილები სადაც ერეკლე ტატაშვილი მსჯელობისათვის ნიცშესა და შოპენჰაუერის სახელებს მოიხმობს.

ბუნებრივია, რომ ამის მერე ერეკლე ტატაშვილი საერთოდ ჩამოშორდებოდა პრესას, რადგან ნიცშეს სახელის ხსენება თუ აღარ შეიძლებოდა, „ზარატუსტრის" თარგმანს, რომელსაც დიდი დრო და ენერგია შეალია, ვინღა დაუბეჭდავდა.

თუმცა იმავე წლებში დარვინის „სახეობათა წარმოშობაც" უთარგმნია, მაგრამ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცემად გამზადებული წიგნი, სამწუხაროდ ან აუსნელი შემოხვევის გამო, სტამბაში დაკარგულა. სიცოცხლეში არც თავისი დისერტაციის, რეენიარო გოიოსი ეურიულის თხოვნით თეატრისათვის თარგმნილი შილერის „ვერაგობა და სიყვარული" და ზოუს „ქეისარი და კლეოპატრა" გამოუქვეყნებია.

მისი სახელი მხოლოდ გრიგოლ წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ტომის წინასიტყვაობაში ჩნდება, როცა ავტორი, ჩვენი სახელოვანი ელინისტი, გულითად მადლობას უხდის სამ მთარგმნელს, მათ შორის ერეკლე ტატიშვილს, რომელთაც მის მიერ რუსულად დაწერილი წიგნი ქართულად თარგმნეს. მართალია, ავტორი იქვე, ცოტა არ იყოს, დანაგებით შენიშნავს, „ის გარემოება, რომ თარგმანი შესრულებულია არა ერთის არამედ რამდენიმე პირის მიერ, დაეტყო წიგნს იმ მხრივ, რომ სტილის ერთგვაროვნის დაცვა ვერ მოხერხდაო", მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო დაბეჯითებით შეეგიძლია გამოვაჩინოთ ის ნაწილი, რომელიც ერეკლე ტატიშვილს უთარგმნია.

ხოლო მიზეზი ნიცშეს სახელის აკრძალვისა იყო და არის მისი შემოქმედების ეს, კერძოდ ფილოსოფიური რომანის „ესე იტყოდა ზარატუსტრა", ტენდენციური და მოლიანად არასწორი ახსნა. სასთნარმა ახსნაშ თუმცა ერთადერთი სწორი ახსნა ეს ეგონათ, მერე და მერე გაიფიქრეთ, ალბათ, ნიცშეს ნააზრევი და ლამის მთლად გააუფასურა.

ალადა, „ზარატუსტრა" ერთი იმ წიგნთაგანია, რასაც ნიცშე „სისხლით დაწერილ წიგნს" უწოდებს და რომლის შეცნობის სირთულესაც ასე თვალნათლივ ვხედავთ ამ ხატოვნად გადაგვიშლის:

„ყოველ დაწერილთა შორის მიეკარს იგი, რაც ადამიანს თვისი სისხლით დაუწერია, სისხლით სწერედ და შეიტყობდე, რომ სისხლი სულია.

ადვილი არ არის სხვისი სისხლის შეცნობა: მძულს უსაქმრენი მკითხველნი...

რომელი სისხლითია ინგავებითა სწერდეს, არა ისურვოს რათა მას კიდოსოლმდნენ, არამედ იზეპირებდნენ.

მთაში მწვერვალიდან მწვერვალამდე უმოკლესი გზაა: ხოლო ამად ჯერ არს გრძელი ფეხები გკონდეს. იგავნი უნდა მწვერვალთ მზგავსნი იყვნენ: და რომელი იგავებით ელაპარაკებიან ტანადნი და მაღლად ზრდილნი".

მაგრამ ისიც უთუოდ დამაფიქრებელია, რომ გადმოცემით, თურმე ეაკას ან ბუკარეკეი, ნიცშეზე ყოველგვარ მსჯელობას აზრი ეკარგება.

ნაცარქექაია ეგ თქვენი ხერხემალგამოფიტული ევროპელი ფილოსოფოსი ნიცშეო, ეაკა ამტკიცებდა; და თანაც ისეთი სიმწყვანით ამტკიცებდა, თანამედროვეთა ცნობით, მისგან ჩანდა. მაგრამ არ ტოვებდა: „ღონე გამოდეულს დაწერეტილს, უსუფრ მეწვრიდმანე ეკაკის ენაგტრეოდა „ზეკაცი" ზარატუსტრა, ხოლო ჩვენში ცხვირშოფოდეელი მოხეკე და მთელი იგივე ზარატუსტრა არის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი მოხეკე და მთელი უფრო რაინდია, ხოლო ნიცშეს ზარატუსტრა— ვერაგი, სისხლისმსმელი, სუსტის მქელავი, ე. ი. არ არის ეაკაკი ადამიანო".

ადვილი შესაძლებელია ეს მერმინდელი ჩაწერილი მთლად ზუსტად ვერ გადმოგვაცემდეს ეაკას სიტყვებს, მაგრამ მაინც ცხადად გვაგრძნობინებს, თუ როგორი სიმკაცრითა და სიცხარით ეკამათებოდა ეაკა პირადი საუბრისას ნიცშეს თაყვანისმცემლებს, ჩვენთანაც რომ ასე მოგრავლებულიყნენ.

ისინი ეკრძალებან დაძრული ტალღას ასდევნენ და ირწმუნებოდნენ, რომ ნიცშეანელობა ახალი რელიგია იყო, ხოლო ზარატუსტრაში განსახიერებული ნიცშე — ახალი რელიგიის უფაქმდგენელი.

ნიცშეანელობა ერთბაშად და ტოტალურად მოედო ევროპას და თუ იმდროინდელ ნაწერებსა და გადმოცემებს გავითვალისწინებთ, „ზარატუსტრას" ავტორის განსაკუთრებულ პოპულარობაზე რომ მეტყველებენ, ალარ გაგვიკვირდება ნიცშეს სახელთან ახალი რელიგიის ხსენება.

მაგრამ მთელი ეს პოპულარობა, როგორც ჩანს, თავიდანვე დაეშვარა არა ნიცშეს ნააზრევს, არამედ ამ ნააზრევის მეტად ზერელე და ზედაპირულ აღქმას, იმდენად ზერელესა და ზედაპირულს, რომ სილრმეში წვდომას ვინ ჩიგის, მაინდამაინც ის მოიწონეს და აიტაცეს, ის მიიჩნიეს წიგნის ღირსებად, რასაც თვითონ ნიცშე ებრძვის და მძაფრი სარკაზმით ამასხრებს. პირველ რიგში ეს ადამიანის მდგომელი ინსტინქტებია, მანკიერ სურვილებს რომ უხსნის გზას და ადამიანში ამალლებულისაკენ ლტოლვას ჭკლავს, ანუ ამალლებულისაკენ ლტოლვასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შორის განსხვავებას ვეღარ ხედავს.

ასე მოულოდნელად შეიქმნა მცდარი წარმოდგენა და ამ მცდარ წარმოდგენას დაყრდნობილი ნიცშეანელობა, არსებითად, იმთავითვე მწყდა ნიცშეს მოძღვრებას: ნიცშე თავიანი ზარატუსტრათი ცალკე დარჩა, ნიცშეანელობა კი თავისი გზით წავიდა, თანდათან გავრცელდა და კიდეც უფრო გაბუნდოვანდა. ნიცშეს მიმდევრებმა, როგორც თვითონ უწოდებდნენ საკუთარ თავს, სრულიად საპირისპირო თვისებების აღმოჩენა მოინდომეს ზარატუსტრას სახეში, და თუმცა რომანის დასაწყისშივე ნათლად და გასაგებად არის მინაშნებული, რომ ინდივიდუალისტური მოღვაწეო-

ბა ჩანასახშივე განწირულია („ვსაჭიროებ თანამგზავრთ", ამბობს ბრბოს უყურადღებობით განაწყენებული და დაფიქრებული ზარატუსტრა, რითაც ახალ ჭეშმარიტებას მიაგებს). ზარატუსტრას სახე ნაძალადევად მოარგეს სწორედ ინდივიდუალისტურ კონცეფციას; ამ კონცეფციის კვალობაზე სახეცვლილი ზარატუსტრა კი სრულიად დაშორდა ნიცშესეულ გააზრებას და ძალიან დაემგვანა სოფისტების „ძლიერ ადამიანს", რომელსაც არაფერი ზღუდავს და სუსტსა და უმწეო კაცუნებზე აღზევებულს საკუთარი ნება-სურვილის დაკანონებისა და საკოეფლთაო ნორმად ქცევის მეტი არაფერი აღელვებს.

ნიცშეისაგან და, ცხადია, ზარატუსტრასაგან მზოლოდ სახელებია დარჩა, თორემ თავისი აღარაფერი შერჩით. ნიცშეს მოძღვრება სრულიად განძიარცვა მკაფიოდ გამოვლენილი ჰუმანისტური პათოსისაგან და ზარატუსტრამაც აშკარად შეიძინა დიქტატორის ნიშნები.

ასეთი ნიცშე იყო ხერხემალგამოფატულიც, ღონეგამოლეულიც. დაწრეტილიც და უსუსური მეწვერალმანე ვაჭარიც; და ასეთი ზარატუსტრა — ვერაგი, სისხლისმსმელი და სუსტის მქელავი. ასეთ ნიცშეს და ზარატუსტრას ვერ ეგუებოდა ვაჟა და რადგანაც მცდარი წარმოდგენა ჩვენშიც საკმაოდ იყო ფეხმოკიდებული და ამ წიგნის, „ესე იტყოდა ზარატუსტრა", ობიექტრსა და მთლიანობაში განხილვას აზრი დაეკარგა, ვაჟას სხვა არაფერი დარჩენოდა. გულმოსული პირში მიეხალა დაბნეული და გონებადაბანაგული მოსაუბრეებისათვის, ნაცარქექეაა ეგ თქვენი ნიცშე, ნაცარქექეაა და ნაცარქექეაო.

ნიცშეანელთა ნიცშეს არც ერქოლე ტატიშვილი აპყოლია, მისი ესეი, „ფრიდრიხ ნიცშე" (აქვე გავიხსენებ კონსტანტინე გამსახურდიას ასევე მშვენიერ ესეისაც „ტრადედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან"), სწერილ „ზარატუსტრას" სიღრმეებს აუკაცავებს შეუმცდარი აღლოთი და ფშვნილი ოსტატობით და, იმადგროულად ავტორის სულიერ ბიოგრაფიასაც აღადგენს მომბიზღავი და ექსპრესიული სტილით:

„ნიცშეს ცხოვრება მისი საკუთარი აზროვნების დრამის დრამად განცდილა. იგი თვითონ არის თავისი სულიერი ტრაგედიის გმირი, ჯალათი და მსხვერპლი. მისი ყოველი აზრი პერსონაჟია, რომელიც ლანდის სახით კვლავ იზიდავს მას მომზიზღავ მაცდურობით შემეცნების წარმტაც, მაგრამ სახიფათო მწვერვალებისაკენ.

ნიცშე უკადურესობის ჯალოქარია, ახალი სიტყვის მაუწყებელი. მასში ბრძენი, მეცნიერი და მსაბიოლი ერთმანეთს გამაჯვებას ეცილებიან და შეურიგებელ ბრძოლას შეშლილობის ამოოოზით აგვიჩგვენებენ".

ესეის დასაწყისშივე ასეთი მხატვრული ძალით წარმოგვესახება თვალწინ ნამდვილი ნიცშე, ცრურწმენისა და ყალბ წარმოდგენათა გენის განრიდებული, და თანდათან საჩინო ხდება „ზარატუსტრას" ნამდვილი არსიც, „ზარატუსტრასი", რომელიც, ერთი მხრივ, არის სატირა გადაგვარებულ საზოგადოებაზე, ცრუურთიერთობებსა და ცრუმოღვაწეობაზე, ცრუპოლიტიკოსებზე, ცრუფილოსოფოსებზე, ცრუმეცნიერებსა და ცრუპოეტებზე.

ესეი ამ სატირას კალეიდოსკოპურად გვიჩვენებს:

„(ნიცშე) სასაცილოდ იგდებს პოლიტიკოსებს, რომელთაც პატივს სცემენ იმიტომ, რომ ემსახურებიან ბრბოთა ცრუმორწმუნეობას, როგორც შინაური პირუტყვნი, აფვალად იდგამენ მის კეხს, ან პატარა სახედარივით შეებმებიანან დიდი პოლიტიკის ეტლში. დასცინის ფილოსოფოსთ, რომელნიც მოგვაგონებენ ცუდად გახედნილ ველურ ნადირებს და „ბუნაგთან ზაჩოქილ გარეულ ტახებს", სძულს მეცნიერნი და ამსგავსებს მათ „მტვერში გახვეულ ფქვილის ტომრებს". ნაბეჭნავად ცუდათ იხსენიებს პოეტებს, რომელთაც ძალიან ცოტა იციან, ცუდათ სწავლობენ და ამიტომ იძულებულნი არიან იცრუონ..."

მეორე მხრივ კი, „ზარატუსტრა" არის სუფრათი ტირანული სახელმწიფოების მსხვრევისა და ამ ნამსხვრევებზე თავისუფლების აღმოცენებისა, პიროვნებისა და ერის სულიერი ამაღლებისა.

ზარატუსტრას გზა არის არა მხოლოდ მისი გზა, არამედ სიმბოლური გზა ყოველ ადამიანისა.

ზეკაცი, ანუ მაღალი ადამიანიც სხვა არაფერია თუ არა სულიერად გაწმენდილი და ამაღლებული პიროვნება, რომელიც სულიერი ამაღლებისათვის ებრძვის როგორც ფილისტეტული საზოგადოების გადგავარებულ ზნეობას, ასევე საკუთარ ხასიათშიც არსებულ მანკიერებებს, ფსიქიკაში გამჯდარ „პატარა ადამიანს".

„ღღეს პატარა ხალხია მბრძანებელი, — სწუხს ზარატუსტრა, — იგინი ჭკადაგებენ მორჩილებასა და მოკრძალებას, და გონიერებასა და ბეჯითობას, და სიფრთხილესა და გრძელ და სხვა პატარა სათნოებათ....

სძლიეთ ღღეკანდელ ბატონებს, ჰე, ძმანო — ამ პატარა ადამიანთ: ისინი ზეცის უდიდესი ხიფოთია!

სძლიეთ თქვენ, მაღალნო ადამიანნო, პატარა სათნოებათ, პატარა გონიერებას, სიფრთხილეს. ჭიანჭველათა ფუსფუსს, საცოდავ ქმაყოფილებას, უმრავლესობის ბედნიერებას".

ზარატუსტრა გვარწმუნებს, რომ აუცილებელია დავთრგუნოთ ჩვენს ფსიქიკაში არსე-

ბული „პატარა ადამიანი", რადგან ეს არის გზა ამაღლებულისაკენ.

წიგნის ჰუმანისტური პათოსი, ჰუმანისტური კონცეფცია იმდენად მკაფიოა, რომ სადად თუ შეეხედავთ, დაუკვირვებლიც კი მოგვეჩვენება, როგორ უნდა მოხერხებულიყო მისი გაბუნდოვანება.

მიუხედავად ამისა, უაზროზმა ნიცშე თავის იდეოლოგად გამოაცხადა და კიდეც გაუტეხა სახელი. თავის დროზე, კერძოდ, 1946 წელს, ალბათ ამაოდ ცდილობდა თომას მანი დაესაბუთებინა, რომ „ზაროთუსტრა ესეციალ უცბოა ნიცშეს მხატვრული ფანტაზიისათვის". ისევდაც ტენდენციურად ახსნილი წიგნი მთლად მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდა და ამ მოჯადოებულ წრეს ბაშინ თვით თომას მანის დიდი ავტორიტეტიც ვერ გაარღვევდა.

თომას მანის ეს ვრცელი „გამოკვლევა, „ნიცშეს ფილოსოფია ჩვენი" გამოცდილების შუქზე", თავისებური გზამკვლევი ნიცშეს სამყაროში შესაღწევად. ჩანს, უფრო მომაგონლისათვის იყო გამიზნული, როცა ნიცშეს ხელილის ირგვლივ ამტყდარი ალიაქოთი ცოტათი მაინც მინელებიდოდა და ცრურწმენებისაგან თავისუფალი მსჯელობა გახდებოდა შესაძლებელი.

„ეხე იტყოდა ზარატუსტრა" არც პირველი წიგნია, მოჯადოებულ წრეში რომ მოქცეულა, და არც უკანასკნელი.

ამის მაგალითი, სამწუხაროდ, უამრავია და ამ უამრავი მაგალითიდან სანიმუშოდ შეიძლება ნიკოლო მაკიაველი და მისი „მთავარი" გავიხსენოთ. მაკიაველების ზეგავლენის ისტორია მისი არსებობისდაგებ ასევე ასეთივ გზების ისტორიაა, ჯერ კიდევ როდის შენიშნავდა ტომას ელიოტი.

ამ ორი წიგნის ბედი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ოღონდ უნდა ვიხუოგოთ, რომ გერმანელი ფილოსოფოსისა იმდენი საუკუნე არ იყოს გაუგებრობის მსხვერპლი, რამდენი საუკუნეც იტალიელი მოზრავნეა.

მაკიაველიზმი ყველა ლექსიკონსა თუ ცნობარში განიმარტება, როგორც პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, დასახული მიზნის მიაღწევად გამართლებულია ყოველგვარი საშუალების (მკვლელობა, ვერაგობა, ღალატი) გამოყენება. ასევეა დამკვიდრებული ჩვენს ცნობიერებაშიც. მაკიაველიზმის ამგვარი განმარტების მიზეზი უეჭველად არის მაკიაველის ნაშრომების ტენდენციური და ზეგანარული განხილვა და თანაც მისთვის, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს მსოფლმხედველობის ბარიერებია და პოლიტიკური უარინციამის დაბრალება. თარგმანისათვის დართულ ბიოგრაფიულ-კრიტიკულ ნარკვევში ბაჩანა ბერგაძე ღრმად და ფართოდ იკვლევს ამ პრობლემას და ამტკიცებს, რომ „არაფერია უფრო ყალბი, ვიდრე ამნაირი ანალიზი, რადგან იგი მაკიაველიზმის სრული გაუგებრობისაგან ილებს სათავეს"; და „...წინააღმდეგობა ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი მოჯადოებული წრის გარღვევა. მაგრამ ამან შეუძლებელია სიმარილის ძიებასა და ალდაგენაზე ხელი აეგალებინოს.

თავისით არაფერი დადგინდება.

ის დრო. ყ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ გრიშაშვილი

(შტრიხები ლიტერატურული პორტრეტისათვის)

ჩვენი საუკუნის მწერალთაგან ვინმეს იშვიათად თუ რგებია სამწერლო ასპარეზზე ქმედსაოლსთანავე ისეთი გამორჩეული ყურადღება, როგორც იოსებ გრიშაშვილს. მისი შემოქმედება თავიდანვე იქცა ცხოველი ინტერესის საგნად. ლიტერატურული საზოგადოება აღტაცებით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითს საქმიანობას, ეწყობოდა მისი პოეზიის საღამოები, რომლებშიც ქართული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატებიც ღებულობდნენ მზრარად მონაწილეობას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ი. გრიშაშვილის პოეტურ მიღწევებზე გამოჩენილი კრიტიკოსები და ლიტერატურისმცოდნეები გამოდიოდნენ ლექცია-მოხსენებებით.

და მაინც, მიუხედავად ამგვარი საყოველთაო აღიარებისა, ი. გრიშაშვილის შემოქმედებისადმი ახეთ დამოკიდებულებას თან სდევდა საწინააღმდეგო ტალღაც. იყვნენ ისეთნიც, რომლებიც პოეტის მხატვრულ მონაგარს კრიტიკული თვალით შესცქერიდნენ და უარყოფთოად აფასებდნენ. ამ ფენომენ კრიტიკული დამოკიდებულება თითო-ოროლა ავტორით არ შემოფარგლებოდა. ეს თვალსაზრისიც წლების მანძილზე მკვიდრდებოდა და იყო დრო, როცა იგი თითქმის მთლიანად ახმობდა იმ ჯანსაღ ლიტერატურულ აზრს, იოსებ გრიშაშვილს ჩვენი მწერლობის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენლად რომ მიიჩნევდა.

პოეტის შემოქმედებისადმი ასეთი გაორებული დამოკიდებულების სიმწვავე დროდადრო იცვლებოდა. თუ შევეცდებით რაიმე კანონზომიერების მსგავსი გამოკვლევით ამ დამოკიდებულებაში, პირობითად შეიძლება სამი ეტაპი გამოიყოს: პირველი — 1921 წლამდე. ამდროინდელი კრიტიკის შეფასებით, ი. გრიშაშვილი თვალსაჩინო პოეტური ძალაა. მის შემოქმედებით მიღწევებზე აღტაცებით საუბრობენ კიტა აბაშიძე, ხომლელი (რ. ფანცხავა) და სხვები.

მაგრამ აქვე, ამის გვერდით, საძებარი არ არის უარყოფითი ხასიათის წერილებიც. მათ ავტორები ი. გრიშაშვილს მიიჩნევენ კამერული განწყობილებისა და თემატიკის პოეტად, რომლის შემოქმედება ვერც მხატვრული ოსტატობით იქცევს ყურადღებას. ამ შეხედულებას გამოთქვამენ თავიანთ წერილებში ვ. ლომთათიძე, ლ. ნათაძე, დ. კახრამე, „ცისფერყანწელთა" ლიტერატურული ჯგუფის წარმომადგენლები: გ. ლეონიძე, ს. ცირეკიძე, კ. ნადირაძე და სხვები.

დღეს ამგვარი კრიტიკული თვალსაზრისის გამომხატველი მასალები, რომელნიც ათიანი წლების პერიოდული პრესის ფურცლებზეა გაბნეული, ფართო მკითხველისათვის ნაკლებად არის ცნობილი და მხოლოდ სპეციალისტები თუ ამახვილებენ ყურადღებას.

როგორც ამ მასალების გაცნობით ვრწმუნდებით, ლიტერატურული კრიტიკის დამოკიდებულება ი. გრიშაშვილის შემოქმედებისადმი პირველ პერიოდში გაორებულია. ერთნი პოეტს მხატვრული სიტყვის აღიარებულ ოსტატად და ვირტუოზად თვლიან, მეორენი — კამერული ლირიკოსად შემოფარგლულ მელექსედ. თუმცა ამ დაპირისპირების დროს მაინც ვლინდება პირველი თვალსაზრისის უპირატესობა, რაც, გარდა ავტორის შემოქმედებითი მიღწევებისადმი მიძღვნილი წერილებისა, მკითხველია ფარული წრეებში მისი პოეზიის პოპულარობითაც დასტურდება (წარმატებული მონაწილეობა ლიტერატურულ საღამოებში, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლექციო-მოხსენებები და ა. შ.).

ოციანი წლების დამდეგიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან, კი იწყება მეორე პერიოდი ი. გრიშაშვილის შემოქმედებისადმი ლიტერატურული კრიტიკის (აქ, პირველ რიგში ე. წ. — „რაპპული კრიტიკა" გვაქვს მხედველობაში) დამოკიდებულებისა.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად ი. გრიშაშვილმა ბოლოდე ხელორად ვერ შეიცნო რევოლუციის არსი და მიზანდასახულება. იმხანად ჩვენში მიმდინარე დიდმნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისაგან შე-

დარებით განზე მდგომი პოეტისთვის ბევრი რამ გაუგებარი და მოუღებელი იყო. ამიტომაც, თავისი ცხოვრებითაც და შემოქმედებითაც, იგი ერთგვარად გაემიჯნა ამ მოვლენებს და პასიური დუმილის პოზიცია აირჩია.

ეს უყველფერი კი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, განაცხადებული ძალით აგორებულიყო ათიან წლებში გამოვლენილი კრიტიკოზმის ტალღა. ოციანი წლებიდან მოყოლებული 1932-33 წლებამდე დასტამბულ წერილებში ი. გრიშაშვილის შემოქმედება თითქმის ერთსულოვნად არის მონიშნული ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ანომალიურ მოვლენად. ეროტიზმი, პორნოგრაფიულობა, პოლიტიკური სიბეცე, ნაციონალიზმი — აი, ნაწილი იმ ბრალდებებისა, რომელთაც წამდაუწუმს აყენებდნენ პოეტს.

ამ წერილების ავტორება იმდროინდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან; ისინი, რომელთაც არცთუ ისე დიდი დროის განცალკევებულ შემდეგ დიამეტრალურად შეცვალეს თავიანთი პოზიცია პოეტის მიმართ.

იმის მიმეობ, თუ როგორი ხასიათისა იყო იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკის ტონი და გაანწყობილება ი. გრიშაშვილისადმი, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ბენიკო ბუაჩიძე: „დღეს გრიშაშვილი, როგორც პოეტი სავსებით ამოწურული და დახრულებულია. მას მეტის მოცემა აღარ შეუძლია. მისი ლირიკა დღეკანდელ მწერლობაში მოკვდა, მოისპო. მისი პოეზია საბჭოთა მწერლობისათვის ანაქრონიზმია. გრიშაშვილს დარჩენია მხოლოდ უჭრისუფლოს თავის ლეტესებს და მათი ყოფილი „დიდების" სხივებში მოფუნებული ძვლები გაითქოს...

გრიშაშვილი თავიდანვე მეხსნობის და ობიავტელობის მეხსიდეულ იყო. ის რევოლუციამდეც ქალის კაბით შემოფარგლული პოეტი იყო...

გრიშაშვილი საბჭოთა მწერლობისათვის არ არსებობს და არც არავინ აპირებს მის გამოწვევას დავიწყების საფყარიდან... სოციალისტური მშენებლობის პოეზიისათვის გრიშაშვილი საჭირო აღარ არის. ზაგეს მისი ლექსები სრულებით არ სჭირია" (,,მნათობი", 1930, № 1, გვ. 171-172).

,,გრიშაშვილი გამოვიდა პოეზიაში, როგორც წვრილი ბურჟუაზიის, მეხსნობის ყულის მეხაიდეშმე. მან სრულიად განდეკენ პოეზიიდან სამოკლაკო მოტივები. ხელოვნება გრიშაშვილმა ოფოთმიზმად გახადა. მან ეს თვითმიზანი ხელოვნების გამოხატა ეროტიზმში, ფუქსავატური სიყვარულში. მთელი მისი პოეზია — ეს არის „ოქროს ფენი" და „ალეა".

საერთოდ გრიშაშვილის პოეზიის და მსოფლმხედველობის პრიმიტიულ-ინტელიგენტური სახე დღეს მეტად ნათელია. როგორც მსატვრული სიტყვის ოსტატიც, იგი ამოიწურა" (,,მნათობი", 1931, № 1-2, გვ. 223-224).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალი: ,,თამამად შეიძლება ითქვას, რომ ი. გრიშაშვილი თანამედროვე პოეზიაში არაფერს წარმოადგენს. ის მოკვდა როგორც პოეტი. ი. გრიშაშვილს უკვე გაუვარდა ხელიდან კალამი... მტკიცეა არაა, გრიშაშვილი „ჩამორჩა ცხოვრებას, „მისი შემოქმედება გაიყინა, გაშრა—ტრაღიკულად გარდაიცვალა... ი. გრიშაშვილის პოეზია არ დაღუპულა ვაჟკაცურ ბრძოლაში. ის „დაილუპა", როგორც იღუპება ზამთრის წიწილა ქორის მძლავრი შემოქროლვით. ახალ ცხოვრების სხვაები შემოიჭრა და ი. გრიშაშვილის პოეზიაც დადგა.

რასაკვირველია, ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. თანამედროვეობა ახალ ხატკვეას მოითხოვს, ახალ ჰანგებს, კოხტა ფეხების პოეზია უნდა შეიცვალოს კუნთებად ქცეულ მკლავების პროზით... გრიშაშვილმა ესეც არ ისურვა და კიდევაც დაეცა განგმირული არისტოკრატიულ ეროტიკის სამსხვერპლოზე" (,,მნათობი", 1928, № 7, გვ. 242-243).

ი. გრიშაშვილის შემოქმედებისადმი ამდაგვარ დამოკიდებულებას დრომ გასცა საკადრისი პასუხი. მაგრამ დღეს თუ მაინც ვიხსენებთ მას, იმისთვის, რომ ვაჩვენოთ ის წინააღმდეგობანი, რომელნიც წინ უძღოდნა პოეტის შემოქმედებითი ღვაწლის აღიარებას.

1932 წლის 28 აპრილის პარტიულმა დადგენილებამ „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ" დიდი როლი შეასრულა „რაპპელების" მიერ დაშვებული უხეში შეცდომების აღმოსაფხვრელად. ალიკვეთა და უარყოფილ იქნა კლასობრიობის ინტერნაციონალ-ტენდენციური გაგება, რასაც ისინი იჩენდნენ ჩვენი კლასიკური და თანამედროვე მწერლობის მიღწევათა შეფასების დროს.

ეს ყველფერი აქ იმისთვის გავიხსენეთ, რომ ამ დროიდან მოყოლებული თანდათანობით იცვლება დამოკიდებულება ი. გრიშაშვილის პოეზიისადმი. 30-იანი წლების შუახანებიდან ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში თანმიმდევრული სიმტკიცითა და დამჯერებლობით მკვიდრდება აზრი ი. გრიშაშვილის დიდმნიშვნელოვანი პოეტური დამსახურების შესახებ.

პოეტის შემოქმედების ამდაგვარი შეფასება განსაზღვრავს ლიტერატურული-კრიტიკული დამოკიდებულების მესამე ეტაპს, რომელიც დღემდე გრძელდება. ი. გრიშაშვილის, როგორც პოეტის, პოპულარობამ ფართო რეზონანსი შეიძინა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 50-იანი წლები, როცა ყველაზე მეტად ვლინდება ლიტერატურული კრიტიკისა და მკითხველთა ერთსულოვანი სიყვარული პოეტისადმი.

ი. გრიშაშვილის შესაძლებლობანი მთელი ძალით, უპირველეს ყოვლისა, ლირიკაში ვლინ-

დება. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მსოფლმხედველობაცა და სტილური ინდივიდუალობაც საგრძნობ ევოლუციაგაბმას განიცდიდა წლების განმავლობაში, მის პოეტურ სამყაროს მკაფიოდ ახასიათებს რამდენიმე აშკარად გამოხატული ისეთი ნიშანი, რომელნიც საერთოა მთელი მისი მხატვრული მოღვაწეობისათვის.

ამ ნიშნთაგან, ჩვენი აზრით, ერთი უპირველესია მძლავრად გამოვლენილი მგრძნობელობა. პოეტის შთაგონების თავარი დასაყრდენი ფაქიზი ემოციურობით აღბეჭდილი განწყობილებაა.

ი. გრიშაშვილის პოეტური ინდივიდუალობა ეროვნული ფუსკებრივის ნიმუშია. ლიტერატურულ ტრადიციებთან წმერილის განეკიკური კავშირი ხშირად აშკარად ხელშესახებადაც არის გამოვლენილი. ასეთი მემკვიდრეობითი სიახლოვე შეიმჩნევა, მაგალითად, ალარძნების ხანისა და მე-19 საუკუნის ზოგიერთ ქართველ პოეტთან. ი. გრიშაშვილი, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად ე. წ. „ალმასავლური ყაიდის" პოეტია.

ქართველ მგოსანთაგან იგი ძირითადად იმათთან ამყოვანებს მემკვიდრეობით სიახლოვეს, რომლებიც ამ ნაკადს ამკვიდრებენ ჩვენს მწერლობაში. ესენი არიან: ბესიკი; საიათნოვა, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის მუზაბაზები. შემთხვევითი არ გვგონია ის დაინტერესებაც, რომელსაც გრიშაშვილი, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი, ამ მწერალთა შემოქმედების მიმართ იჩენს.

და კიდევ ქალაქური ფოლკლორი. ალბათ, ეს პოეტური ტრადიციები უნდა იქნას მნიშვნელი იმ უმთავრეს და უპირველეს საზრდოდ, რომელიც კვებავს ი. გრიშაშვილის მხატვრულ ინდივიდუალობას. ეს ვლინდება როგორც ოსტატობის სფეროში, ისე სათქმელისადმი შინაარსობრივი მიდგომის რაობაშიც: ლექსის ფორმა, სტატვეიერი ქსოვილის თავისებურებანი, პოეტური სახეების სტრუქტურა, რიტმი და მუსიკალური ინტონაციები, რითმის ნაგიფი ელერადობა, ქალის გარეგნული სილამაზის აღერთოვნებულ ფერი აღწერა, სახოტბო ელემენტების სიჭარბე და ა. შ.

პოეტის ლექსი მუსიკალურად ნატიფია და რაფინირებული. მისთვის უცხოა რიტმის ხორკლიანობა და არამელოდიურობა. „ჩემს სიცოცხლეში ზამბახზე მძიმე არ წარმომთქვამს სიტყვა და ლექსიო", — თავადვე შენიშნა ი. გრიშაშვილმა. აქ კარგად არის გახსნილი მისი პოეზიის ეფონიური სპეციფიკა.

მუსიკალურ დახვეწილობას იგი აღწევს რითმების კეთილშოვანებით და რიტმული ინტონაციების ამდერებულობით. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ დიდი წილი ავტორის ლექსებისა სასიმღერო რიტმიკას ეფუძნება. ი. გრიშაშვილის ლირიკის ვერსიფიკაცია ისეთ სალექსო საზომებს ეყრდნობა, რომელთა თვალსაჩინო სტრუქტურაში მუსიკალური მელოდიის ხვედრითი წილი წამყვასი ადგილის იკავებს.

აქვე უნდა გაესვას ხაზი იმ მრავალფეროვნებასაც, რითაც ეს პოეტური ინტონაციები ხასიათდებიან. პოეტის რიტმული სამყარო მდიდარია, ჰარმონიული და აზრობრივი სიმძიმით შეუზღუდველი. ი. გრიშაშვილის ლექსში, შეიძლება ითქვას, სათქმელი ზედაპირზე ძევს. მისი ლირიკა გვბიძგავს თქმის ხელოვნებით, საყოველთაოდ ცნობილი ეშმაკურებანის ახლებური გამოხატვის იშვიათი უნარით. პოეტს ეხერხება ნაცნობ აზრს ახალი ემოციური დატვირთვა მიანიჭოს. სწორედ ამიტომ არის, რომ ტრადიციული თემები და მოტივები მის პოეზიაში ახალ ემოციურ ელვარებას იძენენ. აქ უნდა ვეძებნოთ ის ეფექტური ზემოქმედების საიდუმლო, რითაც ი. გრიშაშვილის შემოქმედების პოპულარობა განპირობებული.

გარდა ქალაქური პოეტური ფოლკლორისა, ი. გრიშაშვილის პირველ ლექსებზე ძლიერი გავლენა იქონიეს ქართული კლასიკური პოეზიის ისეთმა წარმომადგენლებმაც, როგორებიც არიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იროდიონ ევდოშვილი.

ავიღოთ, მაგალითად, პოეტის ერთ-ერთი პირველი ლექსი „ბრძოლა". მასში მკაფიოდ ვლინდება აკაკისა და ირ. ევდოშვილის პოეტურ ინტონაციათა გამოძახილი. ახალგაზდა ავტორი სათქმელის გამოხატვის დროს აშკარად ენათესავება თავის წინამორბედთ. ამგვარი სიახლოვე ჩანს როგორც ენობრივ-ფრაზეოლოგიურ და რიტმულ-ინტონაციურ მსგავსებაში, ისე ჩანაფიქრის იდეურ-სოციალური გააზრების საერთოობაშიც.

900-იანი წლების რევოლუციურ განწყობილებას, როგორც ამ ტიპის ლექსებიდან არკვევ, საკმაო ზეგავლენა მოუხდენია სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებში ჯერ კიდევ სათანადოდ გაუცნობიერებელ პოეტზეც. მის შემოქმედებაში გამოვლენილი ეს სახძოლო მოქმედებანი უფრო მაშინდელი რევოლუციური მოძრაობის ინერციით გამოხატვის შედეგია, ვიდრე მსოფლმხედველობრივად დასაბუთებული განსჯის ნაყოფი. მწერლის პირველი ნაწარმოებები იმ მისწრაფებებით სუნთქავს და აზარფოთობს, რითაც ამდროინდელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება ხასიათდება. ამიტომაც არის, რომ მკაფიო ინდივიდუალურ ფორმებს მოკლებულ ამ პოეტურ ნიმუშებში განსაზღვრელი ადგილი ჯერ კიდევ მხატვრულ ინერციას უჭირავს.

მრრომელთა ჩაგრულ ცხოვრებაზე ფიქრი, ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, მკაფიოდ გამოხატული სოციალური თვალსაზრდვით მოვლენათა განსჯა-გაანალიზება — ჩვენი რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიისთვის და-

მახასიათებელი ეს ნიშან-თვისებები სწორხაზობრივად ვლინდება ი. გრიშაშვილის პირველ ნაწარმოებებშიც.

მათში, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ ცოტაა ორიგინალურად და თვითმყოფად. დამწყები მწერალი ბევრ რაიმეს იმეორებდეს ლიტერატურული სამყაროდან განუსჯელად, მექანიკურად ღებულობს, მაგრამ თანდათანობით ამგვარ გავლენათა სილრმეში უკვე ჩნდება მხატვრული თავისთავადობის ნიშნები, იძერწება ფერები, იწმინდება და ორიგინალური ტონალობით იგსება პოეტური ხმა.

ქართულ კლასიკურ პოეზიასთან ნათესაურ კავშირს თვის პირველ ლექსებში ი. გრიშაშვილი არა თუ არ ნიღბავდა, არამედ საგანგებოდაც კი უსვამდა ხაზს. ილიასადმი მიძღვნილ ლექს („ლია ბოვეთავაძე მოამკლის") მან, მაგალითად, თავადვე წაიწერა მისივე ლექსის მიბაძვითო. ხოლო „მუშის სიმღერას" ხმვანარად „აკაკიისური" უწოდა. ამ და მსგავს ლექსებში მკაფიოდ ისმის „სამოციანელების" პოეტური ინტონაციები.

ქართველ „სამოციანელებთან" სიახლოვე ვლინდება, აგრეთვე, სათქმელის ალეგორიულ-მეტაფორული გამოხატვის, ჭნოიაც. პოეტის მიერ დახატულ ბუნების სურათებში ხშირად იგი სწორედ ასეთ მარტივად ამოსაცნობ ალეგორიულ აზრს დებს და თავისი დროის საზოგადოებრივ მოვლენებს გულისხმობს.

900-იანი წლების დასასრულიდან ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში თანდათანობით ცხრება აკტიური მოქალაქეობრივ-სოციალური შემართება და სატრფიალო მოტივები კიდევ უფრო იწევენ წინა პლანზე. შესაბამისად იცვლება პოეტური შთაგონების განმსაზღვრელი მიზეზიც ებანიც თუ ადრე პოეტის ლირიკაში გამოხატული სევდა და ნაღველი იმეფმინდელი სოციალური ვითარების შედეგი იყო, ხელ მაღე მისი პოეზიის ნაღველიან კილოს სხვა დასაყრდენი გაუჩნდა —ინტიმური განცდის ნიადაგი ზმილი ტკივილი, სიყვარულში ხელმოცარვა, იმედგაცრუება, ღალატი, ორპირობა, ქალის ცბიერება, სატრფოს გულცივობით გაჩენილი კიეშანი და ა. შ.

ათიანი წლებიდან მოყოლებული, პოეტის შემოქმედებაში სწორედ ეს თემატიკა იჭკვიდრებს მნიშვნელოვან ადგილს. იქმნება ლექსები, რომლებშიც ხან ხორციელი ვნებებითა და ეროტიკით აფორიაქებული პიროვნების განცდებია გამოხატული, ხანაც — ლირიკული ემირის სულის სინაზედ გარდაქმნილი ტრფობის რომანტიკული ბუნება.

აქვე აღსანიშნავია, რომ ი. გრიშაშვილის პოეზიისათვის ამ დროისათვისაც და საზოგადოდაც შედარებით უცხოა ცხოვრებისეულ მოვლენათა ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი განსჯის შედეგად ზმილი სევდა და „აღუსებელი სწყურვილის" ტრაგიზმი, რაც სამყაროს თვითშემეცნების ეამს პიროვნების სულში ბადებს ხოლმე მარტყოობისა და ადამიანურ-უმწეობის მიუსაფარ გრძნობას, გრძნობას, რომელიც ათიანი წლების ქართულ პოეზიაში ჩვენი მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად არის დამკვიდრებული.

ი. გრიშაშვილი კონკრეტული განცდით შემოფარგლული შემოქმედია. მის ლირიკას, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული ტკივილი და სიხარული ასაზრდოებს. ფართო მასშტაბების მომცველი ფილოსოფიური პრობლემატიკა, საწუთროსა და ადამიანის ბედზე ე. წ. „მამლეტური" დფიქრება შედარებით უცხოა მისი შემოქმედებისათვის.

ათიან წლებში ი. გრიშაშვილის პოეზიაში თანდათანობით მომძლავრებულ ე. წ. ხორციელი ვნებათა ღელვის გამომხატველი ლექსების ნაკადს თავის დროზე ლიტერატურული კრიტიკის მძაფრი ალიმეიკა მოჰყვა. ავტორს ბრალად დებდნენ გადაჭარბებულ ეროტიზმსა და გრძნობათა სიშიშვლეს. საკმაოთო განწყობილებას აფუვავებდა ისიც, რომ ზოგიერთი ლექსი მხატვრული ოსტატობითაც ვერ იქცეოდა ყურადღებად. აზრისა და ემოციის ბანალურობას ემატებოდა პოეტური ოსტატობის ზედაპირულობა და ტრაფარეტულობა. ლექსიდან ლექსში მოსაწყენი ერთფეროვნებით გადადიოდა ერთი და იგივე განწყობილება, ერთი და იგივე რიტმულ-მეტრული ინტონაცია, სიტყვიერ-ენობრივი არსენალი თუ სახეობრივი სისტემა.

თანაც, ლირიკული გმირის სანტიმენტალურ გრძნობებს შიგადაშიგ ხელოვნურობისა და ზერელობის ნოტებიც ახლდა თან. სატრფოს ღალატსა და ორპირობაზე ამ გამბედ წუწუნში ყალბი ხმებიც ისმის ხოლმე. სწორედ ამისი შედეგია ის ფაქტი, რომ ავტორის ზოგიერთი ლექსი მოყლებულია სათანადო სიმართლესა და დამაჯერებლობას, ემოცია არ არის გულწრფელი, წინაალმდეგობა ხელოვნურად გამძაფრებული და გაზვიადებული.

რა ნიშან-თვისებებით ხასიათდება ი. გრიშაშვილის ინტიმური ლირიკის მთავარი პერსონაჟი — ქალი? უპირველეს ყოვლისა, ღალატი, ორპირობი, გულცივობით, უნდობლობით, უგრძნობლობით, ცბიერებით, თვალთმაქცობით და ა. შ. პოეტიც ხან წუეველის მას ყოველივე ამის გამო და სიკვდილს ნატრობს, ხან კი, ამ ტანჯვით უზომოდ ბედნიერი, თავდავიწყებით ეტრფის.

ასე რომ, ინტიმურ გრძნობათა გამოხატვის დროს ავტორი თანშემდეგარი არა თუ საზოგადოდ არ არის, არამედ ერთსა და იმავე პერიოდში დაწერილ ლექსებშიც კი. ამ შემოხვევაში ი. გრიშაშვილი უადრესად განწყობილებისეული, კონკრეტული ემოციებით შემოფარგ-

ლული პოეტია, რომელიც ამა თუ იმ სიტუაციაში დამდგარნული შთაბეჭდილების იმპრესიონისტული გამოფლენით ქმნის ნაწარმოებებს.

სწორედ ამაში შედგება ის ფაქტი, რომ ბის ლირიკაში ხაძებარი არ არის გრძნობათა რადიკალური გაორების მაგალითები. სიყვარულთან ბედნიერების მეცხრე ცაზე აფრენილი პიროვნების ალტაცებას ერთბაშად ყველაფერზე ხელ ჩაქნეული კაცის სასოწარკვეთა ცვლის.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას თავად პოეტიც ადასტურებს. „არ შემიძლიან წერა ხანგრძლივი. არ შემიძლია ფიქრი ხანგრძლივად! ამურის კალმით, კალმით სათუთით, შეკმნილ-შეთხზული ჩემი ნაწერი ამ ჩემს გულიდან არის ერთ წუთით ამონახეთქი... ამონაპური“.

ეს სტრიქონები კარგად ვვიჩვენებენ იმას, რომ პოეტის საკრფოალო ლექსებში გამოხატული ეშოიები არსებითად წუთიერი თავდავიწყებისა და გაბაცების ნაყოფი იყო, ვიდრე ხანგრძლივი სულიერი გვემისა და ტანჯვის შედეგი. წუთის სიამოვნება თუ ტკივილი, კონკრეტულ ვითარებაში შობილი განცდების პოეზია —ასეც შეიძლება გავიაზროთ პოეტის მრავალი სატრფიალო ლექსის შინაარსი.

ათიანი წლების შუახანებიდან ი. გრიშაშვილის პოეზიაში საკრძნობლად მომძლავრდა ეროვნულ-მოქალაქეობრივი ტენდენციები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1917 წელს დაწერილი ლექსები. მკითხველი მოწმე ხდება კაბრული არტახებიდან პოეტის შემოქმედების თავდაწეწვისა.

მაგრამ მანამდელ ლექსებშიც რომ საბოლოოდ არ იყო ჩაქცდარი ეროვნულ-პატრიოტული საწუხარი, ამის დასტურად 1912 წელს დაწერილი „საშობლოს ნანგრევებზეც“ იკმარებდა. საქართველოზე, მის წარსულზე, თანამედროვეობასა და მომავალზე ფიქრი უდევს საფუძვლად ამ ლექსს. ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ მოწოდება მისი მოავარი მაცოცხლებელი ნერვი. ნაწარმოების ეროვნული სულისკვეთება, ჩვენის აზრით, შინაგანად ეხმაურება ნიკო ლორთქიფანიძის ცნობილ მინიატურებს: „საქართველო იყოდეს“ (1910 წ.) და „ლიტერატურული სალამი“ (1917 წ.).

ხასხასის ზღვაში მობანავე საშობლოს ხილვა, ქარის ფრთებზე დაფეთეთილი დროშის შრიალი, მაშულისათვის ჩკერდგამეობილი მებრძოლი ჭმრიების სახეები, ჩვენი წარსული დიდების უტტუარი მაცნენი — ძველი მონასტრები და წინაპართა ჯალდამები — ეს ყველაფერი თუ, ერთის მხრივ, პოეტის გულში ეროვნული სიამაყის გრძნობას ბადებს, მეორეს მხრივ, ინის ტრაგიკულ განცდასაც ამბაფრებს, რომ ყოველივე ხაბედისწერად დამკვნარა და დაკნინებულა.

სწორედ აქ, წარსულისა და სინამდვილის ამდაგვარ შეუსაბამობაში ჩნდება საბრძოლო სულისკვეთება, რომელიც ძველი დიდებისა და ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენის რომანტიკულად პათოსით არის გაჯერებული, შემოხვევითი არ არის, რომ ამ მერიოლული ოცნების მხაზრდებელი წყარო ერთგან ალ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ლალატი“ გამხდარა. პოეტის ლირიკაში მწვავედ ფეთქავს სახელისწერად დაკიმული ეს ეროვნულ-პატრიოტული ნერვი, ცოცხლოს მზადყოფნა იმისა, მახვილით ხელში დადგეს ერის ისტორიული თავისთავადობის გადასარჩენად:

...ხოლო როცა სავრთველოს, ისეც
დამწვარ-დატანჯულსა,
უყიდიან მიწა-წყალსა, უგინებენ ენას,
რჯულსა,—
მაშინ მყისვე მაგონდება ანანია თავის
ფიცით
და მსურს მეც ვთქვა: ხანგლის დაკერა
ქართველობამ გულში ვიცით.

ეს მოტივი, ქართველობის ჩაწუხვლისა და დაკნინების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა და სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის ეს იდეა, ი. გრიშაშვილის ათიანი წლების პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაკადია.

ი. გრიშაშვილის პოეტურ შემოქმედებაში დიდი გამოძახილი ჰპოვა 1917 წლის რევოლუციურმა მოვლენებმა, რომელთაც დაუკავშრა მან სამშობლოს თავისუფლებასა და ხალხის ბედნიერებაზე ოცნებათა ახდენის შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლექსი „1917 წელი“, რომელსაც ავტორმა ახალი „მარსელიოზას“ მანგზე დაწერილი სიმღერა უწოდა. პოეტი ფრთაშესხმული საუბრობს იმაზე, რომ მეფის რუსეთის „ორთავიანი ბალწი არწივი“ დაემხო, რომ „აღსდგა, აზავთდა ტანჯული ერი“ და თავისუფალ ცხოვრებას დაედო სათავე, რომ „ფერხი განვიერტყეთ მონების მტვერი“. მისი აზრით, ეს რევოლუცია (იგულისხმება თებერვლის რევოლუცია), რომელმაც „მილეწ-მოლეწა კერპთა ბოშონი“, ქვეყნად დაამყარებს სამართლიანობას.

გ. ტაბიძის „დროშები ჩქარასთან“ ერთად „1917 წელი“ იმდროინდელ ქართულ პოეზიაში ყველაზე ფართოდ და მრავალმხრივად ავლენს ამ დიდ იმედებსა და ეროვნულ-სოციალურ მიზანსწრაფვას, რასაც ჩვენი ხალხი მეფის ხელისუფლების დამხობას უკავშირებდა.

ამ იმედმა კიდევ უფრო შეისხა ფრთები მენშევიკური მმართველობის პერიოდში. პოლიტიკური და სოციალური მოვლენების არსი გაურკვეველი მწერალი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის ფორმალურ ფაქტს. თავისი სანუკვარი ოცნება სამშობლოს თავისუფლებაზე უკვე ახდენილი ეგონა. ამიტომაც 1918 წელს

დაწერილ ლექსში „სიმღერა“ მოწოდებით მიმართავდა ხალხს, თავდადებით ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. თურქთა შემატევისაგან მამულის დახსნის იდეა, რაჰაც ამდროინდელ ქართულ პოეზიაში მძაფრი გამოხატულება ჰპოვა, ი. გრიშაშვილის შემოქმედებაშიც საკმაო სიმწვავით დაისვა.

1917 წელი მნიშვნელოვანი თარიღია პოეტის შემოქმედებაში არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ ამ დროიდან მეტის სითამამით იმსჯერეკა თემატური ერთფეროვნების შემბოჭველი არტახები, არამედ იმითაც, რომ განსაზღვრული ძალით იწყება სწრაფვა პოეტური ფორმების გამრავალფეროვნებისაკენ. გადახალისდა ლექსების რიტმი და მეტრიკა. ავტორი ხშირად მიმართავს სონეტს, ტროიოლეტს და სხვა სალექსო საზომებს. თუ ადრე მის პოეზიაში შაირი იყო გაბატონებული, ახლა შედარებით ფართოდ მყვდრდება ათ და ოთხმეტმარცვლიანი მეტრული სქემები.

ათიანი წლების შუახანებში ი. გრიშაშვილი გატაცებით მუშაობდა მონოგრაფიაზე — „სალითოლოგია“. ფარსულის ფოლიანტებში ჩაერმავებული პოეტი თანდათანობით გაიგება „სიძველისადმი გრძნობამ“. ეს მისწრაფება ერთ-ერთი ძირითადი თემა ხდება მისი ლირიკისა. „ეე შემაყვარდა ძველ წიგნების ნესტი და ეანგი“. — ეს სიტყვები კარგად გამოხატავენ ამ ახალ ტენდენციას, რომელიც ამ წლებიდან მოყოლებული მასთან განმსაზღვრელ ადგილს იკავებს.

ასე თანდათანობით მრავლდება ი. გრიშაშვილის პოეზიაში ლექსები, ფარსულზე ანდამატური ფიქრი რომ ასაზრდოებდა. რამდენადაც დიდია და რომანტიკული სიამაყით სავსე ამ გაუზუნარ მოგონებებზე ოცნება, იმდენად ამოიკრეფაკი ნაკვალევი არის ეაფეკნთილი შეგნება იმისა, რომ თანდროული სინამდვილე ფარსულო დიდების მხოლოდ ფაკი უსიცოცხლო ჩრდილია.

●

ამ ტენდენციურმა დამოკიდებულებამ, რომელსაც ოცდაი წლების ლიტერატურული კრიტიკა ჩრნედა ი. გრიშაშვილის შემოქმედებასდმი, თვალისტერი ზეგავლენა იქონია პოეტის მსოფლმხედველობაზე. იგი ცდილობდა სათანადოდ ახსნნა და გაემართლებინა მისი პოეზიისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის მიერ საკუთარი შემოქმედების პერიოდიზაცია. 1944 წლის გიორგი ჭიპლაძისადმი გაგზავნილ წერილში ის მოუთითებს:

„ამ კრებულში (იგულისხმება პოეტის ერთტომეული, გამოცემული 1944 წელს, ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცი წლისთავზე — ა. ნ.) წარმოდგენილია მთელი ჩემი შემოქმედებითი გზა. მკითხველი ადვილად შეამჩნევს ორ ნაკადს ჩემს ლირიკაში. პირველი ნაკადი — ინტიმურ-სატრფიალო ლირიკა (ეს ყუბა 1905 წლიდან ან თავდება 1920 წელს, ხოლო მეორე, საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მოტივების ნაკადი, რომლის ჩანასახები ჩემს პირველ ტომშიაც გამოკრთის, იწყება 1921 წელს და გრძელდება დღემდე, როგორც გაძლიერებული, გაბატონებული და დამოუკიდებელი მდინარება ჩემს შემოქმედებაში.

...შეადარებს რა ერთმანეთს ამ ორი პერიოდის ლექსებს, მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ რამდენად გაიზარდა იდეურად არა მარტო ავტორი, არამედ მისი მკითხველიც...

ეს წიგნი უამბობს მკითხველს, რომ ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვება ჩემს სამშობლოო საქართველოში იყო აღრეფე ჩემი იდეური და პოეტური დაეუკაცობის დასაწყისი...“ (იხ: გ. ჭიპლაძე, კრ. ეტიუდები, III, გვ. 185).

ციტირებულ წერილში ი. გრიშაშვილის მიერ საკუთარი შემოქმედებით გზის შეფასება, ჩვენის აზრით, ტენდენციურია და ბოლომდე არ შეესაბამება სინამდვილეს. ვფიქრობთ, არ შეიძლება ეაეეთანხმოთ ავტორის კატეგორიულ ტონს იმის თაობაზე, რომ ოცდაან წლებამდე დაწერილ ლექსებში საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი თემატიკა მხოლოდ ჩანასახოვანი ფორმით ვლინდებოდა და ერთადერთ განმსაზღვრელ ნაკადს ინტიმურ-სატრფიალო მოტივები შეადგენდნენ.

ისეთი ლექსების ავტორი, როგორებიცაა: „უაშუბანისაკენ“, „ტრიოლეტები შეიფინანაზარში“, „1917 წელი“, „ალექსანდრე სუმბათაშვილს“, „სამშობლოს ნანგრევებში“, „ტუსაღის სიმღერა“, არ შეიძლება მხოლოდ კაბერული განწყობილებით შემოსაზღვრულ პოეტად მივიჩნიოთ.

ი. გრიშაშვილის მიერ საკუთარი პოეზიის ასეთი ცალმხრივ შეფასებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა იმ დაეინებულმა ბრალდებებმა, რომელთაც ლიტერატურული კრიტიკა უყენებდა მწერალს. ი. გრიშაშვილის ლირიკა მონათლული იყო კამერულ ეროტიკად, პორნოგრაფიად, უმიზნო და უიდეო შემოქმედებად, საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მოვლენებისაგან, გარიყულ მხატვრულ ნაკოდვილარად და ა. შ.

ეს უარმყოფელი ტონი იმდენად მძაფრი და გასწლიანი იყო, რომ, როგორც ჩანს, გარკვეულწილად საკუთარი შემოქმედებითი გზის შეფასების დროს თავად ავტორიც ეი მოექცა ამ ტენდენციური და ვეუდაბრული კრიტიკის გავლენის ქვეშ. სწორედ ამით უნდა ახსნას ის კრიტიკული პოზიცია, რასაც ი. გრიშაშვილი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
იოსეფ ბრიშაშვილი

ოკავეს თავისი რევოლუციამდელი ნაწარმოებებისადმი.

რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ 20-იანი წლებიდან მოყოლებული, მისი შემოქმედების გაბატონებული და დამოუკიდებელი მდინარება ხდება საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მოტივების ნაკადი, თუმცა ეს თვალსაზრისით ეს თუმცა სწორია, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ი. გრიშაშვილის პოეზიაში ორმოციანი წლებიდან თანდათანობით „შეკარად საგრძნობი ხდება პოეტური ენერგიის მხატვრული ხარისხის დადაბლება. აქტიური მოქალაქეობრივი თემატიკის პოეტური გამოხატვა იმ ძალით შედარებით იშვიათად ხდება, როგორც მანამდელი ლექსები ხასიათდებოდნენ.

აშკარაა, რომ თანდათანობით ცხრება მხატვრული წარმოსახვის სიმძაფრე, იშრიტება შემოქმედებითი ფანტაზია, ემპირიული და ინფორმაციული ნაკადი ზომაზე მეტად იკრება ლექსებში, იმატებს პოეტური გამოსახვის ტრადიციულობა და გაცვეთილება ხერხებისა. შესაძლოა მოგვიანო პერიოდის ნაწარმოებები იდეურ-მსოფლმხედველობრივად, მართლაც, უფრო საღი და გამართული იყოს, ვიდრე ზოგიერთი ადრინდელი ლექსი, მაგრამ დაბალია მათი მხატვრული ოსტატობის დონე და ხარისხი.

ასე რომ, მხოლოდ იდეურობის პრინციპის მობილიზებით პოეტის ლვაწლის შეფასება საკმარისი არ არის. თუ ამ იდეურობასა და საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ მისწრაფებებს სათანადო პოეტური ენერგიაც არ მოდგამს, ისე დიდ შემოქმედებითს მიღწევებზე საუბარი გაუმართლებელია.

ამდენად, ქართული კრიტიკაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ი. გრიშაშვილის ნიჭმა სრულყოფილი გამოვლენა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჰპოვა, არ არის სწორი და დაზუსტებას საჭიროებს.

●

როგორც წესი. ი. გრიშაშვილის შემოქმედებაზე დაწერილ ყოველ ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული პოეტის განსაკუთრებული სიყვარული თბილისისადმი. „მე თბილისი მიყვარს,— წერდა პოეტი ერთგან, — ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდმანდფული ბოძვრა, ეს საკარიველოს მორთოლვარე გული, ეს... დასაწყისი და დასასასრული ჩემი არსობისა...“

მსგავსი თვალსაზრისი ავტორს იმდენჯერ და იმდენნაირად გამოუთქვამს, რომ ყველაფერს ვერ გაიხსენებ. მართლაც რომ, თბილისი იყო მისი ლექსის მასწავლებელი, მასაზრდოებელი წყარო და მაცოცხლებელი ძალა. მშობლიური ქალაქისადმი ამ თაყვანისცემის გამოხატვის დროს ელინდება ყველაზე შთამბეჭდავი ძალით პოეტის ენერგია, უფრო ზუსტად, ძველი თბილისისადმი მიძღვნილ ლექსებში.

მართალია, 30-იანი წლებიდან მოყოლებული ი. გრიშაშვილმა მთელი ციკლი შექმნა თბილისის აღმშენებლობის გამომსახველი ლექსებისა, მაგრამ ოსიექტურობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ამ ნაწარმოებებს ნაკლებად მოჰგვანს ის ძალა, სიმძაფრე და პოეტური ხილვის თვითმყოფადობა, რაც ძველი თბილისისადმი მიძღვნილ ლექსებში ვლინდება. ჩვენი დედაქალაქის განსაკუთრებულ საქებრად შექმნილი ნაწარმოებები მხატვრული თვალსაზრისით გაცილებით სუსტია, ვიდრე წარსულის გახუნებული ლაჟვერდიანი ნასაზრიანი ლექსები.

„გამოთხოვება ძველ თბილისთან, ანუ დუდუკის ხაარი ქარს ალარ მოკვნეს“, „ტროილეტები შეიოთანაზარში“, „შუაშუბანისკენ“, „ვენოისუბის ბედი თბილისის ბაზარზე“... მსოფლმხედველობრივი დრამატიზმით სავსე ამ ლექსებს, ჩვენი დედაქალაქის საუკუნეებით ნაკანდაკეული ყოფითი კოლორიტი კვეთავს;

პოეზიის ეპეშარიტი დამფასებელსათვის, მიუხედავად გარკვეული მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობებისა, მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით სწორედ ის ლექსებია, უსარგებლეს ყოველისა, ფასეულია, რომელნიც პოეტის დრამატულ სულიერ მოიკრაფიას გამოხატავენ. ეს ყველაფერი პოეტის სიცოცხლის აზრი და მიზანსწრაფვა იყო, მისი ტკივილი და სიხარული, მისი შთაგონების ძირი და ფესვი.

ამიტომაც გახდა ასე ტრაგიკულად მწველავე ძველთან გამოთხოვებისა და ახლის მიღების პროცესი მისთვის. ამიტომაც არის, რომ თავდაპირველად ამ დაკარგულის, ამ იძულებით დათმობილის შედეგად გულში გაჩენილი ტკივილი გაცილებით უფრო მძაფრი აღმოჩნდა, ვიდრე ახლის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სიხარული. ამიტომაც არის, რომ ოციან წლებში ამ სიძველისადან განდგომა და ახალთან მისვლა უფრო გონების კარნახით გადადგმული ნაბიჯია, ვიდრე რწმენის მოწოდებით მიღებული გადაწყვეტილება.

ეს ყველაფერი შედარებით გვიან, 30-იანი წლების დამდეგიდან იქცა მწვერვალს ნათელ მსოფლმხედველობრივ ორიენტირად. მანამდეკი მისი სატანაო ლექსი — „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ უნდა დაწერილიყო, ლექსი, რომელშიც სიძველისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა გაცილებით მძაფრად ვლინდება, ვიდრე ახლისადმი ნდობისა და თავდადების შეგნება.

> სიძველისადმი გრძნობა, პატივი,
> თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს —
> მიბეგიები, ასე ანდამატივით
> რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.
> მიბეგიები, რატომ არ დაერიდა
> ჩემი ლექსები პოეტთა კიდეს
> და რატომ ვცდილობ ამიერიდან
> ასე თამამად წარსულის ხილვას.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ძველისადმი

ასეთი ერთგულება და ახლის დამკვიდრების პროცესისთვის დაპირისპირებული უნდობლობა არ შეიძლება მხოლოდ იმ დიდმნიშვნელოვანი რევოლუციურ-სოციალური მოვლენების სათანადო შეუფასებლობით ავხსნათ, რაც ჩვენში ხდება ოცაათ წლებში.

ის, რომ საუკუნეობით ნაძირული კოლონიური ინგრეიდა, ის, რომ ძველი ყოფითი ტრადიციების, ადათების, ცხოვრებისეული წეს-ჩვეულებების ადგილზე მხოლოდ ეგზოტიკური ნანგრევები რჩებოდა, მარტო რევოლუციური გარდამქნილის შედეგი როდი იყო. ვითარება იცვლებოდა და ცვლილებათა ამ უელობელ პროცესს მწუობრიდან გამოპკვადა ერთ დროს მთაღელი ყოფითი ტრადიციები, პოეტის მეხსიერებაში რომანტიკული შარავანდით რომ იკუნენ მოცულნი.

რა თქმა უნდა, ამ განახლების უდიდესი ხვედრითი წილი რევოლუციის შედეგად დამკვიდრებულ პრინციპებზე მოდიოდა, მაგრამ ამ ოვისებრივ ძვრებს სხვა შინაგანი კანონზომიერებანიც ედო საფუძვლად. ი. გრიშაშვილი თავისი ამდროინდელი შემოქმედებით ამ რთული ფსიქოლოგიური მოვლენების წიაღში შობილი ემოციების საინტერესო შემგრძნობ-გამომხატველი გახდა.

ი. გრიშაშვილი იმდენად სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული უძველეს ყოფით ტრადიციებთან, რომ მისი მსოფლმხედველობრივი განახლების ყველაზე დიდი სიძნელე სწორედ ამ სიძველთთაგან უკუქცევის პროცესთან აღმოჩნდა დაკავშირებული. ჩვენს მიერ ზემოთ უკვე მოხსენიებული საეტაპო მნიშვნელობის ლექსიც — „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ (1923 წ.) ამ განახლების მსატვრულ აღიარებას წარმოადგენს.

მხატვრული სიმართლითაც იგი ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ნიმუშია ი. გრიშაშვილის ლირიკული პოეზიისა.

ნაწარმოების მსოფლმხედველობრივ დრამატიზმს ორი დიამეტრალურად დაპირისპირებული მხარე განსაზღვრავს: ერთია წარსულის გამჭვალი ფერადებით განპირობებული უსაზღვრო ნოსტალგია და ბედან დამორჩილებული კაცის ალმბარებლური ნაღველიანი კილო — მიმბართული თანამედროვისადმი, რომელმაც არც კი იცის, თუ „ჩვენმა ქალაქმა რა სურათები მოპკრაგა უწინ“, ხოლო მეორე — ის ახალი სინამდვილე, რასაც ამ სამუდამოდ გამქრალი რომანტიკის ადგილი დაუჭერია.

პოეტი ფანატიკურო მოწიწებით იხსენებს წარსული დროების სათუთ სურათებს და ერთბაშად ხსნის ფარდას იმ საიდუმლოს, თუ რა იზიდავს მას ასე თავდავიწყებით ამ სიძველეში.

გარდასული ეკმთა სიღრმიდან ამოზიდულ ამ ნოსტალგიურ ალსარებას, სიმძიმეზრეს ხმენს კოლორიტული შთამბეჭდაობით გამოძერწილი შარიანები უძველესი ყოფისა.

ეს ყოველივე უკვალოდ გამქრალა, სანაცვალოდ კი დარჩა „სევდა წუთამეული“. პოეტს გონებით სურს ამ სევდის განმაჭარავები საფუძველი მოიძებნოს დროის ბერი მოტანილ ცხოვრების ახალ წესში, იწამოს მისი გარდუვალობა, მაგრამ ისიც უნდა თქვას, რომ ამ სიახლეთა სიდიადის პოეტურ აღქმას ჯერ კიდევ არ მოსდგამს ის ძალა, რომანტიკა და სიყვარული, რაშაც ეს „წუთამაქელი სევდა“ დაბადა.

ი. გრიშაშვილის პოეტური სამყაროს დასახასიათებლად საინტერესოა 1920 წელს დაწერილი ლექსი „მაჯამა“. მასში, ერთის მხრივ, მინაშნებებია ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ზოგიერთი თვისებურება, ხოლო, მეორეს მხრივ, რამდენადმე მოცემულია ჩვენი საუკუნის პირველი ოცწლეულის ლიტერატურული ცხოვრების ზეფასება.

აქ, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიყოს აკაკის მიერ დამკვიდრებული ტრადიციებისადმი დამოკიდებულება. როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელმა, მე-19 საუკუნის სხვა კლასიკოსებთან ერთად, განმსაზღვრელი წვლილენა მოახდინა ქართული პოეზიის განვითარების სამომავლო გზებზე. 90-900-იან წლებში, სამოდერნო ახსარეზზე გამოსულმა რევოლუციურ-დემოკრატიული თაობის პოეტებმა, მართალია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ლიტერატურაში სოციალურ-მოქალაქეობრივი მოტივების შემდგომი დამკვიდრების საქმეში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათ ვერ შეძლეს ქართული პოეტური კულტურის თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანა. ბევრი რამ მათ შემოქმედებაში ქართველ „სამოციანელთა“ (უპირველეს ყოველისა, აკაკის) ლიტერატურული ტრადიციებით იყო განპირობებული და შემოსაზღვული, უთუოდ ეს ჰქონდა მხედველობაში ი. გრიშაშვილს, როცა ა. წერეთლის მისამართით ასეთი მოსაზრება გამოთქვა:

თუმც აკაკი ბევრს ჩხუბობდა, დაობდა —
მაგრამ მაინც ქვეი ლიტყვა დაობდა.

დაეიღალეთ ძველი დროშის დაცვითა,
ერთფერობამ გულის კოეზნი დაცვითა.

აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება საკუთრივ აკაკის პოეტური ღვაწლის მოძველება და გაუფასურება, ავტორს, როგორც ჩანს, მხედველობაში ჰყავდა მიმბაძველთა საკმად მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომლის ხელშიც აკაკის ლექსის სინაკეფეი და ლაზათი გაცვდა, დაიშრიტა, პრიმიტივად გარდაქმენა.

იმ დროს, როცა ი. გრიშაშვილის „მაჯამა“ იწერებოდა, ქართულ პოეზიაში ოვისებრივი ძვრები მიმდინარეობდა. ამ განახლების ერთ-

ერთი ღონიერი წარმომადგენელი ამ ლექსის ავტორიც იყო.

ნაწარმოების მეორე ნაწილში პოეტმა სცადა საკუთარი ლიტერატურული პროფილის შეფასებაც მოეცა იმ შემოქმედებით ძიებებთან მიმართებაში, რითაც ხასიათდება ათიანი წლების ჩვენი მწერლობა. ამ თვითშეფასების ამოსავალი დებულება ამგვარად არის ფორმულირებული: „მე ევროპამ სახლში არ შემიწვია...“

ამ პოეტურ აღიარებაში პირდაპირ არის მითითებული იმ არსებით თავისებურებაზე, რითაც აღმოსავლური ლიტერატურული ტენდენციები ნასაზრდოები მისი პოეზია ხასიათდება. ეროვნული ენერგიით დამუხტული ეს ე. წ. „აზიური ნაკადი“ წარმოქმნის ი. გრიშაშვილის პოეტურ ნატურას.

„მაკანში“ გამოცემული ზემოაღნიშნული თვალსაზრისი გაღრმავდა 1922 წელს შექმნილ ლექსში „მე და ევროპა“. მასში კიდევ უფრო დაკონკრეტდა ავტორის შეხედულება ევროპულ და აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციებთან მისი დამოკიდებულების შესახებ.

მიყვარს ლექსის სიცხარე, თემა
აღმოსავლური,
მაგრამ მუდამ მაღელვებს მე ევროპა
სწავლული.

ჩემში ორი გრძნობაა, ორი დაუდევრობა:
სინაზე და სიტლანქე, ტფილისი და
ევროპა.

„მაკანში“ კატეგორიული ფორმით გამოთქმული თვალსაზრისი — „მე ევროპამ სახლში არ შემიწვია“ — აქ, როგორც ეხედავთ, ერთგვარად შეიცვალა. აბჯრად პოეტმა საკუთარი შემოქმედება ამ ორი ნაკადის — აღმოსავლურისა და ევროპული სინთეზად მიიჩნია.

*

როგორც ითქვა, ახალმა ეპოქამ მრავალი სირთულე წამოაჭრა მწერლის წინაშე, რომელთა არსში წყდება გარკვეულ დროსა და დაფიქრებას მოითხოვდა.

გარდა იმისა, რომ ავტორი იმხანად ზოგიერი საკითხში სათანადოდ ვერ ერკვეოდა, ზეგრი მოინტეგრე მისი პოეზიისა კრიტიკის მიერ არასწორად იყო გაგებული და შეფასებული.

ლიტერატურული კრიტიკის ზემოთმოხსენებულმა მცდარმა დამოკიდებულებამ საკმაოდ გაადარიბა პოეტის მხატვრული შემოქმედება ოციან წლებში. უკეტბრივად მან ზურგი აქცია ლირიკას და მეცნიერულ კვლევას მიაყო ხელი. და მაინც, მიუხედავად როიდნობრივი სიმცირისა, ოციანი წლები დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ი. გრიშაშვილის პოეზიაში. ამ დროს დაწერილი პოეტური ნაწარმოებებით მან [illegible] გულისხმო რული შეასრულა ეროვნული ლირიკის განვითარების საქმეშიც.

ი. როგორ ახასიათებს 1931 წელს დაწერილ ერთ ლექსში პოეტი ფილოლოგიური კვლევა-ძიებებთან გატაცებას:

ძმაო პოეტო! ეს წერილი ლექსი არ არის,
შენც კარგად იცი, ლექსებისთვის არა
მცალიან.
მე ჩავიძირე ძველმანების სქელ ნიეარებში,
სადაც ძვირფასი მარგალიტის მადანი
ბუდიან
და მარტოოდენ საქართველოს წარსულით
ცხოვნებენ...

ოციან წლებში წამოჭრილი მსოფლმხედველობრივი პრობლემები, ყოფმანი ძველსა და ახალს შორის, გარდამავალი პერიოდის ფსიქოლოგიური წინააღმდეგობანი დრამატული ფორმით გაიაზრა ი. გრიშაშვილმა ვრცელ ლექსში — „საუბარი ასოთამწყობთან ჩემი წიგნის დაბეჭდვის დროს“. მასში მან მრავალ საკამათო საკითხს მიაქცია ყურადღება და ნათელყო თავისი დამოკიდებულება ჩვენს თანამედროვეობასთან.

ლექსიდან ჯერ კიდევ ნათლად არ ჩანს, რომ ავტორმა საბოლოოდ გადალახა მერყეობისა და ყოყმანის რთული ფსიქოლოგიური ბარიერი.

მე შეიძლება, ვერ ეწერდე ისე,
როგორც შეჰფერის ახალ დროებას —
ამისთვის უნდა მჰხვლეტდეთ სადგისებს
და „თანამგზავრებს“ კუდში მოეკიდე?!
კარგი! ესთქვათ, ლექსი ვერ მოგიძღვენით:
ნუთუ ამიტომ მტერი ვარ თქვენი?..

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტის ეს გულწრფელი თვითკრიტიკული ტონიც კი არასწორად იქნა გაგებული იმფამინდელი კრიტიკის მიერ. ან, როგორ შეფასებას აძლევს ციტირებულ სტროფნებში გამოთქმულ აზრს ბენიტო ბუაჩიძე: „ვინ გთხოვათ, მოქალაქე პოეტო, ლექსს მოძღვნა?.. ვინ რას ეკრნით იმის გულისათვის, რომ ახალ დროებისთვის შესაფერის ლექსს ვერ სწერთ; მზოლოდ შეუფერებელსაც თუ აღარ დაწერთ, ეს სულ უკეთესი იქნება... ანა თქვენ თვითონ სთქვით, ვიღას ესალი ეხლი — „აკაცნის უზალთუნლების“ პოეტი შარავანდედით შემოსოს.

დიდებული საქმე დაგიწყიათ:
ვმუშაობ ჩემთვის ჩუმად და ყუჩად,
ვეძებ არბიენი ყვითელ ციტატებს,
ო, ნუ აიგდებთ ჩემს ნიშს ამუჩად,
რომ დღეს ლექსებში აღარ მიტაცებს...

მშვენიერია, კარგია, საუკეთესო გამოსავალია თქვენი მდგომარეობიდან. არა ბიჭი და ყვითელი ციტატები — „დროთა საზღვარზე შემოლამების ყამს“ — „უკეთესი რა იქნება. ჩვენზე ნუ ვილაპარაკებთ..“ („მნათობი“, 1940,

№ 1, გვ. 173). კრიტიკოსის ტენდენციური პოზიცია აქ იმდენად ნათელია, რომ კომენტარები ალბათ ზედმეტია.

ოცდაათიანი წლების შუა ხანებიდან, როგორც ეჟვე ითქვა, პრინციპიულად იცვლება ლიტერატურული კრიტიკის დამოკიდებულება ი. გრიშაშვილის შემოქმედებისადმი. შესაბამისად, პოეტმაც საბოლოოდ გადალახა ახალ ეპოქასთან დამაკავშირებელი გზაზე არსებული ყოველგვარი ფსიქოლოგიური-მსოფლმხედველობრივი ბარიერი და ამ დროიდან მოყოლილი მისი ლექსების მთავარი თემა თანამედროვეობის სულთმყოფელობის (გმირულ-პერიოდული წარმოსახვა გახდა.

თავისი სიცოცხლის ბოლო ათწლეულში ოსეს გრიშაშვილს ფაქტიურად არ შეუქმნია ისეთი მხატვრული ძალის ნაწარმოები, რომელიც პოეტს შემოქმედებითს ბიოგრაფიას ახალ ფურცს და ელვარებას შემატებდა. ეს ქრონოლოგიური მონაკვეთი რაოდენობრივობის თვალსაზრისითაც არ იყო ხვავიანი.

ეს არის მხლოდ, რომ გრიშაშვილისავე პოეტური სამყაროს ფერადები, მკაფიხველთათვის კარგად ნაცნობი და მახლობელი ლირიკული ინტონაციები თუმცა არა ადრინდელი ძალით, მაგრამ მაინც კვლავ კანიხპარებენ მის ნაწარმოებებში და სათანადო განწყობილებებს აღვივებენ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის პროცესში გამოვლენილი ეს კრიზისი არსებითად განპირობა პოეტის ჯანმრთელობის სერიოზულმა გაუარესებამ. ბოლო სამ-ოთხი წლის განმავლობაში ი. გრიშაშვილს თითქმის არაფერი ალ. დაუწერია, არც ერთი პოეტური სტრიქონი ალარ შეუქმნია.

თავისივე სიცოცხლეში გამოცემული ხუთტომეულის I მეორე ტომში ი. გრიშაშვილმა თავი მოუყარა ის ნაწარმოებებს, რომლებიც მან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ წლებში შექმნა. ეს ლექსები ავტორმა თემატური პრინციპით შეარჩია და დალაგებ. კეთხველი თვალის ერთი ვაგალვლებითაც ნათლად დაინახავს, თუ რით იყო გატაცებული პოეტი, რა ფიქრებდა და აღელვებდა მას თავისი ცხოვრების ამ ოთხი ათწლეულის მანძილზე.

ი. გრიშაშვილის შთაგონების მთავარი წყარო ჩვენი თანამედროვეობა. ისეთი პოეტური ციკლები, როგორებიც არის: „ჩვენ მშვიდობა გვინდა", „საბშლილი და გამარჯვება", „ჩვენი ქვეყანა", „თბილისი", „არმაღანები", „ძმობის ჩუქურთმა", „მხოლოდ სიყვარული", „თქვენთვის, ჩემო ბატარები", „ხალხური კილოზე" — ნათლად მეტყველებენ ავტორის მისწრაფებათა მრავალფეროვნებაზე. ი. გრიშაშვილის პოეზიის ლირიკული გმირი ჯერ-ჯერობით ადევნებს თვალ-ყურს ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს და აჭეროად ეხმაურება მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თავად ელვარე შემოქმედებით ნიჭის პოეტი მრავალი უსაბერო და მივიწყებული ავტორის თავდადებულ პირისუფლად მოგვევლინა. ეცნობი ი. გრიშაშვილის ლიტერატურულ წერილებს და აშკარად გრძნობ იმ ერთგულებას, რითაც იგი მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატთა ვეერდით გატაცებით იკვლევდა და სწავლობდა ფრანგან შემოქმედთა დამსახურებასაც.

ეს თვისება — თავდადებული გატაცება მეცნიერული კვლევა-ძიებით — მისი შემოქმედებითი ბუნების ისევე განმსაზღვრელი ნიშანი იყო, როგორც პოეტური შთაგონება. ვინ იცის, ამ მიმართულებით დახარჯულმა ენერგიამ რამდენი დაუფერფლი პოეტური სტრიქონი შეიწირა. მაგრამ ი. გრიშაშვილის ეს წერილებიც და გამოკვლევებიც მისი ლიტერატურული ღვაწლის ბუნებრივ ნაწილად არის ქცეული. ლიტერატურის ისტორია და თეატრალური ხელოვნება — იმავე ფულში იყო შემოული, რომელსაც პოეტური მუზა მსახურებდა.

●

ი. გრიშაშვილის ბოლო წლების ლირიკაში მკაფიოდ გამოვლინდა საკუთარი შემოქმედებითი ღვაწლის თვითკრიტიკული შეფასების ტენდენცია. პოეტი მოკრძალებულ შეფასებას აძლევს თავის შემოქმედებით მონაგარს და გულწრფელი დაეჭვებით კითხულობს:

წერენს თარიზე ვინ მომიბოავსებს?
ვინ მომიგონებს ცრემლთა თქვენთვის?
ჩემს შესანდობარს ვინ დალეგს სავსე
მამაპაპეულ აზარფეშიდან?

საკუთარი პოეტური ნამოღვაწარისადმი ასეთი კრიტიკული მიდგომა იმ დიდი პასუხისმგებლობის მაჩვენებელია, რომელიც, საზოგადოდ, ახასიათებს ი. გრიშაშვილს, როგორც მწერალს, „თუ ჩემი ლექსის ჯაგარი ერთს მაინც ემახსოვრება, ვიტყვი: უკმად არ გიგლიე ჩემი პატარა ცხოვრება", — წერდა იგი ერთ თავის ლექსში („ეპიტაფია").

სიყვარული, რასაც ქართველი მკითხველი იჩენს ოსიან გრიშაშვილის პოეზიისადმი, იმის უტყუარი დასტურია, რომ პოეტის ლექსის ჯაგარი ეროვნული მწერლობის სანუკვარესო მონაპოვარია, რომელიც ფერგაუფერკნილ ლაპალის მატეხს ჩვენი მწერლობის მრავალფეროვან სამყაროს.

ელგუჯა ხინთიბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის თაობაზე

(ფერილი მეორე)

სიმონ ქართლის მეფის ფერილები ესპანეთში

ქართველთა მეფის კონსტანტინე II-ის ანტიოსმალური კოალიციის შექმნის უშედეგო მცდელობის შემდეგ ერთი საუკუნე გავიდა. ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის საკითხი ისევ დღის წესრიგში იდგა. XVI საუკუნის დამლევს ამგვარი კოალიციის ინიციატივა რომის პაპმა კლემენტი VIII-მ და გერმანიის იმპერატორმა რუდოლფ II-მ ითავეს. მათ წერილებს დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ქართლის მამაცი მეფე, ოსმალეთის დაუძინებელი მტერი სიმონ I. მცირე ანაზაში შეიკრა ანტიოსმალური კოალიცია სპარსეთის შაჰის ახასის, ქართლის მეფის სიმონის და ყახეთის მეფის ალექსანდრეს მონაწილეობით. ქართველებმა ერთვნ მიაპარეს იმედის თვალი იმხანად ძლიერ ესპანეთის სამეფოს, სადაც მეფობდა სახელგანთქმული მეფე ფილიპე II. 1596 წლის აგვისტოში სიმონს წერილები მიუწერია ფილიპე მეორისადმი. უცნობებია ოსმალთა წინააღმდეგ ალმოსავლეთის ხაში მეფის შეკავშირების ამბავი, უთხოვია, რომ კავშირი დაემყარებინა გერმანიის იმპერატორსა და ტრანსილვანიის მთავართან, რომ მათაც დაეწყოთ სამხედრო ოპერაციები თურქეთის წინააღმდეგ.

სიმონ ქართლის მეფის წერილები ფილიპე მეორესადმი ესპანეთში, სიმანკის არქივში აღოცა და ფრანგული თარგმანებითური გამოაქვეყნა არმენისტმა ფრედერიკ მაკლერმა 1920 წელს (1). შემდგომში ამ პუბლიკაციას, და სიმონ მეფის მიმოწერაზე ეურთის სხვა არქივებში დაცულ ცნობებზე დაყრდნობით სიმონ მეფის მოღვაწეობა მრავალგზისი განხილვის საგანი გახდა [ვ. გაბაშვილი (1), ლ. ტარდი (5), ი. ტაბაღუა (4)]. ფ. მაკლერის მიერ სიმანკის არქივიდან სიმონ ქართველთა მეფის მიმოწერასთან დაკავშირებით არსებული მასალიდან გამოქვეყნებული იყო ოთხი დოკუმენტი: სიმონ მეფის წერილი სომხურ ენაზე (ფოტო და ტექსტი ორიგინალის ენაზე ფრანგული თარგმანითურთ — 2, I, გვ. 70-74), სიმონ მეფის წერილი ბერძნულ ენაზე (ფოტო და ტექსტი ორიგინალის ენაზე — 2, I, გვ. 75-76), ძველი ესპანური თარგმანი სიმონ მეფის სომხური წერილისა (ესპანური ტექსტი ფრანგული თარგმანითურთ — 2, I, გვ. 76-80), ძველი ესპანური თარგმანი სიმონ მეფის ბერძნული წერილისა (ესპანური ტექსტი ფრანგული თარგმანითურთ — 2, II, გვ. 85-89). ყველა შემდგომი თარგმანი ან პუბლიკაცია სიმონ მეფის ესპანეთში მიწერილი წერილებისა და მსჯელობა მათზე ფ. მაკლერის გამოქვეყნებულ დოკუმენტებს ემყარება. როგორც ირკვევა, ამიერსიტყვა ფ. მაკლერმა სიმანკის არქივის ხელმეწიფო დოკუმენტების 703-ე შეკვრიდან (ე. ლეგ. 703), გამოაქვეყნა მხოლოდ ის მასალა, რომელიც სიმონის სომხურ ენაზე გაგზავნილი ერთი წერილის ინტერპრეტაციისათვის იყო საჭირო. ამავე საარქივო საქმეში სიმონ მეფის წერილების თაობაზე შენახულია სხვა დოკუმენტიც, რომელზედაც ფ. მაკლერს ყურადღება არ მიუქცევია: ამდენად დღემდე არც ამ დოკუმენტის ტექსტი ეოფილა გამოქვეყნებული და არც მასში დაცული ცნობები გამხდარა ქართველ ისტორიკოსთა განხილვის საგანი.[1]

დოკუმენტი (სიმანკის არქივი ე. ლეგ. 703), რომლის ქსერი ასლი არის ამჟერად ჩვენს ხელთ, წარმოადგენს ფილიპე II-ის სამეფო კარზე შესრულებულ ჩანაწერს, გამიზნულს სიმონ მეფისადმი საპასუხო წერილის შესადგენად. დოკუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი არის სიმონ მეფის ბერძნულ ენაზე გაგზავნილი წერილის მოკლე რეზიუმე და გამიზნულია იმისათვის რომ მოახსენდეს ფილიპე მეორეს, იგი დაწერილია ორ ფურცელზე, მხოლოდ მარცხნივ დატოვებულის საკმაოდ ფართო აშია, თითქმის ნახევარი გვერდის ოდენობისა. მეორე ნაწილი ამ დოკუმენტისა,

1. ამ დოკუმენტს, როგორც ჩანს, იცნობდა ლ. ტარდი, რაც ირკვევა მისი გამოკვლევის ერთი სქოლიოდან (იხ. 5, XXXII, გვ. 158).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც შესრულებულია, როგორც ჩანს, სხვა დროს, არის მინაწერი სწორედ ამ ანაზაღ. იგი უნდა წარმოადგენდეს ფილიპე მეორის პასუხის ჩანაწერს.[1] ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ დოკუმენტის ქართულ თარგმანს.

(ძირითადი ტექსტი):

„რიზუიმე წერილისა მისი უდიდებულესობისა ქართველთა ბატონისა და მთავრის სიმეონისათვის.

რომ არიან რა თვითონ და მისიანები თურქის მოხარკენი, გადაწყვეტეს ალდგნენ მის წინააღმდეგ. რისეანაც მოიწოდა მას იმპერატორმა თავისი წერილებით.

ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეთ აგრეთვე ალმოსავლეთის მთავარს ალეკსანდრეს და შიახეს სპარსელს და სამივე მთავარს მტკიცედ გადაწყვეტილათ იმრძოლონ თურქის წინააღმდეგ და დაამსხვრიონ მისი რეა წმინდა ქალაქის იერუსალიმის და ქრისტიან ხალხთა გახათავისუფლებლად.

და ამისათვის თხოვეს მის უდიდებულესობას გაერთიანდეს იმპერატორთან და არ მისცეს მას უფლება თურქთან დაზავებისა, რათა მასთან ერთად არ წავიდეს მათ წინააღმდეგ.

რომ იგი და მასთან ერთად ყველა დიდი მთავარი მზად არიან დაითმინონ ტანჯვა და აღესრულონ ქრისტიანული რწმენისათვის.

ღმერთო ჩემო, აი, მცდელობა, რათა, როგორც ითქვა, იერუსალიმი და უფლის საფლავი დაბრუნდეს ქრისტიანთა ხელში, რის რწმენაშიც იგი არის მყარი და უცვლელი, რათა ეწამოს და მოკვდეს მისთვის და თქვენი უდიდებულესობისა და იმპერატორისათვის.

რომ თქვენმა უდიდებულესობამ ჩათვალოს იგი ღირსად პასუხისა და მოსმენისა და რომ შეიძლებოდეს პასუხის მიცემა მომტანისათვის.

ასევე ითხოვს, რომ მისი უდიდებულესობა თავისი წერილებით შეუთანხმდეს სპარსეთის მეფეს, რათა საუკეთესოდ განაბორციელოს თავისი კეთილი განზრახვა და დასარულოს საქმე".

(აშიაზე მინაწერი):

„ეპასუხოს მან გამამხნევებელად, რათა გა-

---

[1] დოკუმენტის ძირითადი ტექსტი დაწერილია 2 გვერდზე შედარებით წვრილი კალმით და მკრთალად. იგი შედგება, სათაურის ჩათვლით, 40 სტრიქონისაგან, პირველ გვერდზე მოთავსებულია 24 სტრიქონი, მეორეზე — 16. ნაწერის ზომაა, პირველ გვერდზე 13X26 სმ, მეორე გვერდზე — 13X17 სმ. დოკუმენტის მეორე ნაწილი ანუ მინაწერი შესრულებულია უფრო მსხვილი კალმით და მუქად. ნაწერი მოთავსებულია პირველი გვერდის მარცხენა ნახევრის ზემო მხარეს, ზომით 7X8 სმ., 10 სტრიქონი.

აგრძელონ შეუთანხმობა და გაიგზავნოს წერილი ბერძნულად, ეცნობის რა მოუყვანდა სპარსელს.

ამის ასლი გაეგზავნოს დონ გილიენს, რათა დაეხმაროს მათ იმპერატორის წინაშე.

გაიგებინეთ ამის შესახებ ბერცოგ დე სესას".

ხიმპანეის არქივის სახელმწიფო საქმეების 708-ე შეკრაზეა არის კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც შეიძლება ჩითვალოს ჩვენს მიერ ზემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტის თავფურცლად. მასში აღითქმება იმავე საკანცელარიო ხელით შესრულებული შვიდი სტრიქონი, რომელიც ადასტურებს და აზუსტებს ამ დოკუმენტის ცნობებს. ამ ფურცელზე წერია:

„რიზუიმე ქართველთა მთავრის წერილისა უსასუხა მისმა უდიდებულესობამ ქართველს ბერძნულ ენაზე [.] ივლისს 98 და მიწერა ამის შესახებ ბერცოგ დე სესას და დონ გილიენ დე [.] კლემენტაზ".

გამოქვეყნებული დოკუმენტი, ჩვენი აზრით, ზოგიერთ კომენტარის საჭიროებს.

ამ დოკუმენტის ფურცლებზე ასახულია ესპანეთის მეფის ფილიპე მეორის კანცელარიაში სიმონ ქართველთა მეფის წერილზე გასაგზავნი პასუხის მომზადების პროცესი. დოკუმენტში შემონახულია ის ტექსტები, რომელიც უნდა მოეხსენებიათ მეფისათვის. ტექსტში ჩანს ერთგვარი კანცელარული, თითქოსდა თეზისური სტილი: „რომ არიან რა თვითონ..." „რომ იგი და მასთან ერთად...", „ღმერთო ჩემო, და მცდელობა, რათა... იერუსალიმი და უფლის საფლავი დაბრუნდეს ქრისტიანთა ხელში...". ამავე დროს, აქვე იგრძნობა ერთგვარი ცდა იმისა, რომ ამბის გადაცემამ ხელმწიფე კეთილად განაწყოს ამ წერილისადმი და პასუხი გიეცეს მას: „რომ თქვენმა უდიდებულესობამ ჩათვალოს იგი ღირსად პასუხისა და მოსმენისა და რომ შეიძლებოდეს პასუხის მიცემა მომტანისათვის". ამავე დოკუმენტს შემოუნახავს ჩანაწერი ფილიპე მეორის ბრძანებისა იმის თაობაზე, თუ რა უნდა მიეწეროს ქართველთა მეფეს და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მისი თხოვნის სასაუხოდ. ასე რომ, ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა შემდგარიყო სასასუხო წერილი სამეფო კანცელარიაში. ამიტომაც, ვფიქრობთ, გამართლებულია დოკუმენტის ერთგვარად ბუნდოვანი სათაური: „რეზიუმე წერილისა მისი უდიდებულესობის ქართველთა ბატონისა და მთავრის სიმეონისათვის".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფილიპე მეფეს სიმონის წერილების შინაარსი ბერძნული წერილის მიხედვით მოახსენეს. ყოველ შემთხვევაში, ზემოთ გამოქვეყნებულ დოკუმენტში შეტანილი რეზიუმე ქართველთა მეფის წერილისა სიმპანეის არქივში დაცული სიმონ მეფის

წერილის სამი სხვადასხვა ვერსიიდან (სომხური, ბერძნული და ძველი ესპანური თარგმანი სომხური წერილისა), მისდევს მხოლოდ ბერძნულს. მასში არ არის შენახული არც ერთი სპეციფიკური ცნობა, ან გამოთქმა, რომელიც დანარჩენ ორ ვერსიაში გვხვდება. უველა ის თავისებურება, რაც ბერძნულ ვერსიას ახასიათებს დანარჩენ ორთან შედარებით, გადასული რეზიუმეში. ასე მაგალითად: ქართველთა მეფე სიმონი ამ დოკუმენტში სახელდებული, როგორც „ქართველთა ბატონი და მთავარი", რაც პირდაპირაა ამოღებული სიმონის ბერძნული წერილის ფილიპე მეორის სამეფო კარზე შესრულებული ესპანური თარგმანიდან. (2, II, გვ. 85).[1] ქართველთა მეფის წერილის სამი ვერსიიდან მხოლოდ ბერძნულშია ხაუბარი თოქმა მიმართ ხარის გადახდაზე (იხ. 2, I, გვ. 75, 2, II, გვ. 85). ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტშიც იკითხება: „რომ არიან თვითონ და მისიანები თოქის მოხარკენი". ქართველთა მეფეების მოკავშირე შაპ აბასი სიმონ მეფის სხვადასხვა წერილში სხვადასხვაგვარად იხსენიება. ბერძნულში მას ეწოდება Ἀβαβὶ τὸν Σαφεῖ. ამგვარადვე გადასული ეს სახელი ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ რეზიუმეში. აღმოსავლეთის სამი მეფის გაწარაჯების თაობაზე ფილიპე მეორეს ამგვარად აცნობებენ: „სამივე მთავარს მტკიცედ გადაუწყვეტიათ იბრძოლონ თოქრის წინააღმდეგ და დაამხვრიონ მისი რეა წმინდა ქალაქის იერუსალიმის და ქრისტიან ხალხთა გასათავისუფლებლად". გამოთქმა — — „დაამხვრიონ მისი რეა" — სიტყვა-სიტყვით მომდინარეობს სიმონ მეფის ბერძნული წერილის ესპანური თარგმანიდან და იგი არ ჩანს სიმონ მეფის წერილის არც ერთ სხვა ვერსიაში. სომხურ წერილში ეს აზრი სხვაგვარადაა გადმოცემული: „თოქს ებრძოლეთ მოგებრით" (4. გვ. 228). — „თავი გავუშეშეთ თოქს" (1, გვ. 94), სიმონ მეფის ბერძნული წერილის ეს სპეციფიკური გამოთქმა, როგორც ფ. მაკლერმა შენიშნა, (2, II, გვ. 88), სათავეს ბიბლიიდან, წინასწარმეტყველთა წიგნებიდან იღებს (შდრ. იერემია XLVIII, 25; დანიელი, VII, ბ. 11, 20. 21; VIII, 5. 8. 9. 21; მიქეა, IV, 13).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტი იმითაა, რომ მასში ჩანს ესპანეთის მეფე ფილიპე მეორის გამოხმაურება სიმონ პირველის წერილებზე. როგორც ჩანს, ესპანეთის ხელმწიფეს უთარგი ილი. [illegible] მონ მეფის თხოვნა და სათანადო მითითებანი მისცა თავის წარგზავნილებს იმპერატორისა და პაპის კარზე. კ.ქედან ისიც ჩანს, რომ ესპანეთის მეფეთან თათბირისას გათვალისწინებულია სიმონ მეფის არა მხოლოდ ბერძნულ ენაზე დაწერილი წერილი, არამედ სხვა წერილიც, რომელიც დღესასვინის სიმანკის არკივში მხოლოდ ესპანური თარგმანითა დაცული, რადგანაც მხოლოდ ამ წერილში უამბობს სიმონ მეფე ფილიპეს თავის ურთიერთობაზე პაპთან და სთხოვს თავის მხრივ დაუკავშირდეს მას. ფილიპე მოითხოვს გამამხრეველელი წერილი გაეგზავნოს ქართველთა მეფეს და ბრძანებს, რომ ასული წერილისა გადაეგზავნოს მის წარგზავნილებს იმპერატორის კარზე დონ გილიენ დე კლემენტს, რათა დახმარება აღმოუჩინოს ქართველებს იმპერატორთან ურთიერთობისას. მეფე მოითხოვს, აგრეთვე, ეს ამბავი გააგებინონ ბერეკოვ დე სესსას.[1] მეფის ბრძანების შესრულების თაობაზე გვაუწყებს ამ დოკუმენტის თავფურცელი.

საპასუხო წერილი, მეფის ბრძანების თანახმად, ბერძნულ ენაზე შედგენილი, ფილიპე მეორის სამეფო კარიდან საქართველოში გამოიგზავნა, ალბათ 1598 წლის ივლისში. მართალია, ამ დოკუმენტის თავფურცელზე წერილის გამოგზავნის თარიღი წერია, მაგრამ ძნელი ამოსაკითხია, როგორც ჩიცვნი ამ თარიღისა, ასევე წელი. გარკვევით აკითხება მხოლოდ თვე — ივლისი. გაურკვეველია, მითითებული წელი არის 97 თუ 98. ჩვენ გვგონია, რომ უფრო სწორი უნდა იყოს 98.

სიმონ მეფის წერილები ფილიპე მეორისადმი, როგორც ჩანს, ეთრგაზში უნდა ნელო, თანაბმად მკვლევართა ვარაუდისა (6, გვ. 167) სიმონის ცნობილ დესპანს — სიმეონ ვაჭარს იაკობ ჯულფელს (ეთრგაული წყაროებით მამა ჯაკობი, დონ ჯაკონო, დონ ჯაკობ). იაკობს ჩაუტანია ეთრგაზში არა მარტო ქართლის მეფის სიმონის, არამედ შაჰის წერილებიც. და, შესაძლებელია, კახეთის მეფის ალექსანდრეს წერილებიც. ზოგი წერილი მას მიჰქონდა იტალიაზე, სხვა გერმანიის იმპერატორთან, თუ ტრანსილვანიის მთავართან. სხვა დესპანი, რომელსაც ამ პერიოდში საქართველოდან ევროპაში წერილები მიჰქონდეს, არც ეთრგაზელ და არც ქართულ წყაროებში არ ჩანს. მამა იაკობი კი ეთრგაზში წასულია 1597 წლის დასაწყისში (8, გვ. 288). 1597 წლის ეთრგაზელი გაზეთები საკმაოდ დაწერილებით ცნობებს

---

[1]. სიმონ მეფის ბერძნული წერილი ფილიპე მეორის კარზე უთარგმნია სამეფო კანცელარის თარგმნელს ნიკოლაო დე ლა ტორეს, რაც მიუწერია ამ თარგმანის დასასრულს: „თარგმნილი ნიკოლაო დე ლა ტორეს, ბერძნულიდან ესპანურად სამეფო მთარგმნელის მიერ" (2, I, გვ. 86).

[1]. ლ. ტარდი აზუსტებს, რომ დონ გილიენ სან კლემენტეს წერილი გაგზავნეს პრაღაში, ხოლო პრინც სესსას ვატიკანში. (5. XXXII, გვ. 158).

იძლევიან ეკრიპაში იაკობის ელჩობის თაობაზე. 1597 წლის ივნისში იგი ვენეციაშია, ივლისში ვენაში და შემდეგ პრაღაში. ეკრიპუული გაზეთები პრაღაში მის ყოფნას სქესტმბრის დასასრულსაც კი ადასტურებენ (6, გვ. 170-171). როგორც ზემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, სიმონ მეფის წერილები ესპანეთის სამეფო კარზე განუხლავთ და იქედან საპასუხო წერილები გამოუგზავნიათ ივლისის თვეში, თან, როგორც ამავე დოკუმენტის თანახმად ივარაუდება, სიმონ მეფის ელჩის ესპანეთის სამეფო კარზე ყოფნის დროს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იქნებოდა 1598 წლის ივლისი. მაშასადამე, ზემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს 1598 წლის ივლისში.

სიმონ მეფის წერილთაგან ორი მათგანის დედანი ამეყამად სიმანეის არქივში ინახება (ე. ლეგ. 703). ერთი სომხურადაა დაწერილი, 1596 წლის 14 აგვისტოს, მეორე ბერძნულად იმავე წლის 25 აგვისტოს. ორივეს ამშვენებს სიმონ მეფის ხელწერა და სამეფო ბეჭედი. როგორც ზემოთ მივუთითებდით, იმავე არქივში, იმავე ნომრით, ბერძნული წერილის ძველი ესპანური თარგმანიც ინახება შესრულებული მეფის თარგმნელის ნიკოლაო დე ლა ტორეს მიერ. იქვე ინახება, აგრეთვე, სიმონ მეფის ერთი წერილის ძველი ესპანური თარგმანი, რომელის თავფურცლისაც აწერია, რომ თარგმნილია სომხური ენიდან. ყველა ეს წერილი ფრანგული თარგმანებითურთ, როგორც ადგნშნეთ, გამოქვეყნებული იყო ფ. მაკლერის მიერ. მათი მოკლე შინაარსი და ნაწყვეტების თარგმანი სიმონ მეფის დიპლომატიური მოღვაწეობის მიმიხილვისას, გამოაქვეყნეს ჯერ ვ. გაბაშვილმა (1), ხოლო შემდეგ ლ. ტარიელმ (8, XXXII, გვ. 157—158; 6, გვ. 167—168). სიმონ მეფის სომხური და ბერძნული წერილები ორიგინალის ენაზე (ფ. მაკლერის პუბლიკაციის მიხედვით) და მათი ქართული თარგმანები გამოსცა ი. ტაბალუამ. (4, გვ. 291—294, 222—227). ჩვენ ხელთა გვაქვს ქსერო ასლი სიმანეის არქივიდან ფ. მაკლერის მიერ გამოქვეყნებული სიმონ მეფის წერილის ძველი ესპანური თარგმანისა თავისი თავფურცლითურთ, რომელშიც მიჩნეულია, რომ ეს წერილი თარგმნილია სომხური ენიდან. რამდენადაც ეს წერილი არ ჩრმოადგენს სიმანეის არქივში დაცული და ქართულად გამოქვეყნებული სიმონ მეფის არც სომხური და არც ბერძნული წერილის თარგმანს და, ამავე დროს მასში დაცული ცნობები ავსებს და აზუსტებს დასახელებული ორი წერილის შინაარსს, საქი როდ მიგვაჩნია სრული სახით წარმოვადგინოთ ამ დოკუმენტის ჩვენს მიერ შესრულებული ქართული თარგმანი:

(თავფურცელი):[1]

„თარგმანი ქართველთა მეფის სიმონ[2] ბანაძეს სომხურენოვანი წერილისა.

ამბობს, რომ 14 წელია, რაც განიცდის დიდ ჭირს თურქისაგან და ამისათვის, რომ მისგან გამოვისუფლდეს და დაამხოს იგი და აიღოს იერუსალემი, შეჰკრეს კავშირი მან, მისმა ბიძაშვილმა ალეკსანდრემ, ქართველთა მეფემ და გაშან აბასმა, სპარსეთის მეფემ.

რომ მისი უდიდებულესობა დიეზმაროს მათ, დაამყაროს რა ამისათვის კავშირი მის უფშინდლოობასა[3], იმპერატორსა და ტრანსილვანიელთან, რათა ერთნი ერთი მხრიდან, ხოლო მეორენი მეორე მხრიდან გასტეხდნენ ამ მტრის ძალას.

რომ მათ მისწერეს აგრეთვე ამის შესახებ მის უფშინდლესობას, იმპერატორს და ტრანსილვანიელს და მიიღეს ამ ორი მთავრისაგან პასუხი, რომ დაეხმარებიან ამ ცდაში,

რომ სურთ იცოდნენ განზრახვა მისი უდიდებულესობისა და მიიღონ პასუხი მათ წერილებზე".

(წერილი):

„ყოვლისმძლე ღმერთის იესო ქრისტეს სახელით დაწერილია[3] ორი ამგვარი უსტარი, ერთი ბერძნულად, ხოლო მეორე სომხურად, დიდის მოკრძალებით და ღაღადებით წინაშე თქვენი უდიდებულესობისა, მეფეთ მეფისა და ყველა კათოლიკე ქრისტიან ხელმწიფეთა მეთაურისა, ესპანეთის მეფისა ფილიპესა, ღმერთო, დაიფარე რომელიც და განადიდე სიცოცხლითა და ძალაუფლებითა. მიიღეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ეს უსტარი თქვენი უდიდებულესობის უმორჩილესი მონისაგან, რომელიც მთე-

[1]. ჩვენ პირობითად ვუწოდებთ თავფურცელს სიმანეის არქივის სახელმწიფო დოკუმენტების 703-ე შეკვრაში დაცულ ერთ ფურცელს, რომელშიც ნაჩქარევი საკანცელარიო ხელწერით მოცემულია სათაური და რეზიუმე მომდევნო გვერდზე მოთავსებული წერილისა. სათაური დაწერილია ორ სრულ სტრიქონად, რეზიუმე მის ქვემოთ ვიწროდ, სათაურის ხანგრძლივობა სიგანის 22 სტრიქონზე (ზომა: 7X17 სმ.). საკუთრივ წერილი დაწერილია ცალკე ფურცელზე პროფესიონალი მწერლის ლამაზი ხელით 31 სტრიქონად (ზომა: 19X16 სმ.).

[2] სიტყვები „მის უფშინდლოობასთან" ამ წერილის ფ. მაკლერისეულ პუბლიკაციაში გამოტოვებულია. იგი ხელნაწერში ამიაზეა ჩამატებული სათანადო ჩამატების ნიშნით.

[3] ფ. მაკლერის პუბლიკაციაში იკითხება „ესკრიბი", დოკუმენტში კი იკითხება „ესკრიტო". ამიტომ ეს ადგილი უნდა ითარგმნოს არა „ეწერ ორ ამგვარ უსტარს", როგორც ეს ფ. მაკლერის ფრანგულ თარგმანშია, არამედ „დაწერილია ორი ამგვარი უსტარი".

ლის მოკრძალებით და თაყვანისცემით, რამდენადაც შეშმდებელ კარ, თავს ვხრი ესოდენი კეთილიკეი ხელმწიფის ფერხთით, აღვავე პირთა ჩემთა, რათა ვიუბნო უდიდესი მოკრძალებით, როგორც მსაბური თქვენი უდიდებულესობის ხელმწიფეკეი, თუ თქვენი უდიდებულესობა დამრთავს ნებას მბობისა, თუ როგორ გაგვიცდი დიდი თურქისაგან თოთხმეტი წლის განმავლობაში დიდ ჯირს მე, სიმეონ ხანი, მეფე ქართველთა, და არ მჭონდა აკადი შესაძლებლობა მომეწერა თქვენი უდიდებულესობისათვის, მეთხოვა მოწყალება და დამხარება თურქის წინააღმდეგ. და ამეამად მე და ჩემმა ბიძაშვილმა ქართველთა მეფემ ალექსანდრემ, სპარსეთის მეფე გაშაჰ აბასთან ერთად შეეკრაკინა კავშირი სამივემ თურქის წინააღმდეგ. ამეამად უმორჩილესად ვეეედრები, თქვენს უდიდებულესობას, რათა აგრეთვე შეკრას კავშირი მის უწმინდესობასა და ამპერატორთან. ხოლო ტრანსილვანიელმა ასეეე შემოთავაზა, რომ თავისი მიწისათვის ისიც იომებს. და ამგვარად ინ ერთი მხრიდან და თქვენი უდიდებულესობა მეორე მხრიდან და ჩვენ კიდეე სხვა მხრიდან შეეძლებთ გვეტეხოთ ძალი, რომელიც აქეს თურქს. გარდა ამისა, უმორჩილესად ვეეედრები თქვენს უდიდებულესობას, არ დაუშვას ზავის დადება ამპერატორისა და ტრანსილვანიელისა თურქთან, რამეთუ ეხე არს ეაში, როდესაც შეიძლება გამოვიტაცოთ წმინდა სახლი იესუ ქრისტეს წმინდა რწმენის მტრის ძალაუფლებისაგან. ჩვენ საბთა ხელმწიფეთა, ორმა ქართველმა და ერთმა სპარსელმა გაშა აბასმა, შევფიცეთ მოვკვდეთ წმინდა კავშირში იესო ქრისტეს რწმენის დაცვისათვის და საკუთარი თავლით ვიხილოთ წმინდა სახლი. ღვთის გულისათვის, ღვთის გულისათვის არ დაივიწყოთ ამის შესახებ, თქვენო უდიდებულესობავ, რამეთუ თქვენნი უდიდებულესობა ყოველთვის ეხმარებოდა ტრანსილვანიის ამპერატორს. როგორც ესოდენ კეთილიკეი მეფემ, დაე, იცოდეს თქვენმა უდიდებულესობამ, რომ ტრანსილვანიელი ამპერატორმა ჩვენ მოგვწერა წერილი და აღგვითქვა, რომ იგი ყოველთვის მხარში ამოგვდგება, წარმართავს ომს ერთი მხრიდან, ჩვენ კი — ჩვენი მხრიდან. წერილები, რომლებიც მე მოვწერე თქვენს უდიდებულესობას, რათა მცოდნოდა თქვენი უდიდებულესობის ნება-სურვილი, ეხებოდა ამ კავშირს, ჩვენ რომ შეეკრაკინა ერთმანეთს შორის. ნება-სურვილი ტრანსილვანიელთა ამპერატორისა ჩვენ უკვე ვიცით და დიდი იმედი გვაქვს, რომ დაგვეხმარება, როგორც უკვე თქვა ამის შესახებ. ჩვენ მოვწერეთ სხვა წერილი მის უწმინდესობას და სხვაც გერმანიის ამპერატორს. ღვთის გულისათვის, ნუ დაგვიგვიანებს თქვენი უდიდებულესობა თავისი წერილებთა და თავისი მოწყალებით. იქნებ ღმერთმა ინებოს, რომ წერილები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, რომელთაგან შეეიტყობთ ქრისტიანან ხელმწიფეთა ნება-სურვილებს. სპარსელ მეფეს დიდი სურვილი აქვს ემსახუროს ქრისტიან ხელმწიფეებს დიდი სიამოვნებითა და სიყვარულით. პასუხი ამ წერილზე მიეცეს მომტანს. მოსწერეთო, თქვენო უდიდებულესობავ, წერილი ამპერატორს და შეიტყობს თქვენი უდიდებულესობა, არის თუ არა მართალი, რასაც ჩვენ ვამბობთ. მომწერეთ, თქვენო უდიდებულესობავ, წერილი სომხურ ენაზე და მეორე — ბერძნულად.

ესოდენ კეთილიკეი ხელმწიფეს, ალმაკებულს ყველა ქრისტიან მეფეზე სახელით, ძალაუფლებით და დიდის პატივით, ღმერთი ფარავდეს! წელთა სიმრავლე უფალისწულებს, რომელთა სახელები ჩვენ არ ვიცით!"

გამოქვეყნებული წერილები დაცული ფაქტების სისტორიული მნიშვნელობა კარგადაა გარკვეული ვ. გაბაშვილისა და ლ. ტარდის საგანგებო გამოკვლევებში. აქეკრად ჩვენ, ვაქვეყნებთ რა პირველად ამ წერილის სრულ თარგმანს ქართულ ენაზე, გვინდა უფრადაღება შევაჩეროთ ერთ ჩვენს მოსაზრებაზე. სიმონიკის არქივში დაცული ქართული მეფის სიმონის წერილებისა და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების გაცნობამ ჩვენ მიგვიყვანა იმ აზრამდე, რომ არქივში დაცული ზემოთ გამოქვეყნებული წერილის ესპანური ტექსტი უნდა იყოს სიმონ მეფის ქართულ ენაზე დაწერილი წერილის თარგმანი.

სიმონკის არქივში, როგორც ზემოთ აღვნაშნეთ, სიმონის ხელმოწერით და ბეჭდით ორი წერილია დაცული — ერთი ბერძნული და მეორე — სომხური. ამავე არქივში ინახება ორი ძველი ესპანური თარგმანი სიმონის წერილებისა. ერთს თავფურცელზე აწერია: თარგმნილია სომხურიდან, მეორეს ბოლოში აქვს მითითება: თარგმნილია ესპანურად სამეფო კარის ბერძნული ენიდან მთარგმნელის მიერ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იყო ის დასკვნა, რომელიც ამ წერილების აღმომჩენმა და პირველმა პუბლიკატორმა ფ. მაკლერმა გაკეთა: სიმონს წერილები ორ ენაზე გაუგზავნია — სომხურად და ბერძნულად; ქართველთა მეფემ „სომხურ წერილს თან დაურთო მისი ბერძნული შესატყვისი ინ შემთხვევისათვის თუ ესპანეთის სამეფო კარზე სომხურს ვერ გიგებდნენ" (2, გვ. 70). ეს აზრი დამკვიდრდა ქართულ სისტორიო მეცნიერებაშიც (4, გვ. 160) და გამოქვეყნდა კიდეკ სიმონ მეფის ფილიპე მეორესადმი მიწერილი ორი წერილი: სომხური და ბერძნული, თანამედროვე ქართული თარგმანებითური (4, გვ. 222—227, 291—294).

სინამდვილეში, როგორც ზემოთ აღვნაშნეთ, სიმონკის არქივის მასალებში სიმონ მეფის სამი სხვადასხვა წერილის ტექსტი ჩანს დაცული: ერთია სომხურ ენაზე 1596 წლის 14 აგვისტოს

დაწერილი წერილი, სიმონ მეფის ხელმოწერითა და ბეჭდით შემკული, მეორე — 1596 წლის 25 აგვისტოს დაწერილი წერილი ბერძნული ენაზე, ასევე სიმონ მეფის ხელწერითა და ბეჭدით; ამ წერილთან ერთად აქვე ინახება მისი ესპანური თარგმანიც. მესამე წერილის (ჩვენს მიერ ზემოთ გამოკვეყნებულის) დედანი არაქვეშა არ იმყოფება. მაგრამ შენახულია მისი ესპანური თარგმანი. სამივე წერილი ერთსა და იმავე ცნობებს აწვდის ესპანეთის მეფეს, ერთი და იმავე სათხოვარით მიმართავს. როგორც ჩანს, სიმონ მეფეს ესპანეთის სამეფო კარზე ერთდროულად სამ სხვადასხვა ენაზე დაწერილი წერილები გაუგზავნია. ორი მათგანი დაწერილი იყო უცხოურ ენებზე (ბერძნულად და სომხურად), რათა ერთ-ერთ მათგანს მაინც ესპანეთის სამეფო კარზე წამკითხველი გამოსჩენოდა და მეფის ხელმოწერით და ბეჭედდასმულ ტექსტს საბუთის ძალა ჰქონოდა (იხ. 5, XXXII, გვ. 157). ამდენად მოუფიდნელია, რომ ამ ორ წერილთან ერთად გაგზავნილი და იმავე ცნობების შემცველი შესამე წერილიც იმავე უცხოურ ენებზე აოფიციალურ დაწერილი.

ეს თვალსაზრისი დასტურდება ზემოთ გამოკვეყნებული წერილის ტექსტიდანაც. სიმონ მეფე წერილის შესავლშივე ატუმბინებს ესპანეთის მეფეს: „დაწერილია ორი ამგვარი უსტარი, ერთი ბერძნულად, ხოლო მეორე სომხურად...“ ალბათ, ამ სიტუვებიდანაც გამოიტანეს ის დასკვნა, რომ სიმონმა ორი ანალოგიური წერილი გაგზავნა ესპანეთში — ბერძნული და სომხური.[1] მაგრამ ეს დასკვნა სწორი იქნებოდა ამ შემთხვევაში, რომ ესპანეთში ჩასულიყო მართლაც ორი წერილი და ორივეს შესავალში აკითხებოდეს ზემოთ დამოწმებული სიტუვები. სინამდვილეში ესპანეთში ჩასული ჩანს სამი წერილი. მხოლოდ ერთის შესავალში აკითხება ეს სიტუვები, ხოლო დანარჩენი ორი მართლაც სომხურად და ბერძნულადაა დაწერილი. ე. ი. ქართველთა მეფე სამ ენაზე აგზავნის წერილს. ერთს თავის საკუთარ ენაზე წერს და მასში იმოწმებს ორ უცხოურ ენაზე შეპარულებულ წერილს, რომელსაც ესპანეთის სამეფო კარზე დოკუმენტის მნიშვნელობა შეეძლება მიენიჭოს. რომ ეს პირველი წერილი ქართულად არ იყოს დაწერილი, რომ ისიც რომელიმე უცხოურ ენაზე იყოს (მოსალოდნელი იყო ლათინურად) შედგენილი, მაშინ მასზე, როგორც დოკუმენტის მნიშვნელობის მქონეზე, მითითება იქნებოდა სხვა რომელიმე წერილში.

სიმონ მეფის მიერ ქართულ ენაზედაც რომ იყოს მოსალოდნელი ესპანეთში წერილის მიწერა, ეს მკვლევრებს შეეიმნელი ალ. ტარდი წერდა: „თავის დიპლომატიურ მიმოწერაში მეფე სიმონი იყენებდა, გარდა ქართველურისა, ბერძნულსა და სომხურ ენებისა“ (5, XXXII, გვ. 157). ვ. გაბაშვილიც ეარაულობდა: „საფიქრებელია, რომ ესპანეთში სიმონურ და ბერძნულ ტექსტებთან ერთად ქართული ტექსტიც გიგზავნია“ (1, გვ. 98).

სიმონ მეფის მიერ გაგზავნილი სამი წერილის ერთმანეთთან შედარებაც, ჩვენი აზრით, იმას ადასტურებს, რომ ჩვენს მიერ ზემოთ გამოკვეყნებული წერილი ქართულად უნდა კოფილიყო დაწერილი. ამას გვფიქრობენებს შემდეგი გარემოებანი: ზემოთ გამოკვეყნებული ტექსტი სხვა ორ წერილთან (სომხურსა და ბერძნულთან) შედარებით გამოირჩევა მეტი უშუალობით, მასში უფრო მეტადაა ფიქრობილი აღმოსავლეთი მეფის თავმდებლური დამოკიდებულება დასავლეთის დიდი კათოლიკე ხელმწიფისადმი. მეფისადმი მიმართვისას ტაიიერი აღმოსავლური მიკერბოლიზაცია, მიკერბოლიზირებულ პასუხთა ხშირი განმეორება. ამ თვალსაზრისით ბერძნული და სომხური წერილები უფრო ზომიერია. ამასთან, მათში უშუალობაც ერთგვარად წარბოცილია ამ ორ წერილში. არ იკითხება ზემოთ გამოკვეყნებული ტექსტების ზოგიერთი ინტიმური პასუხი: ჩვენი თუოქვეთან ურთიერთობის გამო თოთხმეტწლე

ქრისტეს რწმენის მეფეთა შორის, მბრძანებელთა შორის უღვთიერებესი ფილიპე. ...უბარველესად მდაბალად მოვიდოდეს თავს შენს ფერხთა წინაშე" (ª, გვ. 224).

ქართული (სავარაუდო): „...დიდის მოკრძალებით და ღაღადებით წინაშე თქვენი უდიდებულესობისა, მეფეთ მეფისა და ყველა კათოლიკე ქრისტიან ხელმწიფეთა მეთაურისა, ესპანეთის მეფისა ფილიპესა... მთელის მოკრძალებით და თაყვანისცემით, რამდენადაც შემძლებელ ვარ, თავს ვხრი ესოდენ კათოლიკე ხელმწიფის ფერხთითა...".

მეორეც, როგორც სავარაუდო ქართული წერილის დასაწყისიდან ჩანს, როდესაც ეს უკანასკნელი იწერება, სომხური და ბერძნული წერილები უკვე დაწერილია. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ეს წერილი ახალი ფაქტობრივი მასალითაა შეფსებული. იგი დიპლომატიური ურთიერთობის ისეთ ფაქტებზე მიუთითებს, რომლებიც სომხურ და ბერძნულ წერილებში არ ჩანს. ამითაც იგრძნობა უშუალოდ მეფისეული პოზიცია, მის მიერ შეფსება უკვე დაწერილი წერილებისა. ასეთია ამ უკანასკნელი წერილის მითითება ქართველთა მეფის ურთიერთობაზე მის უწმინდესობა რომის პაპსა და ტარსისლანთის მეფესთან (ტეკსაში მას იმპერატორი ეწოდება) და შესაბამისად თხოვნა ფილიპე მეორესთან მათთან კავშირის დამყარების თაობაზე. სიმონ მეფე ამ უკანასკნელ წერილში გარკვეული მოუთიფოებს ესპანეთის ხელმწიფეს, რომ წინა წერილებში (ბერძნულსა და სომხურში) მას სამოკავშირის ამბავზე სწერდა, აწკერად კი ტარსისლანიის მთავრთან, რომის პაპსა და გერმანიის იმპერატორთან ურთიერთობის ამბავს ატყობინებს: „წერილები, რომლებიც მე მივწერე თქვენს უდიდებულესობას, რათა მცოდნოდა თქვენი უდიდებულესობის ნება-სურვილი, ეხებოდა ამ კავშირს, ჩვენ რომ შეკავალთ ერთმანეთს შორის".

ზემოთ გამოქვეყნებული წერილის თავდაპირველად ქართულად დაწერის ფაქტზე მიუთითებს, ჩვენი აზრით, კიდევ ორი რიგი გარემოება:

ხაარსეთის შაჰის სახელი სიმონის ბერძნულენოვანი წერილის მიხედვით არის „შიაბს", სომხურის მიხედვით „აპაპს", სავარაუდო ქართულის მიხედვით სწორედ ის, რასაც ამ მეფეს საქართველოში უწოდებდნენ: „აბასს".

სომხურ და ბერძნულ წერილებში ქართველთა მეფეები სიმონი და ალექსანდრე სხვადასხვა წოდებით იხსენიება: სომხურში — სიმონი, ხანი გურჯისკანისა; ალექსანდრე, ხანი ლეკანდინოსა (აღმოსავლეთისა). ბერძნულში — სიმონი, ქართველთა მთავარი; ალექსანდრე, აღმოსავლეთის მთავარი (ან განმგებელი). სავარაუდო ქართულ ვარიანტში კი სიმონიც და ალექსანდრეც დასახელებულია იმგვარად, როგორც მათ საკართველოში უწოდებდნენ სიმონ ხანი, მეფე ქართველთა და ალექსანდრე, მეფე ქართველთა.

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ზემოთ გამოკვეულებული ქართული ტექსტის სიმპატიის არქეიზმი დაცული ესპანური დედანი წარმოადგენს სიმონ მეფის მიერ ფილიპე მეორისადმი ქართულ ენაზე გაგზავნილი წერილის თარგმანს, შესრულებული ფილიპე მეორის სამეფო კარზე. როგორც ჩანს, ზორეულ ესპანეთში მიმავალ ელჩს სიმონ მეფემ ქართულად დაწერილ წერილთან ერთად გაატანა თავისი ხელწერითა და სამეფო ბეჭედით დადასტურებული სომხური და ბერძნული წერილები, რომ მეფის წერილის წაკითხვა ესპანეთის სამეფო კარზე შესძლებოდათ, რომ მის მიწერილს დოკუმენტის ძალა ჰქონოდა. სიმონი ფიქრობდა, რომ ესპანეთის კარზე, გარდა ბერძნულისა, სომხურის მცოდნეც იქნებოდა. ამიტომ სთხოვდა ფილიპე მეორეს: „მომწერეთ, თქვენო უდიდებულესობავ, წერილი სომხურ ენაზე და მეორე — ბერძნულადო", როგორც ჩანს, სიმონ მეფე მაინც ცდებოდა. ესპანეთის სამეფო კარზე სომხურად მიწერილი წერილი არ უთარგმნიათ. ყოველ შემთხვევაში, ამ მიწერ-მოწერის დოკუმენტებში დაცულია ბერძნული წერილის ძველი ესპანური თარგმანიც, მაგრამ სომხური წერილის თარგმანი არ ჩანს. როგორც ზემოთ გამოკვეულებული მასალიდან ირკვევა, მეფესთან ქართველთა ამბის მოხსენებისას საზოგადოდ არ დაურდნობიან სომხურენოვან წერილს. არც ფილიპე მეფეს ჩათვლია საჭირად საქართველოში წერილის სომხურად გაგზავნა. ზემოთ გამოკვეულებულ დოკუმენტში იკითხება: — მეფემ ბრძანა, „გაგზავნოს წერილი ბერძნულადო". მეორე მხრივ, სიმონი არ ცდებოდა, როდესაც ესპანეთის სამეფო კარზე სამეფო ბეჭედასმულ უცხოურ ენაზე დაწერილ წერილებს გზავნიდა. ფილიპე მეფის კარზე ბერძნული წერილი სამეფო კარის ბერძნული ენიდან მთარგმნელის უთარგმნია და სამეფო კანცელარია სწორედ ამ წერილს დაურდნობია, როგორც დოკუმენტს. სწორედ ბერძნული წერილის შინაარსი მოუხსენებიათ მეფისათვის. თუმცა, როგორც მივუთითებდით, ისიც ჩანს, რომ მეფესთან თათბირისას ზემოთ გამოკვეულებული წერილიც გაუთვალისწინებიათ.

ასახსენები რჩება ერთი ფაქტი: რატომაა ჩათვლილი სიმონის ქართული წერილის თარგმანი საარქივო მასალაში სომხური ენიდან შესრულებულ თარგმანად? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თარგმანი ქართული წერილისა ესპანეთის სამეფო კარზე შესრულდა სომხური ენის მეშვეობით თვითონ ელჩის (ლობათ სომეხი ვაჭრის იაკობ ჯულფელის) დახმარებით, რაც ასახავ კიდევ ზედწარერწმენი. შეიძლება სხვა ვარაუდიც: ჩვენს მიერ ზემოთ გამოკვეულებუ-

ლი წერილი სიმონკის არქივში იკითხება ცალკე ფურცელზე. მასში არ წერია, რომელი ენიდან ითარგმნა იგი და ვის მიერ. შემდეგ მას თავზე დართული აქვს თავფურცელი, რომელშიც ნაჩქარევი ხელით სამეფო კანცელარიის მიერ წერილის რეზიუმეა გაკეთებული და მითითებულია, რომ იგი სომხურიდან ითარგმნა. ვფიქრობთ, მას შემდეგ მოხდა შეცდომის დაშვება, როდესაც თარგმანი მთარგმნელს დაშორდა. მეფის კანცელარიაში აღმოჩნდა ბერძნული წერილი და მისი ესპანური თარგმანი, სომხური წერილი და სხვა ესპანური თარგმანი, რომელშიც წერია, რომ წერილები სომხურად და ბერძნულად დაიწერაო. ბუნებრივია, სამეფო კანცელარიის მოხელეები ჩათვლიდნენ, რომ ეს უკანასკნელი იყო სწორედ იქვე არსებული სომხურენოვანი წერილის თარგმანი.

კითხვას იმის თაობაზე, თუ სადღა გაქრა ქართულად დაწერილი წერილი, ჩვენი ეჭვით, უმჯობესია ვარაუდებით ალარ ვუპასუხოთ.

ამგვარად, როგორც ირკვევა, სიმონ მეფისა და ფილიპე მეორის დიპლომატური ურთიერთობა ორმხრივი იყო. ესპანეთის სამეფო კარზე სიმონის თხოვნაც უურად ულიათ და პასუხიც გამოუგზავნიათ საქართველოში. მაგრამ სიმონ მეფის სურვილებს განხორციელება არ ეწერა. გარდა იმისა, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი ობიექტური ხელისშემშლელი მიზეზები, სიმონ მეფეს ბედიც არ სწყალობდა. ესპანეთის სამეფო კარიდან სიმონის წერილებზე პასუხების გაგზავნიდან ორიოდე თვეში, 1598 წლის 18 სექტემბერს, თავის რეზიდენციაში, ესკორიალის სამეფო სასახლეში, ხანგრძლივი და მტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ ფილიპე მეორე გარდაიცვალა.

მითითებული ლიტერატურა:

1. ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. 31, თბ., 1954, გვ. 59-128.
2. ფ. მაკლერი, შენიშვნა სომხურ ხელნაწერებზე: „რევიუ დეზ ეტიუდ არმენიენ“, ტ. I, ნაწ. I, გვ. 68-80; ნაწ. II, გვ. 85-89 (ფრანგ. ენაზე).
3. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1981.
4. ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბ., 1983.
5. ლ. ტარდი, საქართველოს მეფე სიმონ I მისი დროინდელი ცენტრალური ევროპის წყაროების შუქზე: „რევიუ დე კარტელოლოჟი“, ტ. XXXI, 1973, გვ. 187-206; ტ. XXXII, 1974, გვ. 147-174 (ფრანგ. ენაზე).
6. ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტი მსახიობი

რუსთაველის თეატრის მსახიობზე, გიორგი გეგეჭკორზე უამრავი წერილია დაწერილი, დაწერილია წიგნიც... და მაინც, ჯერ კიდევ არ დაკმაყოფილებულა მის ხელოვნებაზე და პიროვნებაზე მსჯელობის სურვილი.

გიორგი გეგეჭკორი ახალგაზრდა შემოქმედთათვის საინტერესო ადამიანთა რიცხვში შედის, რაც ნამდვილი ხელოვანისათვის უძვირფასესი ჯილდოა. ახალგაზრდები ხომ ჯერ არ არიან ცხოვრებისეული წვრილმანებისაგან დამძიმებულნი და შეუძლიათ მთლიანად მიეცენენ ამაღლებულ მიზნებს. მათ არც უმაღლესი ხელოვნების კრიტერიუმები დაგიწყუბა ელით, ვინაიდან საშუალება აქვთ შემოქმედებითი ცხოვრების შუაგულში იტრიალოს. არავითარი ძალა არ უბიძგებთ აქედან ამოგდებისათვის და, ბუნებრივია, ინტერესდებიან მხოლოდ იმით, რაც ღირსია უურადღებისა. სწორედ ამიტომ არის მათი ინტერესი მიუკერძოებელი ჯილდო. მას ყველა ვერ იმსახურებს და ვერც ისეთ სიყვარულს, რიდს და პატივისცემას იწვევს, როგორითაც გოგი გეგეჭკორი სარგებლობს. რატომ? რა გაარნია რუსთაველის თეატრის ამ მსახიობს ასეთი?

I — დამოკიდებულება პროფესიისადმი:

„— ამ ბმულსტონი, ნერვიული, მაძიებელი, უალრესად მომხიბლველი, იშვიათი სცენური ორატორია და შვენიერი პარტნიორისათვის თეატრი ყველფერია — მისი ფიქრებისა და ოცნების საგანი. იგი უერთგულესი ენთუზიასტი იყო ჩვენი ჯაფის საქმიანობისა". ასე გაიხსენა გ. გეგეჭკორი მ. თუმანიშვილმა მასთან მუდმივი შემოქმედებითი კავშირის გაწყვეტიდან 8 წლის შემდეგ. ვინც მიხეილ თუმანიშვილს არ იცნობს, შეიძლება ეს სიტყვები უკვე ტარაფიცად ქცეული რიგითი ნაჭერი სიტყვის ნაწილად მიიჩნიონ. შესაძლოა, ყველას არ ახსოვდეს, რომ გოგი გეგეჭკორი საქართველოში უკვე ხანდაზმულებელი და აღიარებული მსახიობი იყო, როცა ფართო მაყურებელს მკლის როლის შემსრულებლად მოევლინა. მას არც ჩურჩიტი, კოლეოტკებში გამოწყობილი დემეტრიუსის თამაში უთაკილია და არც ბიგრან გულოიანზე უოქვამს უარი იმის გამო, რომ იგი კაცის მკვლელი იყო... ზოგიერთის აზრით, ასეთი „უცნაურობა" მხოლოდ იმ მსახიობს მოუვა, ვისთვისაც სცენა თავის გამოჩენის საშუალება არ არის, რომელსაც მიღწეული კეთილდღეობის შენარჩუნება არ აშოძრავებს, რომლისთვისაც არც ლეგენდარული ადამიანის მოპოვებული სახელის შენარჩუნებაა თავარი! ბარათაშვილის განსახიერების შემდეგ გ. გეგეჭკორს ხომ სწორედ ასეთად რაცხდნენ. მისთვის კი ეს სახე მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა, რთული წინააღმდეგობებით სავსე ბიოგრაფიის დასაწყისი, თუმცა ეს — ფართო მაყურებლისთვის; თეატრალებისთვის კი მისი გაცნობა უფრო ადრე — ინსტიტუტიდან დაიწყო. გ. გეგეჭკორი უკვე მაშინ იყო პროფესიული პრობლემების გადაჭრით დაინტერესებული, ებრძოდა საკუთარ ფიზიკურ თუ პიროვნულ თავისებურებებს, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ შემოქმედებით მუშაობაში.

1959 წელი... რუსთაველის თეატრში შემოქმედებითი ბრძოლები მიმდინარეობს. უკვე დადგმულია „ჭარიშვილის წინ", სადაც მ. თუმანიშვილმა ფიზიკურ მოქმედებათა კანონი მოიშველია, დადგმული იყო ახალგაზრდობისათვის პრიმიტიული მნიშვნელობის, რეპერტუარის გარეშე სპექტაკლი „ადამიანები, იყავით ფხიზლად", ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი", რომლის რეპეტიციებზე იმპროვიზაციით მუშაობდნენ, კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა", რომლის შემდეგაც მ. თუმანიშვილმა გამოაქვეყნა წერილი „გ. გეგეჭკორი ექვთიმე ჭალამაძის როლში". სწორედ ამ დროს ა. ხორავა, მსახიობთა ძველი თაობის ერთ-ერთი ლიდერი, საკვანძო მნიშვნელობის თეატრალურ ეურნალში გ. გეგეჭკორის შესახებ წერდა:

„ინსტიტუტში თვალნათლივ იზრდებოდა, ავლილდა ბუბერიგ ნიჭს. გაკრა დაჯიშულობა, ხმა განმტკიცდა, ხავერდოვანი გაუხდა ყველა რეგისტრში. განუვითარდა სმენაც. დაიწყო სიმღერა, ცეკვა, რთული ფიზკულტურული ვარჯიშების შესრულება. გახდა სპორტსმენი. მის მიერ შესრულებული ეტიუდები და ნაწყვეტები დიდი შემოქმედებითი ნიჭიერებით იყო აღბეჭდილი.

აწყობილი ბაბუები კარგად აწყობილ უმაწვილად იქცა, რომელიც სრულყოფილად ფლობს სხეულს."

ა. ხორავას ეს სიტყვები ყველაფერთან ერ-

თად კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გ. გეგეჭკორი თავის პროფესიაზე ფანატიკურად შეუვარებული და ამალლებული პრინციპები მცხოვრები მსახიობია. ყველა როლზე ერთნაირი პასუხისმგებლობით, სერიოზულობით მუშაობს. ცდილობს თითოეული პერსონაჟის „გამოკვლევას,“ ეძებს როდის არის ბოროტი ან კეთილი, გულჩათხრობილი ან გულგახსნილი, ფლიდი ან გულწრფელი... ცდილობს იპოვოს მისი ხასიათის მამოძრავებელი არსებითი თავისებურება. შედეგში კი ხან წარმატებას, რომელის მოგზიბლობის ჭსლში ძალაუნებურად ეხვევი „ადამიანი, ვინაიდან ძნელია, მოლოდეგებიან ობიექტური აზრი გამოიტანო. საბედნიეროდ, — დროზე მოთოკვა საკუთარი ემოციების და მიღწეულის მკაცრად გაანალიზება ძალუძს. საბოლოოდ კი — მუშაობა, ისევ მუშაობა ახალი სირთულეების გადაჭრისთვის; ხანაც წარუმატებლობა და ისევ მუშაობა ნაკლის გამოსასწორებლად...

გ. გეგეჭკორი მტკიცე ნებისყოფის, შრომისმოყვარე მსახიობია და, რაც მთავარია, წარმატებებმა დღემდე ვერ დაკარგვინეს ახალბედასთის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობა, მაძიებლობა, რაც ზრდისთვის აუცილებელი პირობაა და რაც, პროფესიული თვალსაზრისით, ყოველთვის საინტერესოს ხდის ხელოვანის ნამუშევარს.

იგი ნამდვილი პროფესიონალია!

მისი მონაწილეობა კინომსახიობთა თეატრში დადგმულ სპექტაკლში „ჩვენი პატარა ქალაქი“ — ეს იყო უდიდესი პასუხისმგებლობა ერისა მანჯალაძის ხსოვნისა და მაყურებლის წინაშე: მსახიობს ხომ ის როლი უნდა განესახიერებინა, რომელზედაც გარდაცვლილი მეგობარი იყო დანაშნული. უნდა გადაელახა მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, იმ ადგილზარი დღეებში უველანირი საქმე რომ დაავიწყა და ჭირისუფლად აქცია. ამ უდიდეს მორალურ სირთულეს თვით რალისგან წამოჭრილი წინააღმდეგობაც ემატებოდა. პიესა ქალაქის ბეკდრის მოგონებაა, უფრო სწორად, მსჯელობაა ცხოვრებაზე, ადამიანებზე, ერთგვარად — სიცოცხლის საზრისის ძიებაა. სიუჟეტურად ამბავი თანმიმდევრულად არ ვითარდება. თითოეული სურათი ე. წ. რეპისტირის ასიტეტნისათვის — „მთხრობელისთვის“ საშუალებაა მომზდარის განზოგადებისათვის, ხანდასან ამ მას ქალაქის ყოლორიტი იტაცებს ან მაყურებელს მეორეხარისხოვან პერსონაჟზე თითქოს არასაჭირო ინფორმაციას აწვდის. ერთი შუბედვით გაფანტული ტექსტის გაცოცხლება, თითოეული სიტყვის დამაღებინებათვის ზრუნვა, უხილავი კავშირების მოძებნა სერიოზული სირთულე იყო; მსახიობის წინაშე ისეთი საკითხები იდგა, რომლის გადალახვასაც ბევრი არ შეეცდებოდა. ვერ გაბედავდა მათთან შეჯიდებას. მით უმეტეს, ასეთი გულისტკივილის შემდეგ. მაგრამ გ. გეგეჭკორი ბევრ თოლეების გადალახვას მაშინ უფრო ადვილად ლობს, როცა სულიერად ყველაზე მეტად უჭირს. რას იზამ, ასე მკაცრია მსახიობის პროფესია. გმირი უნდა იყო — საკუთარ თავზე, თვით შენს თავში წამოჭრილი წინააღმდეგობის გადალახვა უნდა შეგეძლოს... და გოგი გეგეჭკორმა, ერისის ახალგაზრდა მეგობრებთან და მიხეილ თუმანიშვილთან ერთად, ცოცხალი ძეგლი დაუდგა მსახიობის ხსოვნას.

მახსენდება მოსკოვის კონსერვატორიაში გამართული პანაშვიდი, ერთ-ერთ საუკეთესო პიანისტთან, სტანისლავ ნეიჰაუზთან გამოსათხოვებელად ჩატარებული უჩვეულო კონცერტი. ყვავილებით მორთული ნეშტი სცენასთან ესვენა, სახეზე რადაც გაფუჭკვეველი, თითქმის მისტიკურ გრძნობაზე მიმანიშნებელი მიმიკა შერჩენოდა. სცენაზე კი თავდაურული როიალი იდგა, რომელთანაც ვეღარასდროს მივიდოდა პიანისტი. პანაშვიდი დაიწყო. ინსტრუმენტთან ნელი ნაბიჯით მივიდა რიხტერი. დაჯდა. ერთი წუთით შეუოვნდა, აიღო „მთავარის სონატის“ პირველი აკორდები, შემდეგ — კრაანევი, მილეული. რა რთული იყო ასეთ ვითარებაში ღელვის დაოკება, ყურადღების მოკრება და ნაწარმოებების შერჩევა. პროფესიონალები მოვალეობის იმდიდენენ გარდაცვლილი პროფესიონალის წინაშე... არის ამ ორ ფაქტს შორის რაღაც საერთო!

II — დამოუკიდებულება ცხოვრებისადმი.

რამდენიმე წლის წინათ ქართული თეატრის-თვის ტრადიციულად საიუბილეო დღეებში რუსთაველის თეატრში შედგა ნ. წულეიტსკრის გასცენერებული მოთხრობის საფუძველზე შექმნილი სპექტაკლის „ძველი სამრეკლოს“ პრემიერა. ამ თეატრალური მოვლენის დაბადება ყველაზე მეტად გ. გეგეჭკორს უნდა ეზიარა, თითქმის ყველა თეატრალისათვის იყო ცნობილი, რომ სპექტაკლის მაყურებელზე „გასვლა“ გვიანდებოდა, მუშაობა გახანგრძლივდა, თითქმის ორი წლის განმავლობაში რამდენჯერ შეიცვალა რეჟისორი, მსახიობებიც. უცვლელად თავის პოზიციაზე იდგა გ. გეგეჭკორი და, ბოლოს, სპექტაკლის დაბადებისთვის აუცილებელი საკითხების გადაჭრა სწორედ მან ითავა და მიიყვანა კიდეც პრემიერამდე.

თეატრის მიერ ჩატარებული მუშაობის შემდეგ მოთხრობა გამოიკვეთა ამბად იმის შესახებ, როგორ ვერ შეუფარეს ადამიანს ღირება, როგორ ვერ დაკარგვინეს რწმენა. ყოველივე კი ისეთ უცვლელ სცენურ გარემოში თამაშდება, რომელიც მაყურებელს მრავალჭირგადავლილ, მაგრამ მაინც ბევრიად მდგარი სამრეკლოს შთამეგმილებას უკმნის. მხატვრული სახის ასეთი გადაწყვეტა ალბათ იმით

იყო განპირობებული, რომ იგი ადამიანის წარმოსახვას ზნეობის მიმართულებით წარმართავს. ასეთ ფონზე კი ორნაირი საშუალო გამოიკვეთება. სცენის ერთ მხარეს სამრეკლოს კედლები გარდამავალი დროშების გამოსაფენად არის გამოყენებული. იქვე მდგარი მაგიდა, ტელეფონი, სავარძელი, მწყობრად დადგმული სკამები — ოფიციალური პირის ისეთ კაბინეტზე მიგვანიშნებს, სადაც მოვალეობის მოხდის მიზნით შედიან. მხოლოდ ეიღაცის დასანახად, საქმე კი... სამრეკლოს მეორე მხარეს კედლები ხარაჩოებია ჩასმული. ეს ორი სამყაროო თითქოს მხატვრული განზოგადებაა ზნეობრივი თუ მატერიალური ღირებულებისადმი, ადამიანის თუ სინამდვილის მიმართ ორგვარი, ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებისა. ამ სპექტაკლით კიდევ ერთხელ გამოვლინდა, რომ გ. გეგეჭკორი — მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე, ცხოვრებაზე დაფიქრებული, დაკვირვებული, მტკიცე, შებრძოლი ადამიანია...

III — კიდევ რამდენიმე, მაგრამ აუცილებელი სიტყვა.

სანამ ადამიანს ოვითონ არ შეხვდები, სანამ არ შეგეკმნება ამისთვის შესაბამისი ვითარება, თამამად ვერ გამოთქვამ მასზე საკუთარ შეხედულებას და ყველასთვის ნაკლებად დამაჯერებელი იქნება შენი აზრი. ამ მხახიობზე ბევრი რამ მქონდა გაგებული, თუმცა მხოლოდ „ჩემი პატარა ქალაქის“ რეპეტიციებზე შუშაობისას გახდა ჩემთვის ნათელი ის, რაც შეუმჩნეველი შეიძლება დარჩეს უცნო თვალისთვის.

მ. თუმანიშვილს და გ. გეგეჭკორს თითქმის 40 წლის ნაცნობობა, თანამშრომლობა, ერთად გობრობა აკავშირებთ, მაგრამ რეპეტიციებზე მსახიობი „ბატონო მიშაო“ მომართავდა რეჟისორს... მახსოვს, ერთხელ სამი წუთით დაიგვიანა რეპეტიციაზე და აფორიაქებული, თვალებდახრილი თითქმის შემოიპარა დარბაზში, ყველას წინაშე ბოდიში მოიხადა, სწრაფად გაიხადა პალტო, ფაქიზად შენახული ტექსტი ჩანთიდან ამოიღო და სამუშაოდ მოემზადა, არც ის დამავიწყდება, რა მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ მომენტს, რომ რეჟისორისთვის გმირის კოსტუმი ეჩვენებინა. ამ ადამიანს თითქოს არც ჰქონია 34 წლის შემოქმედებითი ბიოგრაფია, არც ქართული თეატრის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი სახეები შეუქმნია, არც საქართველოს სახალხო არტისტი ყოფილიყოს... თავმდაბალი, ერთნაირად უურადღებიანი ახალგაზრდისა თუ მოზარდისადმი. სჯერა ადამიანების და მათ გაგებას ცდილობს, რაიმე მოულოდნელი შემთხვევისას პირველად საქციელის გამარჯლებას შეეცდება, უფრო შეცდომად შეაფასებს, ვიდრე შეგნებულად ჩადენილ ულირსობად. მაგრამ, ალბათ, რა ზნრაილ ჩავარდნილა სასოწარკვეთილებაში, როცა იმედი გაცრუებია...

შეეცადე მეთხველისთვის დამეხასიათებინა ეს მუდამ საინტერესო ადამიანი. დამეხატა მისი პორტრეტი დღევანდელი ახალგაზრდებისათვის საგულისხმოდ. მომხიბლაობა და ხიდიდე კი ამ პიროვნებისა, ეფიქრობ, ყველა ზეგით დასახელებული თვისებერების ერთიანობაშია.

შეცდომების გასწორება

„ცისკრის“ მეზუთე ნომრის სარჩევში და 28-ე გვერდზე თამარ პაპუნაშვილის ნაცვლად უნდა იყოს მერი პაპუნაშვილი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, კოორეკტორი — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 8.04.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.86 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15. 85. შეკვ. 892. უე 04695. ტირაჟი 61.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცა ახალგაზრდა მწერალთა წიგნები

ოდიშარია გ. — შვიდი სურათი გავშვისათვის. ლექსები. პოემა. „ალაშარა“ 1986

სადიდებელი, მამულო შენი — ლექსთა კრებული. „საბჭოთა საქართველო“. 1986 წ.

ფირცხალაიშვილი ზ. — დაუსრულებელი პორტრეტი. ლექსები. „საბჭოთა აჭარა“. 1986 წ.

ერცახუ — აფხაზური პოეზია. „მერანი“ 1986 წ.

მებურიშვილი ი. — სულის ამინდი. „მერანი“ 1986 წ. ლექსები.

ნეკერიშვილი ნ. — დამაბრუნე მზიანეთში. ლექსები „მერანი“ 1986 წ.

არაბული შ. — გახსენ კარი. ლექსები. „ნაკადული“ 1986 წ.

სვანიძე თ. — ლურჯი სიშორე. ლექსები. „მერანი“ 1986 წ.

კობიაშვილი გ. — ალვის ხეები. მოთხრობები. „მერანი“ 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

2 30

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ